

აკაკი მუმლაძე

როგორ ვასწავლოთ?
უცხო ენა უცხოდ რომ არ დარჩეს

თბილისი 2020

აპაკი მუშაძე:

**როგორ ვასწავლოთ? უცხო ენა უცხოდ რომ არ დარჩეს
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი 2020. გვ. 308.**

სახელმძღვანელო „ინგლისური ენის სწავლების მეთოდთა
ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში“ განკუთვნილი
და რეკომენდებულია საუნივერსიტეტო სწავლების სამივე სა-
ფეხურისთვის; ასევე, ინგლისური ენის მასწავლებელთა მომ-
ზადების პროგრამისა და ტრენინგებისთვის.

ავტორის თანაშემწე: **გულნარა მანჯგალაძე**

ტექნიკური რედაქტორი: **ლევან ბოჭორიშვილი**

© ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-2917-8

უცხო ენა უცხოდ რომ არ დარჩეს
For a Foreign Language not to Remain Foreign

ინგლისური ენის სწავლების მეთოდთა
ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში

English Language Teaching Methods
at Georgian Secondary School

რეკონსტრუქცია

აკაკი მუმლაძის წიგნი „როგორ ვასწავლოთ? უცხო ენა უცხოდ რომ არ დარჩეს – ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში“ ფუნდამენტური ნაშრომია ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკაში. მასში დეტალურად და სიღრმისეულადაა მიმოხილული დარგის თეორიული საფუძვლები და ძირეული პრინციპები, მეთოდიკის ზოგადი და კერძო პრინციპები, ზოგადად განათლებისა და აღზრდის პრინციპები, მეთოდიკა როგორც მეცნიერება, ზოგადი და კერძო მეთოდიკები; გაანალიზებულია ის პრობლემები, რაც უცხო ენის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლებას ახლავს თან. ზემოთ ჩამოთვლილი, წიგნს აკადემიურ სტატუსს სძენს.

წიგნის უდავო ღირებულებას წარმოადგენს მისი პრაქტიკული მხარე. მასში სრულადაა გადმოცემული ყველა ენობრივი უნარისა და ასპექტის – კითხვა, წერა, მეტყველება, აუდირება, გრამატიკა, ფონეტიკა და ლექსიკა – სწავლების სპეციფიკა, სირთულეები, შესაბამისი მეთოდები და მიდგომები, აქტივობები და სავარჯიშოები. განსაკუთრებით საყურადღებოა ენობრივი მასალის მეთოდური ტიპოლოგია. ამ მხრივ წიგნი ძალიან ღირებულ და წონად მასალას შეიცავს ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის, რათა მათ გამართულად და კომპეტენტურად ასწავლონ ენა.

ავტორს ყურადღების მიღმა არ რჩება არცერთი ასპექტი, რომელიც ერთვება უცხო ენის სწავლებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სამივე (დანყებით, საბაზისო და საშუალო) საფეხურზე, ესენია: დაგეგმვა, გაკვეთილის სტრუქტურა და შინაარსი, სახელმძღვანელო, ცოდნა-უნარის შემოწმება, კონტროლი და აღრიცხვა, ა.შ.

აღნიშნული მონოგრაფია სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელოს წაყენება. იგი გა-

ნკუთვნილი და რეკომენდებულია საუნივერსიტეტო სწავლების სამივე საფეხურისთვის; ასევე, ინგლისური ენის მასწავლებელთა მომზადების პროგრამისა და ტრენინგებისთვის.

მონოგრაფია გამოირჩევა მაღალი აკადემიურობით განათლების დარგში – კერძოდ კი, უცხო ენების სწავლების თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული პრობლემების სიღრმისეული ანალიზით. წიგნში სისტემატიზებულია მრავალი ცნება და ტერმინი უცხო ენის სწავლების მეთოდისა და პედაგოგიკის, ასევე ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით.

აღნიშნული ნაშრომი კრავს კავშირს თანამედროვე პრაქტიკულ, პრაგმატულ მიდგომასა და ტრადიციულ სამეცნიერო კვლევას შორის უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიაში; ამით მიუთითებს, რომ აუცილებელია ამ სფეროში ათწლეულობით მონაპოვარი მწყობრი თეორიული ცოდნა ინგლისური ენის პედაგოგის საქმიანობის საფუძველს წარმოადგენდეს.

უდავოა, რომ წიგნი ინგლისური ენის პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის საიმედო ცნობარი და გზამკვლევი, ხოლო ამ დარგის მკვლევარებისთვის თეორიული ცოდნის მდიდარი რესურსია.

ლია თოდუა

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
განათლების მეცნიერებათა დოქტორი**

ავტორისაბან

დიდი დავითი ბრძანებს: „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს ნუთისოფელი“-ო. ცოდნა ღირსეული ცხოვრების გასაღები და საწინდარია.

მეტაფორულად რომ ვთქვათ, ცოდნა „მენდელეევის სისტემაა“, სადაც ამ ცოდნის ტაბულაზე დატანილ თითოეულ გრაფაში, ცოდნის გარკვეული ულუფა მოიაზრება; ყოველი გრაფა წინას წინაზარდი და მომდევნოს გაგრძელებაა. ცოდნის ყოველი გრაფა კი, ისეთი წინმსწრები ნახტომია, რომ მასა და წინა გრაფას შორის ხილული დამაკავშირებელი წინაზარდი ყოველთვის როდი იკვეთება; ზოგი გრაფა ცარიელია – ისევე, როგორც ეს მენდელეევის ცხრილშია. სწორედ ამ უხილავი წინაზარდებისა თუ სიცარიელეების ამოვსებას ემსახურება მეცნიერება და სწავლა-განათლება.

ენის სწავლების მეთოდისა და ენის მასწავლებლის დანიშნულებაა ჩაახედოს და გააშინაუროს მოსწავლე ენის „დეპოსა“ და მეტყველების „სამზარეულოში“, რათა ხელი შეუწყოს მისი ლინგვისტური აზროვნების ჩამოყალიბებას და მასში ენის შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევების ფორმირებას.

ამის მისაღწევად კი – უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს სწავლების ობიექტი, მისი მოცულობა და შინაარსი, სწავლების პრინციპები, მეთოდები, საშუალებები და ორგანიზაციული ფორმები.

დარწმუნებული ვარ, მზარდი გამოცდილება და ეფექტურობისკენ სწრაფვა ბიძგს მოგცემთ მიაკვლიოთ ახლებურ მიდგომებს და შემდგომ, პრაქტიკაში დანერგოთ თქვენეული მიგნებები. პედაგოგობა ხომ მუდმივი და უწყვეტი შემოქმედებითი ძიების პროცესია!

აკაკი მუმლაძე

უცხო ენა უცხოდ რომ არ დარჩეს

For a Foreign Language not to Remain Foreign

შესავალი

რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ენა ადამიანთა შორის ურთიერთობის არა მარტო საშუალება, არამედ ბარიერიცაა. დღევანდელ მსოფლიოში კი, 7000-მდე ასეთ ბარიერს ვარაუდობენ.

ჩვენ, ბუნებრივია, ყველას და თანაც, მათსავე ენებზე ვერც დავუკავშირდებით და არც არის ამის აუცილებელი საჭიროება. ხოლო, ვისთან რა ურთიერთობა გვექნება და მაშასადამე, რომელ ენებს რა დონეზე და რა მასშტაბებით ვისწავლით – ამას თვითონ ცხოვრება გვკარნახობს.

სწორედ ცხოვრების ნაკარნახევია, რომ დღეს უბადლო და უალტერნატივო ინგლისურია, რომელიც ნომერ პირველ საერთაშორისო ენას წარმოადგენს და რომელზეც, მთელი მსოფლიოს თითქმის ყველა პოლიტიკოსი, მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე საუბრობს და რომელიც მშობლიური ენაა 400 მილიონზე მეტი კაცისათვის ა.შ.შ.-ში, დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და კანადაში; მილიარდზე მეტისათვის კი, იგი სახელმწიფო ან მეორე საკომუნიკაციო ენაა.

თავისთავად, ინგლისურის გარდა, ჩვენი საჯარო სკოლები-სათვის სხვა სავალდებულო უცხო ენებია: გერმანული, ფრანგული და რუსული. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რაც არ უნდა განაწყენებული ვიყოთ ჩრდილოელ მეზობელზე, მისი ენა ჩვენთვის კიდევ დიდხანს დარჩება სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ერთ-ერთ წყაროდ და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ჩვენი ურთიერთობის ერთადერთ საშუალებად.

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას; ენობრივი ბარიერის მოხსნის დღეს ჩვენს ხელთ არსებული ოთხი საშუალებიდან, როგორცაა – ცოცხალი და მანქანური თარგმანი, ხელოვნური ენები და სპეციალისტთა „ლინგვიზაცია“ – ყველაზე რაციონალურს ე.ი. ყველაზე ეკონომიურსა და ქმედუნარიანს ეს უკანასკნელი, სპეციალისტთა „ლინგვიზაცია“ წარმოადგენს; რაც მათ, სულ მცირე, ერთი უცხო ენით აღჭურვას გულისხმობს. შესაბამისად, მომავალი ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგისათვის აუცილებელია გერმანული, ვოკალისტიკისათვის – იტალიური, ისტორიკოსისათვის – ფრანგული; ჩვენ შემთხვევაში კი, განსაკუთრებით – აღმოსავლური ენები, რათა გამთლიანდეს და მთელი სიგრძე-სიგანით წარმოჩინდეს ქართველი ხალხის ჭეშმარიტი ისტორია.

ვსწავლობთ თუ ვასწავლით ენას, ნათელი წარმოდგენა უნდა გვქონდეს ჩვენი სწავლისა თუ სწავლების ობიექტზე ანუ ენაზე.



ენა, როგორც ადამიანთა თანაარსებობის საწინდარი, საუკუნეობითაა ნაძერწ-ნახვენი მის მატარებელთა მიერ. მსოფლიოში 7000-მდე ენაა, საკუთარი ორიგინალური და თვითმყოფადი დამწერლობა კი - ყველას როდი აქვს; ქართული ანბანი სწორედ ამ რჩეულთა შორისაა.

სწავლების ობიექტი – ენა და მეტყველება

ცნობილი განმარტება, რომლის მიხედვითაც ენა აზროვნების იარაღი და ადამიანთა შორის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, ენის მხოლოდ ცალმხრივ, კერძოდ კი, მის მხოლოდ ფუნქციურ განმარტებას წარმოადგენს. იგი მიუთითებს ენის დანიშნულებაზე, გამოყენებაზე, ფუნქციაზე, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა არის თვით „ეს ურთიერთობის საშუალება“, რისგან შედგება იგი.

მარტივად რომ ვთქვათ, ენა სიტყვები ანუ ლექსემები (words or lexemes) და მყარი შესიტყვებები (set word-combinations, set phrases), ე.ი. ლექსიკა (lexis, vocabulary) და ამ ლექსიკის აღწარმოების, ფორმათწარმოების და თავისუფალ შესიტყვებებად და წინადადებად შეკავშირების წეს-მოდელები, ე.ი. გრამატიკაა (grammar).

ფაქტიურად, ენა მხოლოდ ლექსიკა, ე.ი. მხოლოდ სიტყვები და მყარი შესიტყვებებია, გრამატიკა კი უბრალოდ დანართია (appendix), ინსტრუქციაა (instruction) – თუ როგორ გავამდიდროთ და ვიხმაროთ ეს ლექსიკა.

ხშირად სვამენ კითხვას, რა უფრო მნიშვნელოვანია – ლექსიკა თუ გრამატიკა? პასუხი მოკლეა – უერთმანეთოდ ორივე ფუჭია. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ლექსიკა გრამატიკის გარეშე „მკვდარი კაპიტალია“, „გაურანდავი მასალაა“, რომელიც მხოლოდ გრამატიკის განკარგულებაში გადასვლის შემდეგ, მის „ადიდაში“ გატარების (მორფოლოგიური დამუშავებისა და სინტაქსური მონესრიგების) შემდეგ იძენს საკომუნიკაციო ღირებულებას. თავის მხრივ, გრამატიკა თავისი სამართავი ობიექტის – ლექსიკის გარეშე, ისევე წარმოუდგენელია, როგორც საჭე მანქანის გარეშე. ლექსიკისა და გრამატიკის „თანამშრომლობის“ შედეგია ნებისმიერი წინადადება, ნებისმიერი ტექსტი.

ჩვენთვის კარგად ცნობილი სიტყვები ინგლისურ წინადადებაში – *Whenever I go hunting, it always rains cats and dogs* (როცა არ უნდა წავიდე სანადიროდ, ყოველთვის კოკისპირულად

წვიმს) – სამი ცალკეული სიტყვა (*whenever, I, it*), ერთი თავისუფალი შესიტყვება (*always rains*) და ორი მყარი შესიტყვება – ერთი არაიდომატური ანუ ტრადიციული, თვითკმარი, გამჭვირვალე (*go hunting*) და ერთი იდიომატური, გაუმჭვირვალე (*rains cats and dogs*). ყველა სიტყვა გაფორმებულია გრამატიკულად და განლაგებულია ფუნქციონალურად.

რადგანაც ენა ფაქტიურად მხოლოდ ლექსიკა ე.ი. მხოლოდ სიტყვები და მყარი შესიტყვებებია და ეს უკანასკნელებიც ისევ სიტყვებისაგან შედგება, მაშასადამე, ენის (და ლექსიკის) ძირეული ერთეულია სიტყვა, რომლის პარამეტრებია/მახასიათებლებია/განზომილებებია (parameters/characteristics/dimensions): 1. ფორმა ანუ გამოხატვის პლანი (form or plane of expression); 2. მნიშვნელობა ანუ შინაარსის პლანი (meaning or plane of content); და 3. ხმარება ანუ დისტრიბუციის პლანი (usage or plane of distribution).

სიტყვის ფორმაში იგულისხმება: 1. მისი წარმოთქმა-ჟღერადობა (pronunciation, sounding). მაგალითად, *[tə hunt]*; 2. მისი დაწერილობა (spelling). ამ შემთხვევაში – *to hunt*; 3. მისი შედგენილობა ანუ შინაგანი ფორმა (composition or inner form). შედგენილობით *to hunt* მარტივი სიტყვაა; და 4. მისი პარადიგმა ანუ გრამატიკული ანუ გარეგანი ფორმები (paradigm or grammatical or outer forms). გრამატიკულად *to hunt* ზმნის საწყისი ფორმა ანუ ინფინიტივია (infinitive).

სიტყვის მნიშვნელობა ის ცნებაა, რომელსაც იგი აღნიშნავს, ან რომელზეც იგი მიუთითებს. 'ცნება' შეიძლება განიმარტოს, როგორც საგნისა თუ მოვლენის იმ ნიშან-თვისებათა მინიმუმის ცოდნა, რომლის გარეშეც ვერბალური ურთიერთობა ვერ შედგებოდა. *to hunt*-ის მნიშვნელობაა – 'ნადირობა' (*to catch or kill a game*).

სიტყვის ხმარებაში მოიაზრება: 1. მისი წარმადობა ანუ სიტყვათმწარმოებლურობა (productivity). *to hunt* -ისაგან ნაწარმოები სიტყვებია *hunter* (*მონადირე*) და *hunting* (*ნადირობა, როგორც არსებითი სახელი*); 2. მისი ფორმათწარმოება (form-

building) ანუ ყველა შესაძლო გრამატიკულ ფორმათა ერთობლიობა. *to hunt* -ის ფორმებია: *hunting, hunt(s), hunted, was hunting, is hunted, shall be hunting, will have been hunted* და ა.შ.; 3. მისი ვალენტობა ანუ შესიტყვებადობა (valency or combinability) ანუ სხვა სიტყვებთან შეერთებადობა. *to hunt* ვალენტობაშია (იხმარება) არსებით სახელებთან, პირის ნაცვალსახელებთან, ზმნებთან და ზმნიზედებთან. *to hunt hares, can(not) hunt, to hunt here* და ა.შ.; და 4. მისი ფუნქციონირება (functioning). *hunt* წინადადებაში გამოდის როგორც შემასმენელი ან მისი ძირითადი ნაწილი. *Nick always hunts hares here, because he cannot hunt in hilly terrain.* ინფინიტივი *to hunt* წინადადებაში გვხვდება, როგორც მისი ნებისმიერი წევრი გარდა შემასმენლისა, თუმცა ამ უკანასკნელის შემადგენლობაში ხშირად გვხვდება, როგორც მისი ძირითადი ნაწილი: 1. ქვემდებარე – ***To hunt is my hobby*** (**ნადირობა ჩემი ჰობია**); 2. შედგენილი შემასმენლის სახელური ნაწილი ანუ პრედიკატივი – ***My hobby is to hunt*** (**ჩემი ჰობი ნადირობაა**); 3. დამატება – ***I like to hunt*** (**მე მიყვარს ნადირობა**); 4. მიზნის გარემოება – ***I came here to hunt*** (**მე აქ სანადიროდ მოვედი**); და 5. განსაზღვრება – ***His offer to hunt there was rejected*** (**მისი წინადადება/შეთავაზება იქ (გვე)ნადირა(თ) უარყოფილი იქნა**).

წარმოთქმული, ზეპირი სიტყვა შედგება სამეტყველო ბგერებისა (speech sounds) ანუ ფონემებისაგან (phonemes); დაწერილ-დაბეჭდილი სიტყვა კი – ასოებისა და ასოთშეხამებებისაგან (letters and letter-combinations).

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ სიტყვათა უმრავლესობაში ასო-ბგერობრივი შეფარდება ასიმეტრიულია. მაგალითად, სიტყვაში *hunt* [hʌnt] – 4 ასო და ამდენივე ბგერაა, მაგრამ დიდი ინგლისელი მწერლისა და დრამატურგის გვარში *Shakespeare* [ʃeɪkˈspɪə] – 11 ასო და მხოლოდ 6 ბგერაა.

სამეტყველო ბგერათა ანუ ფონემათა წარმოთქმასა და ჟღერადობას (pronunciation and sounding) სწავლობს ფონეტიკა (phonetics); მათ ფუნქციონირებას – ფონოლოგია

(phonology); სიტყვათა დაწერილობას (spelling) – ორთოგრაფია (orthography); მათ წაკითხვა-წარმოთქმას – ორთოეპია (orthoepy); სიტყვათა მნიშვნელობას – სემანტიკა (semantics); მათ შედგენილობას, წარმადობას, პარადიგმას (paradigm) და ფორმათწარმოებას – მორფოლოგია (morphology); მათ ვალენტიობას – მცირე სინტაქსი (minor syntax); და მათ ფუნქციონირებას – დიდი სინტაქსი (major syntax).

ენა, როგორც ფონეტიკურ-ფონოლოგიურ(=ორთოგრაფიულ-ორთოეპიულ)-ლექსიკურ-გრამატიკული სისტემა არსებობს, ინახება მის მატარებელთა თავებში, როგორც ამ ენის ცოდნა, კომპეტენცია (competence), ხოლო დამწერლობის არსებობის შემთხვევაში – წიგნებშიც; და იგი ასე, მზა ფორმითა და შემდგომი განვითარების მექანიზმებით თაობიდან თაობებს გადაეცემა.

ენა მოქმედებაში, ხმარებაში მეტყველებაა, რომლის ფორმებია – ზეპირმეტყველება (oral speech) და წერიტი მეტყველება (written speech).

ზეპირმეტყველება ადამიანთა შორის უშუალო, პირისპირი ურთიერთობის ძირითადი საშუალებაა; წერიტი მეტყველება კი – ცოდნის, ინფორმაციის დაფიქსირების, შენახვისა, და დროსა და სივრცეში შეუზღუდავად გადაცემის ე.ი. დისტანციური ურთიერთობის ძირითადი საშუალება. (Oral speech is the main means of direct, face-to-face communication, and written speech, which is limitless in time and space, is the main means of fixing, storing and transmitting knowledge, information, i.e. the main means of distant communication.)

მეტყველების ძირითადი ერთეულია წინადადება (sentence), რამეთუ ჩვენ ვმეტყველებთ, ვსაუბრობთ, ვურთიერთობთ წინადადებებით, და არა ცალკეული სიტყვებით; და ეს განცხადება მაშინაც ძალაშია, როცა წინადადება ერთსიტყვიანია: *გათენდა. წვიმს. მობრძანდით. Come. Drink. Dance. . .* საქმე ისაა, რომ აქ ეს სიტყვები გაფორმებულია გრამატიკულად, ინტონაციურად (წერისას – პუნქტუაციურად) და დასრულებულ აზრს

გამოხატავენ; და მაშასადამე, ისინი უბრალოდ სიტყვები კი აღარ არიან, არამედ სრულფასოვანი წინადადებები.

როდესაც ვამბობთ – მეტყველების ძირითადი ერთეული წინადადებააო, ჩვენ მხედველობაში გვაქვს კონკრეტული წინადადება. მაგალითად, *John loves Jane.* (*ჯონს უყვარს ჯეინი.*); მაგრამ ამ წინადადების „ცარიელი“, ლექსიკაჩაუტვირთავი „ყალიბი“, ლექსიკით შეუვსებელი მოდელი – S (ქვემდებარე) + P (შემასმენელი) + O (დამატება) – ენობრივი ერთეულია, ენას განეკუთვნება. ისევე, როგორც ენის კუთვნილებაა თავისუფალ შესიტყვებათა მოდელები.

ზეპირი და წერიტი მეტყველების, სამეტყველო მოქმედიანობის სახეებია: 1. ლაპარაკი (speaking) ანუ აუდიოტექსტის (მოსასმენი ტექსტის) შედგენა და წარმოთქმა; 2. წერა (writing) ანუ გრაფიკული ტექსტის შედგენა და ქალაღზე დატანა; 3. აუდირება (listening comprehension) ანუ აუდიოტექსტის აღქმა და გაგება; და 4. კითხვა (reading) ანუ გრაფიკული ტექსტის აღქმა და გაგება.

ლაპარაკი და წერა მეტყველების (რე)პროდუქტული, აქტიური ((re)productive, active) სახეებია, რადგანაც აქ ადგილი აქვს ტექსტის შედგენას; მაშინ როდესაც, აუდირება და კითხვა რეცეპტული, პასიური (receptive, passive) მეტყველების სახეებია, რადგანაც ისინი მხოლოდ სხვის მიერ შედგენილი ტექსტის აღქმა-გაგებაზეა ორიენტირებული.

გარდა გარეგანი მეტყველების (outer or external speech) ამ ოთხი სახისა, ფსიქოლინგვისტები აგრეთვე ასახელებენ ე.წ. შინაგან მეტყველებას (inner or internal speech), რომელიც სათქმელის თუ დასაწერის, ან მოსმენილის (გაგონილის) თუ წაკითხულის გულში უხმოდ, ფრაგმენტულად გავლება-ჩაღაპარაკებას წარმოადგენს და მაშასადამე, რომელიც წინ უძღვის ლაპარაკსა და წერას და თან სდევს აუდირებასა და კითხვას – რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მეტყველების სწავლება-სწავლისას.


სხვანაირიად რომ ვთქვათ, შინაგანი მეტყველება ლაპარა-

კისა და წერის სანყისი, მოსამზადებელი ეტაპია; აუდირებისა და კითხვისა კი – საბოლოო და დამაგვირგვინებელი.

საქმე ისაა, რომ როგორც უკვე აღინიშნა, სანამ მთქმელი სათქმელს იტყოდეს და დამწერი დასაწერს დაწერდეს, იგი მას ჯერ გულში გაივლებს, უხმოდ „ჩაილაპარაკებს“ ე.ი. წინასწარ მოამზადებს; ხოლო მსმენელი და მკითხველი მხოლოდ მაშინ აღიქვამს ე.ი. იცნობს და გაიგებს გაგონილსა და წაკითხულ სიტყვას, თუ ეს სიტყვა ჟღერადობით, დაწერილობითა და მნიშვნელობით ემთხვევა მის მესსიერებაში „შენახულ“ ამ სიტყვის „ორეულს“, ამ სიტყვის ეტალონს.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია სრულიად უცნობი, მეხსიერებაში არარსებული ან არასწორად წარმოთქმული თუ დაწერილი, ანდა კიდევ არასწორად აღქმული სიტყვის გაგებაც – თუ მსმენელი და მკითხველი განაფულია ლოგიკური აზროვნებისა და კონტექსტის მოშველიებით სიტყვათა მნიშვნელობის მიხვედრილობა-პროგნოზირებაში.

სამეტყველო მოქმედიანობის ეს სცენარი საფუძვლად უნდა დაედოს სამეტყველო სავარჯიშოებსა და საერთოდ, ენისა და მეტყველების სწავლების მეთოდოლოგიას.



როგორც ვხედავთ, ენა და მეტყველება ერთი მედლის ორი მხარეა; ერთი მეორეს გულისხმობს, ერთი მეორის გარეშე არ არსებობს.

ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენ ენასაც ვასწავლით, ე.ი. გარკვეული რაოდენობის სიტყვებსა და მყარ შესიტყვებებს – მათ ავტომატიზირებულ ე.ი. ჩვევის დონეზე ე.ი. ცნობიერების ჩარევის გარეშე ხმარებას; მაგრამ ჩვენი საბოლოო მიზანი ამ სიტყვებისა და შესიტყვებების გამოყენებით, ამ ენაზე მეტყველების ე.ი. 1. ლაპარაკის; 2. წერის; 3. აუდირებისა; და 4. სამნაირი (გაცნობითი, შესწავლითი და გადათვალთქმებითი) კითხვის სწავლებაა.

ჩვეულებრივ საუბრებსა და თვითგანათლების მასალებში ენა გაიგივებულია მეტყველებასთან, რაც ყოველად დაუშვებელია ლინგვისტიკასა და მეთოდოლოგიაში, სადაც ისინი მკვეთრად გამიჯნული ერთმანეთისაგან – როგორც ერთი მედლის ორი მხარე, რომელთაგან არც ერთი არსებობს მეორის გარეშე; და ეს განცხადება ძალაში რჩება ე.წ. მკვდარი ენების მიმართაც, რომლებზეც, მართალია, დღეს აღარავინ საუბრობს, მაგრამ იყო დრო, როდესაც მათზე მეტყველებდნენ და ურთიერთობდნენ. აქვე, ნაწილობრივ, განეკუთვნება ლათინურიც, რომელიც დღესაც გამოიყენება ბიოლოგიასა და მედიცინაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 'მეტყველების ნაწილები' სინამდვილეში ენის ნაწილებია, და მხოლოდ ამის შემდეგ და ამის გამო არიან ისინი მეტყველების ნაწილები.

მაშასადამე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საბოლოო მიზანი სკოლაში სწორედ მოსწავლეთათვის უცხო ენაზე მეტყველების სწავლება ე.ი. მათი ამ ენაზე ლაპარაკის, წერის, აუდირებისა და კითხვის უნარ-ჩვევებით აღჭურვაა.

ენობრივი ერთეულების – სიტყვებისა და მყარი შესიტყვებების მნიშვნელობათა ცოდნა და მათი ავტომატურად ხმარების ჩვევები ე.ი. მათი ავტომატურად წარმოთქმისა და დაწერის, ცნობილი სიტყვებისაგან ახალი სიტყვებისა და თავისუფალი შესიტყვებების წარმოების, სიტყვებისა და შესიტყვებების საჭირო გრამატიკულ ფორმებში ჩასმის და მათგან წინადადებების შედგენის ჩვევები – მეტყველების აუცილებელი წინაპირობაა; მაგრამ, ეს არამც და არამც არ არის ამ ენაზე ამეტყველების გარანტი.

მეტყველება ე.ი. ტექსტის ლოგიკური თანმიმდევრობით, ნათლად, გასაგებად და შთამბეჭდავად შედგენა და წარმოქმნა; და სხვისი ტექსტის აღქმა და გაგება – სპეციალურად, ენისაგან განცალკევებულად უნდა ვასწავლოთ; თანაც, სამეტყველო სავარჯიშოები ბევრად უნდა სჭარბობდნენ წმინდა ენობრივს.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ საკუთრივ მეტყველების სწავლებაზე მხოლოდ მაშინ გადავდივართ, როდესაც სათანადო ენობრივი, ე.ი. ფონეტიკური, ორთოგრაფიული, ლექსიკური და გრამატიკული მასალა უკვე ავტომატიზებულია, ე.ი. როდესაც სათანადო ენობრივი, ე.ი. ფონეტიკური, ორთოგრაფიული, ლექსიკური და გრამატიკული ჩვევები უკვე ფორმირებულია.

შემდგომში, ენობრივი ჩვევებისა და სამეტყველო უნარ-ჩვევების სწავლება პარალელურად მიმდინარეობს; ისინი მხარდამხარ თანამოქმედებენ ურთიერთხელშეწყობისა და ურთიერთგანმტკიცება-სრულყოფის რეჟიმში.

ხოლო, როგორ უნდა ვასწავლოთ და ვისწავლოთ უცხო ენა და ამ ენაზე აზროვნება და მეტყველება დროისა და ძალისხმევის მინიმალური დანახარჯებითა და მაქსიმალური უკუგებით, ანუ რა უნდა მოვიმოქმედოთ იმისათვის, რომ უცხო ენა უცხოდ არ დარჩეს – ამას გვკარნახობს მეთოდოლოგია.

უცხო ენის სწავლა-სწავლების დამაბრკოლებელი ფაქტორები

და მაინც, რა სიძნელეებს აწყდება და რა დაბრკოლებების გადალახვა უხდება ქართულენოვან მოსწავლეს უცხო ენის შესწავლის პროცესში?

და რა ფაქტორებია უცილობლად გასათვალისწინებელი მასწავლებლის მიერ ინგლისური ენის სწავლებისას ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში?

1. უცხო ენისათვის გამოყოფილი საათების უკმარისობა. მიუხედავად იმისა, რომ უცხო ენის შესწავლა პირველი კლასიდანვე იწყება (წინათ მეოთხედან იწყებოდა) პირველკლასელს, რომელიც უცხო ენის შესწავლას იწყებს თავისი მშობლიური ენის შესწავლაზე უკვე დახარჯული აქვს ათასობით საათი და დედაენაზე ვარჯიში, დედაენის შესწავლა კიდევ გრძელდება სხვა გაკვეთილებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. რაც შეეხება უცხო ენას, მისი გამოყენება მეტწილად იწყება და მთავრდება გაკვეთილზე. სკოლაში უცხო ენის სწავლებას კი, უკეთეს შემთხვევაში კვირაში 5 საათი ეთმობა – რაც წელიწადში 180-ოდე საათს შეადგენს.

2. უცხო ენის გარემოს უქონლობა. ინტერნეტის წყალობით უცხოენოვან რესურსებზე წვდომა ბავშვისთვის/მოსწავლისათვის პრობლემას აღარ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ურთიერთობის საშუალებად ის, ბუნებრივია, მაინც თავის დედაენას იყენებს.

შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში, თავად მოსწავლის მიერ უცხო ენის გამოყენება მხოლოდ საგაკვეთილო სივრცით იფარგლება. სხვაგან და სხვა დროს უცხო ენის ხმარების არც საშუალება არსებობს და არც საჭიროება.

3. ინტერფერენცია (interference). უცხო ენის სწავლის დაწყებით საფეხურზე ადგილი აქვს დედაენის და სხვა ცნობილი ენის ცოდნისა და უნარ-ჩვევების მექანიკურ გადატანას შესწავლულ ენაში. ამ ენათა ენობრივი მოვლენების თანხვედნილო-

ბისა ან მათი მაქსიმალური მსგავსების შემთხვევაში გადატანა დადებითია, იგი აიოლებს და აჩქარებს სწავლის პროცესს მაგრამ ამ ენების შესაბამის ენობრივ მოვლენათა მოჩვენებითი თანხვედნილობისა, სინამდვილეში კი არსებითი განსხვავებულობის, ანდა ამ მოვლენის შესასწავლ ენაში სულაც არარსებობის შემთხვევაში, გადატანას, როგორც წესი, მივყავართ შეცდომამდე ან დამახინჯებამდე, რაც აძნელებს და აფერხებს ენის შესწავლას. ასეთ მავნე გადატანას ინტერფერენცია, ანუ ფიგურალურად რომ ვთქვათ, ერთი ენის მეორის „საქმეებში უხეში ჩარევა“ ეწოდება.

დადებით თუ უარყოფით გადატანას, ე.ი ინტერფერენციას ენის ყველა დონეზე და მეტყველების ყველა სახეობაში აქვს ადგილი. ფონეტიკურ ინტერფერენციას, ე.ი. შესაწავლი ენის ბგერების, მახვილის, ინტონაციის მშობლიური ენის ბგერებით, მახვილით, ინტონაციით არაადეკვატურ ჩანაცვლებას აქცენტი ეწოდება, ლექსიკურ-გრამატიკულ ინტერფერენციას კი – ტიპიური შეცდომები.

ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული ინტერფერენციის ფაქტები სპეციალურად არავის შეუსწავლია და ალურიცხავს, ჩვენ კი ეს სურათი, ერთი თვალის შევლებით ასე გვეხატება: ინგლისურ გამოთქმაში ქართული აქცენტის გამოვლინებებია: ინგლისური [æ]-ს ნაცვლად ე-ს, [θ]-ს ნაცვლად ე-სა და ა-ს, [j]-ს ნაცვლად ი-ს; ნუნისმიერი [d]-სა და [t]-ს ნაცვლად დენტალური დ-სა და თ-ს, [ð]-ს ნაცვლად დ-ს ან ზ-ს; [θ]-ს ნაცვლად თ-ს ან ს-ს და [w]-ს ნაცვლად ვ-ს ხმარება, და ინგლისური მჟღერი ბგერების საჭიროზე ნაკლები მჟღერობით, ინგლისური მახვილის საჭიროზე ნაკლები სიძლიერით, ინგლისური ფშვინვიერების საჭიროზე მეტი ფშვინვით, გრძელი ხმოვნების მოკლედ და ყველა კითხვის აღმავალი ტონით წარმოთქმა.

ხოლო ლექსიკურ-გრამატიკული ინტერფერენციის სავარაუდო მაგალითებია: “the director of the school” – “the principal of the school”-ის ნაცვლად; “room flowers” – “pot flowers”- ნაცვლად; “to wash one’s mouth” – “to wash one’s face”-ის ნაცვ-

ლად; “he sits and reads now” – “he is sitting and reading now”-ს ნაცვლად და სიტყვათა თავისუფალი წყობა ინგლისურ წინადადებაში ფიქსირებული წყობის ნაცვლად და სხვა. ენობრივი მოვლენების ერთი ენიდან მეორეში მექანიკური დადებითი თუ უარყოფითი გადატანა ორმხრივი პროცესია და იგი ჯერ დედაენიდან და სხვა ცნობილი ენიდან შესასწავლი ენისაკენ მიემართება, შემდეგ კი, ამ უკანასკნელის დაუფლების კვალდაკვალ, ვექტორს იცვლის, და დედაენისა და სხვა ცნობილი ენისაკენ მოემართება და შესაბამისად ამდიდრებს ან ანაგვიანებს მათ.

ერთი ენის სხვა ენაზე ან ენებზე ასეთი ზემოქმედება ხორციელდება იმ გავლენიან პირთა მეშვეობით, რომლებიც ორ ან მეტ ენაზე ლაპარაკობენ და მაშასადამე, რომელთა დედაენა საგრძნობლად განსხვავდება იმ თანამოძმეთა დედაენისაგან, რომლებიც მხოლოდ დედაენაზე მეტყველებენ.

დღეს ვერავინ იტყვის, მაგალითად, ვინ და როდის თქვა და დაწერა პირველად „ეს მე არ მანყობს“ ქართული გამოთქმის ნაცვლად „ეს მე ხელს არ მაძლევს“. „თავი ხელში აიყვანე“ „თავი შეიკავე“-ს ნაცვლად, მაგრამ ფაქტია, რომ ეს „გარეული კატები“ შინაურებს ენიდან აძევენ.

ენათაშორისი ინტერფერენციის დასაძლევად ე.წ. პირდაპირი მეთოდის მიმდევრები უცხო ენის სწავლების პროცესიდან დედაენის განდევნას გვთავაზობენ, რაც კიდევაც რომ შევძლოთ ადმინისტრაციული ღონისძიებებით და ერთენოვანი სავარჯიშოებისა და თვალსაჩინოების გამოყენებით, მოსწავლეთა თავებიდან მისი განდევნა, უცხო ენის სწავლების დაწყებით საფეხურზე, ყოვლად შეუძლებელია, რამეთუ ყოველგვარი გონებრივი საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა სწავლა, დედაენის აუცილებელი მონაწილეობით მიმდინარეობს, სანამ უცხო ენა საკმაოდ არ ათვისებულა და მაშასადამე, სანამ იგი აზროვნების ახალ იარაღად არ ქცეულა. ზოგჯერ დედაენას ყავარჯენს ადარებენ, რომელსაც ავადმყოფი გამოჯანმრთელების შემდეგ აგდებს. ჩვენ კი დედაენას ვუდარებთ თვითმფრინ-

ნავის შასებს (ბორბლებს) რომლებზეც თვითმფრინავი – უცხო ენა აუცილებლად უნდა გაგორდეს სანამ ზეცაში აიჭრებოდეს და საკუთარ ფრთებზე ე.ი. ამ უცხო ენის უკვე ათვისებულ ცოდნაზე დაეყრდნობოდეს.

ინტერფერენციის თავიდან აცილების ერთადერთი გზა შესაბამის ენობრივ მოვლენათა შეპირისპირებითი ანალიზის შედეგების მიხედვით სათანადო პროფილაქტიკური სავარჯიშოების შედგენა-შეესრულებაა. მაშასადამე, არა ბრძოლა დედაენასთან, არამედ გააზრებული და გეგმაზომიერი თანამშრომლობა მასთან.

ინგლისური და ქართული ენობრივი მოვლენების შეპირისპირებითი ანალიზის ფაქტები თითზე ჩამოსათვლელია, და მათი შედეგებიც იშვიათად თუა გათვალისწინებული სასკოლო სახელმძღვანელოებში. ინტერფერენცია შიგაენობრივიცაა. ენის მსგავს ენობრივ მოვლენათა შორის მცირე განსხვავება ზოგჯერ ნიველირდება, იშლება და ეს ენობრივი მოვლენები ინტერფერირდებიან და სინონიმებად იქცევიან. ასეთებია: *almost* (თითქმის) და *nearly* (კინალამ), *besides* (გარდა – *in addition to*) და *except* (გარდა – *not including*), *common* (საერთო) და *mutual* (ნაცვალებითი)... და ამერიკული ინგლისურის ანმეოს პერფექტი და წარსული განუსაზღვრელი. ქართულის მაგალითია 1. „მადლობის მოხდა“ – „მადლობის გადახდის“ ნაცვლად, 2. „საკითხს სვავს და წყვიტავს“ – „საკითხს სვამს და წყვეტს“ ნაცვლად, 3. „ჩქარა მოდი“ – „მალე მოდი“-ს ნაცვლად. შიგაენობრივი ინტერფერენციის „ნამალია“ მადიფერენცირებული სავარჯიშოები.

4. ინგლისური ენის ისეთი ენობრივი მოვლენების უქონლობა ქართულში, როგორცაა: 1. ასო-ბგერათა შეუსაბამობა, 2. მუნჯი ასოები და ასოთშეხამებები, 3. გრძელი ხმოვნები, 4. მონოფთონგები [æ, ə, ɪ, ɨ, ɒ, w], დიფთონგები [ai, au, ei, iə, ou, oə, uə], ტრიფთონგები [auə, aiə], 5. დიგრაფები au, aw, oo, ou, ow, ch, sh, th, ტრიგრაფები our, ire, tch, 6. ცნება-სიტყვები claim, enjoy... 7. არტიკლი, 8. წინდებულთა მრავალმნიშვნელოვნება

და ადგილმდებარეობა, 9. მოქმედების განგრძობითობა, 10. წინადადების ფიქსირებული წყობა.

5. მოსწავლეს სიძნელეს უქმნის არა მარტო შესასწავლი ენის ის ენობრივი მოვლენები, რომელთაც დედაენაში ბადალი არა მოეპოვება, არამედ დედაენის იმ მოვლენების უქონლობა შესასწავლ ენაში, რომელთა გარეშე ქართველი ვერცერთ ენაზე ვერ იმეტყველებს ნორმალურად, რომელთაც იგი ვერცერთ ენაზე მეტყველებისას ვერ შეეღევა. ასეთებია: გამეტება, გასაღება, განირვა, დამადღება, შეღევა, შემოსარჯვა, მყარი შესიტყვებები; კაუზატიურობა, თურმეობითობა, ნებელობა-უნებლობა.

უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგია როგორც მეცნიერება

სამყაროს შემსწავლელი მეცნიერებები შეიძლება პირობითად ორ ჯგუფად დაიყოს: ერთი ჯგუფი სწავლობს ადამიანს, მეორე კი – მის გარემოს.

პირველი ჯგუფიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, ინფორმატიკა, მოზარდი თაობის სწავლების, განათლების, ბუნებრივი და ფიზიკური განვითარებისა და აღზრდის ზოგადი თეორია, ე.ი. პედაგოგიკა; და ცალკეული საგნების სწავლების და მის საფუძველზე მოზარდი თაობის განათლების, განვითარებისა და აღზრდის კერძო თეორია, ე.ი. მეთოდოლოგია.

ტერმინი 'მეთოდი' (method) და 'მეთოდოლოგია' (methods), როგორც მეთოდთა ერთობლიობა (unity of methods) მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან 'methodos', რომელიც ქართულად ითარგმნება როგორც მეთოდი, ხერხი, გზა და საშუალება. პედაგოგიურ ლიტერატურაში სიტყვა 'მეთოდოლოგია' შემდეგი სამი მნიშვნელობით იხმარება:

1. მეთოდოლოგია, როგორც მეცნიერება რომელიმე საგნის სწავლებისა და ამ საგნის საშუალებით მოსწავლისა თუ სტუდენტის ზოგადი განათლების, განვითარებისა და აღზრდის შესახებ;

2. მეთოდოლოგია, როგორც საშუალო და უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის სასწავლო დისციპლინა; და

3. მეთოდოლოგია, როგორც მოსწავლისა თუ სტუდენტის სწავლების, განათლების, განვითარებისა და აღზრდის მეთოდების, ხერხების, გზებისა და საშუალებების ერთობლიობა.

მეთოდოლოგიის, როგორც მეცნიერების სტატუსს ყველა როდი იზიარებს; ჩვენ კი ვეთანხმებით იმ აზრს, რომ მეთოდოლოგია არის მეცნიერება, რადგანაც: 1. მას აქვს თავისი კვლევის ობიექტი; 2. კვლევის მიზანი და ამოცანები; 3. კვლევის მეთოდები; 4. იგი წარმოადგენს თავისი ობიექტის შესახებ დაგროვილი, საკმა-

რისი ცოდნის სისტემას; და 5. ამ ცოდნის მოძიება-შევისების პროცესი კვლავაც გრძელდება.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მეცნიერება მხოლოდ მაშინ იქცევა მეცნიერებად, როცა იგი თავისი ობიექტის შესახებ საკმაო გამთლიანებულ ცოდნას დააგროვებს.

მაშასადამე, მეცნიერებას აქვს საწყისი, საიდანაც მოყოლებული იგი მუდმივ ცვალებადობა-განვითარებაშია და ამ განვითარებას სანამ კაცობრიობა არსებობს დასასრული არ უწერია, რამეთუ უსასრულოა თვით ჭეშმარიტება, რომლისკენაც მეცნიერება, ადამიანის გონება მიისწრაფვის.

ადამიანი ცოდნას გარე სამყაროს შესახებ იძენდა და აგროვებდა თავისი გაჩენისთანავე და იგი ამ ცოდნას მოზარდ თაობას გადასცემდა ჯერ ყოველდღიური საქმიანობის პროცესში, შემდეგ კი, შრომის დანაწილების დროიდან, ამისათვის სპეციალურად შექმნილ დანესებულებებში, სკოლებში. სკოლის სამშობლოდ ითვლება ძველი ეგვიპტე, ბაბილონი, ჩინეთი და ინდოეთი. ძველ საბერძნეთში სკოლები ჩნდება VII-VIII საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვით, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველი სკოლები იხსნება საქართველოსა და სომხეთში III-IV საუკუნეებში, აზერბაიჯანში კი V საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვით.

მეცნიერული ცოდნის ცალკეული ელემენტების ავტორებად გვევლინებიან შუმერები, ეგვიპტელები, ჩინელები და ინდოელები. ამ ელემენტების ერთ მთლიან სისტემად შეკვრა ე.ი. მეცნიერებად ჩამოყალიბება სრულდება საბერძნეთში, VI საუკუნეში ძვ. წელთაღრიცხვით, ხოლო მეცნიერების სოციალურ ინსტიტუტად გაფორმება ხდება ჩვენი წელთაღრიცხვის XVII საუკუნეში, როდესაც ევროპაში ჩნდება პირველი სამეცნიერო საზოგადოებები და აკადემიები.

XV-XVII ს.ს. დათარიღებული გელათისა და იყალთოს აკადემიები უფრო განათლების ცენტრები ე.ი. სკოლები იყო, ვიდრე სამეცნიერო დანესებულებები.

უცხო ენის სწავლების მეთოდის, როგორც მეცნიერების

კვლევის ობიექტია უცხო ენის სწავლების პროცესი, კერძოდ კი: 1. მასწავლებლის სასწავლებო-სააღმზრდელო საქმიანობა, 2. მოსწავლის სასწავლო საქმიანობა, და 3. სწავლების ორგანიზაცია, რომელშიც შედის სწავლების მიზნები, სწავლების შინაარსი, სწავლების პრინციპები, სწავლების მეთოდები და ხერხები, სწავლების საშუალებები და სწავლების ორგანიზაციული ფორმები.

უცხო ენის მეთოდიკის, როგორც მეცნიერების მიზანია უცხო ენის სწავლების და ამ საგნის მეშვეობით მოსწავლისა თუ სტუდენტის განათლების, განვითარებისა და აღზრდის სრულყოფისათვის სათანადო თეორიული ბაზის შექმნა და ამგვარად, უცხო ენის სწავლების პროცესის ოპტიმიზირება. მის ამოცანებად კი შეიძლება დავასახელოთ უცხო ენის სწავლების ოპტიმალური (ყველაზე რაციონალური) მიზნების, შინაარსის, პრინციპების, მეთოდების, საშუალებებისა და ორგანიზაციული ფორმების დადგენა.

უცხო ენის მეთოდიკის, როგორც მეცნიერების მეთოდები ორ ჯგუფად იყოფა – ძირითად და დამხმარე მეთოდებად.

ძირითადი მეთოდებია:

1. **სამამულო და უცხოური მეთოდიკური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი**, რაც მეტად პრომატევადი პროცესია, მაგრამ იგი მნიშვნელოვანი და აუცილებელია თუნდაც დიდი ხნის აღმოჩენათა ხელახლა „აღმოჩენისა“ და მაშასადამე, დროისა და ენერჯის ფუჭი ფლანგვის თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, ზოგჯერ მცდარ დებულებას შეუძლია ანტონიმურად გვიკარნახოს ქვეშარიტი.

2. **მასწავლებელთა მონინავე გამოცდილების შესწავლა და განზოგადება**, რაც დიდი შენაძენია მეთოდიკისათვის, რამეთუ პედაგოგიური შრომის ოსტატები ხშირად აგნებენ და გვთავაზობენ, სწავლების ეფექტურ ხერხებსა და მეთოდურ გადაწყვეტებს, რაც ღირსია შევიდეს და კიდევაც შედის მეთოდიკის არსენალში. ასეთი მიგნებების მაგალითია მასწავლებლის ორგანიზაციული ხასიათის საუბარი მორიგესთან, მორიგის ასე-

თივე პატაკი, ფონეტიკური და სამეტყველო დაჭურვა (დამუხტვა, მოთელვა – warm up) და ა.შ.

3. მეცნიერულად ფიქსირებადი დაკვირვება, რაც გულისხმობს საინტერესო ფაქტების მიზანმიმართულ შეგროვება-რეგისტრირებასა და მათ კლასიფიცირებულ აღწერას, რის საფუძველზეც დგინდება არსებული კანონზომიერება და მუშავდება ქმედითი რეკომენდაციები.

4. სასინჯი სწავლება, რომელიც სასწავლო პროცესის რომელიმე ფრაგმენტის გასაუმჯობესებლად მკვლევარი მასწავლებლის მიერ საკუთარი ერუდიციისა და გამოცდილების საფუძველზე ან ევრისტიკულად წამოყენებული ე.ი. უცბად აზრადმოსული ჰიპოთეზის მოსინჯვაა.

ბუნებრივია, რომ ჰიპოთეზა შეიძლება არც დადასტურდეს. მაგალითად, ერთმა დისერტანტმა სწორედ პოსტულირებულის საწინააღმდეგო შედეგი მიიღო. კერძოდ კი, ის რომ მასალის აუდიო-ვიზუალური მიწოდება და პირველადი დამუშავება უფრო ეფექტურია, ვიდრე ვიზუალურ-აუდიური და მაშასადამე, მასალის პრეზენტაცია ზეპირ-წერიითი უნდა იყოს და არა წერიითი და შემდეგ ზეპირი.

5. საცდელი სწავლება სასინჯისაგან განსხვავებით, მთელი სასწავლო პროცესის მეცნიერულად დასაბუთებული მოდელის მასიური შემოწმებაა. შედეგები ჯამდება საცდელი კლასების ჩვეულებრივ კლასებთან შედარების საფუძველზე. საცდელ სწავლებას ფართოდ მიმართავენ მასწავლებელთა მომზადება-გადამზადების ცენტრები/კურსები/ტრენინგები, სათანადო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლები. სასურველი შედეგის შემთხვევაში, სწავლების ახალი მოდელი ინერგება ყველა სკოლაში. ასეთ საცდელ გამოცდას გადიან ახალი სახელმძღვანელოები; გამოცდას ატარებენ მონინავე მასწავლებლები.

6. ექსპერიმენტი მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდია; და არა მარტო მეთოდისაში. იგი იგივე მეცნიერულად ფიქსირებადი დაკვირვებაა, მაგრამ არა ბუნებ-

რივად მიმდინარე, არამედ ხელოვნურად „დადგმულ“ პროცესებზე. სწავლების პრაქტიკაში გაარჩევენ ლაბორატორიულ და საკლასო ანუ „ბუნებრივ“ ექსპერიმენტს. ლაბორატორიული ექსპერიმენტი შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური 6-12 კაცის შემადგენლობით, და იგი ტარდება არასაგაკვეთილო დროს. ლაბორატორიული ექსპერიმენტის საშუალებით ნყდება სწავლების ცალკეული კერძო საკითხები, რომლებიც შემდეგ გაკვეთილებზე მოწმდება. ასე რომ, ლაბორატორიული ექსპერიმენტი საკლასო ექსპერიმენტის დამატება და შემავსებელია.

დამხმარე მეთოდებს განეკუთვნება:

1. **ანკეტირება.** ანკეტირება, ისევე როგორც ყველა სხვა დამხმარე მეთოდი ამა თუ იმ ძირითადი მეთოდის დამატებაა, და თუმცა, იგი ასობით და ათასობით რესპონდენტის (მოპასუხის) გამოწვევით, იგი ყოველთვის სუბიექტურია.

2. **ტესტირება.** ანკეტისაგან განსხვავებით, ტესტის სტანდარტულ დავალებებს, იქნება ეს კითხვები თუ შეწყვეტილი წინადადებები, თან ახლავს მათი გადანყვეტის ე.ი. პასუხების თუ დაბოლოებების რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგან უნდა შეირჩეს ერთადერთი სწორი. ტესტირება საშუალებას იძლევა მოკლე დროში მასიურად შემოწმდეს მოსწავლეთა ცოდნა, უნარ-ჩვევები, ნიჭი და სხვა თვისებები. მიზნის მიხედვით ტესტი შეიძლება იყოს დიაგნოსტიკური, პროგნოსტიკური, მაკონსტატირებელი და შერეული. თანამედროვე მეთოდიკურ კვლევებში ყველაზე უფრო გავრცელებულია მაკონსტატირებელი ტესტი, რომელიც ექსპერიმენტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

3. **საუბარი.** საუბარი ცდისპირებსა და ექსპერიმენტატორ მასწავლებლებთან შესაძლებლობას იძლევა გაირკვეს ის წვრილმანი საკითხები, რომელთა თვით კვლევაში ჩართვა არ მოხერხდა, მაგრამ რომლებიც არსებითად ავსებენ კვლევის საერთო სურათს.

4. **ქრონომეტრირება.** ქრონომეტრირება საკვლევი გაკვეთი-

ლის, გაკვეთილის ფრაგმენტის ან გაკვეთილთა სერიის მაგნიტოფირზე/აუდიოტრეკზე ფიქსირებაა მათი შემდგომი რაოდენობრივ-თვისობრივი მაჩვენებლების ქრონომეტრული ანალიზის ე.ი. ამა თუ იმ პროცესზე დახარჯული დროის გაზომვის და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

5. ოსცილოგრაფირება. ოსცილოგრაფირება გამოიყენება გამოთქმის, მელოდიკის, რიტმიკის შესასწავლად. ოსცილოგრაფის ეკრანი უჩვენებს ბგერის წარმოთქმის დინამიკას, ტონის აღმავალ-დამავლობას, რიტმული ჯგუფების დაყოფის რეგულარობას.

ყველა ჩამოთვლილი მეთოდის მუდმივი მოქმედება აუცილებელი წინაპირობაა მეთოდიკის, როგორც მეცნიერების სრულყოფისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. ასე რომ, მასწავლებლის შემოქმედებითი მოღვაწეობა გულისხმობს არა მარტო არსებული მეთოდიკური არსენალის თუნდაც ოსტატურად გამოყენებას, არამედ დამოუკიდებელ კვლევა-ძიებასაც.

რაც შეეხება უცხო ენის სწავლების მეთოდიკას, როგორც ამ საგნის სწავლების პროცესის შესახებ ცოდნის სისტემას, ის როგორც ვხედავთ, მთელი წიგნია, რომლის ქმედითობაში დაეჭვების საბაზს ამ მეთოდიკით სკოლაში მიღწეული შედეგები არ იძლევა.

უცხო ენის სწავლების ზოგადი და კერძო მეთოდოლოგიები

თუმცა მეთოდოლოგია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა, მას უკვე განუვითარდა ისეთი განშტოებები როგორცაა – ისტორიული მეთოდოლოგია, ექსპერიმენტალური მეთოდოლოგია, შედარებითი მეთოდოლოგია, ტექნიკური საშუალებების გამოყენების მეთოდოლოგია და ა.შ., რომელთაც დიდი წვლილი შეაქვთ მეთოდოლოგიური აზროვნების განვითარებაში. ჩვენთვის, სწავლების პროცესისათვის კი განსაკუთრებით ღირებული და ყურადსაღებია უცხო ენის სწავლების ზოგადი და კერძო მეთოდოლოგიების გამიჯვნა-განცალკევება.

უცხო ენის სწავლების ზოგადი მეთოდოლოგია სწავლობს იმ საერთო კანონზომიერებებსა და თავისებურებებს, რომლებიც ნებისმიერი უცხო ენის სწავლების პროცესს ახასიათებს. ასეთებია, მაგალითად, სწავლების პრინციპები, მეთოდები, საშუალებები, ორგანიზაციული ფორმები, ენობრივი და სამეტყველო სავარჯიშოების შეხამების, ინტერფერენციის, მეტყველების სახეთა თანამოქმედების საკითხები, შეფასების ობიექტები და კრიტერიუმები უცხო ენაში და სხვა.

მაგრამ მარტო ზოგად კანონზომიერებათა ცოდნა არ არის საკმარისი ცალკეულ ენათა ისეთი სპეციფიკური ენობრივი მოვლენების სწავლებისათვის, როგორცაა მაგალითად, კითხვის წესები, დიფთონგები, ტრიფთონგები, განგრძობითი დროები და მომავალი-ნარსულში ინგლისურში; გერმანული სიტყვათწარმოების და ფორმათწარმოების რთული მოდელები; ფრანგულის ცხვირისმიერი ხმოვნები, წინდებულების პოლისემანტიურობა და ა.შ.

სასწავლო პროცესის კანონზომიერებებს არკვევს და სათანადო რეკომენდაციებს გვთავაზობს კერძო მეთოდოლოგია, ოღონდ ერთ რომელიმე კონკრეტულ ენასთან მიმართებაში, ერთი რომელიმე კონკრეტული ენის ეფექტური სწავლებისათვის. სახელდობრ, უცხო ენის სწავლების კერძო მეთოდოლოგია, სწა-

ვლების პროცესს წარმართავს ამ ენის ფონეტიკურ, ლექსიკურ, გრამატიკულ და ამ ენაზე მეტყველების თავისებურებათა ხაზგასმული აქცენტირებით, მშობლიური და სხვა ცნობილი ენის თავისებურებათა ფონზე.

ჩვენ შემთხვევაში, ეს კერძო მეთოდикаა ინგლისური ენის სწავლების მეთოდика ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგია როგორც სასწავლო დისციპლინა

უცხო ენის მეთოდოლოგიის, როგორც მეცნიერების მონაპოვრები სავალდებულო სასწავლო საგანს წარმოადგენს მომავალი პედაგოგისათვის.

როგორც ითქვა, უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგია ორი განუყოფელი ნაწილისაგან შედგება, ესენია: 1. უცხო ენის სწავლების ზოგადი მეთოდოლოგია, რომელიც სასწავლო პროცესის ერთგვარ სტრატეგიას წარმოადგენს; და 2. მისგან გამომდინარე, მას დაქვემდებარებული და მისი შემავსებელი კერძო მეთოდოლოგია თავისი ტაქტიკური ხასიათის მეთოდოლოგიური არსენალით.

უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიის, როგორც სასწავლო დისციპლინის მიზანია უცხო ენის, ჩვენ შემთხვევაში ინგლისური ენის, მაღალკვალიფიციური მასწავლებლის მომზადება ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის.

ხოლო ამ მიზნის რეალიზაციისათვის საჭიროა მეთოდოლოგამ გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. გააცნოს მომავალ პედაგოგს, ქვეყანასა და საზღვარგარეთ არსებული სწავლების უმნიშვნელოვანესი თანამედროვე მეთოდები, ხერხები, საშუალებები და ორგანიზაციული ფორმები;

2. შეუქმნას მას მტკიცე თეორიული ბაზა და განუფითაროს მას პროფესიული აზროვნება მომავალი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის;

3. გამოუმუშაოს სტუდენტს არსებული მეთოდოლოგიური არსენალის შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევები, სემინარული, პრაქტიკული მეცადინეობებისა და პედაგოგიის მეშვეობით;

4. მიაჩვიოს მომავალი მასწავლებელი სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ლიტერატურის კითხვას და წაკითხულის კრიტიკულ გააზრებას.

ამგვარად, უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგია წამყვანი

ადგილი უკავია უცხო ენის მასწავლებლის მომზადების საქმეში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უცხო ენის შესწავლა ყოველგვარი დანერგილი მეთოდისა და მასწავლებლის გარეშე ე.ი. დამოუკიდებლადაც შეიძლება და თანაც არაენობრივ გარემოში, მაგრამ ეს მეტისმეტად ძნელი და ხანგრძლივი პროცესია და იგი იშვიათად თუ ვინმეს ხელენიფება. ყოველ შემთხვევაში, ენის დაუფლება გაცილებით უფრო ადვილი, მოკლევადიანი და ნაყოფიერია მეთოდოლოგიური თეორიით აღჭურვილი მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

მოკლედ, ენის სწავლების მეთოდოლოგიის დანიშნულებაა ჩაახედოს და გააშინაუროს მოსწავლე თუ სტუდენტი ენის „დეპოსა და სამზარეულოში“, რათა ხელი შეუწყოს მისი ლინგვისტური აზროვნების განვითარებას და ენის შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევების ფორმირებას.

დეპო, როგორც ვიცით, მატარებლის სადგომია, საიდანაც ისინი რეისებზე გაჰყავთ ხოლმე.


ენის „დეპო“ სიტყვების, მყარი შესიტყვებებისა და გრამატიკული მოდელების სანყობია, „სამზარეულო“ კი – ახალი სიტყვების, თავისუფალი შესიტყვებებისა და წინადადებების „სამჭედლო“.

მეთოდის კავშირი სხვა მეცნიერებებთან

იზოლირებული მეცნიერებები არ არსებობენ, რამეთუ ერთიანი თვით სამყარო, რომელსაც ეს მეცნიერებები სხვადასხვა კუთხით სწავლობენ. საკვლევო ობიექტის რომელობის მიხედვით მეცნიერებები შეიძლება პირობითად ორ ჯგუფად დაიყოს. ერთია იმ მეცნიერებათა ჯგუფი, რომლებიც სწავლობენ ადამიანს სხვადასხვა რაკურსით, პირველ ყოვლისა კი, როგორც მოაზროვნე და მოლაპარაკე სოციალურ არსებას, და მეორე ჯგუფს კი განეკუთვებიან ყველა დანარჩენი მეცნიერებები, რომლებიც ადამიანის გარე სამყაროს იკვლევენ.

მეთოდის პირველი ჯგუფის მეცნიერება და იგი მჭიდრო ურთიერთობაშია ამ ჯგუფის სხვა მეცნიერებებთან, განსაკუთრებით კი ისეთ მისთვის საბაზო მეცნიერებებთან, როგორცაა ლინგვისტიკა, ინფორმატიკა, ფსიქოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა და პედაგოგია. ლინგვისტიკასა და ენის სწავლების მეთოდის ერთი ზიარი ობიექტი აქვთ, ესაა ენა. განსხვავებულია მხოლოდ მათი დამოკიდებულება ამ ობიექტისადმი. ლინგვისტიკისათვის ენა კვლევის ობიექტია, მეთოდისათვის კი – სწავლების ობიექტი.

ლინგვისტიკა ენას წარმოადგენს, როგორც ენობრივ ერთეულთა იერარქიულ სისტემას –



და იძლევა ამ ერთეულთა ფორმალურ, სემანტიკურ და ფუნქციონალურ დახასიათებას, რასაც მეთოდის ამ ერთეულთა სწავლებისათვის იყენებს.

მსგავს დამოკიდებულებაშია მეთოდის ინფორმატიკასთან. ინფორმატიკა ინფორმაციას შეისწავლის, მეთოდის კი


ასწავლის ენას, როგორც ინფორმაციის მატარებელ კოდურ სისტემას, და ენაზე მეტყველებას, როგორც ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის პროცესს და ამ პროცესის პროდუქტს.

ადამიანი ფსიქიკის, ცნობიერების მქონე არსებაა, და მისი სამყაროსთან კავშირ-ურთიერთობის გზა და მათ შორის სხვა ადამიანებთან, მის ფსიქიკაზე, მის ცნობიერებაზე გადის.

მოზარდი თაობის „მოღვაწეობა“, მათი საქმიანობა და ქცევა თითქმის მთლიანადაა დაკავშირებული მათი სწავლა-განათლებისა და აღზრდის პროცესთან, ამ პროცესის ფარგლებში მიმდინარეობს, ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია.

ასე რომ, ნებისმიერი საგნის სწავლების მეთოდიკა და მასწავლებელი ანგარიშს უწევს და ეყრდნობა მოზარდისათვის დამახასიათებელ ისეთ ფსიქოლოგიურ მონაცემებს, როგორიცაა: მოსწავლეთა ფსიქოლოგიური ტიპოლოგია, ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესი, მოტივაცია, განწყობა, ყურადღება, ნებისყოფა, შეგრძნებები, აღქმა, მეხსიერება და აზროვნების განვითარების დონე.

გარდა ამისა, უცხო ენის სწავლების მეთოდიკისათვის შეიძლება ითქვას, ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიისა და მისი ლინგვისტიკასთან ნაჯვარი ფსიქოლინგვისტი-



შატავარი: ზ. ვარდიშვილი

კის მიერ, ერთის მხრივ, ზეპირი და წერიტი მეტყველების, მეორეს მხრივ, კი – გარეგანი და შინაგანი მეტყველების გამიჯვნას.

ზეპირმეტყველება ხორციელდება ბგერითი ანუ სმენითი არხით, რომლის თავში, გადამცემ პუნქტში მთქმელია, მოლაპარაკება, ბოლოში, მიმღებ პუნქტში კი – მსმენელი; მაშინ როდესაც წერიტმეტყველება მიმდინარეობს, ხორციელდება გრაფიკული, მხედველობითი არხით, რომლის თავში, გადამცემ პუნქტში დამწერია, ბოლოში, მიმღებ პუნქტში კი – მკითხველი. ზეპირმეტყველება, განსაკუთრებით დიალოგური ზეპირმეტყველება ადამიანთა შორის უშუალო, პირისპირი ურთიერთობის ძირითადი საშუალებაა, წერიტმეტყველება კი – ინფორმაციის, ცოდნის ფიქსირების, შენახვის, დროსა და სივრცეში შეუზღუდავად გადაცემის, ე.ი. დისტანციური ურთიერთობის ძირითადი საშუალება.

საკუთრივ წერიტი მეტყველება ავტორის პრეროგატივაა, რომლის აღზრდასაც სკოლა ვერ ივალდებულებს, და ამდენად, წერიტმეტყველება პროგრამაში არც ფიგურირებს, სკოლა მოსწავლეს მხოლოდ წერის ტექნიკას ასწავლის. რაც შეეხება შინაგან მეტყველებას, იგი ადამიანის ცნობიერებაში მიმდინარე და მაშასადამე, უადრესატო მეტყველებაა, რომელიც (რე)პროდუქტული მეტყველების, ე.ი. ზეპირი და წერიტი მეტყველების მოსამზადებელ ფაზას და რეცეპტული მეტყველების, ე.ი. აუდირებისა და კითხვის დამაგვირგვინებელ ეტაპს წარმოადგენს.

შინაგანი მეტყველების ფუნქციონირებისათვის, ცხადია, აუცილებელია ცნობიერებაში, გრძელვადიან მეხსიერებაში ინახებოდეს, დამახსოვრებული იყოს, საჭირო ფონეტიკურ-ორთოგრაფიულ-ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებათა ცოდნა და მათი ავტომატიზებული, ე.ი. ჩვევის დონეზე ხმარების მექანიზმები. ხოლო ენობრივ საშუალებათა ცნობიერებაში, გრძელვადიან მეხსიერებაში, ენის ამ დეპოში, ამ „საწყობში“ ენობრივ საშუალებათა ჩანყოფისათვის, ჩაბეჭდვისათვის საჭიროა სათანადო, მეტწილად ზეპირი, საინტერესო, მიმზიდველი,

მოსწავლეთა თავისებურებებსა, მათ გარემოსა და რეალურ სიტუაციებთან მისადაგებელი სავარჯიშოების მრავალჯერადი, არამექანიკური, გრძნობებსა და გონებაში გატარებული შესრულება.

მეთოდის კავშირი პედაგოგიკასთან კვალიფიცირდება, როგორც ნაწილის კავშირი მთელთან. „პედაგოგი“ ძველ საბერძნეთში ბავშვის სკოლაში დამტარებელ მონას ეწოდებოდა. ეს მნიშვნელობა „პედაგოგსა“ და მისგან ნაწარმოებ „პედაგოგიკას“ დღემდე შემორჩა, ოღონდ ახლა ამ ტერმინებში ბავშვის სკოლაში ფიზიკური ტარება კი არა, არამედ მისი სწავლა-განათლების ვინრო ბილიკებზე მეგზურობა იგულისხმება. პედაგოგიკა კრებითი მეცნიერებაა, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: 1. ზოგადი პედაგოგიკა, 2. დიდაქტიკა და 3. აღზრდის თეორია.

ზოგადი პედაგოგიკა, როგორც ამას თვით ტერმინი ცხადყოფს, სწავლა-განათლებისა და აღზრდის ზოგად დებულებათა კრებულია. რაც შეეხება დიდაქტიკას, იგი ამ ზოგადი დებულებების „დახურდავებას“, სწავლა-განათლების სპეციალიზირებულ თეორიას წარმოადგენს.

ზოგადდიდაქტიკური პრინციპები ნებისმიერი საგნის სწავლების სავალდებულო სახელმძღვანელო პროგრამაა. იგივე ფუნქცია აკისრია მეთოდის, ოღონდ ერთ რომელიმე საგანთან მიმართებაში. ფაქტიურად მეთოდის ერთი რომელიმე კონკრეტული საგნის, ან იდენტურ საგანთა ჯგუფის სწავლების კერძო დიდაქტიკაა, რომელიც აღზრდის თეორიასაც ითავსებს.

უცხო ენის სწავლების მიზნები

საზოგადოების სოციალური დაკვეთის შესაბამისად განათლების სისტემა მონოდებულია ქვეყანას აღუზარდოს არა მარტო თანამედროვე სპეციალური ცოდნითა და სათანადო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, არამედ ამასთანავე შემოქმედებითად მოაზროვნე, ფართო ზოგადი განათლებისა და ერუდიციის, მაღალი კულტურისა და ზნეობის, პატრიოტული სულისკვეთების, შრომისმოყვარე და კაცთმოყვარე პროფესიონალი.

ყველაფერ ამას კი საფუძველი სკოლაში ეყრება.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, სპეციალისტს, პროფესიონალს ზრდის საშუალო სპეციალური და ყველა უმაღლესი სასწავლებელი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა კი მხოლოდ „პროფესიულისწინა“ განათლებას იძლევა, ე.ი. იგი მხოლოდ ბაზას ქმნის სწავლის გაგრძელებისა და პროფესიის დაუფლებისათვის საშუალო, პროფესიულ (სპეციალურ) თუ უმაღლეს სასწავლებელში. მაშასადამე, უცხო ენის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საგნის სწავლებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შემდეგი სამი მიზანი აქვს: 1. პრაქტიკული (practical or special educational), 2. ზოგადსაგანმანათლებლო (general educational) და 3. სააღმზრდელო (cultural educational), რომელთაგან მთავარია პირველი, ე.ი. პრაქტიკული მიზანი, დანარჩენი ორი, ე.ი. ზოგადსაგანმანათლებლო და სააღმზრდელო კი – თანამდევნი; და მათი რეალიზება ხდება მთავარის – პრაქტიკული მიზნის განხორციელების პროცესში.

სწავლების პრაქტიკული მიზანი საგნის პრაქტიკული გამოყენების მიზნით სწავლებას გულისხმობს, რაც ჩვენ შემთხვევაში უცხო ენის ურთიერთობის, კომუნიკაციის საშუალებად გამოყენების მიზნით სწავლებას ნიშნავს.

ვერბალური ანუ სიტყვიერი ურთიერთობა ან ზეპირად, ე.ი. სმენითი არხით ხორციელდება, ან წერილობით, ე.ი. მხედველობითი არხით. სმენითი არხის თავში, ზეპირი ინფორმაციის ამ გადამცემ პუნქტში მთქმელია, მოლაპარაკე (speaker), რომე-

ლიც ადგენს და წარმოთქვამს აუდიო ტექსტს, არხის ბოლოში, ზეპირი ინფორმაციის მიმღებ პუნქტში კი – აუდიტორი, მსმენელი (listener), რომელიც ისმენს, აღიქვამს და იგებს აუდიო ტექსტს.

შესაბამისად, მხედველობითი არხის თავში, გრაფიკული ინფორმაციის გადამცემ პუნქტში დამწერია (writer), რომელიც ადგენს და ქალაქდზე აფიქსირებს გრაფიკულ ტექსტს, არხის ბოლოში, გრაფიკული ინფორმაციის მიმღებ პუნქტში კი – მკითხველი (reader), რომელიც კითხულობს, აღიქვამს და იგებს გრაფიკულ ტექსტს.

როგორც ვხედავთ, ვერბალური ურთიერთობა, სამეტყველო მოქმედიანობა ან ზეპირად მიმდინარეობს, ანდა წერილობით; შესაბამისად, ვერბალური ურთიერთობის მონაწილე ხან მთქმელისა ან დამწერის როლში გვევლინება, ხან კი – მსმენელის ან მკითხველის. მაშასადამე, უცხო ენის სწავლება ნიშნავს ამ ენაზე ლაპარაკის (speaking), წერის (writing), აუდირების (auding, listening comprehension) და კითხვის (reading) სწავლებას, პროგრამით გათვალისწინებული თემატიკა-სიტუაციებისა და ენობრივი მასალის ფარგლებში.

შინაარსობრივად მთავარი, ე.ი. პრაქტიკული მიზანი გულისხმობს ჯერ მოსწავლეთა ენობრივი, ე.ი. ფონეტიკური, ორთოგრაფიული, ლექსიკური და გრამატიკული მასალის ცოდნით და ამ ცოდნის ავტომატიზებული გამოყენების ჩვევებით აღჭურვას; შემდეგ კი, ამ ცოდნა-ჩვევების საფუძველზე მათ სამეტყველო, ე.ი. ლაპარაკის, წერის, აუდირებისა და კითხვის უნარ-ჩვევების ფორმირებას.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (1987, ტომი 11) ცოდნა განმარტებულია როგორც „საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკით შემონმებული და ლოგიკურად დადასტურებული სინამდვილის ქემშარიტი, ადეკვატური ასახვა ადამიანის ცნობიერებაში წარმოდგენების, ცნებების, მსჯელობებისა და თეორიების სახით“.

ჩვენეული ინტერპრეტაციით, ცოდნა არის მეცნიერული

კვლევისა თუ ცხოვრებისეული დაკვირვების საფუძველზე მოპოვებული და სწავლის შედეგად შექმნილი ინფორმაცია ობიექტური სინამდვილის შესახებ.

იმავე (ქსე) ენციკლოპედიის მიხედვით, ჩვევა არის „*ვარჯიშის შედეგად გამომუშავებული მეტ-ნაკლებად ავტომატიზებული მოქმედება, რომლის შემადგენელი მოძრაობები ცნობიერების მონანიღეობის გარეშე სრულდება*“.

მაგალითად, აზრის წერილობითი გადმოცემის შეგნებულ პროცესში ქცევა, ჩვევა ანტიპოდია ისეთი თანდაყოლილი ქცევებისა, როგორცაა ინსტინქტები და უპირობო რეფლექსები. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვევა არის ვარჯიშის შედეგად ავტომატიზებული ან თანდაყოლილი მექანიკური ქცევა. პირველის მაგალითებია: სიარული, ლაპარაკი, წერა, კითხვა და ა.შ.; მეორისა კი – სუნთქვა, ძილი, ჭამა და ა.შ..

რაც შეეხება უნარს, მის შესახებ ქსე (1986, ტომი 10) ვკითხულობთ, რომ იგი არის „*პიროვნების ინდივიდუალური თავისებურება, რომელიც წარმოადგენს გარკვეული სახით მოქმედების წარმატებით განხორციელების სუბიექტურ პირობას*“.


მაშასადამე, უნარი არის ცოდნა-ჩვევებზე დაფუძნებული გააზრებული ცნობიერებით მართული ქცევის განხორციელების შეძლება.

ამ ცნებების რაობისა და მათი ურთიერთკავშირის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ველოსიპედის ტარების მაგალითი. ყველამ იცის, რომ ველოსიპედის ტარებისათვის აუცილებელია მასზე წონასწორობის დაცვა, საჭის სწორად დაჭერა და პედალებზე რიგ-რიგობით ფეხის დაჭერა. მაგრამ ეს „თეორიული“ ცოდნა ველოსიპედს ვერ წაგვაყვანინებს, საჭიროა ამ ცოდნის ავტომატიზებული გამოყენების ჩვევების ფორმირება სათანადო ვარჯიშის საშუალებით.

თუმცა, არც ეს ცოდნა და ამ ცოდნის რეალიზების ჩვევებია საკმარისი ველოსიპედის მართვისათვის. ველოსიპედის მართვის უნარის ფორმირებას ამ ცოდნა-ჩვევების გარდა სპეციალური ვარჯიში ჭირდება საკუთრივ მართვაში; რათა ველოსიპე-

დისტს შესწევდეს უნარი არავის და არაფერს დაეჯახოს, თავისუფლად შედიოდეს მოსახვევში, არეგულირებდეს სიჩქარეს და დროზე ამუხრუჭებდეს ველოსიპედს საჭიროების შემთხვევაში.

ცოდნის, ჩვევებისა და უნარ-ჩვევების კავშირ-ურთიერთობები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი ი. ანიჩკოვისა და ვ. სააკიანცის სახელმძღვანელოში "Methods of Teaching English in Secondary Schools" (1966, გვ. 30).



აქაც, ჩვენი ვარიანტია: ცოდნა→ჩვევა→უნარი ანუ ჩვევა შობილი ცოდნისაგან არის მშობელი უნარისა; ეს უკანასკნელი კი აღრმავებს და ამყარებს ცოდნას.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში აქცენტი კეთდება ზეპირმეტყველებასა, განსაკუთრებით – დიალოგურ ზეპირმეტყველებასა და კითხვაზე.

საქმე ისაა, რომ ვერბალური ურთიერთობა ძირითადად დი-
ალოგის სახით მიმდინარეობს, რომელშიც უცვილობელ კომპო-
ნენტებად შედიან აუდირება და მიკრომონოლოგები.

რაც შეეხება წერას, წერით მეტყველებას, იგი ავტორის პრე-
როგატივაა, რომელსაც სკოლა უშუალოდ არ ამზადებს. ჩვეუ-
ლებრივი ადამიანის ცხოვრებაში კი წერას მეტად მოკრძალე-
ბული ადგილი უკავია და იგი არ სცილდება მარტივი (საფო-
სტო) მიმოწერის ჩარჩოებს.

ამრიგად, წერითი მეტყველება აქ ფიგურირებს არა რო-
გორც მიზანი, არამედ როგორც ენობრივი მასალის ათვისების,
სამეტყველო უნარ-ჩვევების ფორმირება-განვითარების, ცოდ-
ნისა და უნარ-ჩვევების გაკონტროლების საშუალება.

ზოგადი განათლება ესაა ენციკლოპედიური ხასიათის
ცოდნა მეცნიერების მეტ-ნაკლებად ყველა დარგიდან და ცხო-
ვრების სხვადასხვა სფეროდან, რომელიც აფართოებს ადა-
მიანის ფაქტობრივ თვალსაწიერს, ამრავალგვარებს მის მი-
დგომას გადასაჭრელი საკითხებისადმი და ხელს უწყობს მისი
აზროვნების მრავალმხრივ განვითარებას.

ასე რომ, ყველა საგანთან ერთად, თავისი საგრძნობი
წვლილი ამ საქმეში უნდა შეიტანოს უცხო ენამაც.

შესასწავლი ენის სახელმძღვანელოსა და საშინაო კითხვის
ტექსტების მეშვეობით მოსწავლე ეცნობა ამ ენის მატარებელი
ხალხის ისტორიასა და დღევანდებობას – მის ადათ-წესებს,
ტრადიციებს, ფოლკლორს, მის თანამედროვე ყოფა-ცხოვრე-
ბას, შემოქმედებას, მსოფლმხედველობას, რაც არა მარტო
ამდიდრებს მისი სამხარეთმცოდნეო განათლების საგანძურს,
არამედ „დაატარებს“ რა მას ამ მისთვის აქამდე უცნობ ფიზი-
კურ გარემოსა და სულიერ სამყაროში, აცხოველებს მის ინტე-
რესს საგნისადმი და აძლიერებს მის მოტივაციას – რაც შეი-
ძლება, საფუძვლიანად დაეუფლოს მას.

ზოგადი განათლება არა მარტო ცოდნის მასშტაბურობისა
და აზროვნების მრავალმხრივი განვითარების საწინდარია,
არამედ იგი მტკიცე ასოციაციურ საყრდენებს უქმნის სპეცი-

აღურ განათლებასაც. შეუძლებელია ენის იდიომატური გამოთქმების, ენის ამ ხატოვანი ჩუქურთმების სრულყოფილი გაშიფვრა-გაცნობიერება მათი მეტალინგვისტური საფენელის, მათი მეტალინგვისტური ფონის ცოდნის გარეშე, მათი შემქმნელი ხალხის ისტორიის ცოდნის გარეშე.

დღევანდელი საშუალო განათლების მქონე ადამიანი კერძო თუ ოფიციალურ საუბრებსა, მასმედიასა და მხატვრულ ლიტერატურაში თანამედროვე თუ ისტორიული რეალიების ამსახველ უამრავ ცნება-სიტყვასა და შესიტყვებას ხვდება, რომელთა უცოდინარობა მას გაუგებრობასა და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა.

მაგალითად, ვინც ინგლისურ-ამერიკულ პარლამენტს არ იცნობს, ის ვერ მიხვდება რომ ცნობილი სიტყვებისაგან შემდგარი შესიტყვება “shadow minister” – ოპოზიციის მინისტრს ნიშნავს, რადგანაც იგი მართლაც აჩრდილივით თან სდევს და დებატებში მუდამ კრიჭაში უდგას მთავრობის, ე.ი. პოზიციის სენია მინისტრს.

ასევე ისტორიის, მითოლოგიის და მიმდინარე მოვლენების ცოდნა უნდა ისეთი გამოთქმების გაგებას და საკუთარ აქტიურ მეტყველებაში ხმარებას, როგორცაა: Achilles' heel (აქილევსის ქუსლი) – ადამიანის ხასიათის სუსტი მხარე, Trojan Horse (ტროას ცხენი) – მტრის მიერ შემოგდებული სატყუარა, to find one's Waterloo – გამანადგურებელი მარცხის ნვნევა, imagemaker (იმიჯმეიკერი) – პირი, რომელიც მას-მედიისა და სხვა საშუალებებით ქმნის კომპანიის, პროდუქციის, პოლიტ. მოღვაწის და ა.შ. მიმართ კეთილგანწყობას, market economy (საბაზრო ეკონომიკა), shadow economy (ჩრდილოვანი ეკონომიკა), money-laundering – შავი ფულის გათეთრება და ა.შ.

გარდა ამისა, უცხო ენაში მეცადინეობა ხელს უწყობს მოსწავლის გარკვეულწილად უკვე ჩამოყალიბებული ანალიზის, სინთეზის, შედარება-შეპირისპირების ოპერაციების სრულყოფას, და მაშასადამე, მისი ლოგიკური აზროვნების განვითარებას. სხვა ენის სწავლისას მოსწავლე პირველად უფიქრდება

სერიოზულად ენისა და მეტყველების ინვენტარსა და მექანიზმებს. პირველად აცნობიერებს, რომ არსებობს აზრის გადმოცემის დედაენისაგან განსხვავებული საშუალებები, სხვანაირი კავშირები ფორმასა და შინაარსს შორის, რაც ავითარებს მის ლინგვისტურ აზროვნებას; და ბოლოს, უცხო ენის შედარების ამ ეტალონის პრიზმიდან, მოსწავლე უკეთ ხედავს თავის მშობლიურ ენას, მას უჩნდება მასალა გაცნობიერებული და უნებლიე შედარება-შეპირისპირებისათვის. პრაქტიკული ვარჯიშისა და განსაკუთრებით თარგმნის დროს, მოსწავლეს უხდება დედაენის გამომსახველობითი საშუალებების ძებნა-გადარჩევა უცხო ტექსტის შინაარსისა და დედაარსის ადეკვატური გადმოტანისათვის, რაც უფრო მოქნილსა და გაააზრებულს ხდის მშობლიური ენის ხმარებას.

ამ თვალსაზრისით, აქ უპრიანია აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დ. გულიას ციტირება, რომელიც ამბობს, რომ რუსთაველის აფხაზურად თარგმნის წყალობით მან უკეთ და უფრო ღრმად შეისწავლა თავისი მშობლიური აფხაზური.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ სამართლიანობისა და ქვეყნის შიდა სტაბილურობის გარანტი, მატერიალურ კეთილდღეობასთან ერთად, მომავალი საზოგადოების სათანადო აღზრდაცაა. რაგინდ ბრწყინვალე სპეციალისტი და ერუდირებული, ე.ი. ფართო ზოგადი განათლების მქონე არ უნდა იყოს ადამიანი, იგი ვერ გახდება საზოგადოების ღირსეული წევრი, თუ მას სათანადო აღზრდა აკლია. ტყუილად როდი უთქვამს ქართველს – ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობაო.

მაშასადამე, ჩვენი განათლების სისტემის უპირველესი მოვალეობა მოზარდი თაობის სპეციალურ და ზოგად განათლებასთან ერთად, მათში თანასწორუფლებიანი, მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ფორმირებაა.

ადრე, როცა უბრალო ხალხისათვის სკოლის კარები დაკეტილი იყო, ხალხის მასების აღზრდა მთლიანად ტრადიციული ოჯახებისა და ეკლესიების პრეროგატივას წარმოადგენდა; ეს

სისტემა სინდის-ნამუსსა და უფროს-უმცროსობაზე იყო დაფუძნებული, სადაც გარკვეულ როლს ოდითგანვე დამკვიდრებული „ნკებლაც“ თამაშობდა. აკი რუსთაველიც ბრძანებდა – „შიში შეიქმს სიყვარულსა“-ო.

ნიშანდობლივია, რომ ამავე აზრის გახლდათ ინგლისელიც, როცა მოძღვრავდა – Spare the rod and spoil the child.

შემდგომში, ეკლესიის გაუქმებამ, სავალდებულო სწავლების შემოღებამ და კომუნისტური იდეოლოგიის გაბატონებამ არა თუ მხოლოდ გააუფერულა წერა-კითხვის უცოდინარი მშობლების ავტორიტეტი, არამედ ერთხანს სერიოზულად დაუპირისპირა ახალი თაობა „დრომოჭმულ“ ძველს.

საზოგადოება კვლავ „გამთლიანდა და წესრიგი დამყარდა“, როცა სკოლამ მთელი საზოგადოება თავის „ადიდაში“ გაატარა და კომუნისტური იდეალებითაც გაჟღინთა.

და აი, კომუნიზმის ნგრევის კვალდაკვალ ისევ დადგა ძველისა და ახლის ჭიდილის პერიოდი. ეკლესია აღდგა და წმინდანთა შეგონებებითა და ჯოჯოხეთის მუქარით ცდილობს საზოგადოების წესრიგში მოყვანას. მაგრამ, სულ სხვას ღაღადებს საბაზრო ეკონომიკა და დემოკრატიული ღირებულებები. თავგზააბნეული განათლების სამინისტრო კი, ფაქტიურად მოსწავლეს ანდობს გაარკვიოს – თიხა ურჩევნია წინაპრად თუ მაიმუნი.

და მაინც, როგორი უნდა იყოს ხვალინდელი მსოფლიოს მოქალაქე? მსოფლიო, რადგანაც პლანეტაზე იზოლირებული ქვეყნები აღარ რჩება და კურსი აღებულია საყოველთაო ინტეგრაციასა და გლობალიზაციაზე.

პირველ ყოვლისა, მომავლის პიროვნება უნდა იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი, რომელმაც იცის, რომ მისი უფლებები თავდება იქ, სადაც სხვისი კანონიერი უფლებები იწყება; იგი უნდა იყოს თავისი მონაცემებისდა მიხედვით განსწავლული, შრომისმოყვარე და კაცთმოყვარე, ტოლერანტული და შემწყნარებელი, ამავე დროს საკუთარი კულტურისა და ტრადიციების ქომაგი, თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი და სამართლიანობის აქტიური დამცველი.

ამ ღირსებათა მატარებელი „გმირების“ მთელი გალერეაა უცხოენოვან ტექსტებში და ამ ტექსტების გავლისას, აუცილებელია აგრეთვე გავახშიანოთ ანალოგიური პასაჟები მშობლიური ლიტერატურიდან. მაგალითად, კლასობრივი უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ ინგლისელ რობინ ჰუდზე საუბრისას უპრიანია მოვიხმოთ და მას შევუდაროთ ქართველი არსენა ოძელაშვილი და დათა თუთაშხია.

აუდიტორიაში ენის სწავლა დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული. უცხო ენაში მეცადინეობა შეუძლებელია ლექსიკონებისა და სხვა ცნობარების გამოყენების გარეშე, დამოუკიდებელი შეუპოვარი მუშაობის გარეშე, რაც მოსწავლეს აჩვენებს შრომას, გულდასმულობას, დაჟინებულობას, დაბრკოლებების გადალახვას და უვითარებს ცოდნის დამოუკიდებლად მოძიების უნარს.


უცხო ენის ტექსტებზე მუშაობა მას უვითარებს ყურადღების კონცენტრირებას, რაც ასე საჭიროა ნებისმიერ ენაზე კითხვისათვის. უცხო ენის ტექსტის მასალა ხვენს მოსწავლის ლიტერატურულ და ესთეტიკურ გემოვნებას, ამალღებს მისი ქცევის კულტურასა და ზნეობას.

მოზარდის აღზრდა და სწავლება პარალელური პროცესებია, და როგორც ერთის, ისე მეორის წარმატებით წარმართვისათვის აუცილებელია ბავშვის ბუნებრივი, თანდაყოლილი მონაცემების დადგენა და დადებით მათგანთა განვითარებისათვის ხელშემწყობი და უარყოფით მათგანთა შემბოჭავი, გამანეიტრალებული გარემოს შექმნა. სახელდობრ, მოზარდის სათანადო აღზრდისათვის, გარდა მონესრიგებული ოჯახისა, გამართული განათლების სისტემისა და უფროსების ტაქტიანი რჩევა-დარიგებებისა, აუცილებელია მასწავლებლის, გამოჩენილ ისტორიულ და თანამედროვე პიროვნებათა და თითოთ საჩვენებელ თანატოლთა პირადი მაგალითები, მათი მისაბაძი ყოფაქცევა და მეტყველება, და რა თქმა უნდა, ჰუმანისტური ნიგნი, ხელოვნება, მასმედია, სპორტი და მოზარდის შესაძლო აქტიური მონაწილეობა ოჯახურ და საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში.

უცხო ენის სწავლების შინაარსი

ტრადიციულად სწავლების შინაარსში მოიაზრება ყველაფერი ის, რაც მოსწავლეს უნდა ვასწავლოთ, და მაშასადამე, რასთანაცა გვაქვს საქმე და რაზეც ვმუშაობთ სწავლების პროცესში. სახელდობრ, სწავლების შინაარსის საყოველთაო, სათითოეულკლასო ანუ კლასებზე განერილი კომპონენტებია:

1. ენობრივი, ე.ი. ფონეტიკური, ორთოგრაფიულ-ორთოეპიული, ლექსიკური და გრამატიკული მასალა პროგრამით დადგენილი შესაბამისი მინიმუმების სახით. კერძოდ, ფონემები, გრაფემები ე.ი. ასოები და ასოთშეხამებები, ინტონემები (ინტონაციური მოდელები), კითხვის წესები, სიტყვები, მყარი შესიტყვებები, სიტყვათნარმოების, თავისუფალ შესიტყვებათა, წინადადებათა და ტექსტთა მოდელები;



2. ენობრივი, ე.ი. ფონეტიკური, ორთოგრაფიულ-ორთოეპიული, ლექსიკური და გრამატიკული ჩვევები, ანუ ენობრივი მასალის ავტომატიზებული, ე.ი. ცნობიერების ჩაურევლად ან მისი მინიმალური მონაწილეობით გამოყენების უნარი (რე) პროდუქტულ და რეცეპტულ მეტყველებაში;

3. სამეტყველო, ე.ი. ლაპარაკის, წერის, აუდირებისა და კითხვის უნარ-ჩვევები პროგრამით გათვალისწინებული თემატიკა-სიტუაციებისა და ენობრივი მასალის ფარგლებში;

4. იზოლირებული ენობრივი ერთეულების, ე.ი. ფონემების, გრაფემების, ინტონემების, სიტყვების, მყარი შესიტყვებების, თავისუფალ შესიტყვებათა, წინადადებათა და ტექსტთა მოდელების ათვისება ძნელიცაა და ფუჭიც, რადგან მათი თუნდაც ჩვევის დონეზე ფლობა არ არის ამ ენაზე ამეტყველების გარანტი. მაშასადამე, საჭიროა ამ ენობრივი მასალის, ენობრივ ერთეულთა გამაერთიანებელი აუდიო და გრაფიკული

ტექსტები. შესაბამისად, შინაარსის მეოთხე კომპონენტი ათემატურ-სიტუაციური აუდიო და გრაფიკული ტექსტები;

5. ბუნებრივია, რომ თავის შესაძლებლობათა და მიზანდასახულობათა შეზღუდულობის გამო სკოლას არ ძალუძს სრულყოფილად აამეტყველოს თავისი აღსაზრდელები უცხო ენაზე. ამიტომ ლიმიტირებულია ის თემატიკა და სიტუაციები, რომლებზეც და რომლებშიც სკოლადამთავრებულმა უნდა შეძლოს ვერბალური ურთიერთობის დამყარება. მაშასადამე, შინაარსის მეხუთე კომპონენტი ათემატიკა და სიტუაციები;

6. სწავლება ორმხრივი პროცესია და მისი შედეგიანობა დამოკიდებულია ამ ორივე მხარის, ე.ი. მასწავლებლისა და მოსწავლის აქტიურ, მიზანმიმართულ თანამშრომლობაზე, რომელშიც ლომის წილი სწორედ მოსწავლის დამოუკიდებელ მუშაობაზე მოდის. აქედან გამომდინარე, სწავლების შინაარსის შემდეგი კომპონენტიც – ლექსიკონისა და სხვა საცნობარო ლიტერატურის გამოყენებით მოსწავლის მიერ ტექსტებზე დამოუკიდებლად მუშაობისა და ცოდნის დამოუკიდებლად მოძიება-ათვისების უნარ-ჩვევები;

7. სწავლების შინაარსის მეშვიდე კომპონენტი ათესასწავლი ენისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები, რომელთა ბადალი მშობლიურ ენას არ გააჩნია. ინგლისურში ასეთებია: enjoy და claim-ით გამოხატული ცნებები, არტიკლით გამოხატული განსაზღვრულ-განუსაზღვრელობა, მოქმედების პროცესუალობა და ა.შ.;

8. მერვე კომპონენტად კი, უნდა მივიჩნიოთ ისეთი ენობრივი მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელია მშობლიური ენისათვის და რომელთაც ამ ენის მატარებელი თავის მეტყველებაში ვერ შეეღევა; მათ გარეშე დედაენის მატარებელი (ჩვენ შემთხვევაში – ქართველი) ვერცერთ ენაზე ვერ იმეტყველებს ნორმალურად; და რომლებიც, თუ არა ეს გარემოება, ენობრივ მინიმუმებში ვერ მოხვდებოდნენ.

სწორედ ამ ენობრივ მოვლენებს, რომლებიც უცხოა შესასწავლი ენისათვის უნდა დაეძებნოთ (ჩვენ შემთხვევაში – ინგლისური) შესატყვისები და მიენოდოს მოსწავლეებს. ასე-

თებად შიძლება დავასახელოთ (ცნებები: გამეგება, განირვა, მოსწრება, შელევა, კაუზატიურობა, ქმედებათა ნებელობა-უნებელობა, თურმეობითობა და ა.შ.

აკადემიკოსი ლ. ვ. შჩერბა (1974) ენის ფლობის 8 სხვადასხვა დონეს ასახელებს – სათაურების, წარწერების, მისამართებისა და ა.შ. ლექსიკონის დახმარებით წაკითხვა-გაგებით დაწყებული – ენის თავისუფალი, ყოველმხრივი ცოდნით დამთავრებული. ეს უკანასკნელია საგნის პროფესიული, უმაღლესი დონის ცოდნა, რისი პრეტენზიაც საშუალო სკოლას არცა აქვს და ვერც ექნება; და აქ ჩვენ გვიხდება დავკმაყოფილდეთ პროფესიულისწინა განათლებით, რომელიც მხოლოდ საშუალებას იძლევა, ბაზას ამზადებს საგნის შემდგომი პროფესიული დაუფლებისათვის შესაბამის სპეციალურ საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებელში.

ცხადია, რომ სწავლების შინაარსის მოცულობა და შედეგინილობა დამოკიდებულია სწავლების მიზნებსა და პირობებზე, მაგრამ ვერავითარი მიზანდასახულობა და საათების რაოდენობა ვერ შეგვაძლებინებს მთელი ენობრივი სიმდიდრის ათვისებას. აკი, აკადემიკოსი შჩერბაც დასძენს, რომ ადამიანი ენაში ჩაღრმავებას სიკვდილამდე აგრძელებს.

ეს კი, ბუნებრივია, გვკარნახობს როგორც ენობრივი მასალის, ისე მეტყველების სახეების გარკვეულ რაოდენობრივ-ხარისხობრივ შეკვეცა-შეზღუდულობას. მაშასადამე, უცხო ენის სასკოლო კურსის შინაარსი დგინდება, ერთის მხრივ, საჭიროება-საკმარისობისა და მეორეს მხრივ, სკოლის შესაძლებლობის მიხედვით.

შინაარსის შერჩევა იწყება იმ თემატიკისა და სიტუაციების განსაზღვრით, რომლებზეც და სადაც სკოლადამთავრებულს სავარაუდოდ მოუხდება ენის მატარებელთან ურთიერთობა. შემდეგ დგება შესაბამისი ოპტიმალური ტექსტები და სავარჯიშოები რომლებიც, თავის მხრივ, განსაზღვრავენ ლექსიკურ და გრამატიკულ მინიმუმებს. ეს უკანასკნელები კი, გვკარნახობენ ფონეტიკურ და ორთოგრაფიულ-ორთოეპიულ მასალას.

დროთა განმავლობაში და დროის კვალდაკვალ იცვლება ღირებულებები, პრიორიტეტები, აქცენტები, რაც უცილობლად ასახვას ჰპოვებს ენაში და მისი სწავლების პროგრამაში.

მოზარდი თაობის სწავლების, განათლების, გონებრივი და ფიზიკური განვითარებისა და ალზრდის ზოგადი პრინციპები

პრინციპი (principle) (ლათ. “principum” – დასაწყისი, დასაბამი) ადამიანის და საზოგადოების ქცევა-საქმიანობის მარეგულირებელი ორიენტირია. შესაბამისად, პრინციპი პედაგოგიკაში ის ამოსავალი დებულებაა, რომლის მიხედვითაც მოსწავლის სწავლა-განათლების, განვითარებისა და ალზრდის პროცესი წარიმართება და რეგულირდება. პრინციპი არ უნდა უნდა აგვერიოს მეთოდში. პრინციპი ერთგვარი რეგლამენტაცია და იმპერატივიც, მოთხოვნაც; მეთოდი კი – ამ მოთხოვნის შესრულების ღონისძიება, მისი რეალიზების რეკომენდაციაა, know-how-ა.

უცხო ენის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საგნის სწავლება სკოლაში შემდეგი ზოგადდიდაქტიკური პრინციპების მიხედვით ხორციელდება:

1. ზოგადსაგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი სწავლების პრინციპი, რომელიც გულისხმობს არა მარტო მოზარდი თაობის თანამედროვე სპეციალური და ზოგადი ცოდნით აღჭურვას, არამედ მათ მიერ ამ ცოდნის დამოუკიდებლად შევსების და რაციონალურად გამოყენების უნარ-ჩვევების ფორმირებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, და სულიერ განვითარებას და მათ ცივილიზებული საზოგადოების ღირსეულ წევრებად ჩამოყალიბებას; რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეს კი არ უნდა დავუღეჭოთ და „თავში ჩავუდოთ“ – როგორც ამით ზოგიერთი მასწავლებელი კიდევ ამაყობს – არამედ დავუტოვოთ მათ გარკვეული, მათი გონითა და გარჯით დასაძლევი სიძნელეები, რამაც ის უნდა განავითაროს.

ხოლო მოსწავლეები რომ სწავლის პროცესში წარმოშობილ სიძნელეებს თავისით უმკლავდებოდნენ, ამისათვის საჭიროა ისინი სათანადო წვრთნას გადიოდნენ და არ იზუთხავდნენ მათ წინაშე მდგარ კითხვებზე მასწავლებლის მიერ მიწოდე-

ბულ მზა პასუხებს – რა „მეთოდიც“, სამწუხაროდ, უკურნებელ სენადაა მოდებული ჩვენს სკოლებს; და რამაც სხვათაშორის, სხვა ფაქტორებთან ერთად, შვა ავადსახსენებელი „შპარგალკა“.

საერთოდ, ნებისმიერი შემეცნებითი საგნის სწავლება სკოლაში იმავდროულად ზოგადსაგანმანათლებლოც უნდა იყოს, განმავითარებელიც და აღმზრდელობითიც; რამეთუ, ზოგადი, „ენციკლოპედიური“ ცოდნა არა მარტო აფართოებს მოსწავლის თვალსაწიერს, არამედ აღრმავებს და ამტკიცებს საგნის ცოდნასაც. განმავითარებელი სწავლება აწრთობს და ამახვილებს მოსწავლის აზროვნებას; აღმზრდელობითი სწავლება კი – მოსწავლეს ამზადებს ცივილური ურთიერთობებისათვის საზოგადოების სხვა წევრებთან; რაც, სამწუხაროდ, საგნის სწავლებისას, როგორც წესი, უგულვებელყოფილია ხოლმე.

სასწავლო პროცესის სიძნელეთა, წინაღობათა ოდენობა და სიმძიმე დამოკიდებულია მოცემული საზოგადოების ზოგად განათლება-განვითარებულობის დონეზე საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში, და მაშასადამე, იმ მანძილის სიგრძე-სიმოკლეზე, რომელიც მოსწავლეთა განათლება-განვითარებულობის საწყის დონესა და მისაღწევ დონეს შორის არსებობს და რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს მოსწავლეთა განვითარების გზებსა, ტემპსა და შედეგებზე.

რაც შეეხება უცხო ენის მასწავლებლის ძალისხმევას ამ მიმართულებით, მან შესასწავლი ენის ლექსიკურ და გრამატიკულ მასალასა და ტექსტებზე მუშაობისას, თავისი აღსაზრდელების ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ენის ფორმალურ, სემანტიკურ და ფუნქციონალურ თავისებურებებს, მათი მშობლიური ენის გადასახედიდან; და ინტენსიურად უნდა ავარჯიშოს თავისი შეგირდები ანალიზის, სინთეზის, შედარება-შეპირისპირების ოპერაციებსა და კონტექსტუალურ და ლოგიკურ მიხვედრილობასა და პროგნოზირებაში.

როგორც უკვე ითქვა, აღზრდა განუყრელ, ურთიერთხელ-

შემწყობ კავშირშია სწავლებასთან, რომელთან ერთადაც იგი ემსახურება მოზარდი თაობის მორგება-შეგუებას არსებულ ფიზიკურ და სოციალურ გარემოსთან.

ბავშვის აღზრდა იწყება აკენიდან და მისი პირველი აღმზრდელია დედა და მთელი ოჯახი. შემდეგ, ამ ხანგრძლივ პროცესში ერთვება ეზო, ქუჩა, ბაღი, სკოლა, მასმედია, ხელოვნება, ეკლესია, რომელთა ზემოქმედების ქვეშ აღზრდის ობიექტი – ბავშვი სკოლაში შედის არა როგორც „სუფთა დაფა“, არამედ გარკვეული ოჯახური „საგზლით“ დატვირთული ინდივიდი, ოჯახში შექმნილი ყოფაცქცევისა და მეტყველების გარკვეული შტამპებით; რომელთა კორექტორი და შემდგომი სააღმზრდელო მართონის მთავარი ლოკომოტივია სკოლა; რადგანაც ქვეყნის ყოველი მოქალაქე, ყოველი მომავალი მშობელი სწორედ სკოლის კედლებში ყალიბდება. ასე რომ, როგორცაა სკოლა, ისეთივეა საზოგადოება, და პირიქით.

სამწუხაროდ, სკოლა თავის საპატიო მისიას სრულფასოვნად ვერცერთ ქვეყანაში ვერ ასრულებს, რისი დასტურიც ჩვენი დღევანდელია, ჩვენი არეულ-დარეული მსოფლიოა.

განსაკუთრებით უჭირს დღეს ამ მისიის შესრულება ჩვენს სკოლას, რომელსაც ურთულესი სოციალური სიდუხჭირის ფონზე უხდება სასწავლო პროცესის ავტორიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულ რელსებზე გადაყვანა; და გლობალიზაციის ფერხულში ჩაბმულს, ეროვნულ თავისებურებათა შენარჩუნება-გადარჩენისათვის ძნელი ბრძოლა.

ყველაფრის თავი და თავია სკოლა და მთელი განათლების სისტემა, სადაც სხვა საგნებთან ერთად თავისი წონადი წვლილი შეაქვს უცხო ენასაც.

2. სწავლების მისაწვდომობის პრინციპი, რომელიც გარკვეულწილად ეხმიანება განმავითარებელი და აღმზრდელობითი სწავლების პრინციპს და მოითხოვს თითოეულ კლასში და თითოეულ გაკვეთილზე ასათვისებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ისეთ დოზირებას, რომელსაც მოსწავლე თავისი ინტე-

ლექტურული ძალების მაქსიმალური დაძაბვით და მასწავლებლის მინიმალური დახმარებით მოერევა; რამაც, სწორედ, ხელი უნდა შეუწყოს მისი ტვინის მაქსიმალურ გარჯას, და მაშასადამე, მისი აზროვნების განვითარებას.

მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის მეტისმეტი გადავილება ისევე საზიანოა მოსწავლისათვის, როგორც ამ პროცესის გადაჭარბებული სიძნელე.

გადაჭარბებული სიადვილე აქვეითებს გონებრივ აქტივობას, აჩლუნგებს აზროვნებას და ანელებს ინტერესს სწავლისადმი. ასეთივე შედეგები მოქვს მოჭარბებულ სიძნელესაც, რომელიც გადაულახავ ზღუდედ ევლინება მოსწავლეს, უკარგავს მას თავის თავისადმი რწმენას, გულს უცრუებს საგანზე და ინვესტს მის ხელჩაქნეულობასა და უმოქმედობას. მაშასადამე, საჭიროა დავიცვათ ზომიერება – არც მწვადი დაწვანა და არც შამფური, ე.ი. დავტოვოთ იმდენი სიძნელე, რამდენსაც მოსწავლე ძალების დაძაბვით გადალახავს; და რაც ამ შემთხვევაში, მის გონებრივ განვითარებას უზრუნველყოფს.

3. შეგნებულობის პრინციპი უცხო ენის სწავლებაში. ეს პრინციპი გვკარნახობს, რომ მოსწავლემ შესასწავლი ენობრივი მოვლენა იზოლირებულად, ყოველგვარი ასოციაციური კავშირების გარეშე, და მაშასადამე, მხოლოდ მექანიკური გამეორებების გზით, ე.ი. ზუთხვით კი არ უნდა დაიმახსოვროს, არამედ მან იგი უნდა აღიქვას, გაიაზროს და დაიმახსოვროს როგორც გარკვეული სისტემის შემადგენელი ნაწილი; რომელიც ფორმალურ, სემანტიკურ თუ ფუნქციონალურ კავშირშია ამ სისტემის დანარჩენ ნაწილებთან ან სხვა რომელიმე სისტემის წარმომადგენლებთან შესასწავლ ენასა და მშობლიურ ენაში.

მექანიკურად, ყოველგვარი ასოციაციური საყრდენების გარეშე დამახსოვრებული ენობრივი მოვლენა ფესვებდაჭრილი ნერგის მსგავსია, რომლის გახარება ფრიად საეჭვოა და რომელიც, როგორც წესი, ხმება; მაშინ, როდესაც შეგნებულად, ასოციაციური კავშირებით მეხსიერებაში ჩარგული ენობრივი

მოვლენა – რომელიმე ასოციაციური ძაფი რომც გაუნყდეს – დანარჩენი ასოციაციური ფესვების წყალობით მტკიცედ იკიდებს ფეხს მესხიერებაში.

მექანიკურად დამახსოვებელი ფრაზით – *Sit down!* – შეიძლება მოსწავლემ შეცდომით მიმართოს მწოლიარეს. ამიტომ, საჭიროა მას ვასწავლოთ ამ გამოთქმის შემდეგი შეგნებული გაშიფვრა: *sit* ნიშნავს *ჯდომას*, *მჯდომარე მდგომარეობაში ყოფნას*; *down* ნიშნავს *მოძრაობას ზევიდან ქვევით*, და მაშასადამე, *sit down* ნიშნავს *მიიღე(თ) მჯდომარე მდგომარეობა მოძრაობით ზევიდან ქვევით*; ანუ *დაბრძანდი(თ)!*

ამ გამოთქმის ასეთი შეგნებული ანალიზი და სინთეზი გამოირიცხავს ზემოხსენებულ შეცდომას და ნათელს ჰფენს მეორე გამოთქმასაც – *Sit up!* – *წამოჯექი(თ)*, რომლითაც მწოლიარეს მიმართავენ.

შეგნებულობის პრინციპი ქმედითი ბერკეტია ინგლისური ენის ურთულესი ორთოგრაფია-ორთოეპიის, ე.ი. წერა-კითხვის სწავლებაში. ამ სირთულის ძირითადი მიზეზი, როგორც ცნობილია, ხმოვანი ასოებია, რომელთაგან ნებისმიერი მათგანი მინიმუმ შვიდ სხვადასხვა ბგერას გადმოსცემს.

კითხვის მექანიკური წესით სწავლისას, მოსწავლე სათითაოდ იმახსოვრებს ყოველი სიტყვის წაკითხვას – ტრანსკრიფციას; რაც უაღრესად ძნელი და არასაიმედოა. მაშინ, როდესაც შეგნებულობის პრინციპის თანახმად ინგლისური ლექსიკის 75 %-ის, ე.ი. ერთ და ორმარცვლიან სიტყვათა უდიდესი უმრავლესობის წასაკითხად საკმარისია მოსწავლემ გამოიყენოს „მახვიალიან ხმოვანთა კითხვის ცხრილი მარცვალთა ტიპებისდა მიხედვით“.

შეგნებულობის პრინციპი წარმატებით მუშაობს ლექსიკისა და გრამატიკის სწავლებაში, მაგრამ გაზვიადებულია მისი როლი ფონეტიკის სწავლებაში. საქმე ისაა, რომ როგორც არ უნდა აღვუწეროთ და ვუხატოთ მოსწავლეს უჩინარი სამეცნიერო ორგანოები – შუაენა, უკანაენა, მაგარი სასა, რბილი

სასა, ნაქი და სახმო სიმები, ვერასოდეს ვერ ისწავლის იგი მათ ნებელობით მართვას; და მაშასადამე, ამ ორგანოების მონა-ნილეობით წარმოსათქმელ უცხო ბგერას მოსწავლე, ფაქტი-ურად, იმიტაციის გზით ითვისებს; შეგნებულობის პრინციპის ქმედუნარიანობა კი აქ შესასწავლი ბგერის დედაენის შესაბა-მის ბგერასთან შედარება-შეპირისპირებით ინჟურება.

იმიტაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს თვალსაჩინოდ წარმოსათქმელ, ხილული არტიკულაციის მქონე ბგერებზე მუშაობისასაც, თუმცა მთავარ ფაქტორს აქ სწორედ შეგნებუ-ლობის პრინციპი, ე.ი. ამ ბგერების წარმოთქმის მექანიზმების გაცნობა-გააზრება წარმოადგენს.

შეგნებულობის პრინციპი, როგორც ცოდნისა და უნარ-ჩ-ვევების გააზრებული ათვისებისა და მათი შემოქმედებითად გამოყენების გარანტი და მაშასადამე, როგორც „შპარგალკის“ მთავარი მტერი – სწავლების წამყვანი პრინციპი იყო და ასეთა-დაც უნდა დარჩეს იგი ჩვენი განათლების სისტემაში.

4. სისტემურობისა და თანმიმდევრულობის პრინციპი.

სისტემა ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთგანმამაპირო-ბებელ ელემენტთა მონესრიგებული ერთობლიობაა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, სისტემა შემადგენელ ნაწილთა ორგანიზებული ერთიანობაა, სადაც თითოეულ შემადგენელს თავისი განსაზღვრული ადგილი უკავია და მას განსაზღვრული კავშირი აქვს დანარჩენ შემადგენლებთან; და მთელ სისტე-მასთან.

პირველ ყოვლისა, სისტემას წარმოადგენს თვით სამყარო, რომლის უშუალო შემადგენლები, უშუალო ქვესისტემებია გა-ლაქტიკები; ერთ-ერთი გალაქტიკის – ირმის ნახტომის ერთ-ე-რთი ქვესისტემაა მზის სისტემა, ხოლო მზის სისტემის ერთ-ე-რთი ქვესისტემა – ჩვენი დედამიწა; თავის მხრივ, დედამიწის ქვესისტემებია – ლითოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო და ატმოსფერო და ა.შ..

სხვა უფრო მცირე და უფრო თვალსაჩინო ბუნებრივი სისტე-

მებია – საჭმლის მომნელებელი სისტემა, სისხლის მიმოქცევის სისტემა, ნერვული სისტემა და სხვა.

ხელოვნური სისტემების საუკეთესო ნიმუშია განათლების სისტემა, რომლის შემადგენლებია, ქვესისტემებია – ბაგა, ბალი, სკოლა (და მისი ეკვივალენტები – კოლეჯი და ლიცეუმი), უმაღლესი სასწავლებელი (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა), დოქტორანტურა – და რომლიც მიზანი მაღალკვალიფიციური და მაღალზნობრივი პროფესიონალის მომზადებაა, რაშიც თავისი წვლილი შეაქვს ამ სისტემის თითოეულ რგოლს.

სისტემური წარმონაქმნია ენაც, რომლის ქვესისტემებია – ფონეტიკა (თავისი „აჩრდილი“ ორთოგრაფიითურთ), ლექსიკა და გრამატიკა, რომელთა შემდგომი დანანეწვებით ვღებულობთ ჩვენი სასწავლო ობიექტის შემდეგ იერარქიულ საფეხურებრივ სისტემას: ფონემები ერთიანდებიან და ქმნიან მორფემებს, მორფემები – სიტყვებს, სიტყვები – მყარ და თავისუფალ შესიტყვებებს, შესიტყვებები და ცალკეული სიტყვები ერთად ქმნიან წინადადებებს და წინადადებები ქმნიან ტექსტებს.

ჩვენი მიზანია, მოსწავლეებს ვასწავლოთ აუდიო და გრაფიკული ტექსტების შედგენა-გადაცემა და გადაცემული ტექსტების აღქმა-გაგება; სწავლებას კი, ვინცებთ ამ იერარქიული „პირამიდის“ მესამე რგოლიდან, ე.ი. სიტყვებიდან; რამეთუ ფონემები და მორფემები ფუნქციონირებენ არა ავტონომიურად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სიტყვების შემადგენლობაში.

ასათვისებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სისტემურობა და იერარქიულობა თავისთავად ნიშნავს აღმავალ თანმიმდევრობას ადვილიდან ძნელისაკენ.

ადვილია ის ასათვისებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მაქსიმალურად უახლოვდება შესასწავლი თუ მშობლიური ენის უკვე ათვისებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებზეც ისინი უნდა დაშენდნენ და რომელთა გაგრძელებად ისინი უნდა იქცნენ; რითაც მათ უნდა შეამოკლონ გზა შემდგომი უფრო ძნელი ცოდნისა და უნარ-ჩვევებისაკენ.

ადვილსა და ძნელში შესაბამისად იგულისხმება:

1. მარტივი და რთული (სიტყვა, შესიტყვება, წინადადება, ტექსტი);

2. ნესი(სმი)ერი და არანესი(სმი)ერი (ნაკითხვა, დაწერილობა, გრამატიკული ფორმა, წინადადების წყობა);

3. პირდაპირი და გადატანითი (მნიშვნელობა);

4. კონკრეტული და აბსტრაქტული (მნიშვნელობა);

სწავლებაში სისტემურობის პრინციპის გამოყენების ეკონომიურობისა და ქმედითობის ნათელსაყოფად შემდეგი მაგალითიც გამოდგებოდა.

ვერცერთი ადამიანი ვერ დაიმახსოვრებს ისეთი არეული თანმიმდევრობით განლაგებულ ციფრებს, როგორიცაა: 43, 99, 15, 71, 3, 35, 91, 7, 63, 11, 59, 75, 23, 67, 19, 95, 55, 87, 27, 51, 39, 79, 31, 83.

მაგრამ თუ ამ ციფრებს სისტემურ ხასიათს მივცემთ, ე.ი. დავაწყობთ მათ აღმავალი თანმიმდევრობით, დავინახავთ რომ მწკრივი იწყება 3-ით, თავდება 99-ით და ყოველი მომდევნო ციფრი 4-ით მეტია წინაზე და მაშინ დამახსოვრების პრობლემაც ქრება. აი, ეს სისტემური მწკრივიც: 3, 7, 11, 15, 19, 23, 27, 31, 35, 39, 43, 47, 51, 55, 59, 63, 67, 71, 73, 79, 83, 87, 91, 95, 99.

5. თვალსაჩინოების პრინციპი, რომელიც გულისხმობს სწავლების პროცესის მაქსიმალურ გამჭვირვალობას, მის აბსოლუტურ სიცხადეს, ყველაფერ იმის ნათელ დემონსტრირებას, რაც და როგორც უნდა აითვისონ მოსწავლეებმა.

თვალსაჩინოებამ ზუსტად და მიმზიდველად უნდა წარმოაჩინოს ასათვისებელი ენობრივი მასალის თუ სამეტყველო მექანიზმების სრული მახასიათებლები, უზრუნველყოს მოსწავლის ყურადღების კონცენტრაცია და მისი გონებრივი ძალების მობილიზაცია.

სწავლა შემეცნებითი პროცესია, შემეცნება კი იწყება შეგრძნებებიდან, სადაც მთავარ როლებს სმენისა და მხედველობის ორგანოები ასრულებენ. მაშასადამე, უცხო ენის სწავლებაში უნდა გამოვიყენოთ ისეთი ვიზუალური (მხედველობითი)

თვალსაჩინოებები, როგორცაა: საგნები, საგანთა და მოვლენათა სურათები, კინესთეტიკა (მოძრაობები), უესტიკულაცია, მიმიკა, ბგერათა არტიკულაციის მაჩვენებელი სქემები, კითხვის წესებისა და არანესიერ გრამატიკულ ფორმათა ცხრილები, სიტყვათწარმოების, ფორმათწარმოების და წინადადებათა მოდელები, შესასწავლი ენის მატარებელი ქვეყნის რუკები და ღირსშესანიშნობათა ხედები.

ბუნებრივია, რომ ვიზუალურ თვალსაჩინობასთან ერთად უცხო ენის სწავლებაში უფრო ფართოდ და უფრო ეფექტურად გამოიყენება სმენითი თვალსაჩინოებები (რომელთაგან აღსანიშნავია აუდიოჩანანერები, რადიო გადაცემები, კინო და თვით მასწავლებლის სწორი მეტყველება).

თვალსაჩინობათა რანგში მოიაზრება აგრეთვე სიტყვის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ სინონიმების, ანტონიმებისა და ომონიმების გამოყენება.

6. მეცნიერულობის პრინციპი. ეს პრინციპი გვავალებს, რომ ყველაფერი ის, რაც და როგორც სახელმძღვანელოშია მოცემული და რასაც და როგორც მასწავლებელი აუდიტორიაში აკეთებს, უნდა იყოს მეცნიერულად, ე.ი. ლინგვისტურად, მეთოდოლოგიურად და ფსიქოლოგიურად ანონილ-დანონილი, გააზრებული, დასაბუთებული და მაშასადამე, გამართლებული, და იგი არ უნდა წარმოადგენდეს ავტორისა თუ მასწავლებლის ნაუცბადევ, სახელდახელო ინიციატივას.

7. შემოქმედებითი აქტივობის პრინციპი. სწავლება ორი მხარის - მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობის პროცესია. შემოქმედებითი აქტივობის პრინციპის ადრესატი მხოლოდ მოსწავლეა. ეს პრინციპი მოითხოვს, რომ სასწავლო პროცესის უაქტიურესი მონაწილე მოსწავლე უნდა იყოს და არა მასწავლებელი, რომელიც აქ, ასე ვთქვათ, მხოლოდ დირიჟორია და მას სასწავლო პროცესის მხოლოდ ორგანიზატორის, წარმმართველის და მაკონტროლებლის მისია აკისრია.

მასწავლებლისა და მოსწავლეთა როლების შეფარდების

საილუსტრაციოდ კონკრეტულ პროცენტულ მაჩვენებელსაც ასახელებენ. სახელდობრ, საგაკვეთილო დროის 80-90% პირ-წმინდად უნდა ეთმობოდეს კლასის ვარჯიშს ენასა და მეტყველებაში. ამ დროის განმავლობაში მოსწავლეები უნდა ლაპარაკობდნენ, აუდირებდნენ, წერდნენ და კითხულობდნენ.

მოსწავლის შემოქმედებითი აქტივობა გულისხმობს მოსწავლის გარეგან და შინაგან, მიზანსწრაფულ, მოტივირებულ და გააზრებულ, ე.ი. შეგნებულ სასწავლო საქმიანობას როგორც აუდიტორიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

8. ცოდნისა და უნარ-ჩვევების სიმტკიცის პრინციპი. ეს პრინციპი, შეიძლება ითქვას, კატეგორიულად კრძალავს ახალ ენობრივ მასალასა და სამეტყველო უნარ-ჩვევებზე გადასვლას, წინა მასალისა და უნარ-ჩვევების მტკიცედ, მყარად, ძირფესვიანად ათვისებამდე; რამეთუ თავის დროზე შეუმჩნეველი, თუ მომავლის იმედით უგულებელყოფილი, თუნდაც უმნიშვნელო ხარვეზი, შეიძლება შემდგომში მნიშვნელოვან დაბრკოლებად იქცეს და სასწავლო პროცესი დაამუხრუჭოს.

ენობრივი მოვლენის შეგნებულად, ე.ი. მტკიცედ დაუფლებისათვის, როგორც უკვე ითქვა, საჭიროა მოსწავლის სენსორულ და ინტელექტუალურ შესაძლებლობათა მაქსიმალური მობილიზება მის მიერ ამ ენობრივი მოვლენის მრავალჯერადი, ცნობიერებაში გატარებული, დაჭირებული გამეორება, ე.ი. მისი მრავალჯერადი მოსმენა, ნაკითხვა, წარმოთქმა და დაწერა.

ხოლო, რისი მიღწევაც გაკვეთილზე არ ხერხდება, მასზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს ფაკულტატურ და კლასგარეშე მეცადინეობებზე, მოსწავლეთა საშინაო დავალებების სახით და ჩამორჩენილ მოსწავლეთა წარმატებულ მოსწავლეებზე მიმავრების გზით.

მეხსიერების მტერია დრო, და სწორედ ამითაა იგი „ყველაფრის მკურნალი“.

მაშასადამე, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გრძელვადიან მეხ-

სიერებაში შენარჩუნებისათვის საჭიროა მათი დროდადრო განმეორება, „რეანიმაცია“, ხელახალი აქტივიზაცია.

განმეორების ვადები ზოგჯერ რეკომენდებულია მეთოდის სახელმძღვანელოებში და გათვალისწინებულია სასკოლო სახელმძღვანელოებშიც, მაგრამ განმეორებისათვის ოპტიმალური დროის შერჩევა და სათანადო „სარეაბილიტაციო“ მუშაობის ჩატარება პრაქტიკოსი მასწავლებლის საქმეა.

9. სწავლების ცხოვრებასთან კავშირის პრინციპი საგნის პრაქტიკული მიზნით სწავლების უშუალო გამოძახილია, და იგი გულისხმობს სასწავლო პროცესის რეალურ ცხოვრებასთან მისადაგებას, სახელმძღვანელოში მოცემული მასალის მოსწავლეთა ცხოვრებაზე მორგებას.

სწავლების ცხოვრებასთან კავშირის პრინციპი, პირველ ყოვლისა, სწავლების შინაარსში აისახება. შესასწავლ ტექსტებსა და სავარჯიშოებში ლაპარაკი უნდა იყოს როგორც შესასწავლი ენის მატარებელი ქვეყნის, ისე მოსწავლის მშობლიური ქვეყნის ცხოვრებაზე, მათ წარსულსა და თანამედროვეობაზე. გაუმართლებელია, ლექსიკურ და გრამატიკულ სავარჯიშოებში მხოლოდ ნაცვალსახელებიანი, იზოლირებული წინადადებების ხმარების ასე გავრცელებული პრაქტიკა. მათში უნდა სახელდება კონკრეტული ცნობები, პიროვნებები, ადგილები და მოვლენები, ე.ი. ეს წინადადებები უნდა წარმოადგენდნენ საკომუნიკაციო ღირებულებებს, რომელთაც მოსწავლე თავის რეალურ ვერბალურ ურთიერთობებში გამოიყენებს.

10. მოსწავლეთა თავისებურებების გათვალისწინების პრინციპი. ამ პრინციპის საფუძველია ის აქსიომა, რომ არ არსებობს ორი ერთნაირი ადამიანი, და რომ ყოველი ადამიანი განუმეორებელი ინდივიდუალობაა.

მაშასადამე, მასწავლებელი ვალდებულია დეტალურად შეისწავლოს თითოეული მოსწავლე და მის სწავლება-აღზრდაში გაითვალისწინოს მისი ფიზიკური, გონებრივი, ფსიქოლოგიური და თუნდაც, სოციალური თავისებურებები და არ

დაუშვას, და ძირშივე აღკვეთოს აღნიშნულ უთანასწორობათა ნიადაგზე მოსწავლეთა შორის აღმოცენებული არაჯანსაღი ურთიერთობები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპი ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაშია ერთმანეთთან და ისინი ქმნიან ერთიან დიდაქტიკურ სისტემას. ბუნებრივია, რომ ზოგადდიდაქტიკური პრინციპები თავისებურად აირეკლებიან, გარდაიტეხებიან სხვადასხვა საგნის სწავლებაში. მაგალითად, თვალსაჩინოების პრინციპი უცხო ენის სწავლებაში უმეტესწილად გულისხმობს ენობრივ, სმენით თვალსაჩინოებას და არა მხოლოდ ვიზუალურს, როგორც ამას სხვა საგნების სწავლებისას აქვს ადგილი. თავისთავად ცხადია, რომ ზოგადდიდაქტიკურ პრინციპებს არ ძალუძთ მაქსიმალური უკუგებით წარმართონ ყოველი და მითუმეტეს ისეთი სპეციფიკური საგნის სწავლების პროცესი, როგორიც უცხო ენაა, ამიტომ ყველა საგანს და მათ შორის უცხო ენასაც აქვს სწავლების თავისი საკუთარი პრინციპებიც.

უცხო ენის სწავლების პრინციპები

წინა თავში განხილული იყო მოზარდი თაობის სწავლა-განათლების, განვითარებისა და აღზრდის ზოგადი პრინციპები, უმეტესწილად ინგლისურთან მიმართებაში. წინამდებარე თავი კი, ეძღვნება საკუთრივ უცხო ენათა და მათ შორის ინგლისურის სწავლების პრინციპებს.

თავიანთი ფუნქციონალური დატვირთვის შესაბამისად, უცხო ენის სწავლების პრინციპები სამ ჯგუფად იყოფა:

1. უცხო ენის სწავლების ზოგადი პრინციპები;
2. უცხო ენის სწავლების კერძო პრინციპები; და
3. უცხო ენის სწავლების სპეციალური პრინციპები.

უცხო ენის სწავლების ზოგადი პრინციპები

1. უცხო ენის სწავლების სამეტყველო მიმართულების პრინციპი ხაზს უსვამს უცხო ენის სწავლების მიზანდასახულობას სკოლაში. კერძოდ, იგი მოითხოვს სასწავლო პროცესის ისეთ დაგეგმვას, ორგანიზებას და რეალიზებას, რომ სკოლადამთავრებულმა შეძლოს უცხო ენაზე ვერბალური ურთიერთობის წარმოება პროგრამით გათვალისწინებული თემა-სიტუაციებისა და ენობრივი მასალის ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, უცხო ენის სწავლების პროცესი გააფერებული, ზოგჯერ კი გადაფერებული უნდა იყოს სამეტყველო სავარჯიშოებით და ყოველი ენობრივი სავარჯიშოც აუცილებლად უნდა გვირგვინდებოდეს ამ ენობრივი მასალის მომცველი სამეტყველო სავარჯიშოებით.

2. უცხო ენის სწავლებაში დედაენის თავისებურებათა გათვალისწინების პრინციპი, რომელიც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ახალი, ე.ი. უცხო ენის საკომუნიკაციო სისტემა ცარიელ ადგილზე კი არ იქმნება, არამედ შენდება ძველ, ე.ი. დედაენის უკვე არსებულ საკომუნიკაციო სისტემაზე, საიდა-

ნაც ადგილი აქვს დედაენის ცოდნისა და უნარ-ჩვევების მექანიკურ გადატანას შესასწავლ ენაში.

ამ ენების ენობრივი მოვლენების თანხვედნილობისა და მაქსიმალური მსგავსების შემთხვევაში გადატანა დადებითია, იგი აჩქარებს და აიოლებს ენის შესწავლის პროცესს. მაგრამ ამ მოვლენათა მოჩვენებითი იდენტურობისა, სინამდვილეში კი კარდინალური, პრინციპული განსხვავებულობის შემთხვევაში გადატანას მივყავართ შეცდომამდე, იგი აძნელებს და აფერხებს უცხო ენის ათვისების პროცესს. ასეთ მავნე გადატანას ინტერფერენცია ეწოდება.

ინტერფერენციას ენის ყველა დონესა და მეტყველების ყველა სახეობაში აქვს ადგილი. ფონეტიკური ინტერფერენცია გულისხმობს შესასწავლი ენის ბგერების, მახვილის და ინტონაციის მშობლიური ენის ბგერებით, მახვილით და ინტონაციით არაადეკვატურ ჩანაცვლებას. მაგალითად, man, pan-ის men, pen-ად წარმოთქმა, ყველა ინგლისური კითხვის აღმავალი ინტონაციით წარმოთქმა და ა.შ. ფონეტიკურ ინტერფერენციას აქცენტი ეწოდება. ლექსიკური ინტერფერენციის ნიმუშია I wash my face-ის ნაცვლად, I wash my mouth-ის თქმა და ა.შ. ლექსიკურ-გრამატიკულ ცოდნა-ჩვევათა და სამეტყველო უნარ-ჩვევათა ინტერფერენციას ტიპურ შეცდომებს უწოდებენ. ინტერფერენციასთან საბრძოლველად ე.წ. პირდაპირი მეთოდის მიმდევრები გვთავაზობენ დედაენის გაძევებას უცხო ენის სწავლების პროცესიდან, რაც ყოველად გაუმართლებელია, რადგანაც დედაენის განდევნა აუდიტორიიდან კიდევაც რომ შევძლოთ ადმინისტრაციული წესითა და ერთენოვანი სავარჯიშოებისა და თვალსაჩინოების მეშვეობით, მოსწავლეთა ცნობიერებიდან მისი განდევნა შეუძლებელია, რამეთუ ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა და მათ შორის გონებრივი საქმიანობა და მით უმეტეს სწავლა, მშობლიური ენის მონაწილეობით მიმდინარეობს.

დედაენა ის შასებია, რომელზეც თვითმფრინავი – უცხო ენა აუცილებლად უნდა გაგორდეს სანამ მალლა აიჭრებოდეს და

თავის ფრთებზე, ე.ი. უკვე ათვისებულ თავის ენობრივ საშუალებებს დაეყრდნობოდეს.

ინტერფერენციის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მშობლიური და შესასწავლი ენების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე ინტერფერებად, შერევად ენობრივ მოვლენათა გამოვლენა და სათანადო პროფილაქტიკური სავარჯიშოების შედგენა და შესრულება. მაშასადამე, არა ბრძოლა დედაენასთან, არამედ გეგმაზომიერი თანამშრომლობა მასთან, განსაკუთრებით უცხო ენის სწავლების დაწყებით საფეხურზე.

3. უცხო ენის სწავლებაში ვარჯიშის დომინირების პრინციპი გულისხმობს ვარჯიშის, სავარჯიშოების შესრულებას ყველა ტიპის გაკვეთილსა და სწავლების ყველა ეტაპზე. უცხო ენის გაკვეთილის ე.წ. „ორგანიზაციული მომენტი“, „ახალი მასალის პირველადი განმტკიცება“ და „ძველი მასალის (ე.ი. ზეპირი თუ წერიტი საშინაო დავალების) გამოკითხვა-შემოწმება“ შესასწავლ ენაზე მიმდინარეობს, და მაშასადამე, მთელი გაკვეთილი პრეზენტაციის გარდა, ამ ენის ასათვისებელი ვარჯიშია.

მოკლედ, როგორც უკვე ითქვა, უცხო ენის გაკვეთილი, ფაქტიურად, ენობრივ და სამეტყველო სავარჯიშოთა სისტემას წარმოადგენს და საუკეთესო გაკვეთილად ითვლება ის, სადაც დროის 80-90% კლასი ვარჯიშობს ენასა და მეტყველებაში, ე.ი. ლაპარაკობს, წერს, აუდირებს ან კითხულობს (კომუნიკაციური დიდაქტიკა).

უცხო ენის სწავლების კერძო პრინციპები

1. სანიმუშო მოდელებზე სწავლების პრინციპი, რომელიც გვკარნახობს, რომ უცხო ენის და მასზე მეტყველების სწავლება უნდა ხორციელდებოდეს არა ცალკეული, იზოლირებული ენობრივი ერთეულების – ფონემების, მორფემების და თუნდაც სიტყვებისა და შესიტყვებების ბაზაზე, არამედ სანიმუშო, ტიპურ და საკომუნიკაციო ღირებულების მქონე წინადადებათა საფუძველზე.

იგულისხმება ინტონაციური, სიტყვათწარმოების, ფორმათწარმოების, ე.ი. მრავლობითი რიცხვის, კუთვნილებითი ბრუნვის, შედარების ხარისხების და დროების მანარმოებელი, და თავისუფალ შესიტყვებათა და წინადადებათა მოდელები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ ენის ინვენტარს და მის ფუნქციონირებას.

2. ენობრივი და სამეტყველო სავარჯიშოების შეხამების პრინციპი, რომელიც გულისხმობს ენაში ვარჯიშის მეტყველების პრაქტიკასთან შეზავებას.

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, უცხო ენის სწავლების პროცესი ერთდროულად ორ ფრონტზე და შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობს: ჯერ ტარდება გარკვეული ენობრივი მასალის ჩვევის დონეზე ათვისებისათვის საჭირო ვარჯიში (ენობრივი სავარჯიშოების მეშვეობით), შემდეგ კი მას მაშინვე მოსდევს ამავე ენობრივი მასალის ბაზაზე მეტყველების პრაქტიკა – უფრო ჭარბი ვარჯიში მეტყველებაში.

ეს პრინციპი ნაკარნახევია უცხო ენის სწავლების მიზანდასახულობით სკოლაში, რაც ამ ენაზე მოსწავლის ამეტყველებაში მდგომარეობს. ხოლო, მოსწავლემ რომ ამ ენაზე იმეტყველოს, მან ეს ენა, ე.ი. გარკვეული რაოდენობის სიტყვები და მყარი შესიტყვებები უნდა იცოდეს და მათი ავტომატიზებული ხმარება შეეძლოს.

მაშასადამე, ეს პრინციპი საბოლოო მიზნისაკენ – მოსწავლის უცხო ენაზე ამეტყველებისაკენ მიმავალი სავალდებულო გზა და საშუალებაა.

3. მეტყველების სახეების თანამოქმედების პრინციპი ენის ბუნებრივი ფუნქციონირების ანარეკლია. დიალოგი შეუძლებელია მონოლოგისა და აუდირების გარეშე, კითხვა წერის გარეშე და პირიქით. მაშასადამე, მეტყველების სახეები ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, და ისინი სწავლების პროცესშიც უნდა თანამოქმედებდნენ და ჰარმონიულად ვითარდებოდნენ.

4. აპროქსიმაციის (approximative) პრინციპი. ვერბალური

ურთიერთობა, განსაკუთრებით მისი მთავარი სახე, დიალოგური ზეპირმეტყველება – როგორც თვით ლაპარაკი, ისე აუდირება, დედაენაზეც არაა დაზღვეული გარკვეული ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული და ლოგიკური შეცდომებისაგან.

მით უმეტეს არაა საგანგაშო მოსწავლეთა მიერ უცხო ენის სწავლის პროცესში დაშვებული შეცდომები.

შეცდომები რა თქმა უნდა, უნდა გასწორდეს, მაგრამ მასწავლებლის რეაგირება ამ ბუნებრივ მოვლენაზე უნდა იყოს ტაქტიანი და კეთილგანწყობილი და არა პედანტური და მითუმეტეს „ჟანდარმული“.

აპროქსიმაციის პრინციპი გულისხმობს ისეთი შეცდომების მოთმენას, პატიებას, რომლებიც ხელს არ უშლის გაგება-გაგებინებას. ჩვენ რა თქმა უნდა, ვესწრაფვით იდეალურ ცოდნასა და მეტყველებას, მაგრამ სკოლის არასაკმარისი შესაძლებლობების და სხვა მიზეზების გამო იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ ე.წ. აპროქსიმაციული, ე.ი. სტანდარტულთან მიახლოებული მიღწევებითაც. ოღონდ ეგაა, რომ აპროქსიმაციის ხარისხი (მინიმალური და მაქსიმალური აპროქსიმაცია) გავლენას ახდენს მოსწავლეთა პასუხების შეფასებაზე.

სახელდობრ, მაქსიმალური აპროქსიმაცია, მაქსიმალური მიახლოებულობა სტანდარტთან, სხვა სათანადო მონაცემების შემთხვევაში, ნებას იძლევა დაინეროს უმაღლესი შეფასება – 10 ქულა; მაშინ როდესაც მინიმალური აპროქსიმაცია ის უმაღლესი ზღვარია, რომლის ქვევით დაშვება აღარ შეიძლება, და რომელიც, სხვა სათანადო მონაცემების შემთხვევაში ნებას იძლევა შეფასდეს საშუალოდ – 6-5 ქულით.

5. კითხვისა და წერისადმი ზეპირმეტყველების წინსწრებულობის პრინციპი. ეს პრინციპი იმ სქემის დუბლიკატია, რა სქემითაც, რა თანმიმდევრობითაც ბავშვი ეუფლება დედაენას, იმ განსხვავებით, რომ თანმიმდევრულ საფეხურებს შორის შუალედი აქ ან სულაც არ არსებობს, ანდა მაქსიმალურად შემოკლებულია.

როგორც ცნობილია, დაახლოებით ერთი წლის ასაკამდე, ბავშვი ჯერ მხოლოდ ისმენს და გებულობს, ე.ი. აუდირებს; შემდეგ იგი თვითონაც იწყებს ლაპარაკს; ხოლო სკოლაში მისვლისას იგი სწავლობს წერა-კითხვასაც.

ამ სქემას მიჰყვება უცხო ენის სწავლების პროცესიც, ოღონდ აქ აუდირებასა და ზეპირმეტყველებას შორის შუალედი არ არსებობს, ისინი ერთდროულად ისწავლებიან და ეს ტანდემი მთელი პირველი მეოთხედის მანძილზე გრძელდება, რომლის განმავლობაშიც არც არაფერს კითხულობენ და არც წერენ, გარდა ანბანის ასოთმობაზულობისა. ამ შესავალი ზეპირმეტყველების კურსის გავლის შემდეგ, ე.ი. მეორე მეოთხედიდან კლასი გადადის წერა-კითხვაზე და კითხულობენ და წერენ ძირითადად მხოლოდ იმას, რაც ზეპირმეტყველების კურსში გაიარეს.

6. სწავლების დაწყებითი ეტაპის ინტენსიფიკაციის პრინციპი ნაკარნახევია ენისა და მეტყველების ურთიერთდამოკიდებულობით და იგი გულისხმობს უცხო ენის სწავლების დაწყებითი საფეხურის ინტენსიფიკაციას; ე.ი. პირველი ორი წლის ცხრილების გაჯერებას უცხო ენის გაკვეთილებით, მეტი საათების ჩატარებას და შესაბამისად, მეტი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ათვისებას, ვიდრე შემდგომ კლასებში.

უცხო ენაზე გამოყოფილი საათების კლასებზე თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში, მოსწავლეს დიდხანს მოუხდებოდა ცდა, სანამ საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს დააგროვებდა; თუნდაც ისეთი მარტივი წინადადების შედგენისა და წარმოთქმისათვის, როგორცაა მაგალითად, *We are fond of the English language.* ეს კი, გამოიწვევდა მის იმედგაცრუებას, მისი ენთუზიაზმის განელებას და მისი ინტერესის შესუსტებას საგნისადმი.

უცხო ენის სწავლების სპეციალური პრინციპები

აქ განეკუთვნება ენის ასპექტების, მეტყველების სახეების, ენის სპეციფიკურ ჯგუფებსა და პირობებში და სპეციფიკური საშუალებებით სწავლების პრინციპები, როგორცაა:

1. ენის ასპექტების, ე.ი. ფონეტიკა-ფონოლოგიის, ორთოგრაფია-ორთოეპიის, ლექსიკისა და გრამატიკის სწავლების პრინციპები;

2. სამეტყველო მოქმედიანობის, ე.ი. ლაპარაკის, აუდირების, წერისა და კითხვის სწავლების პრინციპები;

3. უცხო ენის სწავლებაში თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების პრინციპები;

4. უცხო ენის სწავლების პრინციპები განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონეთა (ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა) სკოლებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

დასამუშავებელია უცხო ენის სწავლების პრინციპები საბავშვო ბაღში, სპეციალურ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა (ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა) სკოლებში, სატუსალოებში და სხვა; რომ აღარაფერი ვთქვათ ცალკეული სამეტყველო მოქმედიანობის სახეების სწავლებაზე.

უცხო ენის სწავლების მეთოდები

პედაგოგიკაში მეთოდი განიხილება, როგორც კონკრეტულ პირობებსა და ვითარებაში, კონკრეტული სასწავლო თუ სააღმზრდელო მიზნის მისაღწევად მასწავლებლისა და მოსწავლის რეგულარულად განმეორებადი თანამოქმედება.

ეს ტრადიციულად გულისხმობს მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის „ცოდნის გადაცემას“, ე.ი. მათთვის ასათვისებელი მასალის გაცნობას, პრეზენტაციას, თხრობის, სასკოლო ლექციის მეშვეობით, რაც მოსწავლეებმა უნდა დაისწავლონ მრავალჯერადი ნაკითხვის, თემების წერის, მაგალითებისა და ამოცანების გამოყვანაზე ვარჯიშის გზით; და შემდეგ გაკვეთილზე მასწავლებელს ჩააბარონ ნიშანზე.

ცხადია, ეს ზოგადი მეთოდი, მასწავლებლისა და მოსწავლის ეს თანამოქმედება თავისებურად კონკრეტდება ცალკეული საგნების სწავლებაში.

მაგალითად, ასტრონომიის, ბიოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდებია – მასწავლებლის მხრიდან – სასკოლო ლექცია, თხრობა, საუბარი, ექსკურსიების მოწყობა, მოსწავლის მხრიდან – მოსმენა, წიგნზე მუშაობა, თხრობა (მოყოლა), ექსკურსიებში აქტიური მონაწილეობა, რასაც გეოგრაფიისა და ისტორიის შემთხვევაში, ორსავე მხრიდან ემატება გეოგრაფიული პუნქტების ჩვენება რუკაზე.

არითმეტიკის, ალგებრის, გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიის სწავლებაში გამოიყენება – მასწავლებლის მხრიდან ახსნა, წესის ფორმულირება და საილუსტრაციო მაგალითების და ამოცანების გამოყვანის ხერხების დემონსტრირება, მოსწავლის მხრიდან კი – მოსმენა, დაკვირვება, წესების დასწავლა-ფორმულირება და მაგალითებისა და ამოცანების გამოყვანაში ვარჯიში.

ამავე მეთოდებს მიმართავენ ფიზიკისა და ქიმიის სწავლებაშიც, ცდების ჩატარება მეთოდის დამატებით, როგორც

მასწავლებლის, ისე მოსწავლის მხრიდან.

როგორც ვხედავთ, ეს მეთოდები ძირითადად ორიენტირებულია მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნის გადაცემასა და ამ უკანასკნელების მიერ ამ ცოდნის ათვისებაზე, რაც გარკვეულწილად ამართლებს იმ საგნების სწავლებაში, რომლებიც მეცნიერებათა საფუძვლებს წარმოადგენენ.

მაგრამ სწავლების ეს მოდელი ვერ მუშაობს სათანადო უკუგებით ისეთი სპეციფიკური საგნის სწავლებისას, როგორც უცხო ენაა, სადაც სწავლების ძირითადი მიზანი სამეტყველო უნარ-ჩვევების ფორმირებაა; სათანადო, ე.ი. ენობრივი ცოდნის ათვისებას კი მხოლოდ შუალედური, დაქვემდებარებული როლი აკისრია.

მეთოდზე „რანგით“ დაბალი და ცალკეული სასწავლო ამოცანის გადასაწყვეტი ეპიზოდური, სახელდახელო ღონისძიებაა „ხერხი“. თუმცა, ზოგიერთი მეთოდისტიც აზრით, – თუ ისეთი ხერხი, როგორც განმარტება-კომენტირებაა (რომელიც ფართოდ გამოიყენება ზეპირმეტყველებისა და კითხვის სწავლებისას) საფუძვლად დავუდეთ მათ სასწავლო პროცესს, იგი ხერხიდან მეთოდად გადაიქცევა.

დღეს უცხო ენის სწავლების ყველაზე ოპტიმალურ, გავრცელებულ და პოპულარულ მეთოდებად მიჩნეულია: 1. ახსნა; 2. დემონსტრაცია; 3. ვარჯიში; და მათი თანმხლები – 4. კონტროლი; და 5. თვითკონტროლი.

1. აქ **ახსნა** ნიშნავს ახალი, ასათვისებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ლინგვისტურად დასაბუთებულ და მეთოდურად მიზანშეწონილ აღწერა-დახასიათებას; და ჩვენ შემთხვევაში, გულისხმობს ენობრივ და სამეტყველო საშუალებათა ფორმის, მნიშვნელობის და ფუნქციონირების მოსწავლეთათვის გაცნობას, რაშიც აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ მოსწავლეებიც.

ახსნას მეტად მოკრძალებული ადგილი უკავია უცხო ენის სწავლებაში და მას უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ, ფაქტიურად სწავლების დაწყებით ეტაპზე, შემდეგ კი მხო-

ლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულ ენობრივ მოვლენას დედაენაში ანალოგი არ გააჩნია.

2. **დემონსტრაცია** უცხო ენის სწავლებაში ნიშნავს არა მარტო ვიზუალურ საშუალებათა, ე.ი. რეალურ და ბუტაფორულ საგანთა, სურათების, ნახაზების, მოძრაობების ჩვენებას, არამედ და უფრო მეტად, სმენით-ვერბალურ თვალსაჩინოებას.

ახალი მასალის პრეზენტაციისა და შემდგომ შეცდომების გასწორებისას მასწავლებელი ახდენს ენობრივი ერთეულების სწორი წარმოთქმის, დაწერილობის მნიშვნელობებისა და ფუნქციონირების სანიშნო დემონსტრირებას.

3. უცხო ენის სწავლების მთავარი, წამყვანი მეთოდია **ვარჯიში**; ვარჯიში ენასა და მეტყველებაში; რამეთუ, ენობრივი მასალის ათვისებისა და სამეტყველო უნარ-ჩვევების ფორმირებისათვის აუცილებელია ამ ენობრივ მოვლენასთან მრავალჯერადი შეგნებული, არამექანიკური, დაჭირვებული შეხვედრა. ზოგიერთი მეთოდისტი აქ კონკრეტულ ციფრსაც ასახელებს – ესაა 125-ჯერ ენობრივი მოვლენის აქტიური, შემოქმედებითი გამეორება, მისი აკუსტიკურ-არტიკულაციურ, ვიზუალურ და გონებრივ ანალიზატორებში გატარება.

ცურვა ცურვით უნდა ასწავლო და ისწავლო, მეტყველება – მეტყველებით, ე.ი. ლაპარაკსა, წერასა, აუდირებასა და კითხვაში ვარჯიშით. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, მეტყველებაში ვარჯიში ყველაფერი იმის ინსცენირება და რეპეტიციაა, თუ როგორ უნდა აწარმოოს სკოლადამთავრებულმა ვერბალური ურთიერთობა მოცემული უცხო ენის მატარებელთან.

ასე რომ, ვარჯიში და რეალური სამეტყველო მოქმედებები მოიცავს უცხო ენის სწავლების ყველა სფეროსა და სტადიას. უცხო ენის გაკვეთილი სინამდვილეში ენობრივი და სამეტყველო სავარჯიშოების სისტემაა და საუკეთესო გაკვეთილად ითვლება ისევე და ისევე ის გაკვეთილი, სადაც მთელი დროის 80-90% კლასი ან ლაპარაკობს, ან ისმენს, ან წერს და ან კითხულობს.

4. **კონტროლი** და 5. **თვითკონტროლი** სასწავლო-სააღ-

მზრდელი პროცესის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტებია.

კონტროლი საშუალებას აძლევს მასწავლებელს თვალი გადაედევნოს როგორ ხორციელდება პროგრამული მიზანდასახულობანი მოცემულ კლასსა და ცალკეულ მოსწავლეებში, რათა დროზე შეიტანოს სათანადო კორექტივები თავის მუშაობაში.

ინტერაქტიული სწავლების კონცეფციიდან გამომდინარე, საკონტროლო ღონისძიებებში ფართოდ უნდა ჩავრთოთ მოსწავლეებიც.

ზეპირმეტყველებისა და დაფაზე მუშაობისას ეს ახლაც ხდება, მაგრამ საჭიროა მოსწავლეებს „ვანდოთ“ საკუთარი და თავიანთი ამხანაგების წერიტი ნამუშევრების შემოწმება-შეფასებაც, მასწავლებლის მიერ მიცემული კრიტერიუმების მიხედვით, რომელთაც შემდეგ, უკვე მესამე ფერის საწერკალმით, თვით მასწავლებელი შეამოწმებს და შეაფასებს.

ეს „ახალი ხილი“ მოსწავლეებს მიაჩვევს თვითკონტროლსა და (რეფლექსია-)თვითშეფასებას, რაც არა მარტო აამაღლებს მათი შრომის ნაყოფიერებას, არამედ ნათელყოფს მასწავლებლის მიერ დასმული ნიშნების ადეკვატურობასაც.

დღევანდელი პედაგოგიკიდან და სასწავლო-სააღმზრდელი პრაქტიკიდან საბოლოოდ უნდა ამოიშანთოს „დამნაშავე“ მოსწავლის ყოველგვარი დაგმობა-გაკიცხვისა და მითუმეტეს, დასჯის მეთოდი, რამეთუ თუ ბატონ შალვა ამონაშვილს შევეხმიანებით, აკადემიურ თუ ყოფაქცევით „ჩავარდნებში“ დამნაშავეა არა მოსწავლე, არამედ მთელი საზოგადოება თავისი გენეტიკური მეცნიერებით, პედაგოგიკით, მასწავლებლებითა და მშობლებით.

ასე რომ, ნამდვილი მასწავლებელი კი არ უნდა „ასმენდეს“ მოსწავლეს მშობელთან, არამედ ამ უკანასკნელთან ერთად ეძებდეს ქმედით, გულშემატკივრულ და ტაქტიან გამოსავალს შექმნილი არასასურველი სიტუაციიდან.

ინტერაქტიული სწავლება

უპრიანია, ცალკე გამოცემა ჩვენში შედარებით ახლადდა-
ნერგილი ინტერაქტიული/ინტერაქციული სწავლება, სადაც
„მთავარი გამწვევი ძალა“ სწორედ მოსწავლეა.

ინტერაქტიული სწავლების მეთოდები მოსწავლეთა ჩართუ-
ლობით შესასწავლ მასალაზე აქტიური მუშაობის საშუალებას
იძლევა და დაგროვილი ცოდნის გაღრმავება-გაუმჯობესების-
კენაა მიმართული. ასეთად მოიაზრება:

- დისკუსია/დებატები (discussion/debates);
- ჯგუფური და თანამშრომლობითი მუშაობა (collaborative and cooperative learning/small-group learning);
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL – Problem-Based Learning);
- ევრისტიკული მეთოდი (heuristics/heuristic approach – “rules of thumb”)
- გონებრივი იერიში (brainstorming)
- როლურ-სიტუაციური თამაშები (role-play and situational games)
- შემთხვევის ანალიზი (case study)

ელექტრონული სწავლება

მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, განსაკუთრე-
ბული როლი და მნიშვნელობა შეიძინა ელექტრონულმა სწავლებამ.

მოსწავლეები დამოუკიდებლად ან მასწავლებლის მითი-
თებებით ელექტრონულად (თანამედროვე ტექნოლოგიების
გამოყენებით) ამზადებენ დავალებებს, მოიპოვებენ ინფორმა-
ციას, წერენ პროექტებს და ივსებენ ცოდნის მარაგს.

ამგვარად, ისინი უფრო ნათლად ხედავენ თავიანთ ძლიერსა
თუ სუსტ მხარეებს, ეჩვენებიან საკუთარ თავზე მუშაობას და
მეტი სტიმული ეძლევათ ამა თუ იმ დავალების წარმატებით
შესასრულებლად.

უხსო ენის სწავლების საშუალებები

სწავლების საშუალებებს ორ ტიპად ყოფენ:

1. პირველი და იდეალური, ესაა **ენობრივი გარემო**, სადაც ენას, რა თქმა უნდა განსხვავებულ დონეზე და ხარისხში, მაგრამ ყველა ეუფლება; და

2. სწავლების **ხელოვნურ საშუალებათა ერთობლიობა**, რომელთა დანიშნულება ბუნებრივი ენობრივი გარემოს შესაძლო მაქსიმალური ილუზირება, ენობრივი მასალის და სამეტყველო მოქმედიანობის სათანადო გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მოსწავლეთა სასწავლო ინტერესის გაღვივება, მათი ამ საგნისადმი ერთუზიანობის შენარჩუნება და ამგვარად, მთელი სასწავლო პროცესის ოპტიმიზირებაა.

როგორც ვიცით, ვერბალური ურთიერთობა, ანუ ინფორმაციის გადაცემა და მიღება ან ბგერითი, ანუ სმენითი არხით ხორციელდება; ანდა გრაფიკული, ანუ მხედველობითი არხით.

სმენითი არხის თავში, ამ ზეპირი ინფორმაციის გადამცემ პუნქტში, მთქმელის სამეტყველო ორგანოები არტიკულირებენ, ახმოვანებენ, წარმოთქვამენ, ცნობიერების მიერ შინაგან მეტყველებაში ჩაფიქრებულ წინადადებას, რომელიც ჰაერის სათანადო კონფიგურაციის მქონე ტალღური რხევების სახით აღწევს მსმენელის ყურამდე, სადაც იგი აღიქმება, შემდეგ კი იქიდან გადაეცემა ცნობიერებას, რათა მოხდეს ამ წინადადების შემადგენელ სიტყვათა ამოცნობა, მათი გრძელვადიან მეხსიერებაში არსებულ ეტალონებთან შედარება-შეტოლების გზით და ამგვარად, ამ წინადადების ამოცნობა-გაშიფვრა.

ანალოგიურად ხორციელდება გრაფიკული ინფორმაციის გადაცემა და მიღება მხედველობითი არხით; იმ განსხვავებით, რომ აქ მთქმელის ცნობიერებასა და სამეტყველო ორგანოებს ცვლის დამწერის ცნობიერება და ხელი; მსმენელის ცნობიერებასა და ყურს კი – მკითხველის თვალი და ცნობიერება.

მაშასადამე, ვერბალური ურთიერთობის წარმატებით სწავრობებლად საჭიროა მასში მონაწილე ყველა ამ ორგანოთა სა-

თანადო განვრთნა-გავარჯიშება, რაც შეუძლებელია მარტოდენ სახელმძღვანელოს მეშვეობით.

ამიტომ, ახლა დღის წესრიგში დგას სწავლების ყველა ტრადიციული, ე.ი. არატექნიკური და თანამედროვე, ე.ი. ტექნიკური საშუალებების ინტეგრაცია, კომბინირება, ე.წ. მასწავლებლისა და მოსწავლის კომპლექტების სახით.

მასწავლებლის კომპლექტში უნდა შევიდეს:

1. პროგრამა, როგორც სწავლების მიზნის, სტრუქტურისა და შინაარსის განმსაზღვრელი და მთელი სასწავლებო-სააღმზრდელო პროცესის მარეგლამენტირებელი და მარეგულირებელი დოკუმენტი;

2. მასწავლებლის წიგნი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია პროგრამასა და სახელმძღვანელოსთან, და რომელიც მასწავლებელს სთავაზობს სახელმძღვანელოებში დასმული ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტულ მეთოდურ რეკომენდაციებს;

3. აუდიო – ანუ სმენითი საშუალებები (როგორიცაა: ა) აუდიოჩანაწერები; და ბ) სკოლის რადიო);

4. ფოტო-ვიდეო/ვიზუალური საშუალებები (როგორიცაა: ა) რეალური ან ბუტაფორული საგნები; ბ) ფართოფორმატიანი სურათები; გ) შესასწავლი ენის მატარებელი ქვეყნების რუკები და ღირსშესანიშნაობათა ხედები; დ) დასარიგებელი დიდაქტიკური მასალა – ასოები, ციფრები, ტრანსკრიფციის ნიშნები, სასწავლო ლოტოს დაფები და სურათებზე დასაფარებელი ჟეტონები; ე) ფართოფორმატიანი ორთოგრაფიული კითხვის წესების, სიტყვათწარმოების, წესიერ და არანესიერ გრამატიკულ ფორმათა წარმოების და წინადადებათა ფორმების წარმოების სანიმუშო ცხრილები; ვ) სინონიმების, ანტონიმებისა და ომონიმების ცხრილები; ზ) დაპროგრამებული სავარჯიშოების კრებული; თ) ლინგვისტური თამაშების კრებული; ი) კლასგარეშე მუშაობის დამხმარე სახელმძღვანელო; კ) პულტი სამართავი კინო-კადრები);

5. აუდიო-ვიდეო ანუ სმენით-მხედველობითი საშუალებები (როგორიცაა: ა) სათითოეულკლასო ვიდეომასალა; ბ) სასწავლო თუ მხატვრული ფილმები; გ) პროექტორი სათანადო ვიზუალური მასალით);

გარდა ამისა, უცხო ენის მასწავლებლის განკარგულებაში უნდა იყოს სპეციალური კაბინეტ-ლაბორატორია: ა) კომპიუტერებითა და ინტერნეტით; ბ) ტელევიზორით ფილმებისათვის; გ) პროექტორით; დ) კედლებზე ფართოფორმატიანი ყველა ვიზუალური თვალსაჩინოებითა; და ე) შესასწავლ ენაზე მოღვაწე გამორჩენილ პიროვნებათა პორტრეტებით.

ამავე კაბინეტში ერთუზიასტ მასწავლებელს აგრეთვე შეუძლია მოაწყოს სკოლის რადიო, საიდანაც შესვენებებზე უფროსკლასელთა ძალებით უცხო ენაზე გადაიციემა მოკლე ცნობები მსოფლიოში, ქვეყანასა და სკოლაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი ამბები. ასეთივე ინფორმაციით მოსწავლეები უნდა გამოდიოდნენ გაკვეთილის შესავალში ე.წ. „დაჭურვის“ დროს.

დანეებით კლასელთათვის ჩანერილი უნდა იყოს ენობრივ ერთეულთა, ე.ი. ბგერების, სიტყვების, შესიტყვებების და წინადადებების სანიმუშო წარმოთქმა მოსწავლეთა აღქმასა და იმიტაციაში ვარჯიშისათვის.

საშუალო და უფროსკლასელთათვის კი - აუდიოჩანაწერზე უნდა იყოს აღბეჭდილი კაცის, ქალის, ბავშვის საყოფაცხოვრებო მონოლოგური და დიალოგური მეტყველების ნიმუშები, ზღაპრები, ნოველები და კინოსცენარები, რომელთა გაგების შემოწმება შეიძლება კითხვა-პასუხებით, თარგმანით, მშობლიურ და შესასწავლ ენაზე თხრობით.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვერავითარი ტექნიკა, ვერავითარი კომპიუტერი და ინტერნეტი ვერ შეცვლის და ჩაანაცვლებს მასწავლებელს, რომელიც სასწავლო პროცესის წამყვანი ფიგურაა თავისი ყოფაქცევით, პიროვნულობითა და მეტყველებით.

მოსწავლის კომპლექტში უნდა შევიდეს:

1. უცხო ენის სახელმძღვანელო.
2. შესასწავლი ენისა და დედაენის ორმხრივი თარგმნითი ლექსიკონები;
3. შესასწავლი ენის გრამატიკა;
4. დაპროგრამებული სავარჯიშოების კრებული.
5. სამხარეთმცოდნეო ცნობარი;
6. შესასწავლი ენების მატარებელი ქვეყნების გეოგრაფიული ატლასები;
7. საშინაო კითხვის წიგნები;
8. დასაჭრელი დიდაქტიკური მასალა;
9. აუდიო-ვიდეო მასალა;
10. სიუჟეტური სურათების ალბომი;
11. პროექტორი;
12. თემატური სასწავლო კინოფილმები და მოკლემეტრაჟიანი თუ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები.

ასეთად გვესახება მასწავლებლისა და მოსწავლის კომპლექტთა შედგენილობა, რომლებიც მოთხოვნილებისდა მიხედვით კლასებზე განაწილდება და რომლებიც, ბუნებრივია, შეიცვლება და შეივსება დრო და ჟამის შესაფერად და შემოქმედ მეთოდისტთა და მასწავლებელთა ინიციატივების შესაბამისად.

კომპლექტების პრაქტიკული სახით გამოცემა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დაიწყო, ოღონდ მხოლოდ რუსეთის რუსული სკოლებისათვის, საქართველოში კი ეს საქმე იდეა-მოსაზრებების დონეს არ გასცდენია; მაგრამ იმედია, როცა ქვეყანა ფეხზე დადგება, ამ საშურ სიახლესაც მიეხედება.

სახელმძღვანელოს პოზიციები

სწავლების ხელოვნურ საშუალებათა შორის წამყვანი, დისპენერისებრი როლი აკისრია სახელმძღვანელოს, რომელიც სათანადო დავალებებს აწვდის სხვა საშუალებებზე და დასმული ამოცანების რეალიზებაში იშველიებს მათ.

იგი, როგორც პროგრამის შესრულების მთავარი გარანტი და მეგზური განუხრელად უნდა პასუხობდეს ყველა ზოგად-დინამიკურ და საკუთრივ უცხო ენის მეთოდის პრინციპთა მოთხოვნებს.

იდეალური ქვეყანაზე არაფერია, რამეთუ უსასრულოა თვით ჭეშმარიტება, მაგრამ ასეთივე უსაზღვრო და უსამანოა სრულყოფაც, რომლისკენ სწრაფვა მუდმივი პროცესია; თუმცა, ეს სწრაფვა და საერთოდ განვითარება როდია ყოველთვის სწორხაზოვანი, არამედ ზოგჯერ ზიგზაგურიც.

ინგლისური ენის დღემდე მოქმედი ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი დაწერილია არაქართულენოვანი სკოლისათვის შედგენილი პროგრამისა და ლექსიკურ-გრამატიკული მინიმუმების მიხედვით, რის გამოც ქართველი მოსწავლე მათში ვერ პოულობს და ვერ ითვისებს იმ მისთვის აუცილებელ ცნება-სიტყვათა, მყარ შესიტყვებათა და გრამატიკულ სტრუქტურათა ინგლისურ შესატყვისობებს, როგორცაა: გამეტება, გასაღება, განირვა, დამადლება, შელევა, შემოხარჯვა, მოქმედებათა ნებელობა-უნებლობა, კაუზატიურობა, თურმეობითობა და სხვა, რომელთა გარეშე ქართულად მოაზროვნე ადამიანი ვერცერთ ენაზე ნორმალურად ვერ ისაუბრებს.

მაშასადამე, პირველ ყოვლისა აუცილებელია შემუშავდეს უცხო ენების სწავლების საერთაშორისო მონინავე პრაქტიკასთან შეჯერებული, უცხო ენების სწავლების ქართული ეროვნული პროგრამა და დადგინდეს სათანადო ენობრივი მინიმუმები, რომელთა საფუძველზე შეიქმნება უცხო ენების

ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე საშუალებები.

უცხო ენის სახელმძღვანელოში ენობრივი მასალის განლაგების ორი ძირითადი პრინციპი არსებობს – კონცენტრული და ციკლური.

პირველი, ე.ი. კონცენტრული პრინციპი გულისმობს ერთსა და იმავე სახელმძღვანელოში და სწავლების სხვადასხვა ეტაპზე ერთი და იგივე ენობრივი მასალის მრავალჯერად, სულ უფრო მზარდი მოცულობითა და სიღრმით წარდგენა-დამუშავებას, ამ მასალის შესაძლო სრულ ამონურვამდე.

მაგალითად, არტიკლზე მუშაობა იწყება ენის სწავლების პირველივე გაკვეთილებზე და მას რამდენჯერმე ვუბრუნდებით შემდეგ კლასებშიც, მის შედარებით სრულყოფილად ათვისებამდე; მაშინ, როდესაც ციკლური პრინციპი გულისხმობს ენობრივი მასალის ერთჯერად, ერთი ხელის დაკვრით და მთელი სიგრძე-სიგანით წარდგენა-დამუშავებას.

კონცენტრული პრინციპით სასკოლო სახელმძღვანელოებში განლაგებულია გრამატიკული მასალა; ციკლურად კი – მუშავდება უმეტესწილად ლექსიკა და ეს იწყება VI კლასიდან, როდესაც სახელმძღვანელოში უკვე დომინირებს თემატური ხასიათის ტექსტები.

ცხადია, უფრო დეტალურად როგორც სახელმძღვანელოს, ისე მთელი სასწავლო პროცესის პრობლემატიკა უნდა განდევნიტოს ახალმა ქართულმა პროგრამამ.

უცვლელი რჩება მხოლოდ ის აქსიომა, რომ მხოლოდ თუნდაც საუკეთესო სახელმძღვანელო და საუკეთესო გაკვეთილები ვერ უზრუნველყოფენ ენობრივი ჩვევების ფორმირებას და სამეცყველო უნარ-ჩვევების განვითარებას სწავლების სხვა საშუალებების, კლასგარეშე მუშაობისა და რაც მთავარია, თვით მოსწავლის დამოუკიდებელი, მონდომებული შრომის გარეშე.

თუ მოსწავლეს სურს უცხო ენას დაეუფლოს, იგი უნდა დაუმეგობრდეს ტექნიკურ საშუალებებსა და წიგნს; ის სისტემა-

ტურად უნდა ისმენდეს მამაკაცის, ქალისა და ბავშვის უცხო-
ენოვან მეტყველებას, ინერდეს და აკონტროლებდეს თავის
მეტყველებას და ყოველდღიურად კითხულობდეს ლიტერა-
ტურას შესასწავლ ენაზე; უნდა კითხულობდეს ადვილ და სა-
ინტერესო ნაწარმოებებს თავისი სიამოვნებისათვის და არა
როგორც იძულებით „ხარკსა“ და „ბეგარას“.

ენობრივი მასალა – ენის ინჟინტარი

ენის უმცირესი ე.ი. შემდგომ დაშლადი საშენი მასალაა სა-მეტყველო ბგერა ანუ **ფონემა (phoneme)**, რომელსაც თავისი საკუთარი მნიშვნელობა არ გააჩნია; სხვათა, სახელდობრ – მორფემათა და სიტყვათა „მედიატორობა“ კი აკისრია.

ფონემის შემდგომი დონის, შემდგომი საფეხურის ერთეულია სიტყვის უმცირესი ნიშნადი ნაწილი ანუ **მორფემა (morpheme)**.

მორფემის შემდგომი საფეხურია, ასევე, უმცირესი ნიშნადი, მაგრამ უკვე ავტონომიური, თვითკმარი ერთეული – **სიტყვა (word)**.

ფუნქციურად სიტყვის ბადალი, მისი სინონიმური და პარალელური ერთეულია **შესიტყვება (word-combination, phrase)** ანუ ორი ან მეტი სიტყვის შინაარსობრივი გაერთიანება.

შესიტყვებები ორგვარია: **მყარი შესიტყვება (set word-combination, set phrase)**, რომელიც ოდესღაც ვიღაცას შეუქმნია და ახლა, ასე მზა ფორმით ისწავლება და იხმარება; და **თავისუფალი შესიტყვება (free word-combination)**, რომელიც თვით მეტყველების ე.ი. ლაპარაკისა და წერის პროცესში იქმნება იმჯერადი მოხმარებისთვის, ენაში არსებული კანონების მიხედვით.

თავის მხრივ, მყარი შესიტყვებებიც ორგვარია: 1. **ტრადიციული, არაიდომატური, გამჭვირვალე შესიტყვება (traditional, non-idiomatic, transparent set word-combination)**, რომლის მნიშვნელობა მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობების ჯამია, ან გამოიყვანება მათგან და 2. **იდომატური, გაუმჭვირვალე, სხვა ენაზე უთარგმნადი მყარი შესიტყვება (idiomatic, nontransparent, non-translatable set word-combination)**, რომლის მნიშვნელობას არავითარი კავშირი არა აქვს მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობებთან.


დადასტურებულია, რომ წინადადებაში და მაშასადამე, ტექსტებში როგორც წესი, შესიტყვებები გაცილებით სჭარ-

ბობს ცალკეულ სიტყვებს. როგორც წესი - მაგრამ ბუნებრივია, არა ყოველთვის.

სიტყვისა და შესიტყვების ზემდგომი საფეხურია **წინადადება (sentence)**.

ხოლო, წინადადების ზემდგომი და ამ იერარქიის (hierarchy) საბოლოო საფეხურია - **ტექსტი (text)**.

ენა არ არის ერთგვაროვან შემადგენელთა ერთობლიობა, არამედ იგი სულ სხვადასხვა ინგრედიენტთა მრავალნაზნაგა კონსტრუქციაა. ენა სისტემური წარმონაქმნია, რომლის არსენალი - ენის ერთეულები ქმნიან შემდეგ იერარქიულ (საფეხურებრივ) პირამიდას:



აქ შეიძლება შემოგვედავონ, რომ თავისუფალი შესიტყვებები, წინადადებები და ტექსტები ენა კი არა, უკვე მეტყველებაა - რაც სავსებით სწორია; ოღონდ იმის დამატებით, რომ მეტყველებაა კონკრეტული, ლექსიკით შევსებული თავისუფალი შესიტყვებები, კონკრეტული წინადადებები და ტექსტები. ხოლო, როდესაც მყარ შესიტყვებას, წინადადებასა და ტექსტს ენის კუთვნილებად ვაცხადებთ, მხედველობაში გვაქვს მათი „ცარიელი“, „ლექსიკაჩაუტვირთავი“ ფორმულები, „ყალიბები“, „თარგები“, ჩარჩოები, მოდელები, რომელთა მიხედვითაც ეს კონკრეტული ერთეულები იქმნება და რომლებიც, ენის საკუთრებაა, ენას განეკუთვნება - ისევე როგორც ფონემები, მორფემები, სიტყვები და მყარი შესიტყვებები.

განვიხილოთ ამ იერარქიის ხუთივე დონის წარმომადგენლობა ცალ-ცალკე.

როგორც უკვე ითქვა, ფონემა ის სამეტყველო ბგერაა, რომელიც მორფემებისა და სიტყვების საშენ მასალას წარმოადგენს და რომელიც, ერთ მორფემას თუ ერთ სიტყვას მეორისაგან გა-

ნასხვავეებს. მაგალითად, ბგერები [d - დ, p - ფ, t - თ; æ - ლრმა ე, e - ე, i - ი] ფონემებია ინგლისურისთვის, რადგანაც ისინი აქ ურთიერთმონაცვლეობითა და ადგილმონაცვლეობით ქმნიან და განასხვავენ შემდეგ სიტყვებს: [den] den ბუნავი - [pen] pen სანერკალამი - [ten] ten ათი; [pæn] pan ტაფა - [pen] pen სანერკალამი - [pin] pin ქინძისთავი; [den] den ბუნავი - [end] end ბოლო, [ten] ten ათი - [net] net ბადე . . .

სხვანაირად რომ ვთქვათ, ფონემა მორფემათა და სიტყვათა მშენებელ-გამმიჯნავი ბგერაა.

ქართულში ხშირად წარმოითქმის ბგერა [f - ფ] სიტყვებში: აფთო, ნაფთი, ფფიქრობ და ა.შ., მაგრამ რუსულისა და სხვა ენებისაგან განსხვავებით, იგი ვერ განასხვავებს ამ სიტყვებს მათი ყურადღებით წარმოთქმული სწორი ვარიანტებისაგან: ავთო, ნავთი, ვფიქრობ და ა.შ.

ასევე, რუსულისათვის ფონემას არ წარმოადგენს ქართულისა, ფრანგულისა და ძველი ინგლისურისათვის დამახასიათებელი ფონემა 'ლ' - თუმცა, იგი მექანიკურად წარმოითქმის სიტყვებში: Бог, Господи და ა.შ.

თავისი არტიკულაციის, წარმოთქმის რაგვარობის მიხედვით ფონემა (სამეტყველო ბგერა) შეიძლება იყოს მდგრადი ანუ ერთხაზოვანი არტიკულაციის მქონე, რომელსაც მონოფთონგი (monophthong) ეწოდება; ანდა, იგი შეიძლება იყოს გარდამავალი ანუ ორხაზოვანი არტიკულაციის მქონე, რომელსაც დიფთონგი (diphthong) ეწოდება.

ყველა ქართული ფონემა - როგორც ხმოვანი, ისე თანხმოვანი და ყველა ინგლისური თანხმოვანი, მონოფთონგია.

დიფთონგი ანუ ორხმოვანა ორი ხმოვნის ნაჯვარია, სადაც პირველი კომპონენტი მახვილიანია; მეორე - უმახვილო; და პირველიდან მეორეზე გადასვლა ხდება არა პირველის სრული წარმოთქმის ანუ დამართვის შემდეგ, არამედ მისი „შუაგულიდან“ ანუ დაყოვნების ფაზიდან.

ინგლისურში 8 დიფთონგია - [ai, au, ei, ea, ia, oi, əə, au, uə]; [əə]-ს ზოგიერთი ლინგვისტი ცალკე ფონემად არ თვლის, რა-

დგანაც იგი [ა:] -ს ნაკლებადხმარებული ვარიანტია მეოთხე ტიპის მარცვალში: [ხა:, ხაჲ] bore აბეზარი, [მა:, მაჲ] more მეტი, [ქა:, ქაჲ] სანაპირო და ა.შ.

მაგალითად, იწერება *friend*; იკითხება [frend]; შედგენილობით ეს სიტყვა ერთმორფემიანი და მასშასადამე, მარტივია; მისი მნიშვნელობაა - *a helpful, devoted person* - მეგობარი; მისი პარადიგმა ოთხწევრიანია; აქვს ორი რიცხვი - singular და plural numbers და ორი ბრუნვა - common and possessive cases: *friend* (მეგობარი, მეგობარმა, მეგობარს, მეგობრით, მეგობრად, მეგობარო), *friends* (მეგობრები, მეგობრებმა, . . .), *friend's* (მეგობრის), *friends'* (მეგობრების), მისგან ნაწარმოები სიტყვები: *friendly* (მეგობრული), *unfriendly* (არამეგობრული), *friendless* (უმეგობრო) და *friendship* (მეგობრობა), იგი შესიტყვებადია არსებით, ზედართავ და რიცხვით სახელებთან და ნაცვალსახელთა უმრავლესობასთან: *My brother's close, real, good, many, his . . . friends* და წინადადებაში იგი ფუნქციონირებს როგორც: 1. ქვემდებარე - *My friends arrive tomorrow* (ჩემი მეგობრები ხვალ ჩამოდიან); 2. დამატება - *I am fond of my friends* (მე ძლიერ მიყვარს ჩემი მეგობრები); და 3. პრედიკატივი ანუ შედგენილი შემასმენლის სახელური ნაწილი - *These are my friends* (ესენი ჩემი მეგობრები არიან).

ინგლისური ფონეტიკის სწავლება

ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, წარმოიშვა და უმეტესწილად ფუნქციონირებს ზეპირი ფორმით. მაშასადამე, ენის დაუფლება, პირველყოვლისა გულისხმობს ამ ენის ფონეტიკის, ე.ი. ამ ენის ბგერების, ე.ი. ფონემებისა და ინტონემების, ე.ი. ინტონაციური მოდელების ანუ მახვილის, ტონის, რიტმისა და პაუზირების დაუფლებას, როგორც რეპროდუქტულად, ე.ი. წარმოთქმით, ისე რეცეპტულად, ე.ი. სმენით. ამ ფონეტიკური არსენალის სათანადო ავტომატიზებული გარეშე შეუძლებელია არა თუ მარტო ლაპარაკი და აუდირება, არამედ წერაც და კითხვაც.

საქმე ისაა, რომ როგორც ფსიქოლინგვისტები ამტკიცებენ, სიტყვის მნიშვნელობა განუყრელ ასოციაციურ კავშირშია ამ სიტყვის არტიკულაციასთან და მაშასადამე, სიტყვის მნიშვნელობის მეხსიერებაში ამოტივტივება მექანიკურად ინვევს ამ სიტყვის უხმო არტიკულირებას შინაგან მეტყველებაში, და პირიქით.

აქედან გამომდინარე, ვერავითარი ვერბალური ურთიერთობა, ვერავითარი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა ვერ განხორციელდება, თუ ამ ინფორმაციის მატარებელმა სიტყვებმა, როგორც ამ ინფორმაციის გადამცემის, ისე მისი მიმღების შინაგან მეტყველებაში ეს არტიკულირების ფაზა არ გაიარა.

მაშასადამე, უცხო ენის სწავლა-სწავლებისას ჩვენი უპირველესი ამოცანაა სიტყვების მნიშვნელობებსა და ამ სიტყვების არტიკულაციებს შორის მტკიცე ასოციაციური კავშირის დამყარება.

ბუნებრივია, სულ სხვა მეთოდით უნდა ვასწავლოთ ენა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს (დაბადებიდან ყრუ-მუნჯებს), რომლებიც სხვებთან მხოლოდ გრაფიკული ტექსტებით ურთიერთობენ; ერთმანეთთან კი – შესტების ენით.

რაც შეეხება უსინათლოებს, მათთვის ზეპირმეტყველებისა და აუდირების სწავლება ჩვეულებრივი მეთოდის ფარგლებს არ სცილდება. ერთადერთი, რასაც მათ ვერ ვასწავლით, და რაც მათ არ შეუძლიათ, ესაა გრაფიკული ინფორმაციის გადაცემა; მიღებით კი, ასეთ ინფორმაციას ისინი ღებულობენ მათთვის სპეციალურად დაშტრიხული ტექსტების ხელშეხებითი კითხვით, რისი სწავლებაც სპეციალური მეთოდის საქმეა.

ფონეტიკის სწავლება არ წარმოადგენს თვითმიზანს და არ გამოიყოფა ცალკე ასპექტად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. ფონეტიკური, ე.ი. არტიკულაციურ-აკუსტიკური ჩვევები სამეტყველო უნარ-ჩვევების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, და მათი ფორმირება სამეტყველო უნარ-ჩვევების სწავლებასთან ერთად მიმდინარეობს.

როგორც ვიცით, დიდი ბრიტანეთის გარდა, ინგლისურენოვანი ქვეყნებია: აშშ, კანადის ნახევარი (მეორე ნახევარი ფრანგულენოვანია), ახალი ზელანდია და ავსტრალია, სადაც ეს ენა დიდი ბრიტანეთიდან გადასახლებულმა ემიგრანტებმა შეიტანეს და აბორიგენებსაც „გადასდეს“; რომელთაც, თავის მხრივ, ახალი ენა თავისი ენის პრიზმაში გაატარეს და გარკვეული ცვლილებები შეიტანეს მასში, რაც ნაწილობრივ, ენის „პატრონებმაც“ გაიზიარეს. ამას დაემატა ენის ახალ გარემოსთან მისადაგებული განვითარებისათვის დამახასიათებელი სიახლეები, რამაც ისე განასხვავა „ემიგრირებული“ ინგლისური „მშობელი“ ინგლისურისაგან, რომ ერთხანს აშშ-ში ოფიციალურადაც კი ალაპარაკდნენ ვითომდა ამერიკული ენის აღმოცენების შესახებ.

დღეს ეს მოსაზრება უარყოფილია და სხვადასხვა ქვეყნების ინგლისურს ამ ქვეყნების სახელობის ინგლისური ენის ვარიანტები ეწოდებათ.

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ჩვენს სკოლაში ნორმად ჯერჯერობით მიღებულია ინგლისური ენის მხოლოდ ბრიტანული ვარიანტი, რომელშიც სასწავლო პროგრამით ორი სახის გამოთქმას გაარჩევენ, ესენია: **1) ლიტერატურულ-ნორ-**

მატიული, ანუ ორთოეპიული, ანუ განათლებული ინგლისელის სტანდარტული გამოთქმა; და **2. აპროქსიმალური** ანუ აპროქსიმაციული (approximative) ანუ სტანდარტულთან მიახლოებული გამოთქმა. სტანდარტულ გამოთქმას სწავლობენ სპეციალურ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, თუმცა მისი დაუფლება ყველას როდი ხელენიფება; არამედ მხოლოდ მას, ვისაც საამისო მონაცემები აქვს და ვინც ბეჯითად მუშაობს თავის თავზე.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში კი - ვესწრაფვით რა სტანდარტულ გამოთქმას, იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ აპროქსიმალური გამოთქმითაც.

როგორც ცნობილია, ბგერას გააჩნია როგორც ფონოლოგიური, ე.ი. სიტყვათგანმასხვავებელი, ისე არაფონოლოგიური ანუ წმინდა ფონეტიკური ნიშან-თვისებები. აპროქსიმაციის პრინციპი მოითხოვს ფონოლოგიურ ნიშან-თვისებათა სრულ დაცვას და არაფონოლოგიური შეცდომების „პატიებას“. მაგალითად, ბგერა **[d]**-ს ფონოლოგიური ნიშან-თვისებაა მჟღერობა, რომლის დარღვევა მის დაყრუებას, ე.ი. მის **[t]** ბგერით შეცვლას და მაშასადამე, მთელი სიტყვის ცვლას იწვევს, როგორც შემდეგ სიტყვებშია: *bad [bæd]* ცუდი - *bat [bæt]* ღამურა, *bed [bed]* საწოლი - *bet [bet]* სანაძლეო, *den [den]* ბუნაგი - *ten [ten]* ათი... რაც შეეხება **[d]** ბგერის ისეთ არაფონოლოგიურ ნიშან-თვისებას, როგორიც მისი ნუნისმიერობაა, მისი ქართულისთვის დამახასიათებელი კბილისმიერობით ჩანაცვლება სიტყვის შეცვლას არ იწვევს და მაშასადამე, აპროქსიმაციულად ეს უზუსტობა მოსათმენია.

გარდა ბგერის **1) მჟღერობა-სიყრუისა**: *bad [bæd]* ცუდი - *bat [bæt]* ღამურა ... ინგლისურში ფონოლოგიურია, აგრეთვე **2) ბგერის სიგრძე-სიმოკლე**: *cup [kʌp]* ფინჯანი - *carp [kɑ:p]* კობრი, *duck [dʌk]* იხვი - *dark [dɑ:k]* ბნელი, *luck [lʌk]* ბედი - *lark [lɑ:k]* ტოროლა, *cot [kɒt]* ბავშვის საწოლი - *court [kɔ:t]* სასამართლო, *pot [pɒt]* ქოთანის - *port [pɔ:t]* პორტი, *spot [spɒt]* ლაქა - *sport [spɔ:t]* სპორტი, *lick [lɪk]* ლოკვა - *leek [li:k]* პრასი, *live [lɪv]*

ცხოვრება – *leave* [li:v] დატოვება, *ship* [ʃɪp] გემი – *sheep* [ʃi:p] ცხვარი ... 3) მახვილის ადგილმონაცვლეობა, რასაც ზოგჯერ ბგერის ცვალებადობაც ახლავს: *import* [ɪmˈpɔ:t] იმპორტი – *import* [ɪmˈpɑ:t] იმპორტირება, *export* [ˈeksɔ:t] ექსპორტი – *export* [ɪkˈspɔ:t] ექსპორტირება, *present* [ˈprez(ə)nt] საჩუქარი – *present* [prɪˈzent] ჩუქება ... 4) ბგერის სიმყარე-გარდამავლობა ანუ მონოფთონგ-დიფთონგურობა: *pen* [pen] სანერკალამი – *pain* [peɪn] ტკივილი, *bid* [bɪd] ბიჯი – *beard* [bɪəd] წვერი, *good* [gʊd] კარგი – *gourd* [ɡuəd] აყირო, კვახი, ხაპი, *park* [pɑ:k] პარკი – *pike* [paɪk] შუბი, წვეტი, *bought* [bɔ:t] იყიდა – *boat* [bəʊt] ნავი...

რაც შეეხება ინტონაციას, იგი არაფონოლოგიურია ინგლისურში და მხოლოდ სტილისტურ განსხვავებას ქმნის: *sit down* [ˈsɪtˌdaʊn] უხეში მიმართვა – *sit down* [ˈsɪtˌdaʊn] კი – თავაზიანი.

როგორც აღინიშნა, აპროქსიმაცია გულისმობს არაფონოლოგიური შეცდომების პატიებას, მაგრამ ასეთი შეცდომების სიჭარბეც აძნელებს ან სულაც შეუძლებელს ხდის გაგება-გაგებინებას, რადგანაც მსმენელის მთელი ყურადღება სიტყვების აღქმა-ამოცნობაზე იხარჯება და იგი ვეღარ ასწრებს სიტყვათა მნიშვნელობებისა და მათსადაამე, გამონათქვამის აზრის გაგებას. ამიტომ უცხო ენის სწავლების პრაქტიკაში გაარჩევენ მინიმალურ და მაქსიმალურ აპროქსიმაციას.

საკუთრივ ფონეტიკური, ისევე როგორც ორთოგრაფიული, ლექსიკური და გრამატიკული ჩვევები ნიშანზე შეფასებას არ ექვემდებარება, მაგრამ მათი ავტომატიზებულიობის დონე და ხარისხი გავლენას ახდენს მოსწავლის სამეტყველო უნარ-ჩვევების შეფასებაზე.

კერძოდ, მინიმალური აპროქსიმაცია ის ქვედა ზღვარია, ის უკიდურესი დაშორებულობაა სტანდარტული გამოთქმისაგან, რომლის ქვევით დაშვება აღარ შეიძლება და მათსადაამე, რომელიც მხოლოდ იმისთვისაა საკმარისი, რომ სხვა სათანადო მონაცემების შემთხვევაში, მოსწავლის სამეტყველო უნარ-ჩვევები შეფასდეს „დამაკმაყოფილებელ“ ნიშანზე.

შესაბამისად, მაქსიმალური აპროქსიმაცია ის მიახლოებულობაა სტანდარტულ გამოთქმასთან, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ სხვა სათანადო მონაცემების შემთხვევაში მოსწავლის სამეცყველო უნარ-ჩვევები შეფასდეს „მაღალ“ ნიშანზე.

აპროქსიმალურობა ეხება ზეპირმეტყველების ტემპსაც, რომლის მეტისმეტი შენელება ისევე აძნელებს გაგებას, როგორც გადამეტებული სიჩქარე.

მაშასადამე, მოსწავლის ფონეტიკური ჩვევებისადმი წაყენებული მოთხოვნებია: 1) ფონოლოგიურობა, ე.ი. ფონემათა ფონოლოგიური წარმოთქმა და აღქმა, და 2) ტემპი, ე.ი. წარმოთქმის სიჩქარე, რომელიც ინგლისურსა და ფრანგულში უდრის 130-150 სიტყვას წუთში, გერმანულში კი - 110-130 სიტყვას წუთში.

ფონეტიკური მინიმუმის შერჩევა

სკოლის შესაძლებლობებისა და მიზანდასახულობის შეზღუდულობის გამო ლიმიტირებულია აქ ასათვისებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მოცულობაც.

კერძოდ, უცხო ენის სწავლებაში საქმე გვაქვს ეგრეთწოდებულ ენობრივ, ე.ი. ფონეტიკურ, ლექსიკურ და გრამატიკულ მინიმუმებთან, რომელთა შერჩევა ხდება 1) საჭიროება-საკმარისობისა და 2) ათვისების შესაძლებლობის პრინციპების მიხედვით.

გასაგები მიზეზების გამო, ფონეტიკური მინიმუმი ფაქტიურად მაქსიმუმია, ანუ თითქმის მთელ ფონეტიკურ არსენალს მოიცავს. აქ არ შედის მხოლოდ ზოგიერთი ბგერის, კერძოდ [i:]-სა და [ɪ]-ს პოზიციური ვარიანტები; [a:]-ს „სინონიმი“ [a] მარცვალთა IV ტიპში; და სტილისტურ-ემოციური ინტონემები.

სახელდობრ, ინგლისური ფონეტიკური ინვენტარი 23 ხმო-

ვანი, ამდენივე თანხმოვანი ფონემისა და რამდენიმე ინტონემისაგან, ე.ი. ინტონაციური მოდელისაგან შედგება.

ხმოვანთაგან 7 მოკლე მონოფთონგია (short monophthongs) – [ʌ, æ, e, i, o, u, ə], 5 გრძელი მონოფთონგი¹ (long monophthongs) – [a:, i:, o:, u:, ə:], 8 დიფთონგი² (diphthongs) – [ai, au, ei, eə, iə, oi, oʌ, uə], 2 ტრიფთონგი³ (triphthongs) – [aiə, auə] და 1 ნახევარხმოვანი - ნახევართანხმოვანი [j].

შენიშვნა¹ – გრძელი ხმოვანი ამ ხმოვნის გაორმაგება კი არა, მისი დაყოვნების ფაზის გახანგრძლივებაა – [i:] ≠ [i+i].

შენიშვნა² – დიფთონგი ორი სხვადასხვა ხმოვნის მეზობლობა კი არა, მათი განუყოფელი ერთიანობაა, სადაც მახვილიანი მხოლოდ პირველი კომპონენტია, საიდანაც მეორე კომპონენტზე გადასვლა პირველის სრულად წარმოთქმის შემდეგ კი არ ხდება, არამედ პირველის დაყოვნების ფაზიდან.

შენიშვნა³ – ანალოგიურად, ტრიფთონგი ერთი ბგერა, ერთი სამკომპონენტიანი ფონემაა, სადაც მახვილიანია მხოლოდ პირველი კომპონენტი, საიდანაც მეორე კომპონენტზე, ხოლო მეორე კომპონენტიდან მესამეზე გადასვლა წინა კომპონენტის დაყოვნების ფაზიდან ხდება.

თანხმოვნები წარმოდგენილია 8 წყვილულით – [b-p, g-k, d-t, v-f, z-s, ჯ-ჩ, ძვ-ტქ, ძ-თ], და 7 ცალეულით – [l, m, n, ŋ, r, w, h].

ფონეტიკური მასალის მეთოდური ტიპოლოგია

ფონეტიკური, ისევე როგორც ორთოგრაფიული, ლექსიკური და გრამატიკული მასალის მეთოდური ტიპოლოგია გულისხმობს ამ მასალის ათვისების სიძნელისდა მიხედვით დაჯგუფება-დახარისხებას.

სიძნელე ორნაირი წარმოშობისაა – ერთია ის სიძნელე, ის „ობიექტური“ სიძნელე, რომელიც თვით ენობრივ მოვლენას

ახასიათებს და მაშასადამე, რომელიც ენის მატარებლისთვისაც სიძნელეს წარმოადგენს; და მეორეა ის სიძნელე, ის „სუბიექტური“ სიძნელე, რომელიც შესასწავლი და მშობლიური ენების შესაბამის ენობრივ მოვლენათა განსხვავებულობისა ან ამ მოვლენის ერთ რომელიმე ენაში სულაც არარსებობისაგან მომდინარეობს.

ინგლისური და ქართული ფონეტიკების შეპირისპირებითი ანალიზი მოცემულია ი. პეტროვასა და ა. ალხაზიშვილის ნიგში: „ინგლისური ფონეტიკის შესავალი“ (1961), რომელზე დაყრდნობითაც და აპროქსიმაციის გათვალისწინებით ინგლისური ბგერები შემდეგ სამ ჯგუფად იყოფა.

1. ადვილი ბგერები

ეს ის ბგერებია, რომლებიც ემთხვევა შესაბამის ქართულ ბგერებს ან ძლიერ ახლოს დგანან მათთან. აქ განეკუთვნებიან:

1) მოკლე მონოფთონგები (ერთხმოვანები):

[a - ა; e - ე; i - ი; o - ო; u - უ];

2) დიფთონგები (ორხმოვანები): [ai - აი; au - აუ; ei - ეი; eə* - ეა; iə - ია; oi - ოი; oə - ოა; ou - ოუ; uə - უა];

3) მყდერი თანხმოვნები [b - ბ, g - გ, v - ვ, z - ზ, l - ლ, m - მ, n - ნ, ŋ - ჟ, r - რ, dʒ - ჯ].

4) ყრუ თანხმოვნები [p - ფ, k - ქ, s - ს, ʃ - შ, tʃ - ჩ, (voiceless glottal fricative) h - ჰ].

ე.წ. ნეიტრალური ბგერა [ə*] როგორც ქართულისათვის უცხო ბგერა ყველაზე ძნელ ბგერებს განეკუთვნება, მაგრამ მისი ჩანაცვლება სუსტი „ა“-თი სიტყვის შეცვლას არ იწვევს, და მაშასადამე, ეს ჩანაცვლება აპროქსიმაციულად დასაშვებია. [ə] წარმოითქმის ოდნავ დაღებული პირითა და განზე განეული ტუჩებით, როგორც ეს ლიმისის დროს ხდება.

2. საშუალო სიძნელის ბგერები

ეს ის ბგერებია, რომლებიც ქართულს არ გააჩნია, მაგრამ დაუფლების თვალსაზრისით დიდ სიძნელეს არ წარმოადგენენ ქართული აუდიტორიისათვის. ესენია: გრძელი მონოფთონგები [a: - ა:, i: - ი:, o: - ო:, u: - უ:] და თანხმოვნები [d - ნუნისმი-

ერი დ; t – ნუნისმიერი თ; f – ყრუ ვ, როგორც სიტყვებში – აქთო, ნაქთი; w – ...].

3. ძნელი ბგერები

ყველაზე ძნელი ბგერების ჯგუფში შედის ის ბგერები, რომელთაგან ზოგიერთის წარმოთქმა არც ინგლისელებს ეიოლებათ, ქართველებისათვის კი ისინი ფონეტიკური სიძნელის გარდა, ინტერფერენციულ საშიშროებასაც წარმოადგენენ. ეს ბგერებია:

- 1) მოკლე და გრძელი მონოფთონგები [æ – ; ə – ; ə – ; j –]
- 2) დიფთონგები: [eə – ეა; iə – ია; əə – აა; uə – უა];
- 3) ტრიფთონგები (სამხმოვანები): [auə – აუა; aiə – აია];
- 4) თანხმოვნები: [შ – ; მ – ; ო –]; აქვე განეკუთვნება ნახევარხმოვანი (vowel-like consonant) [j – ə].

ფონეტიკური მასალის პრეზენტაცია და მასზე მუშაობა-განმტკიცება

პირველი, ე. ი. ადვილი ჯგუფის ბგერების წარდგენა და განმტკიცება ხდება იმიტაციურად. არავითარი სპეციალური მუშაობა ამ ბგერებზე გათვალისწინებული არ არის; მაგრამ მათი შემცველი სიტყვების წარმოთქმისას დაცული უნდა იქნას ამ ბგერათა შემდეგი ზოგადი თავისებურებანი:

1) ინგლისური მჟღერი ბგერები ქართულისაზე უფრო მჟღერები არიან;

2) ინგლისური მახვილი ქართულისაზე ძლიერია, ხოლო

3) ინგლისური ფშვინვიერები [p, t, k] ქართულისაზე [ფ, თ, ქ] ნაკლები ფშვინვით გამოირჩევიან; თუმცა, მათი ქართულად წარმოთქმა არ არის ფონოლოგიური, არ ინვესს ერთი სიტყვის მეორით შეცვლას, და მაშასადამე, აპროქსიმაციულად მოსათმენია.

4) ინგლისური [ɛ]-სა და [u]-ს წარმოთქმისას ბაგეები არაა ისე წინ წამოწეული, როგორც ეს მათი ქართული ანალოგების [ო]-სა და [უ]-ს წარმოთქმისას ხდება.

ბონდი – bond კავშირი	როქი – rocky კლდოვანი
ფოთი – pot ქოთანი	შოთი – shot ვისროლე
გუდა – good კარგი	ქუდი – could შე(ვ)ძელი(თ)
ბუქი – book წიგნი	ფუთი – put დადება

5) ინგლისური დიფთონგი და ტრიფთონგი, შესაბამისად, ორი და სამი ელემენტისაგან შემდგარი ერთადერთი ბგერაა, სადაც მახვილიანია მხოლოდ პირველი ელემენტი, ე.ი. იგი უფრო ხმამაღლა და ძალუმად, ენერგიულად წარმოითქმის ვიდრე მეორე და მესამე ელემენტი; თანაც პირველი კომპონენტიდან მეორეზე და მეორიდან მესამეზე გადასვლა წინა კომპონენტის სრულად წარმოითქმის, ე.ი. დამართვის შესრულების შემდეგ კი არ ხდება, არამედ „შუა გზიდან“, მისი დაყოვნების ფაზიდან.

თუმცა, არც მათი „ქართულად“, ე.ი. შემადგენელ ხმოვანთა ცალ-ცალკე წარმოთქმა ინვეეს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას და მაშასადამე, იგი „პატიებადია“:

hi [hai – ჰაი] – სალამი	high [hai – ჰაი] – მაღალი
here [hiə – ჰია] – აქ	hire [haiə – ჰაია] – დაქირავება fire [faɪə – ფაია] – ცეცხლი
how [hau – ჰაუ] – როგორ	hour [aʊə – აუა] – საათი flower [flaʊə – ფლაუა] – ყვავილი
hay [hei – ჰეი] – თივა	hair [heə – ჰეა] – თმა
boy [boi – ბოი] – ბიჭი	bow [bəʊ – ბოუ] – მშვილდი
boor [buə – ბუა] – უტიფარი	pure [pjʊə – ფიუა] – წმინდა

შეგნებულობის პრინციპის გამოყენება, ცნობიერების მონაწილეობა ამ ბგერათა სწავლებაში მინიმალურია და იგი შემოიფარგლება ამ ბგერათა აღნიშნული ოთხი თავისებურების გააზრებით; ამ ბგერების ათვისება კი ხორციელდება მოსწავლეთა მიერ მასწავლებლის სწორი მეტყველების და სათანადო აუდიო-ოჩანანერების იმიტაციის გზით.

იმიტაცია, მიბაძვა გადამწყვეტ როლს თამაშობს მეორე და მესამე ჯგუფის ბგერათა სწავლებაშიც, თუმცა აქ მატულობს შეგნებულობის ხვედრითი წილიც.

II და III ჯგუფის ბგერები მოითხოვენ ანალიზურ-იმიტაციურ მიდგომას, ე.ი. აქ საჭიროა მათი არტიკულაციის აღწერა, სხვა შესასწავლი ან მშობლიური ენის მსგავსი ბგერებიდან მათი გამიჯვნა-დიფერენცირება, დემონსტრაცია და მიბაძვა, შემდეგი თანმიმდევრობით:

- ბგერის დემონსტრაცია;
- წარმოთქმის ახსნა;
- ვარჯიში დიფერენციაში: [ვ-v-w], [v-f], [ე-e-æ], ...;
- ბგერის წარმოთქმა მოსწავლეთა მიერ; ბგერის ათვისება,

განმტკიცება კი ხდება ვარჯიშით.

სახელდობრ, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შეაგნებინოს, რომ გრძელი ხმოვანი ამ ბგერის გაორმაგება კი არა, არამედ მისი დაყოვნების ფაზის გახანგრძლივებაა*:

[a:] bark, dark, lark, mark, shark, ask, task, heart, start...

[i:] leak, leek, seek, speak, beat, beet, eat, feet, sweet...

[o:] cork, fork, board, cord, ford, port, sport, sort, short...

[u:] blue, flew, grew, true, moon, noon, soon, spoon, shoe...

შენიშვნა* – ბგერის წარმოთქმაში სამ ფაზას გაარჩევენ, ესენია: 1. შემართვა; 2. დაყოვნება; და 3. დამართვა.

უფრო კონკრეტულად, ბგერების პრეზენტაცია და მათზე შემდგომი მუშაობა შემდეგი სცენარითა და კომენტარებით მიმდინარეობს:

1. მასწავლებლის მიერ ახალი ბგერის შემცველი სიტყვის წარმოთქმა სამჯერ, მცირე პაუზებით;
2. ამ სიტყვის მნიშვნელობის დასახელება და შესაძლო ვიზუალური თვალსაჩინოებით ილუსტრირება;
3. ამ სიტყვიდან ახალი ბგერის გამოცალკეება და მისი სამჯერ წარმოთქმა, მცირე პაუზებით;
4. ამ ბგერის არტიკულაციის აღწერა, სადაც შეიძლება

აგრეთვე გამოყენებულ იქნას ამ ბგერის დედაენის შესაბამის ბგერასთან შედარება და უცხო ენის უკვე ცნობილ და ინტერფერებად (შერევად) ბგერასთან შეპირისპირება. ფონეტიკური მასალის პრეზენტაციისა და მასზე მუშაობის დროს, არტიკულაციური სქემებისა და პატარა სარკეების გარდა, აუცილებელია გამოვიყენოთ ოსცილოგრაფი და აუდირების ტექნიკა;

5. მასწავლებლის მიერ ახალი ბგერის და მისი შემცველი სიტყვის სამ-სამჯერ არტიკულირება, მცირე პაუზებით;

6. ახალი ბგერის და მისი შემცველი სიტყვის აღნიშნულ რეჟიმში წარმოთქმა მოსწავლეების მიერ ჯერ გუნდურად, შემდეგ კი - ინდივიდუალურად; ჯერ მოწინავე მოსწავლეების მიერ, შემდეგ კი „ჩამორჩენილების“ მიერ.

ამის შემდეგ მოსწავლეები უნდა ვაეარჯიშოთ ახალი ბგერის შემცველი ახლად გაცნობილი სიტყვების, ანდა თუნდაც მასწავლებლის მიერ შედგენილი უცნობი სიტყვების, მასწავლებლის კვალდაკვალ, გუნდურ და ინდივიდუალურ წარმოთქმაში.

მაგალითად შეიძლება ავიღოთ ბგერა [d]-ს წადგენისა და მასზე მუშაობის შემდეგი ვარიანტი.

ჯერ მასწავლებელი სამჯერ, მცირე პაუზებით, წარმოთქვამს ახალი ბგერის შემცველ სიტყვას, მისი მნიშვნელობის დასახელებით და ვიზუალური თვალსაჩინოების ილუსტრირებით. შემდეგ ხდება ამ სიტყვიდან ახალი ბგერის გამოცალკევება და მისი სამჯერ წარმოთქმა მცირე პაუზებით, რასაც მოსდევს ამ ბგერათა დედაენის შესაბამის ბგერასთან შედარება და უცხო ენის უკვე ცნობილ და ინტერფერებად (შერევად) ბგერასთან შეპირისპირება.

- ბავშვებო, დღეს ჩვენ უნდა ვისწავლოთ რამდენიმე ახალი სიტყვა. ერთ-ერთი მათგანია სიტყვა [desk – desk – desk], რომელიც ნიშნავს 'მერხს'. მისი შესწავლა თქვენ არ გაგიჭირდებათ, რადგანაც ყველა მისი შემადგენელი ბგერა თქვენთვის ცნობილია – ერთადერთი ბგერის გარდა, რომლის მსგავსი ბგერა ქართულშიაც გვაქვს, მაგრამ ცოტა უფრო სხვანაირად წარმოითქმის და ჟღერს; ესაა [d – d – d]. 'დ' ქართულშიც გვაქვს, მაგრამ

ქართული 'დ' და ინგლისური [d] ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ეს განსხვავება რომ თავადვე დავინახოთ, ამისათვის ჩატაროთ პატარა ცდა, ექსპერიმენტი.

ჩუმად თქვენთვის, ხმადაბლა რამდენჯერმე წარმოთქვით სიტყვა 'დედა' და დააკვირდით, სად ებჯინება ენის წვერი 'დ'-ს წარმოთქმისას?

შემდეგ, აკეთებენ თუ ვერ აკეთებენ მოსწავლეები სწორ დასკვნას, მასწავლებელი განაგრძობს:

- როგორც ვხედავთ ქართული 'დ'-ს წარმოთქმისას ენის წვერი ებჯინება ზედა კბილებს; მაშინ როდესაც ინგლისური [d]-ს წარმოსათქმელად ენის წვერი კბილებს კი არ ებჯინება, არამედ კბილებს ზემოთ არსებულ რბილობს, ე.ი. ნუნებს. როგორც იცით, ბავშვებო, ნუნები თითებზე გვაქვს, მაგრამ ნუნები ქვია აგრეთვე კბილებს ზემოთა რბილ ნაწილს. მაშასადამე, როგორი ბგერაა ინგლისური [d] კბილისმიერი თუ ნუნისმიერი?

- სწორია, ქართული კბილისმიერი 'დ'-საგან განსხვავებით, ინგლისური [d] ნუნისმიერია.

ვინც ამას ვერ ახერხებს, სხვა ხერხი შესთავაზეთ.

- კბილები დაფარეთ ცერით და ენის წვერი მიაბჯინეთ იქ, სადაც ცერი თავდება. ახლა ყველამ ერთად, გუნდურად წარმოვთქვათ ეს ახალი ბგერა და ახალი სიტყვა შემდეგნაირად [d - d - d]; [desk - desk - desk]; ახლა ერთი-ორჯერ კიდევ გავიმეოროთ და შემდეგ თქვენ სათითაოდ წარმოთქვამთ.

გუნდურად კიდევ ორჯერ ან მეტჯერ გამეორების შემდეგ მასწავლებელი ასახელებს ჯერ მოწინავე და შემდეგ ჩამორჩენილ მოსწავლეებს და ინდივიდუალურად ამეორებინებს აღნიშნულ ბგერას.

ამის შემდეგ იწყება ამ ბგერის ქცევის დონეზე ასათვისებელი ვარჯიში - სახელმძღვანელოში მოცემული თუ მასწავლებლის მიერ შედგენილი ფონეტიკური სავარჯიშოების მეშვეობით.

ასეთი სქემით უნდა წარიმართოს მუშაობა მეორე და მესამე ჯგუფის ყველა ბგერაზე, თანაც ყველა ხილვადი არტიკულაციის მქონე ბგერაზე ვარჯიშისას მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ პატარა სარკეები.

აქვე მოგვყავს ამ ჯგუფის ბგერათა დახასიათებები და მათი ათვისებისათვის საჭირო სავარჯიშოთა ნიმუშები, რომლებიც შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს.

ბგერა [t] ისევე წარმოითქმის, როგორც [d]; იმ განსხვავებით, რომ [d] მჟღერია, [t] კი – ყრუ.

დიფერენციაში ვარჯიში

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისური [d] და [t] ქართულისაგან განსხვავებით ნუნისმიერი ბგერებია, ე.ი. წარმოითქმიან ენის წვერის მიბჯენით ნუნებზე და არა კბილებზე, როგორც ეს ქართული „დ“ და „თ“-ს წარმოითქმისას ხდება.

ქართული დენტალური, ე.ი. კბილისმიერი „დ“ და „თ“-ს ინგლისური ნუნისმიერი [d] და [t]-საგან გასამიჯნავი სავარჯიშოებია:

დაბა – dub (დუბლირება), დალი – dull (მოსაბეზრებელი), დილა – dill (კამა), დოლი – doll (თოჯინა), დანა – done (გაკეთებული), დავა – dove (მტრედი), დოქი – dock (დოკი);

ბადე – bud (კოკორი), ბედი – bed (სანოლი), დიდი – did (გა(ვ)აკეთე(თ)), გუდა – good (კარგი), ზედა – z [zed], ლედი – led (გა(ვ)უძეხი(თ)), ლიდა – lid (ხუფი), მადა – mud (ტალახი), საიდა – side (მხარე), ქუდი – could (შეგ(ვ)ეძლო);

თელა – tell (თქმა), თითი – tit (წიწვივა), თოფი – top (მწვერვალი), ზეთი – z [zet], ფუთი – put (დადება)...

მჟღერი და ყრუ ბგერები

მჟღერი და ყრუ ბგერების გასარჩევად მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ შემდეგი ხერხი: თუ იზოლირებული ბგერის წარმოითქმისას ხელებით დახშულ ყურებში ხმაური გვესმის, ან ყელზე მიდებული ხელის გულზე რხევებს ვგრძნობთ – ბგერა მჟღერია; არადა – იგი ყრუა.

მაგრამ თუ ეს ხერხი საქმეს ვერ შველის, მოსწავლეებს უნდა დაევალოთ დაიმახსოვრონ, რომ – ყველა ხმოვანი და თანხმოვანი ბგერა მჟღერია, გარდა შემდეგი 8 ყრუ თანხმოვნისა, ესენია [t, s, p, k, ʃ, tʃ, θ, h].

ქართულში 'დ' ხშირად განიცდის დაყრუებას და იქცევა 'თ'–დ, მაგრამ ეს არ ინვეს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას, რისი მაგალითებიცაა: ბგერად → ბგერათ, კარგად → კარგათ, ჩუმად → ჩუმათ ...

მაშინ როდესაც, ამ ბგერათა მონაცვლეობა ინგლისურში დაუშვებელია, რადგანაც იგი ინვეს სიტყვის შეცვლას. მაგალითად, bad (ცუდი) – bat (ღამურა), bed (საწოლი) – bet (სანადლეო), bud (კვირტი) – but (მაგრამ), dame (დამა) – tame (მოშინაურებული), den (ბუნაგი) – ten (ათი), drunk (მთვრალი) – trunk (ხორთუმი) ...

ბგერა [f] ქართულში არა გვაქვს, მაგრამ იგი [v – ვ]-ს ყრუ ვარიანტია და კიდევ წარმოვთქვამთ მას ჩვენდაუნებურად, მაგალითად, სიტყვებში: აფთო, ნაფთი, თაფქარიანი ...

ინგლისური [v]-სა და [f]-ს მადიფერენცირებელი წყვილებია: van (ფურგონი) – fan (გულშემატკივარი), leave (დატოვება) – leaf (ფოთოლი), live (ცოცხალი) – life (სიცოცხლე), save (გადარჩენა) – safe (სეიფი), five ხუთი – fife სტვირი, vine ვაზი – fine მშვენიერი, via გავლით – fire ცეცხლი ...

რუსულ 'ფ'–ს ქართულში, როგორც წესი, ენაცვლება 'ფ', მაგრამ ასეთი რამ ინგლისურში დაუშვებელია, რადგანაც ეს ცვლის სიტყვის მნიშვნელობას: cliff (კლდე) – clip (სამაგრი), fife (სტვირი) – pipe (მილი), fin (ფარფლი) – pin (ქინძისთავი), fine (მშვენიერი) – pine (ფიჭვი) ...

არც წყვილბაგისმიერი [w] გააჩნია ქართულს, მაგრამ მისი წარმოთქმა არ უნდა გაუჭირდეთ მოსწავლეებს, თუ მათ ავუხსნით და ვუჩვენებთ, რომ ეს ბგერა წარმოითქმის მჭიდროდ მოკუმულ და წინ გამოშვერილ ბაგეთა შორის ჰაერის გამოდევნით, ჰაერის ნაკადის გამოტარებით. სასურველია მისი წარმოთქმისას მოსწავლეებმა მოიშველიონ სარკე.

[w]-ს [v]-თი ჩანაცვლება, როგორც წესი, სიტყვას ამახინჯებს; რამდენიმე შემთხვევაში კი – ცვლის მას სხვა სიტყვით.

[w]-სა და [v]-ს მადიფერენცირებელი წყვილებია: wet (სველი) – vet (ვეტერინარი), wire (მაკრული) – via (გავლით), wine (ღვინო) – vine (ვაზი).

ხმოვანთა ფონოლოგიური, ე.ი. სიტყვათგანმასხვავებელი სიგრძე-სიმოკლე ქართულისათვის უცხოა, ამიტომ ქართველი მოსწავლე უნდა ვაგარჯიშოთ ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლით ურთიერთდაპირისპირებულ ისეთ წყვილებზე, როგორიცაა:

[ʌ – a:] buck ხარ-ირემი) – bark (ყეფა), duck (იხვი) – dark (ბნელი), hut (ქოხი) – heart (გული), luck (ბედი) – lark (ტოროლა), cup (ფინჯანი) – carp (კობრი), muck (ნაკელი) – mark (ნიშანი), tusk (ეშვი) – task (დავალება) ...

[ɪ – i:] bit (ნაკუნთი) – beat (ცემა), fit (ვარგისი) – feet (ფეხები), lick (ლოკვა) – leek (პრასი), pick (კრეფა) – peak (პიკი), sick (ავადმყოფი) – seek (ძებნა), live (ცხოვრება) – leave (დატოვება) ...

[ɔ – o:] bod (ტიპი) – board (დაფა), cock (მამალი) – cork (საცობი), cod (ვირთევზა) – cord (თოკი), cot (ბავშვის სანოლი) – court (კორტი), pot (ქოთანის) – port (პორტი), sot (ლოთი) – sort (სორტი), shot (გასროლა) – short (მოკლე), spot (ლაქა) – sport (სპორტი) ...

[e]-ს გრძელი ვარიანტი არ გააჩნია; [u] და [u:] კი, ფონოლოგიურად ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, ე.ი. არსებობენ [u] ბგერით წარმოდგენილი სიტყვები, რომელთაც [u:] ბგერით შეწყვილე არ გააჩნიათ, და პირიქით.

[u] ბგერიანი სიტყვებია: book (წიგნი), cook (მზარეული), look (ყურება), took (ავიყვანე(თ)), good (კარგი), wood (ტყე) ...

ხოლო [u:] ბგერიანი სიტყვებია: cool (გრილი), pool (გუბე), stool (ტაბურეტი), tool (ხელსაწყო), too (აგრეთვე), moon (მთვარე) noon (ნაშუადღევი), soon (მალე), spoon (კოვზი), blue (ლურჯი), true (ნამდვილი), shoe (ფეხსაცმელი) ...

გამონაკლისია: full [ful] (სავსე) – fool (სულელი).

ინგლისური [e] სრულად ემთხვევა და ქართული 'ე'-ს ტოლ-

ფასია, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს მისი „ნაირსახეობა“ [æ]; სწორედ ქართულენოვანი მოსწავლისათვის ერთ-ერთ დიდ ფონეტიკურ სიძნელეს წარმოადგენს ეს მოკლე ხმოვანი, რომელსაც ქართულში შესატყვისი არ მოეპოვება და რის გამოც, დიდია ცდუნება მოსწავლემ იგი ჩაანაცვლოს ქართულ-ინგლისური [e – e]-თი და შედეგად სულ სხვა სიტყვა მივიღოთ.

[æ]-ს წარმოთქმისას, სამეტყველო ორგანოები მოიძარება „ა“-ს წარმოსათქმელად და ამ მდგომარეობაში წარმოითქმის „ე“.

[æ]-სა და [e – ე]-ს გამმიჯნავი სავარჯიშო წყვილებია: bad ცუდი – bed საწოლი, bag ჩანთა – beg ვედრება, bat ღამურა – bet სანადლეო, band ბანდა – bend დახრა, had ჰქონდა – head თავი, lad ყმანვილი – led გავუძეხი, land მიწა – lend სესხება, lass გოგონა – less ნაკლები, man კაცი – men კაცები, mass მასა – mess არეულ-დარეულობა, mat ფეხსანმენდი – met შევხვდი, pan ტაფა – pen სანერკალამი, sad ნალვლიანი – said თქვა, sand ქვიშა – send გაგზავნა, sat ვიჯექი(თ) – set ნაკრები, tan გარუჯვა – ten ათი.

ნეიტრალურ ბგერას [ə], შესაბამისი ასო არ გააჩნია, რადგანაც იგი წარმოადგენს ნებისმიერი ხმოვნის უმახვილობის გამო რედუცირებულ, დასუსტებულ ვარიანტს. იგი წარმოითქმის ოდნავ გაღებული პირით და განზე განეული ბაგეებით, როგორც სუსტი ქართული ‘ა’: [ən] an განუს. არტიკლი – [æn] Ann ანა, [ænd] and კავშ. და – [end] end დასასრული, [ət] at-ზე, -თან – [et] ate (ვ)ჭამე(თ), ... ability [ə'bilɪti] ნიჭი, of course [əv'ko:s] რა თქმა უნდა, support [sə'pɔ:t] მხარდაჭერა, comfortable ['kʌmf(ə)təbl] კომფორტაბელური, embassy ['embəsi] საელჩო, numeral ['nju:m(ə)r(ə)] რიცხვითი სახელი, comma ['kʌmə] მძიმე, common ['kʌmən] საერთო, summer ['sʌmə] ზაფხული.

[ə]-ს მჟღერი გაგრძელებული ვარიანტი [ə:] მახვილიანია და უფრო დაჭიმულად და ენერგიულად წარმოითქმის: bird [bɜ:d] ფრინველი, burn [bɜ:n] (და)წვა, curd [kɜ:d] ხაჭო, first [fɜ:st] პირველი, girl [gɜ:l] გოგო, learn [lɜ:n] სწავლა, thirst [θɜ:st] წყურვილი, verb [vɜ:b] ზმნა, word [wɜ:d] სიტყვა, work [wɜ:k] მუშაობა.

ნახევარხმოვანი-ნახევართანხმოვანი [j]-ს წარმოთქმისას ენის კიდები ებჯინება ზედა კბილებს და ჰაერის ნაკადი გამოდის ენასა და სასას შორის წარმოქმნილ ნაპრალში. ეს ბგერა სალიტერატურო ქართულში არა გვაქვს, მაგრამ იგი ისმის იმერულ დიალექტურ მეტყველებაში – სიტყვებში: ფერთი, ფხლა. ამ ბგერის აღმნიშვნელი თავკიდური ასო ‘y’ ინგლისურში მხოლოდ ხმოვნის წინ გვხვდება: yes დიახ, yet ჯერ, yell კივილი, yellow ყვითელი.

ყველა სხვა შემთხვევაში ‘y’ იკითხება ისევე, როგორც ‘i’.

ქართულს ასევე არ გააჩნია თლიფინა მუღერი თანხმოვანი [ð], რომელიც წარმოითქმის ოდნავ გამოყოფილი ენითა და ზედა კბილებით ჰაერის ნაკადის წამიერი შეყოვნებით და შემდეგ მათ შორის გამოტარებით; ასევე წარმოითქმის [ð]-ს ყრუ ვარიანტი [θ], ოღონდ ბუნებრივია უხმოდ.

[ð]: brother ძმა, father მამა, mother დედა, other სხვა, than ვიდრე, that ის, the განსაზღვრული არტიკლი, these ესენი, then მაშინ, them მათ/ისინი, they ისინი, this ეს, those ისინი, though თუმცა, weather ამინდი, with თან.

[θ]: both ორივე, thank მადლობა, theme თემა, theatre თეატრი, thick სქელი, thin თხელი, thing ნივთი, think ფიქრი, teeth კბილები, tenth მეთათე, thread ძაფი, throw სროლა.

ცხვირისმიერი [ŋ] ესაა [n], რომლის წარმოთქმისას ენის ზურგი სასაზე მიბჯენით, გზას უკეტავს პირის ღრუსაკენ მიმავალ ჰაერის ნაკადს და ცხვირის ღრუსაკენ მიმართავს მას. [ŋ] ფონოლოგიურად უპირისპირდება [n]-ს, როცა [ŋ] ორთოგრაფიულად წარმოდგენილია ასოთშეხამებით ‘-ng’.

[n]-სა და [ŋ]-ს მადიფერენცირებელი წყვილებია: ban აკრძალვა – bang დაბრაზუნება, been ნამყოფი – being ყოფნა, არსებობა, seen ნანახი – seeing დანახვაზე, sin ცოდვა – sing მღერა, thin თხელი – thing ნივთი, win გამარჯვება – wing ფრთა.

[ŋ] ვერ უპირისპირდება [n]-ს, როცა ის ბგერა [k]-ს წინ დგას, და მას არ ერწყმის; და სადაც, მაშასადამე, შენარჩუნებულია [k]-ც: bank [bæŋk] ბანკი, drink [driŋk] სმა, brink [briŋk] ზღვარი,

link [lɪŋk] კავშირი, pink [pɪŋk] ვარდისფერი, rank[ræŋk] რანგი, sank [sæŋk] ჩაძირა, sink [sɪŋk] ჩაძირვა, tank [tæŋk] ტანკი, thank [θæŋk] მადლობა, think [θɪŋk] ფიქრი, thinker [θɪŋkə] მოაზროვნე, tinker [tɪŋkə] მკალავი, მესპილენძე, wink [wɪŋk] თვალის ჩაკვრა.

ბუნებრივია, რომ ყოველ ახალ ბგერაზე სავარჯიშოდ უნდა შეირჩეს სიტყვები, რომლებშიც ამ ბგერის გარდა ყველა სხვა ბგერა ცნობილია.

სახელმძღვანელოს ავტორი, ისევე როგორც მასწავლებელი, ვალდებულია შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს მეთოდური ტიპოლოგია და დაიცვას პრინციპი – ადვილიდან ძნელისაკენ. „შეძლებისდაგვარად“, რადგანაც შეუძლებელია ინგლისური ენის პირველივე გაკვეთილიდან გვერდი ავუაროთ ისეთ ფონეტიკურად და გრამატიკულად ძნელ ენობრივ მოვლენას, როგორიც არტიკლია; მაგრამ, გაუმართლებელია სწავლების დაწყება ისეთი სიტყვებით, როგორიცაა bat, cat, man და ა.შ.

ახლა ძნელი სათქმელია, რა რეფორმები განხორციელდება ჩვენი განათლების სისტემაში და რა სახელმძღვანელოები დაინერება, მაგრამ მიმაჩნია, რომ უცხო ენის სწავლება უნდა დაიწყოს ერთმეოთხედიანი შესავალი ზეპირი კურსით, რომლის განმავლობაშიც მოხდება 44-ვე ბგერის ათვისება, to be და to have შემასმენლიან სამივე ფორმის წინადადებათა შემადგენლობაში და ყველა 26 ასოს დაწერილობისა და სახელწოდებების დასწავლა.

საერთოდ, დედა ენა და შესასწავლი ენა – ეს ტანდემი ყოველთვის უნდა თანამშრომლობდნენ, პირველის წინსწრებით.

საგულისხმოა, რომ შესავალი ზეპირმეტყველების კურსის დროს არც არაფერი იკითხება და არც ინერება გარდა ასობისა, დოზებით – მაქსიმუმ ორ-ორი ასოს დაწერილობა და მათი სახელწოდებების დასწავლა თითოეულ გაკვეთილზე.

მეორე მეოთხედიდან კლასი გადავა პატარა ტექსტების კითხვაზე, რომლებშიც თანდათან შემოემატება სხვა ზმნებიც ანმყო განუსაზღვრელი დროის ჯერ მტკიცებით, შემდეგ კი კითხვითსა და უარყოფით ფორმებში.

კერძოდ, სასურველია ასათვისებელი მასალა წარმოდგენილი იყოს მოსწავლის უშუალო გარემოს ამსახველი კონკრეტული ლექსიკით, to be, to have, to see, to like და to play ზმნა-შემასმენლიან წინადადებებში, თხრობითი კილოს მოქმედებითი გვარის ანმყო განუსაზღვრელი დროის ყველა ფორმაში. გაკვეთილები თავიდანვე უნდა იმართებოდეს to stand (up), sit (down), go, come, put, take და show ზმნებიანი განკარგულებებით, რომელთაც თანდათან დაემატება სხვა საურთიერთო გამოთქმები, როგორცაა: It is right! correct! quite right! very good! excellent! thank you so much! thanks! repeat after me! say it again! a bit louder, please! in chorus! you are noisy, children! be quiet, please! keep silence, children! listen to me attentively! sit straight! don't bend over your desk! stop talking! don't whisper! don't prompt!, etc., სანამ ქართულის გამოყენებისთვის მხოლოდ ახსნა და თარგმანი არ დარჩება.

როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული მასალა მეტ-ნაკლებად თანაბრად უნდა იყოს გადანაწილებული სახელმძღვანელოში და შესაბამისად, გაკვეთილებზე; თანაც ეს სიტყვები და შესიტყვებები, სასურველია ერთმანეთს ენათესავებოდნენ ფორმალურად და აუცილებლად უნდა უკავშირდებოდნენ ერთმანეთს აზრობრივად – რაც ხელს შეუწყობს მათ უკეთ დამახსოვრებას და მათ ავტომატიზირებულ გამოყენებას ვერბალურ ურთიერთობებში.

რაც შეეხება ტრანსკრიპციას; ბგერათა ფიქსაციისათვის ტრანსკრიპციის მოშველიება მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაინიშნოს, როცა მოსწავლეები ნათლად აღიქვამენ ინგლისური სიტყვების დანერილობასა და მათ წაკითხვას შორის არსებულ შეუსაბამობებს, ე.ი. დაახლოებით პირველი მეოთხედის შემდეგ. მანამდე ბგერების დამახსოვრება საყრდენი სიტყვების საშუალებით ხორციელდება.

შესასწავლი უცხო ენის ძირითადი არტიკულაციურ-აკუსტიკური ბაზის ფორმირება სწავლების პირველ ნელს უნდა დასრულდეს; ფონეტიკურ-ორთოეპირული ჩვევების შენარჩუნე-

ბა-განმტკიცებაზე მუშაობა კი მომდევნო კლასებშიც უნდა გაგრძელდეს.

შესავალი კურსისა და მთელი პირველი წლის მეცადინეობები მაქსიმალურად უნდა აღიჭურვოს ტრადიციული ვიზუალური და თანამედროვე ტექნიკური სამეცყველო თვალსაჩინოებებით.

რადგანაც ენის სწავლება თავიდანვე წინადადებების დონეზე წარმართება – ბგერათა წარმოთქმის, ასო-ბგერათა შესაბამისობის, ე.ი. კითხვის წესებისა და გრამატიკული ფორმების გარდა, ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს მახვილი და ინტონაცია.

ინტონემები

როგორც აღინიშნა, ფონეტიკური მასალა მოიცავს სამეცყველო ბგერებს ანუ ფონემებს და ინტონემებს ანუ ინტონაციურ მოდელებს.

ინტონაციის დაყენება ბგერების სწავლებისთანავე იწყება და სწავლების მეორე-მესამე წელსაც გრძელდება. შემდეგ კლასებში ხდება მიღწეულის შენარჩუნება, ე.ი. შეცდომების რეგულარული კორექტირება სახელმძღვანელოში მოცემული სათანადო სავარჯიშოების ან მასწავლებლის მიერ მოცემული ჯგუფისათვის სპეციალურად შედგენილი სავარჯიშოების საშუალებით, რომელთაც იგი დაჭურვის სახით ატარებს.

ინტონაციურ მოდელებში მოიაზრება მახვილი, ტონი, რიტმი და პაუზირება.

მახვილი

მახვილი (accent, stress) ეწოდება ხმის ამალღებითა და სიძლიერით სიტყვაში მარცვლის (სილაბური მახვილი) თუ ფრაზაში ან წინადადებაში (ფრაზული მახვილი) სიტყვის გამოყოფა-ხაზგასმას; ამასთან, თუ ხმის ამალღება სჭარბობს მის

სიძლიერეს, მახვილი **ტონური ანუ მუსიკალურია**; მაგრამ, თუ პირიქით, ხმის სიძლიერე დომინირებს მის ამაღლებას, მაშინ მახვილი **დინამიკურია**.

მუსიკალური მახვილი ახასიათებს ჩინურსა და იაპონურს; დინამიკურია მახვილი ქართულში, ინგლისურში, რუსულში.

ინგლისურისა და რუსულისაგან განსხვავებით, ქართული მახვილი ისეთი სუსტია, რომ უბირ მექართულეს უჭირს გაარჩიოს რომელი მარცვალა სიტყვაში მახვილიანი და მით უმეტეს, რომელი სიტყვაა მახვილიანი ფრაზაში. ერთნაირად ძლიერი მახვილი არც ინგლისურშია.

სიძლიერის ხარისხისდა მიხედვით ინგლისურში გაარჩევენ **მთავარ მახვილს** და მასზე უფრო სუსტ – **მეორეხარისხოვან მახვილს ანუ თანამახვილს**.

გრაფიკულად მთავარი მახვილი აღინიშნება მაღლა დასმული ირიბი ტირეთი ან მძიმით ხმოვნის წინამდებარე თანხმოვანზე; ხოლო თუ მახვილიანი ხმოვნის წინ თანხმოვანი არ არის, მაშინ თვითონ ხმოვანზე; ამავე წესით აღინიშნება მეორეხარისხოვანი მახვილიც, ოღონდ მახვილი დაისმის დაბლა.

როგორც წესი, მთავარი მახვილი სიტყვაში ერთია და ერთ, ორ და სამმარცვლიან სიტყვებში მახვილი მოდის პირველ ფუძისეულ მარცვალზე; ოთხ და მეტმარცვლიან სიტყვებში კი მთავარი მახვილის გარდა, რომელიც ბოლოდან მესამე მარცვალზე მოდის, შეიძლება გვექონდეს ერთი ან მეტი მასზე სუსტი, მეორეხარისხოვანი მახვილიც. ეს უკანასკნელი მოუდის ყოველ მარცვალს, თითოს გამოკლებით მთავარი მახვილიდან მარცხნივ:

able ['eɪb(ə)] უნარიანი, შემძლე; forest ['fɔːrɪst] ტყე; ability [ə'biləti] უნარი, შემძლეობა; capability [ˌkeɪpə'bɪləti] ნიჭი(ერება); broad-shouldered [ˌbrɔːd'ʃəʊldəd] მხარბეჭიანი, kind-hearted [ˌkaɪnd'haːtɪd] გულკეთილი; left-hander [ˌleft'hændə] მემარცხენე ...

ფონოლოგიურია, სიტყვათგანმასხვავებელია, მნიშვნელობათგანმასხვავებელია სიტყვის მახვილი, რომლის ადგილმო-

ნაცვლეობას ხშირად მოსდევს ბგერათმონაცვლეობაც: 'export (ექსპორტი) – ex'port (ექსპორტირება, ქვეყნიდან საქონლის გატანა), 'import (იმპორტი) – im'port (იმპორტირება, ქვეყანაში საქონლის შემოტანა), 'present (საჩუქარი) – pre'sent (1. დასაჩუქრება; 2. წარდგენა), 'suspect (ევმიტანილი) – sus'pect (ექვსის მიტანა), 'record (ჩანაწერი, რეკორდი) – re'cord (ჩანერა).

ინგლისურ წინადადებაში, ინგლისურ ფრაზაში, როგორც წესი, მახვილიანია სრულმნიშვნელოვანი სიტყვები, ე.ი. არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელი, ზმნები და ზმნიზედები; ხოლო მაკავშირებელი, მეშველი და მოდალური ზმნები, როცა ისინი იწყებენ ან აბოლოებენ წინადადებას, ანდა როცა ერწყმიან უარყოფას 'not'.

'Is he a 'student? – 'Yes, he ' is. He 'isn't an 'idler (უსაქმური).

'Does he 'speak 'French? – 'Yes, he 'does, but he 'can't have 'any 'practice 'here.

ფრაზული მახვილისაგან განხვავებით, **ლოგიკური მახვილი** ესმის მეტყველების ნებისმიერ ნაწილს, ე.ი. როგორც სრულმნიშვნელოვან სიტყვას, ისე ნაცვალსახელს თუ დამხმარე სიტყვას, მასზე განსაკუთრებული ყურადღების მისაქცევად და ამ მიზნით გამონათქვამის ლოგიკური ცენტრის წარმოსაჩენად:

I was | in Sokhumi where they met.

And it was | she – that fell in love with him.

Georgia | can and | must defend its sovereignty.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მახვილიან და უმახვილო ფონემებზე – მათ არტიკულაცია-წარმოთქმასა და აღქმაზე მუშაობა და მათი სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციის ხაზგასმა, წარმოჩენა მიმდინარეობს, წარმოებს სიტყვის დონეზე; ფრაზულ და ლოგიკურ მახვილზე, აღმავალ და დამავალ ტონზე, რიტმსა და პაუზირებაზე კი – წინადადების დონეზე.

ტონი

ტონი ეწოდება ხმის აწევ-დაწევას წინადადებაში და იგი შეიძლება იყოს **აღმავალი (rising tone)**, **დამავალი (falling tone)** და **„მონოტონური“ (level tone)**. საშუალო სკოლის პროგრამაში მხოლოდ პირველი ორი ფიგურირებს.

ინტონაცია, ხმის სიმაღლის მოდიფიკაცია ინგლისურში არაფონოლოგიურია, ფაკულტატურია, წინადადების დანიშნულებას კი მისი სტრუქტურა განსაზღვრავს.

დამავალი ინტონაციით წარმოითქმის: 1. ემოციონალურად ნეიტრალური თხრობითი წინადადებები, 2. სპეციალური კითხვები, 3. თუობითი კითხვის მეორე ნაწილი, 4. განმყოფელი კითხვის პირველი ნაწილი, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა პასუხს კი არ ვეღოთ, არამედ დამონმებას, – მეორე ნაწილიც, 5. ბრძანებითი წინადადებები, 6. ძახილის წინადადებები.

აღმავალი ინტონაციით წარმოითქმის: 1. საზოგადო კითხვები, 2. თუობითი კითხვის პირველი ნაწილი, 3. განმყოფელი კითხვის მეორე ნაწილი, როცა დამონმებას კი არ ვეღოთ, არამედ პასუხს, 4. ჩამოთვლის ყველა კომპონენტი უკანასკნელის გარდა, რომელიც დამავალი ინტონაციით წარმოითქმის, 5. თხოვნები, 6. გამომშვიდობების ფორმულები, და 7. განმეორებითი კითხვები.

His 'sister 'studies 'French in France.

'Does his 'sister 'study 'French in France? – Yes, she does.

'Who 'studies 'French in France? – 'His 'sister does.

'Whose 'sister 'studies 'French in France? – 'His 'sister does.

'What does his 'sister 'do in France? – His 'sister 'studies ('French) in France.

'What does his 'sister 'study in France? – His 'sister 'studies 'French in France.

'Where does his 'sister 'study French? – His 'sister 'studies 'French in France.

'Does ↑his {or ↓her sister study French in France? – 'His 'sister

does. 'His 'sister 'studies 'French in France.

'Does his ↑sister †or †brother study French in France? – His 'sister does.

'Does his 'sister ↑study †or †teach French in France? – His 'sister studies 'French in France.

'Does his 'sister 'study ↑French †or †English in France? – His 'sister 'studies French in France.

'Does his sister 'study 'French in ↑France †or in †Spain? – His 'sister 'studies 'French in France.

His 'sister studies 'French in France, does she not? ('doesn't she?) – თუ პასუხს ველით, ანდა does she not? (doesn't she) – თუ დამონმებას ველით.

პასუხი ორივე შემთხვევაში ერთნაირია. Yes, she does; ან No, she does not (she doesn't).

რიტმი

ჩვენ ვმეტყველებთ, ვურთიერთობთ არა ცალკეული, იზოლირებული სიტყვებით, არამედ წინადადებებით, რომლებიც ან რაიმეს გვამცნობენ, ან გვეკითხებიან, ანდა რაიმეს გვთხოვენ, გვირჩევენ და გვავალებენ.

აქედან გამომდინარე, ფონეტიკური და ორთოეპიული ჩვევების ძირითადი შემადგენელი ნაწილი და გვირგვინია წინადადებათა წარმოთქმა და ალქმა სათანადო რიტმით, პაუზირებითა და ინტონაციით.

ინგლისური წინადადების თავისებურ რიტმს ქმნის მახვილიან სიტყვათა გაცილებით უფრო ძლიერად, ხმამაღლა და მკაფიოდ წარმოთქმა მათ თანმხლებ უმახვილო სიტყვებთან შედარებით, რომლებიც მათთან ერთად, მაგრამ უფრო ხმადაბლა და „გარბენით“ წარმოითქმიან.

პაუზირება

წინადადებაში პაუზებით გამოყოფილია ე.წ. სინტაგმები ანუ აზრობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვათა ჯგუფები.

ყოველი სინტაგმა ერთ სანარმოთქმო ერთეულს წარმოადგენს და მას თავისი ინტონაცია აქვს, რომელიც ბოლოვდება ხმის ტონის ამაღლებით, ანევიტ სინტაგმის ბოლო მარცვალზე – მახვილიანია იგი თუ უმახვილო; ანდა ხმის ტონის დადაბლებით, დანევიტ, დაშვებით სინტაგმის ბოლო მახვილიან მარცვალზე. ამასთან, თუ წინადადების ბოლოს სინტაგმა დამავალი ინტონაციით წარმოითქმის, მის წინა სინტაგმას აღმავალი ინტონაცია აქვს და პირიქით:

'Mike's ↑friend †often 'spends his 'summer ↑'holidays †'not 'far from ↓here.

'Does 'Mike's ↓friend †'often 'spend his 'summer ↓holidays †'not 'far from ↑here?

რაც შეეხება მარტივ გაუვრცობელ წინადადებას, იგი მთლიანად ერთი სინტაგმაა და მაშასადამე, ერთ სანარმოთქმო ერთეულს წარმოადგენს.

მაშასადამე, წინადადებაში იმდენი სანარმოთქმო ერთეულია, რამდენი მახვილიანი სიტყვაა. სანარმოთქმო ერთეულები ერთმანეთისაგან გამოიყოფა შეყოვნებებით, შინაგანი პაუზირებით, რაც სასწავლო ტექსტებში ტიხრებით უნდა აღინიშნოს. არასასწავლო, ე.ი. ბუნებრივ მეტყველებაში სანარმოთქმო ერთეული უფრო მსხვილი ოდენობაა; მაგალითად, აქ მარტივი გაუვრცობელი წინადადება ერთი სანარმოთქმო ერთეულია:


The 'sun has ↓risen. 'Has the 'sun ↑risen?

უცხო ენის დანყებითი კლასის სახელმძღვანელოში მოცემული წინადადებები დანაწევრებული უნდა იყოს სანარმოთქმო ერთეულებად, სინტაგმებად და მითითებული უნდა იყოს მახვილები და ტონის აღმავალ-დამავლობა; ხოლო მასწავლებ-

ლის წიგნში ყოველი ტიპის წინადადებას თან უნდა ახლდეს მისი ტონური ტრანსკრიპცია, სადაც როგორც ვიცით, მახვილიანი მარცვალი აღინიშნება ტირეთი, უმახვილო – წერტილით, ტონის აღმავალ-დამავლობა კი – სათანადო მიმართულების ისრებით.

მაგალითად:

It is 'difficult.



'Isn' it?



მასწავლებელი ცოტა მსახიობიც უნდა იყოსო. მე კი დავამატებდი – იგი ცოტა პოეტიც უნდა იყოს, რათა მან შეძლოს გართმოს და გალექსოს ახალი მასალა (განსაკუთრებით სწავლების საწყის ეტაპზე), რაც უფრო გააადვილებს და სახალისოს გახდის უცხო ბგერების ათვისებასა და ახალი სიტყვების დამახსოვრებას.

ნიმუშის სახით გთავაზობთ გართიმულ ინგლისურ ანბანს (©ავტორისეული):

* * * *

English Alphabet in Rhymes

My dear **A**ss, take this lass to the dance [dæns].
Pigeon-toed **B**ear, don't you dare to eat the hare.
My dear **C**ow, give us your milk now.
Off you go **D**onkey, let us play hockey.
My dear **E**el, how do you feel?
Dirty **F**ly, don't sit (stand) on the pie.
My dear **G**oat, how nice is your coat!
My dear **H**are, keep away from the bear.

British Isles, stretch for miles.
 You lazy **J**ay, build up your nest, it is almost **M**ay.
 My little **K**itten, don't soak your mitten.
 My dear **L**ark, don't wake us up, till it is still dark.
 You nasty **M**ouse, leave the house!
 My little **N**ag, don't lag!
 My dear **O**x, help me carry the box.
 My dear **P**arrot, eat the carrot.
 My pretty **Q**uail, hunter follows your trail.
 My dear **R**abbit, give up your bad habit.
 My little **S**nail, why are you so pale.
 My dear **T**urkey, are you from India or from Turkey?
 My lovely **U**nicorn, colour my uniform.
 Crawl away **V**iper, there comes the sniper.
 My clumsy **W**help, mother needs your help.
 Merry **X**mas, come soon and stay with us.
 My dear **Y**ak, fetch me that big sack.
 My dear **Z**orrilla, stay away from gorilla.

* * * *

აქვე, მიზანშეწონილია შესაბამისი აუდიო-ვიზუალური
 მასალის მინოდება – ასათვისებელი ბგერებისა თუ ლექსიკის
 შემცველი სიმღერებისა თუ მულტფილმების სახით:

* * * *

Why do you cry, Willy? Why do you cry, Willy?
 Why Willy? Why Willy? Why Willy? Why?

* * * *

Once two little brown bears
 Found a pear-tree full of pears.
 But they could not climb up there
 For the trunk was smooth and bare.

If I only had a chair,
Said the elder brown bear,
I would get the biggest pear
That is hanging in the air.

შეიძლება კლასს შევთავაზოთ ისეთი ენის გასატეხები (tongue-twisters) და დამრიგებლური გამონათქვამები (didactic utterances), როგორცაა:

Our fat cat
sat on that mat
While a black rat,
in the same flat
ate and ate [et]
My Dad's hat.

1. Kate skates till late.
2. Kate, don't skate till late!
3. Joe goes home alone.
4. Joe, don't go home alone!
5. Bob buys bread.
6. Bob, don't buy bread, take cakes!
7. Steve leaves Eve at home and goes to Rome.
8. Steve, don't leave Eve at home, take her to Rome!
9. Mike likes hikes and bikes.
10. Mike, go on hikes and leave bikes!
11. It is no business of a hog what a hedgehog does.
12. The more we study, the more we know,
The more we know, the farther we go.
13. Don't eat more than is the law.
14. I like Mike and Mike likes me.
Now guess if you can – what are we?

რა თქმა უნდა, უცხო ენის სწავლება შეიძლება დაიწყოს კომპლექსურადაც, ე.ი. წერა-კითხვისა და ზეპირმეტყველების სწავლებით ერთდროულად.

ამ შემთხვევაში სასურველია მე-4 კლასიდან, როცა მოსწავლეები უკვე სწორად და გამართულად მეტყველებენ თავიანთ ენაზე, და როცა მათ უკვე შეუძლიათ ხმოვნებისა და თანხმოვნების ერთმანეთისაგან გარჩევა, სიტყვების დამარცვლა და ღია და დახურული მარცვლების განსაზღვრა.

აქვე გთავაზობთ ინგლისურის გაკვეთილის შესაძლო სცენარს.

კლასში შესვლისას მასწავლებელი დგება თავის მაგიდასთან და ელოდება სანამ მის ჩაურევლად, თუ მისი ჩარევით კლასი არ მოწესრიგდება, ე.ი. სანამ ყველა ფეხზე არ წამოდგება, არ დაწყნარდება და მხოლოდ ამის შემდეგ ესალმება:

- დილა მშვიდობისა, ბავშვებო. *Good morning, children!* – დასხედით, გთაყვა. *Sit down, please!* – ხომ არავინ გვაკლია ბავშვებო? *Is anybody absent children?* – ა და ბ არ არიან. – ე.ი. *A and B are absent.* მოდით აღვნიშნოთ ჟურნალში. *Let's mark them in the register;* ანდა – არავინ არ აკლია, ყველა ესწრება. – *and so nobody is absent, everybody is present, very good.*

- ბავშვებო, სკოლაში თქვენ უკვე სწავლობთ სამ ენას – ქართულს, ინგლისურსა და რუსულს. ქართული ჩვენი მშობლიური ენაა, ჩვენი დედაენაა. რაც შეეხება ინგლისურს, იგი დედაენაა ინგლისელებისთვის, ამერიკელებისთვის, ავსტრალიელებისთვის და ა. შ.; ჩვენთვის კი ინგლისური ენა უცხო ენაა წარმოადგენს.

- დღეს ჩვენ ვისწავლით ხუთ ინგლისურ სიტყვას, რომელთა შესწავლა თქვენ არ გაგიჭირდებათ, რადგანაც ყველა მათი შემადგენელი ბგერა თქვენთვის ცნობილია – ორადორი ბგერის გარდა, რომელთა მსგავსი ბგერები ქართულშიაც გვაქვს, მაგრამ ცოტა უფრო სხვანაირად წარმოითქმებიან და უღერენ; ეს ბგერებია [d] და [t].

ახლა ვივარჯიშოთ, ბავშვებო, ამ ბგერების წამოთქმაზე. მა-

გრამ ინგლისური [d]-სა და [t]-ს წარმოთქმისას ენა რომ არ გავეცეს კბილებისაკენ, საჭიროა კბილები დაფაროთ ცერით, და ენის წვერი მივაბჯინოთ იქ სადაც ცერი თავდება, როგორც ეს სურათზეა გამოსახული (ვაჩვენებთ ვიზუალურ მასალას). ახლა, ჯერ მე წარმოვთქვამ ამ ბგერას ნუნებთან, შემდეგ კი თქვენც ამყვებით როცა გეტყვით.

– ჯერ მე: [d...d...d], ახლა ერთხმად ჩემთან ერთად: [d...d...d]. ახლა, უჩემოდ [d...d...d], ახლა ცერის გარეშე [d...d...d]. ახლა, ბავშვებო, ჯერ მე წარმოვთქვამ ამ ბგერას ქართულ ხმოვნებთან ერთად, შემდეგ კი თქვენც ამყვებით, როცა გეტყვით. ჯერ მე: [dad... djd... did... dod... dʊd], ახლა ერთხმად ჩემთან ერთად: [dad... djd... did... dod... dʊd]. – ახლა უჩემოდ: [dad... djd... did... dod... dʊd], აბა ცერის გარეშე: [dad... djd... did... dod... dʊd], ერთხელ კიდევ: [dad... djd... did... dod... dʊd].

– ასევე წარმოითქმის, ბავშვებო, ინგლისური ნუნისმიერი [t]. დაფაროთ კბილები ცერით, და წარმოვთქვათ ეს ბგერა. ჯერ მე [t... t...t], შემდეგ ჩემთან ერთად: [t... t...t], ახლა უჩემოდ: [t... t...t]. აბა ცერის გარეშე [t... t...t], ახლა ქართულ ხმოვნებთან ერთად. ჯერ მე: [tat... tjt... tit... tot... tʊt], ახლა თქვენც: [tat... tjt... tit... tot... tʊt]. ახლა უჩემოდ: [t... t...t], აბა ცერის გარეშე: [tat... tjt... tit... tot... tʊt], ერთხელ კიდევ: [tat... tjt... tit... tot... tʊt].

– ახლა, ბავშვებო, შევისწავლოთ თვითონ სიტყვები. აქაც ჯერ მე წარმოვთქვამ, ხოლმე, სურათსაც გიჩვენებთ და ერთად გადავთარგმნით, შემდეგ კი თქვენ გაიმეორებთ ხოლმე. პირველი სიტყვაა pen. ჯერ მე: [pen... pen...pen] სანერკალამი, ახლა ჩემთან ერთად: [pen... pen...pen] სანერკალამი, ახლა უჩემოდ: [pen... pen...pen] სანერკალამი. მაშასადამე, ბავშვებო, როგორაა სანერკალამი ინგლისურად?

– სანერკალამი ინგლისურად არის pen.

– მეორე სიტყვაში, ბავშვებო, p-ს ნაცვლად ჩავსვამთ h-ს და მივიღებთ hen-ს [hen... hen...hen] ქათამი, ერთხმად: [hen... hen... hen] ქათამი, უჩემოდ: [hen... hen...hen] ქათამი. ესეიგი, ბავშვებო, როგორაა, ქათამი ინგლისურად?

- ქათამი ინგლისურად არის *hen*.
- სანერკალამი?
- სანერკალამი არის *pen*.
- ახლა *p* შევცვალოთ *m* ბგერით და რას მივიღებთ? მივიღებთ *men*-ს. ჯერ მე: [*men...men...men*] კაცები, ერთხმად: [*men...men...men*] კაცები, უჩემოდ: [*men...men...men*] კაცები. მაშასადამე, კაცები ინგლისურად არის?

- *men*.

- ქათამი?

- *hen*.

- სანერკალამი?

- *pen*.

შემდეგი სიტყვის წარმოსათქმელად ჩვენ გვჭირდება ზედა კბილები დავფაროთ ცერით. ჯერ მე: [*ten...ten...ten*] ათიანი, ჩემთან ერთად, გავიმეოროთ: [*ten...ten...ten*] ათიანი, უჩემოდ: [*ten...ten...ten*] ათიანი. როგორაა, ბავშვებო, ათიანი ინგლისურად?

- *ten*.

- კაცები?

- *men*.

- ქათამი?

- *hen*.

- სანერკალამი?

- *pen*.

შემდეგ მესუთე სიტყვაში *t* შევცვალოთ *d*-თი. ჯერ მე: [*den...den...den*] ბუნავი, მხეცის საცხოვრისი. აბა, ჩემთან ერთად: [*den...den...den*] ბუნავი, უჩემოდ: [*den...den...den*] ბუნავი. მაშასადამე, როგორაა, ბუნავი?

- *den*.

- ათიანი?

- *ten*.

- კაცები?

- *men*.

- ქათამი?

- *hen.*

- *სანერკალამი?*

- *pen.*

თუ გაკვეთილის მსვლელობის დროს მოსწავლეებს დალლილობა და ყურადღების გაფანტვა დაეტყოთ, მასწავლებელმა რამდენჯერმე ააყენოს და დასხას ისინი სათანადო განკარგულებებითა და ხელის მოძრაობით:

- *stand up, children! sit down, please! stand up! sit down! stand up! sit down! up! down! up! down! up! down!*

გაკვეთილის ბოლო შეიძლება დაეთმოს გამოსამშვიდობებელი რეპლიკების შესწავლას.

- *ბავშვებო, ნახვამდის ინგლისურად არის Good bye...Good bye...Good bye [‘gud bai, ‘gud bai, ‘gud bai], აბა გავიმეოროთ: Good bye...Good bye...Good bye ნახვამდის, კიდევ ერთხელ: Good bye... Good bye...Good bye ნახვამდის. ან უბრალოდ Bye.*

- *Good bye, children [gud bai tʃildren],*

- *Bye, teacher [gud bai ti:tʃə].*

ინგლისური ლექსიკის სწავლება

როგორც ადრეც აღინიშნა, ენა სწორედ ლექსიკა, ე.ი. სიტყვები და მყარი შესიტყვებები, და მათი თანმზღები, გრამატიკად ნოდებული, ინსტრუქციაა თუ როგორ გავამრავლოთ და ვიხმართ ეს ლექსიკა. მაშასადამე, ენის ფლობა, პირველ ყოვლისა, მისი ლექსიკის ფლობას გულისხმობს.

ხშირად სვამენ კითხვას – რომელი უფრო მნიშვნელოვანია, ლექსიკა თუ გრამატიკა? პასუხი მოკლეა – უერთმანეთოდ ორივე ფუჭია.

ფიგურალურად რომ ვთქვათ, ლექსიკა გრამატიკის გარეშე ის მკვდარი კაპიტალია, ის გაურანდავი მასალაა, რომელიც მხოლოდ გრამატიკის განკარგულებაში გადასვლის შემდეგ, ე.ი. მხოლოდ მორფოლოგიური დამუშავებისა და სინტაქსური ორგანიზების შემდეგ იძენს საკომუნიკაციო ღირებულებას და იქცევა მეტყველებად.

უმაქნისია გრამატიკაც ლექსიკის, ე.ი. იმ მასალის, იმ ნედლეულის გარეშე, რომელიც მან უნდა გაამდიდროს, დაამუშაოს და მეტყველებად აქციოს.

თავისი მნიშვნელობითა და ფუნქციონირებით ლექსიკური ერთეულები, ე.ი. სიტყვები და შესიტყვებები არ წარმოადგენენ „ერთგვაროვან მასას“.

ნებისმიერი ენის ლექსიკა, ლექსიკური ფონდი შემდეგი ოთხი ფენისა თუ შრისაგან შედგება, ესენია: 1. ე.წ. სრულმნიშვნელოვანი სიტყვები და გამოთქმები (notional words and expressions); 2. ნაცვალსახელები (pronouns); 3. დამხმარე ანუ გრამატიკული სიტყვები (auxiliary or grammatical words); და 4. შორისდებულები (interjections).

1. ენისა და მეტყველების მთავარ ლექსიკურ ინვენტარს, ინფორმაციის მთავარ საშენ მასალას სრულმნიშვნელოვანი სიტყვები და გამოთქმები წარმოადგენენ, რომლებიც მთელი ლექსიკური მარაგის 98%-ს შეადგენენ.

ნაცვალსახელების, დამხმარე სიტყვებისა და შორისდებუ-

ლებისაგან განსხვავებით, რომლებიც სტაბილურ, ჩაკეტილ სისტემებს წარმოადგენენ, სრულმნიშვნელოვან სიტყვათა და შესიტყვებათა კორპუსი ღია სისტემაა, რომელიც (რიცხვითი სახელების გარდა) მუდმივ კლება-მატებასა და ცვალებადობა-განვითარებაშია. ხმარებიდან გადის არქაიზმები და ხმარებაში შემოდის ნეოლოგიზმები ე.ი. ახლადშექმნილი ან ნასესხები ლექსიკური ერთეულები.

აქ განეკუთვნებიან: არსებითი სახელები nouns (39%), ზედსართავი სახელები adjectives (17%), რიცხვითი სახელები numerals, ზმნები verbs (25%), და ზმნიზედები adverbs (12%).

არსებითი სახელი აღნიშნავს საგანს, ზედსართავი სახელი – საგნის ნიშან-თვისებას, რიცხვითი სახელი – საგანთა რაოდენობასა და რიგს, ზმნა – საგნის მოქმედებასა და მდგომარეობას, ზმნიზედა კი – მოქმედების შესრულების თუ მდგომარეობის არსებობის გარემოებას.

2. II, ისევე როგორც III, და IV ფენა, ჩაკეტილი სისტემაა, ე.ი. იგი მუდმივი, უცვლელი შემადგენლობით ხასიათდება. ამ ფენას ქმნიან ნაცვალსახელები, რომლებიც როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, არსებით, ზედსართავ და რიცხვით სახელებთან მონაცვლეობენ.

ნაცვალსახელთა დანიშნულებაა ტაფტალოგიის, მოსაბეზრებელი გამეორებების თავიდან აცილება. გამონაკლისია I და II პირის ნაცვალსახელები, რომლებიც სხვა სახელებს კი არ ენაცვლებიან, არამედ თვითონ არიან შეუცვლელები.

ნაცვალსახელები სხვადასხვა დროსა და ადგილას სხვადასხვა სიტყვებს ენაცვლებიან ხოლმე და მაშასადამე, სხვადასხვა ცნებებს გულისხმობენ; ამიტომ, სრულმნიშვნელოვანი სიტყვებისგან განსხვავებით, ისინი ამ ცნებებს კი არ აღნიშნავენ, არამედ მხოლოდ მიუთითებენ, მიანიშნებენ მათზე.

ზოგიერთ ავტორს აქ ნაცვალზმნისა (proverb) და ნაცვალზმნიზედის (proadverb) ცნებებიც კი შემოაქვს.

3. ლექსიკის III ფენის წარმომადგენლები არიან, ე.წ. დამხმარე ანუ გრამატიკული სიტყვები, – არტიკლი, წინდებული, ნა-

ნილაკი და კავშირი. არტიკლი და წინდებული არსებითი სახელის თანამგზავრები და თანამემნეებია; წინდებულები, არსებითი სახელის ეკვივალენტ ნაცვალსახელებსაც „ეხმარებიან“. რაც შეეხება ნანილაკსა და კავშირს, ისინი ყველა სრულმნიშვნელოვან სიტყვასა და ნაცვალსახელს ემსახურებიან.

აქვე მოიაზრებიან დამხმარე სიტყვები 'more' და 'most', რომლებიც ზოგიერთ ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ფორმებს აწარმოებენ და დამხმარე და ნახევრადდამხმარე ზმნები – to do, shall, will, to be, to have, can, may, must, dare, need, should და ought to.

4. IV ფენა – შორისდებულებია, რომელთაც ძნელია სიტყვები ვუნოდოთ, რამეთუ მათ აქვთ მხოლოდ ფორმა და არ გააჩნიათ შინაარსი, ანუ ისინი არ ასახელებენ ცნებებს და არც მიუთითებენ მათზე, არამედ უბრალოდ გრძნობებისა და ემოციების გამომხატველ, დაუნაწევრებელ წამოძახილებს წარმოადგენენ.

ამრიგად, შორისდებულები შინაარსის, ინფორმაციის მშენებელი კომპონენტები კი არა – ამ შინაარსისადმი, ამ ინფორმაციისადმი მთქმელის დამოკიდებულების გამომხატველი ჩუქურთმებია, რომლებიც როგორც ნესი, ზეპირმეტყველებაში გამოიყენება.

სიტყვა

მაშასადამე, ენის ძირითადი „გამწევი“ ძალა – საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობის მატარებელი და შესაბამისად, ინფორმაციის ძირითადი საშენი მასალა – სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა, რომელიც ფორმისა და შინაარსის ერთიანობას წარმოადგენს.

სიტყვის ფორმის შესახებ აზრთა რადიკალური სხვადასხვაობა არ შეინიშნება; სიტყვის მნიშვნელობის საყოველთაოდ გაზიარებული განსაზღვრება კი – არ არსებობს.

ყველაზე მისაღებად მიჩნეულია სიტყვის მნიშვნელობის ე.წ. კონცეპტუალური თეორია, რომლის მიხედვითაც სიტყვა უშუალოდ საგანს, მის ნიშან-თვისებას, მოქმედებას და ა.შ. კი არ


აღნიშნავს, არამედ ამ საგნის, ნიშან-თვისების, მოქმედებისა და ა.შ. ცნებას და მაშასადამე, სიტყვა-ცნების სახელწოდებაა.

საგნები, ნიშან-თვისებები, მოქმედებები და ა.შ. გარესამყაროშია; მათი ხატები და ცნებები და ამ ცნებათა აღმნიშვნელ სიტყვათა წარმოთქმისა და დაწერისათვის საჭირო სამეტყველო ორგანოთა და ხელის მოძრაობები კი დამახსოვრებულია, ჩაბეჭდილია ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს გრძელვადიან მეხსიერებაში.

ლაპარაკისა და წერისას (მთქმელისა და დამწერის) მეხსიერებაში ამოტივტივდება სათანადო ცნებები, რომელთაც მოქმედებაში მოჰყავთ სამეტყველო ორგანოები და ხელი, შედეგად კი ვღებულობთ წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვებს; აუდირებისა და კითხვისას კი პირიქით, ყურითა და თვალით აღქმული, ანუ გაგონილი და წაკითხული სიტყვები მსმენელისა და მკითხველის მეხსიერებაში ამოატივტივებს შესაბამის ცნებებს, რასაც შედეგად მოსდევს ამ სიტყვების უხმო არტიკულირება, უხმოდ „ჩალაპარაკება“ მსმენელისა და მკითხველის შინაგან მეტყველებაში – ანუ გაგება.

ასეთი სცენარით მიმდინარეობს გაგებინება-გაგების, ანუ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის, ანუ ვერბალური ურთიერთობის პროცესი.

ვერბალური ურთიერთობის პროცესი სქემატურად:



თვით ცნება (concept, notion) შეიძლება განისაზღვროს როგორც საგნის, მისი ნიშან-თვისების, მოქმედების და ა.შ. მახასიათებელთა იმ მინიმუმის ცოდნა, რომლითაც ჩვენ ამ საგანს, ნიშან-თვისებას, მოქმედებას და ა.შ. ვცნობთ, გამოვარჩევთ სხვა საგნების ნიშან-თვისებებისა, მოქმედებებისაგან და ა.შ.

საგანს, ნიშან-თვისებას, მოქმედებას და ა.შ. უამრავი სხვა შეცნობილი და ჯერ კიდევ შეუცნობი მახასიათებლებიც აქვთ, მაგრამ მათი ამოცნობისათვის სავალდებულო და საკმარისი სწორედ ცნობილ მახასიათებელთა მინიმუმის ცოდნაა.

ამიტომ არავის ერევა ერთმანეთში ნყალი და ღვინო, მგელი და ცხვარი, სიცილი და ტირილი და ა.შ.

საგნები, ნიშან-თვისებები, მოქმედებები და ა.შ. ძირითადად ყველგან ერთნაირია დედამიწის ზურგზე და ასევე ერთნაირი და ზოგადკაცობრიულია ამ საგნების, ნიშან-თვისებების, მოქმედებებისა და ა.შ. ხატები და ცნებები; განსხვავებულია, მხოლოდ ამ ცნებათა განზოგადების ხარისხი, შინაარსის მოცულობა, ე.ი. იმ საგანთა, ნიშან-თვისებათა, მოქმედებათა და ა.შ. რაოდენობა, რომელთაც ესა თუ ის ცნება მოიცავს; და ამ ცნებათა სახელდების მექანიზმები.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სამყარო ერთია ყველასათვის, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო, ყოველი ეთნოსი თავისებურად „ხედავს“, თავისებურად ანანევრებს მას, და თავის სახელებს არქმევს ამ „ნანევრებს“.

სახელდების - სახელის დარქმევის საფუძველი კი საგნის, ნიშან-თვისების, მოქმედების და ა.შ. ის მახასიათებელი თუ მახასიათებლებია, რომლებიც ამ ეთნოსს თვალში მოხვედრია, რომლებიც მას განსაკუთრებული ყურადღების ღირსად უცვნიან.

მაგალითად, ბუნების „გვირგვინად“ წოდებული არსების, ე.ი. ადამიანის მახასიათებლებია: 1) სულიერი; 2) ძუძუმწოვარი; 3) ორ ფეხზე მოსიარულე; 4) მოაზროვნე; 5) მეტყველი; 6) იარაღის მკეთებელი; 7) მომღიმარ-მოცინარი; 8) ზედა ტუჩზე ვერტიკალური ნაჭდევის მქონე; 9) ადამის (ან მაიმუნის) შთამო-

მავალი; 10) დაახლოებით 100 წელს მცხოვრები.

გარდა ამისა, მისი ფაკულტატური ანუ არასავალდებულო მახასიათებლებია: 1) მუსიკის მოყვარული; 2) გამომგონებელი; და 3) სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარი. ანდა, ამგვარი ფაკულტატური მახასიათებლებით „შემკული“: 1) თამბაქოს მწვეელი; 2) ალკოჰოლის მსმელი; და 3) ნარკოტიკების მოხმარებელი.

ყველა აქ ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ამ არსების სახელწოდების საფუძვლად ქართველს მისი წარმომავლობა შეურჩევია – ადამიანი, ადამის მოდგმა; რუსს – მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა человек – чело – ქალა, სხეული, რომელიც 100 წელს ცოცხლობს; ინგლისური სახელწოდება human – კი თავის ეტიმოლოგიას არ ამჟღავნებს.

ენები, პირველყოფლისა, სწორედ სახელდების საფუძვლებით, სახელდების მოტივაციით ენათესავებიან ერთმანეთს, ანდა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად:

- ქართველს, რუსსა და ინგლისელს ერთნაირად „დაუნახავთ“ მზისმოყვარე მცენარე, ამიტომაც ფიგურირებს ‘მზე’ მის სახელწოდებებში: მზესუმზირა – подсолнух – sunflower;

- ერთნაირადაა „დანახული“ კუდქიციანა ფრინველიც: ბოლოქანქალა – трясогузка – wagtail; მაგრამ ბაყაყის ნაშიერის ქართულ-რუსული და ინგლისური სახელწოდებიდან თავკომბალა – головастик – tadpole ქართველი და რუსი აქცენტს აკეთებს ამ არსების ‘თავზე’, ამასთან ქართული ამ ‘თავის’ კომბლისებურობაზეც მიანიშნებს, მაშინ როდესაც ინგლისური სრულიად უგულვებელყოფს ‘თავს’ და ხაზს უსვამს ამ არსების ნაშიერობას (tad – ბავშვი) და ტანშვერილობას, ტანის ნაგრძლებულობას (pole – შვერილი; ბოძი);

- მწერის სახელწოდებებში ნემსიყლაპია – стрекоза – dragonfly ქართველი ამ მწერს „ბრალს სდებს ნემსების ყლაპვაში“, ინგლისელი მას „მფრინავ ურჩხულს“ უწოდებს, რუსული სახელწოდება კი – დღევანდელი თვალსაზრისით არამოტივირებულია, „შეუიარაღებელი თვალით“ გაუმჭვირვალია;

• ჭინჭრაქა – крапивник – wren, ქართული და რუსული სახელწოდებების მოტივაცია გამჭვირვალეა; ესაა ამ ჩიტის ჭინჭრისადმი დამოკიდებულება. ინგლისური სიტყვა კი, დღევანდელი გადმოსახედიდან „არამოტივირებულია“;

• ცისარტყელა – радуга – rainbow, აქ მოტივაცია ამ მოვლენის რკალური ფორმაა, ოღონდ ქართულში იგი 'ცას' უკავშირდება, ინგლისურში – 'წვიმას', რუსულში კი „არ იკითხება“.

მოტივაცია შეიძლება იყოს:

ა) ზოგადკაცობრიული, ე.ი. ყველა ენაში საკუთარი და ამასთანავე, ერთნაირი;

ბ) სხვა ენიდან ნასესხები, კალკირებული, და მაშასადამე, ემორივე ენაში ერთნაირი; და

გ) საკუთარი და სხვა ენაში განუმეორებელი.

როგორც წესი, მოტივირებულია, გამჭვირვალეა, წარმოქმნილი და რთული სიტყვები; მათი „მშობელი“ მარტივი სიტყვების მოტივაცია კი – დაკარგულია, დღეს ჩვენთვის უცნობია და მათი მოტივაციის დასადგენად საჭიროა ეტიმოლოგიის, ე.ი. სიტყვათა ისტორიის მოშველიება.

მაგალითად, არავინ იცის, რატომ დაერქვა კითხვას - კითხვა – read, საფარველს - საფარველი – cover, რელსს - რელსი – rail, გზას - გზა – way, არმყოფს - არმყოფი – absent, და გონებას - გონება – mind; მაგრამ, თუ ჩვენთვის ცნობილია აფიქსების – 'er', 'dis', '-y' და '-ed'-ის მნიშვნელობები, მაშინ რულიად ნათელია, რომ მკითხველი 'reader' ნიშნავს 'read'-ით აღნიშნული მოქმედების შემსრულებელს; ზმნა 'discover' საფარველის მოცილებას, არსებითი სახელი 'discovery' აგრეთვე საფარველის მოცილებას, რომელსაც ქართულად 'აღმოჩენა' ეწოდება; 'railway' არის რელსიანი გზა, ანუ ქართულად 'რკინიგზა'; ხოლო 'absentminded' – 'გონებაზე არმყოფი', ანუ 'გონებაგაფანტული', 'გულმავიწყი'.

საინტერესო ეტიმოლოგია, ისტორია აქვს სიტყვას 'pen'. თავდაპირველად, იგი ფრინველის ფრთას აღნიშნავდა, შემდეგ იგი მეტონიმურად დაერქვა ამ ფრთისაგან დამზადებულ საწე-

რად გამოსაყენებლ ნივთს – ‘სანერკალამს’. ამ სიტყვის მეორე სემანტიკური „ფერიცვალება“ კი სავარაუდოდ, შემდეგნაირად უნდა წარმართულიყო: ჯერ ეს სახელწოდება სინექდოქურად უნდა გადატანილიყო თვით ფრთის პატრონზე, ე.ი. ‘ფრინველზე’, შემდეგ უნდა განვითარებულიყო ამ სიტყვის კრებიითი მნიშვნელობა – ‘ფრინველთა ერთობლიობა’; შემდგომ კი, აქედან მეტონიმურად უნდა წარმოშობილიყო ‘pen’, როგორც ‘ბაკი’, ე.ი. ფრინველების ან საქონლისთვის განკუთვნილი შემორაგული სადგომი ღია ცის ქვეშ.


მოტივირებულია რთული სიტყვა ‘panhandler’-იც, მაგრამ მის გასაშიფრად საჭიროა შემდეგი პატარა ანალიზის ჩატარება – ‘pan’ ნიშნავს ‘ტაფას’, ‘თასს’ ან ‘ფათქას’; ‘handle’ – ‘ტარს’, ‘სახელურს’; ‘panhandle’ – ‘ფათქის სახელურს’; ‘panhandler’ კი – ‘მათხოვარს’, რომელსაც მოწყალების შესაგროვებლად ფათქა აქვს გაშვერილი.

როგორც აღინიშნა, ყოველი ცნება-სიტყვა განაზოგადებს, მაგრამ განსხვავებულია მათი განზოგადების ხარისხი და შინაარსის მოცულობა, ე.ი. იმ საგანთა, ნიშან-თვისებათა, მოქმედებათა და ა.შ. რაოდენობა, რომელთაც ისინი მოიცავენ.

რალა შორს წავიდეთ, მეგრული ‘დიანთილი’ უფრო ზოგადი და მოცულობითია, ვიდრე ქართული ‘დედამთილი’, რადგანაც იგი ‘დედამთილის’ გარდა ‘სიდედრსაც’ აღნიშნავს. იგივე ითქმის მეგრული ‘მუანთილის’ შესახებაც, რომელიც ქართულ ‘მამამთილსაც’ აღნიშნავს და ‘სიმამრსაც’.

ზოგადი მნიშვნელობის მქონე „ქოლგა“ სიტყვას **ჰიპერონიმი (hyperonym)** ეწოდება; მასში შემავალი ნაკლებზოგადი, ან სულაც კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სიტყვები კი – მისი **ჰიპონიმებია (hyponym)**. თავის მხრივ, ჰიპონიმი შეიძლება სხვა სიტყვების ჰიპერონიმად მოგვევლინოს, რომლებიც, ამ შემთხვევაში, მისი ჰიპონიმები იქნებიან. ეს ურთიერთმიმართება ნათლად ჩანს ჰიპერონიმულ-ჰიპონიმურ პირამიდაშიც.


ჰიპერონიმულ-ჰიპონიმური პირამიდა:



ჰიპერონიმ 'მცენარის' უშუალო ჰიპონიმებია 'ხე', 'ბუჩქი' და 'ბალახი'; ხოლო 'ხის', როგორც ჰიპერონიმის ჰიპონიმებია 'ფიჭვი', 'წაბლი' და ა.შ.;

ჰიპერონიმ 'ბუჩქის' ჰიპონიმებია 'ბამბა', 'ჩაი' და ა.შ.;

ჰიპერონიმ 'ბალახის' ჰიპონიმებია 'პრასი', 'მრავალძარღვა' და ა.შ.



ქართული ცნება-სიტყვის 'ცხიმის' შინაარსის შემადგენელი ცნება-სიტყვები ანუ ჰიპონიმებია: ერბო, ზეთი, კარაქი, მარგარინი და ქონი, რომელთათვის 'ცხიმი' გამაერთიანებელი ცნება-სიტყვა ანუ ჰიპერონიმია.

ყველა ამ ჰიპონიმის შესატყვისი ცნება-სიტყვა აქვს ინგლისურს – ერბო – ghee, ზეთი – oil, კარაქი – butter, მარგარინი – margarine, ქონი – fat, მაგრამ მას არ გააჩნია ამ ცნება-სიტყვათა



გამაერთიანებელი ცნება-სიტყვა ანუ ჰიპერონიმი. რუსულში კი პირიქით, გვაქვს ჰიპერონიმი масло, მაგრამ არა გვაქვს მისი შემადგენელი ერთსიტყვიანი ჰიპონიმები, რომელთა კომპენსაციას რუსული ახდენს შესიტყვებებით: ერბო – топленое масло, ზეთი – растительное масло და კარაქი – животное масло. რაც შეეხება მარგარინს (маргарин) და ქონს (жир) ისინი ცალკე მდგომი ცნება-სიტყვებია და ‘масло’-ს „ქოლგის“ ქვეშ ანუ მის ჰიპონიმებად არ მოიაზრებიან.

მაშასადამე, ქართული ‘ცხიმის’ ბადალი ცნება-სიტყვა ინგლისურს არ გააჩნია, რუსული ‘масло’ კი ორი ერთეულით უფრო ნაკლები მოცულობისაა ვიდრე ‘ცხიმი’.

ყოველი სიტყვა განაზოგადებს (გარდა საკუთარი სახელეებისა), მაგრამ განზოგადების, აბსტრაგირების ხარისხი განსხვავებულია როგორც სიტყვიდან სიტყვაში, ისე ენიდან ენაში.

ზოგადი მნიშვნელობის ცნება-სიტყვათა, ე.ი. ჰიპერონიმთა და მათში შემავალი სპეციფიკური, უფრო კონკრეტული მნიშვნელობის ცნება-სიტყვათა, ე.ი. ჰიპონიმთა დამოკიდებულება კარგად ჩანს თუნდაც ცხოველთა სახელწოდებებში, რომლებიც შეიძლება წარმოვიდგინოთ სემანტიკური სამკუთხედების სახით, სადაც ზედა ქიმზე მოთავსებულია ცხოველთა ზოგადი სახელწოდება, ქვედა კუთხეებთან კი – მდედრისა და მამრის სახელწოდებები. ზოგჯერ, ზოგად სახელწოდებად გამოყენებულია ან მდედრის ან მამრის სახელწოდება; ზოგჯერ კი – ან მარტო ზოგადი სახელწოდება არსებობს, ან მარტო მდედრისა და მამრის სახელწოდებები:





ჩვენში პოპულარული უცხო ენებიდან ყველაზე აბსტრაქტულად მიჩნეულია ფრანგული, სადაც ზოგადი მნიშვნელობის სიტყვები ბევრად სჭარბობს სპეციფიკური მნიშვნელობის სიტყვებს; მაშინ, როდესაც გერმანული, პირიქით, სწორედ კონკრეტიკას, დეტალებს ანიჭებს უპირატესობას და რის გამოც, ხშირად, ერთ ფრანგულ სიტყვას ორი ან მეტი გერმანული სიტყვა შეესაბამება; რაც შეეხება ინგლისურს, მას ამ თვალსაზრისით შუალედური პოზიცია უჭირავს ფრანგულსა და გერმანულს შორის.

ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს, ბუნებრივია, ინგლისური და ქართული ლექსიკური სისტემების „შეზომადობა“, მათი ურთიერთმიმართების წარმოჩენა წარმოადგენს.

როგორც აღინიშნა, ამ სისტემების შეპირისპირებითი ანალიზი არავის ჩაუტარებია და ინგლისური ლექსიკის მეთოდური ტიპოლოგიზირება არავის მოუხდენია, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია და იგი ვალდებულიცაა სათანადო განმარტებითი და თარგმნითი ლექსიკონების დახმარებით თვითონ დაადგინოს ყოველი სასწავლო ლექსიკური ერთეულის თავისებურებები და გაითვალისწინოს ისინი ამ ერთეულების პრეზენტაციისა და მათზე მუშაობის დროს.


აი, რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი, სადაც ერთი ინგლისური ზოგადი ცნება-სიტყვა ორი ან მეტი სპეციფიკური ცნე-









ბა-სიტყვითაა წარმოდგენილი ქართულში, და პირიქით.



ქართველისთვის 'ფერფლი' და 'ნაცარი' სხვადასხვა ცნებებია, ინგლისელისათვის კი ისინი ერთი და იგივეა და მათთვის ერთი და იგივე საერთო სახელი 'ash' ურქმევია;

ასევე, გაუმიჯნავია 'კოლოფი' და 'ყუთი' და მათი საერთო სახელია 'box'; 'ბლისა' და 'ალუბლის' საერთო სახელია 'cherries'... და პირიქით – ქართული 'თითი' ინგლისური 'finger'-სა და 'toe'-ს საერთო სახელწოდებაა; ქართული 'ცურვა' ფარავს ინგლისური 'swim'-ის, 'sail'-ისა და 'drift'-ის მნიშვნელობებს.






მეტი თვალსაჩინოებისათვის ეს სემანტიკური მიმართებები შეიძლება სქემატურად შემდეგნაირად გამოისახოს:



















ასეთივე შინაარსისაა კუთვნილებითი ნაცვალსახელები – our(s) და your(s).









როცა ენას მხოლოდ ზოგადი ცნება-სიტყვა, ე.ი. ჰიპერონიმი აქვს და მისი „დახურდავება“, დაკონკრეტება ესაჭიროება, იგი იშველიებს სათანადო მსაზღვრელ სიტყვებს და ქმნის შესაბამის ჰიპონიმებს ან შესიტყვებების სახით – როგორც ეს რუსული 'масто'-ს შემთხვევაში ხდება, ანდა რთული სიტყვების სახით – როგორც ეს ინგლისური 'nut'-ის მაგალითზე ჩანს.

ინგლისური 'name' კი – ორივე ხერხის გამაერთიანებელი კარგი ნიმუშია, სადაც ენა ჰიპონიმებად იგივე ჰიპერონიმს იყენებს შესაბამისი პრეპოზიტიური, ე.ი. წინდართული განსაზღვრებით – როგორც შესიტყვების (last or family name), ისე რთული სიტყვის წარმოქმნის (surname) ვარიაციით.




ენაში ადგილი აქვს უკუპროცესებსაც. მაგალითად, ჯერ გაჩნდა 'პრესა' – 'press', შემდეგ 'რადიო' – 'radio', შემდეგ 'ტელევიზია' – 'television', ბოლოს კი მათი გამაერთიანებელი ცნება-სიტყვა ანუ ჰიპერონიმი – 'მედია' – 'media' ['mi:diə].




თავდაპირველად 'port' მხოლოდ 'ნავსადგური' იყო, მხოლოდ ნავებსა და გემებს ემსახურებოდა, მაგრამ როცა საჰაერო ტრანსპორტი გაჩნდა და მისთვის ანალოგიური ტერმინალი შეიქმნა, რომელსაც 'airport' – 'აეროპორტი' ეწოდა, ამან დააკონკრეტა ნავსადგურის სახელწოდება და წარმოშვა ცნება-სიტყვა 'seaport', ხოლო თავდაპირველი 'port' მათ გამაერთიანებელ ცნება-სიტყვად ანუ ჰიპერონიმად იქცა.

რომ არა სიტყვა 'port' და ენის, უფრო სწორად, ენის მატა-

რებელთა არათანამიმდევრული ბუნება, ჰიპერონიმ 'station'-ის ქვეშ განვითარდებოდა ჰიპონიმები: boat(ship)-station, bus-station, plane-station, taxi-station, train-station, tram-station, trolley-station. ეს ორი უკანასკნელი ფაქტიურად იგივე ღამის გასათევი და სარემონტო სადგური, ანუ პარკი იქნებოდა. ასეთი პარკი თვითმფრინავებისთვის 'ანგარია', მატარებლებისთვის 'დეპო' და გემებისთვის 'დოკი'.



მსგავსი თავგადასავალი აქვს 'telephone'-საც. მობილური ტელეფონის გაჩენამ წარმოშვა ცნება-სიტყვა 'ფიქსირებული ტელეფონი', რამაც 'telephone' მათ ჰიპერონიმად აქცია.



ბუნებრივია, რომ ენებში ყოველთვის იარსებებს უჰიპონი-
მებო ჰიპერონიმები, როგორცაა: ash, aunt, box და ა.შ., და უჰი-
პერონიმო ჰიპონიმები, როგორცაა: clock და watch, butter – fat
– ghee – oil, და ა.შ. – რა თქმა უნდა, (უჰიპონიმებო თუ უჰიპერო-
ნიმო) სხვა ენების პოზიციიდან.

სახელმძღვანელომ და მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა
ჩაუნერგონ ლექსიკისადმი ზემოთაღწერილი გააზრებული
სისტემური მიდგომის უნარ-ჩვევები, რამეთუ განმსოლო-
ებული, თავისი “ოჯახის წევრებისაგან” განმარტოებული,
„უნათესავო“ სიტყვების ტრადიციული ზუთხვა შორი გზაცაა
მიზნისაკენ, ძნელიცაა და ნაკლებ ეფექტურიც. მაშინ როდე-
საც საკმარისია, მაგალითად, მოსწავლემ გააცნობიეროს რომ
'chute' სწრაფი დაშვების ყველა საშუალებათა საერთო სახე-
ლწოდებაა, და მას უკვე შეუძლია ერთბაშად დაიმასხოვროს
რომ 'chute' 'პარაშუტიცაა' – 'parachute', 'საცივაო ფერდობიც',
ბავშვებისათვის ჩამოსასრიალებელი 'ლითონის ღარიც', 'და-
მრეცი სახურავიც', 'სანვიმარი მილიც' 'gutter' და მრავალსა-
რთულიან სახლებში დამონტაჟებული 'ნაგავსაყრელიც'. ცა-
ლცალკე ამ გამაერთიანებელი განმარტების გარეშე, ამ მნიშ-
ვნელობების დასწავლა არა მარტო გაჭირდებოდა, არამედ
დროშიც გაინელებოდა.

პოლისემია

გარკვეულ სიძნელეს ქმნის პოლისემიაც – სიტყვის მრავალ-
მნიშვნელოვნებაც; რამეთუ არც ერთი პოლისემანტური სიტყვა
არ ემთხვევა ყველა თავისი მნიშვნელობით მეორე ენის შესაბა-
მის, ე.ი. მთავარი, წამყვანი მნიშვნელობის მქონე სიტყვას.

პოლისემიის წყაროა ცივილიზაცია – მეცნიერების, ტექნი-
კის, აზროვნების განვითარება, რომელიც უამრავ ახალ ცნებას
წარმოშობს, რომელთა აღსანიშნად ენა ახალ მარტივ სიტყვებს
კი აღარ იგონებს – როგორც ეს ლინგვისტური აზროვნების

განვითარების გარიჟრაჟზე ხდებოდა – არამედ ეკონომიას ენაშიც აკეთებს და დერივატებსა (წარმოქმნილ სიტყვებს) და კომპოზიტებს (როთულ სიტყვებს) ქმნის; ანუ ამ ახალ ცნებებს ენაში უკვე არსებულ შესაფერის ძველ სიტყვებს მიაწერს მნიშვნელობებად, ანუ ძველი ცნებების სახელებს შეთავსებით არქმევს ახალ სიტყვებსაც – ამ ძველ და ახალ ცნებებს შორის არსებული რაიმე მსგავსების ან რაიმე კავშირის საფუძველზე.

სხვანაირად რომ ვთქვათ, აქ ადგილი აქვს სახელის მეტაფორულ, მეტონიმურ ან სინექდოქურ გადატანას ერთი საგნიდან თუ მოვლენიდან მეორეზე, უკვე არსებულ სიტყვათა მორგებას ახალ მნიშვნელობებზე.

შედეგად, მეტაფორა, მეტონიმია, სინექდოქა, სინონიმია – სიტყვის, სიტყვა-ფორმის გამრავალმნიშვნელობების წყარო, ანუ პოლისემიაა (polysemy).

მეტაფორა

მეტაფორა (metaphor) ერთი საგნის, ნიშან-თვისების, მოქმედების და ა.შ. სახელწოდების მეორეზე გადატანაა – მისთვის ახალი ცნების, ახალი მნიშვნელობის მინერა, მიბმა, „მიშვილება“ – მათ შორის არსებული რაიმე მსგავსების საფუძველზე.

სახელის მეტაფორული გადატანის საფუძველი (**the basis of the similarity**) შეიძლება იყოს:

- **ფორმალური მსგავსება (similarity in shape):** the head of a cabbage;

- **ფუნქციონალური მსგავსება (similarity in function):** the head of a household or a school, or a state;

- **პოზიციური მსგავსება (similarity in position):** a toastmaster (თამადა) sits at the head of a table.

მეტაფორა ორი სახისაა – **ლინგვისტური და მხატვრულ-ლიტერატურული ანუ პოეტური.**

ლინგვისტური მეტაფორა, როგორც წესი, ამა თუ იმ ცნების,

ე.ი. საგნის, ნიშან-თვისების თუ მოქმედების ერთადერთი სახელწოდებაა. მაგალითად, ფეხსაცმლის ლანჩის ერთადერთი ინგლისური სახელწოდებაა 'sole', რომელიც მეტაფორულადაა გადმორქმეული 'ქამბალის' სახელწოდებიდან 'sole', 'ლანჩასა' და 'ქამბალას' შორის არსებული ფორმალური მსგავსების საფუძველზე;

რაც შეეხება **პოეტურ მეტაფორას**, იგი ამა თუ იმ ცნების, ე.ი. საგნის, ნიშან-თვისებისა თუ მოქმედების მხოლოდ ეპიზოდური (ეპიზოდურად სახმარი) მეტსახელია. მაგალითად, ცბიერი კაცის მეტაფორული მეტსახელია 'a fox' – 'მელა'; ჯიუტისა – 'a mule' – 'ჯორი'; მექალთანისა – 'a Don Juan'; 'a hooligan' – 'ხულიგანი'; 'a hog' or 'pig' or 'swine' – 'ლორი'; დაჩაგრულთა მოსარჩლისა – 'Robin Hood' – 'არსენა'; უსაქმურისა – 'Humpty Dumpty' – 'ნაცარქექია'; და ა.შ.

თავდაპირველად ნებისმიერი მეტაფორა პოეტური, ხატოვანი და მაშასადამე, ემოციური მუხტის მატარებელია; მაგრამ დროთა განმავლობაში ხატოვანება მეტ-ნაკლებად იცვითება, ემოციური მუხტი სუსტდება ან სულაც ქრება, იკარგება და ზოგჯერ ძნელი გასარჩევია – უკვე ლინგვისტურია ესა თუ ის მეტაფორა, თუ ისევ პოეტური.

მეტაფორათა ნიმუშებია: an arm of a river – მდინარის შენაკადი ან განშტოება, the back of a chair – სკამის ზურგი, a bookworm – წიგნის ჭია, a butterfly – პეპელა, crowberry – დათვის კენკრა, a dragonfly – ნემსიყლაპია, an egg-plant – ბადრიჯანი, the foot of a mountain or a page – მთის ძირი ან გვერდის ბოლო, a grain of truth – ჭეშმარიტების მარცვალი, a hand of a clock or a watch – საათის ისარი, the key of a mystery – საიდუმლოების გასაღები, a leg of a table – მაგიდის ფეხი, the mouth of a river – მდინარის შესართავი, the neck of a bottle – ბოთლის ყელი, the nose of a ship – გემის ცხვირი, a shadow cabinet – ოპიზიციის კაბინეტი, a shadow of death – სიკვდილის აჩრდილი; cold colours – ცივი ფერები, a fruitful effort – ნაყოფიერი ძალისხმევა, high or low prices – მაღალი ან დაბალი ფასები, in high or low spirits

-კარგ ან ცუდ ხასიათზე, a long or short speech - გრძელი ან მოკლე სიტყვა, a sharp tongue - მწარე ენა, a stony heart - ქვის გული, a stormy discussion - ცხარე კამათი, the Upper or Lower House or Chamber - ზედა ან ქვედა პალატა, a warm welcome - გულთბილი დახვედრა; to ape - მაიმუნობა, ოინბაზობა, to break one's promise - სიტყვის გატეხა, to bridle one's anger - გაბრაზე-ბისგან თავშეკავება, ბრაზის მოთოკვა, to burst into laughter or tears - სიცილის ან ტირილის ატყდომა, გადახარხარება, ან აქ-ვითინება, ტირილის წასკდომა, to catch a cold or an idea or a train - გაციება, აზრის ჩანვდომა, ან მატარებლისათვის მისწრება, to fall ill or in love - ავად გახდომა ან შეყვარება, to fox - გაცურება, to throw light upon - რაიმესთვის ნათელის მოფენა, to wolf - თქვლეფა, ხეთქვა.

ზოგიერთი „მუხტგაცლილი“ მეტაფორა დალექილია გვა-რ-სახელებში: Fox, Wolf, ვეფხვია, ვეფხვაძე, მელაშვილი, მე-ლაძე, მელია და ა.შ.

ფუნქციურ-მეტაფორული წარმოშობისაა დღევანდელი 'კუბო', რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა 'ტახტრევანს', რომლითაც მასზე მჯდომარე თუ მწოლარე დიდებულს ოთხი კაცი დაატარებდა.

მეტონიმია

მეტონიმია (metonymy) ეწოდება წარმოშობის ადგილის, გა-მომგონებლის, ავტორის, მასალის, სახელის გადატანას ნაწა-რმზე, გამოგონებაზე, ნაწარმოებზე, ნაკეთობაზე.

მეტონიმეზია: 'borjomi' (მინერალური წყალი ბორჯომიდან), champagne [ʃæm'peɪn] - შამპანური ღვინო (იმ ადგილის სახე-ლწოდება საფრანგეთში, სადაც ამ ჯიშის ვაზი ხარობს), china - ფაიფური (ნაკეთობა ჩინეთიდან), London (გვარი), turkey - ინდაური (ფრინველი, რომელიც ინგლისელების აზრით თურქული წარმოშობისაა); Big Ben (ლონდონის კურანტები,

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად სახელი ეწოდა თემთა პალატის წევრის, სერ ბენჯამინ ჰოლის საპატივცემულოდ, რომელიც მის მშენებლობას ზედამხედველობდა), Ford – ფორდი (ინჟინერ ფორდის მიერ შექმნილი ავტომანქანა), kalashnikov (კალაშნიკოვის მიერ გამოგონებული ავტომატი), makintosh (მაკინტოშის მიერ შექმნილი ლაბადა), volt (მეცნიერი ვოლტის მიერ გამოგონილი ელ. ძაბვის საზომი ერთეული), Washington (ბოტანიკოს ვაშინგტონის მიერ გამოყვანილი ფორთოხლის ჯიში); He is the best performer of Beethoven (his compositions), I am reading Shakespeare (his works) now; copper – სპილენძის მონეტა, fox – მელიის ბენვიანი ქურქი, glass – ჭურჭლეულობა, ჭიქა, gold – ოქროულობა, დიდი ფული, iron – უთო, silver – ვერცხლეულობა; Oxford სიტყვა-სიტყვით სახარე ფონია (ხარების გასავლელი ფონი) და იგი მომდინარეობს იმ ადგილის სახელწოდებიდან მდინარე ტემზის (The Thames) და ჩერველის (The Cherwell) შესართავთან, სადაც ეს ქალაქი აშენდა. ანალოგიურად უკავშირდება ქალაქ Cambridge-ის სახელწოდება ხიდს მდინარე გრანტაზე (The Granta), რომელსაც წინათ Cam-ი ეწოდებოდა.

მეტონიმის განსაკუთრებული სახეა **სინექდოქე (synecdoche)**, ანუ ნაწილის სახელის გადატანა მთელზე, ანდა პირიქით: braindrain – ტვინების ანუ კადრების გადინება, copper – ინგლისელი პოლიციელი (მუნდირზე დაკერებული სპილენძის ლილვების გამო), crown – მონარქი, the foot – ფეხოსანი ანუ ქვეითი ჯარი, hand – მუშახელი, the horse – კავალერია, Red Riding Hood – წითელქუდა, word (სიტყვა – speech); He drank two bottles (შიგათავსი), Give me two cups, please (მაგალითად, ყავა), the White House – აშშ-ს ადმინისტრაცია.

მეტაფორულ-მეტონიმური გზა აქვს გამოვლილი სიტყვას ‘ცხედარი’. თავდაპირველად იგი ნიშნავდა ნებისმიერ სანოლს, შემდეგ მისი მნიშვნელობა დავინროვდა და ფუნქციური მსგავსების საფუძველზე, იგი ეწოდა მხოლოდ მიცვალებულის დასასვენებელ სანოლს, ბოლოს ‘სანოლის’ მნიშვნელობა გაქრა

და ეს სიტყვა მეტონიმურად დაერქვა თვით მიცვალებულს, რა მნიშვნელობითაც იგი დღესაც იხმარება; მეტონიმური წარმოშობისაა ჭადრაკის ფიგურის სახელწოდებაც 'მხედარი'.

როგორც ითქვა, მეტაფორულ-მეტონიმური პროცესების „პირმშოა“ პოლისემანტიური ანუ მრავალმნიშვნელობიანი სიტყვა. მაგალითად, 'box' ინგლისურად ნიშნავს 'ბზას' და იგი მეტონიმურად ეწოდა ბზისაგან გაკეთებულ 'კოლოფსა' და 'ყუთსაც'. მოგვიანებით, 'box' უკვე მეტაფორულად დაერქვა ნებისმიერი მასალისაგან (ხე, პლასტმასი, ლითონი, მუყაო) დამზადებულ კოლოფსა თუ ყუთს, რომელთაგანაც, ასევე მეტაფორულად განვითარდა 'box'-ის სხვა მნიშვნელობები – ზარდახშა, კოფო, ლოჟა, დარაჯის ჯიხური და ცხენის სადგომი ბაგა.

რაც შეეხება 'box' – როგორც 'ბზას', მისი თავდაპირველი კავშირი აქ ჩამოთვლილ მნიშვნელობებთან უკვე დავინწყებულია და იგი ახლა მათი ომონიმია (homonym), ისევე როგორც 'box' მნიშვნელობით 'კრივი'.

ომონიმია

ომონიმები (homonyms) ფორმით ერთი და იგივე, ხოლო მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვებია.

მაშასადამე, 'box' (კოლოფი, ყუთი) – 'box' (ბზა) – 'box' (კრივი) მაგალითზე სახეზეა ომონიმია (homonymy). თანაც, ეს სიტყვები **აბსოლუტური (absolute/full/complete homonyms) ომონიმებია**, რადგანაც ისინი ერთმანეთს ემთხვევა როგორც წარმოთქმით/ჟღერადობით, ისე დაწერილობით/გრაფიკულად და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ მნიშვნელობით:

arm მკლავი და arm შეიარაღება, ball ბურთი და ball ბალი, bark ყეფა და bark მერქანი, bear დათვი და bear ტარება, can მოდ. ზმნა შეძლება და can დაკონსერვება, club კლუბი და club ხელკეტი, fan ქომაგი და fan მარაო, game ნადირი, ნანადირევი

და game თამაში, lie წოლა და lie ცრუობა, light მსუბუქი და light ნათელი, long გრძელი და long ხანგრძლივი, match მატჩი და match ასანთი, mate ამხანაგი და mate შამათი, seal სელაპი და seal ბეჭედი.

ომოფონები (homophones) მხოლოდ წარმოთქმით/ყღერადობით ერთნაირი, ხოლო დანერვილობითა და მნიშვნელობით განსხვავებული ომონიმებია:

air ჰაერი და heir მემკვიდრე, alms მონყალეა და arms იარაღი, bear დათვი და bare შიშველი, be ყოფნა და bee ფუტკარი, brake მუხრუჭი და break ტეხვა, dear ძვირფასი და deer ირემი, die კვდომა და dye ღებვა, eye თვალი და I მე, flour ფქვილი და flower ყვავილი, hi სალამი და high მაღალი, knight რაინდი და night ღამე, knot კვანძი და not არ, main მთავარი და mane ფაფარი, meat ხორცი და meet შეხვედრა, გაცნობა, peace მშვიდობა და piece ნაჭერი, rain წვიმა და reign მეფობა და rein სადავე, right სწორი და write წერა, sail აფრა და sale გაყიდვა, soul სული და sole ლანჩა, scent სურნელი და cent ცენტი, sew კერვა და sow თესვა, steal მოპარვა და steel ფოლადი, storey სართული და story მოთხრობა.

ომოგრაფები (homographs) მხოლოდ დანერვილობით/გრაფიკულად ერთნაირი, ხოლო წარმოთქმითა და მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვებია:

bow [bau] თავის დაკვრა და bow [bəu] მშვილდი, lead [li:d] გაძლოლა და lead [led] ტყვია, row [rau] აურზაური და row [rəu] რიგი, მწკრივი, sew [səu] კერვა და sew [sju:] მეჩქვზე, თავთხელზე დგომა, sow [sau] ნეზვი ღორი და sow [səu] თესვა, tear [tiə] ცრემლი და tear [təə] ხევა, wind [wind] ქარი და wind [waɪnd] ტრიალი.

გასაგები მიზეზის გამო ქართულში მხოლოდ აბსოლუტური ომონიმები გვაქვს: ბარი (სამუშაო იარაღი) – ბარი (დაბლობი) – ბარი (სასმელების კარადა) ან კაფე-ბარი.

ომონიმია ხშირად გამოიყენება გამოცანებსა და კალამბურებში. მაგალითად, ერთი ამერიკელი მეორეს ეკითხება – What

do you do with so many fruits? და მეორე პასუხობს – We eat what we can and we can what we can't.

როგორც ვხედავთ, ენობრივი ეკონომია, ძველი სიტყვა-ფორმებისათვის ახალი ცნებების მნიშვნელობებად მიწერის გარდა, სიტყვათა ომონიმიაშიც (homonymy) ვლინდება. აბსოლუტურ ომონიმებში, ისევე როგორც პოლისემანტურ სიტყვებში, ერთ ფორმას, ერთ კომპლექსს რამდენიმე მნიშვნელობა შეესაბამება; მაგრამ, პოლისემანტური სიტყვის მნიშვნელობები მონათესავე მნიშვნელობებია, რადგანაც მათ შორის ერთია ძირითადი, პირველადი, სხვები კი ამ ძირითადიდან მეტაფორულად ან მეტონიმურად ნაწარმოები; და მაშასადამე, სემანტიკური ძაფებით მასთან დაკავშირებული. მაშინ, როდესაც, ომონიმების ყველა მნიშვნელობა ძირითადია და მათ შორის რაიმე ასოციაციური კავშირი არ იკვეთება.

სიტყვის მნიშვნელობა: პოლისემია vs ჰიპერონიმულ-ჰიპონიმური კავშირები


პოლისემანტური სიტყვის პირველადი, ძირითადი, პირდაპირი მნიშვნელობა თვითკმარი, დამოუკიდებელი, თავისთავადი მნიშვნელობაა, მაშინ როდესაც მისი მეორადი, ე.ი. მეტონიმური და მეტაფორული მნიშვნელობების გასაგებად, ამ „ნეგატივების“ გასამულავნებლად საჭიროა კონტექსტი, სიტუაცია და მიხვედრილობა.

ფიგურალურად რომ ვთქვათ, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობები მთავარი მნიშვნელობების „გამოსხივებებია“ და ისინი სემანტიკური ძაფებით არიან დაკავშირებული მასთან; მაშინ, როდესაც ამ მეორეხარისხოვან მნიშვნელობებს ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ აქვთ.

ზოგჯერ, რომელიმე მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა თვითონ დაიტოტება ახალ, თავის დაქვემდებარებულ მნიშვნელობებად. თავის მხრივ, ეს ახალი მნიშვნელობები კი – მხოლოდ

თავის „მშობელ“ მნიშვნელობასთან არიან დაკავშირებული; მშობლის მშობელ, ე.ი. „წინაპარ“ მნიშვნელობასთან კი – მათ აღარაფერი აკავშირებს.

ცნება-სიტყვის მეტონიმური დატოტვის, ე.წ. „აკიდოს“ კარგი მაგალითია 'board' ფიცარი და მისი „მონაგარი“.



1ა.

- The wedding-party board was really excellent. ქორწილის სუფრა (მაგიდა) მართლა ბრწყინვალე იყო.

- The servant has \$4 a week and free board. მსახურს კვირაში 4 დოლარი და უფასო კვება აქვს.

- Board and lodging. ბინა და კვება.

- There were two boarding-schools in Sokhumi – Georgian and Russian. სოხუმში ორი სკოლა ინტერნატი იყო – ქართული და რუსული;

- In university towns/college towns, many people make a living

by boarding students. საუნივერსიტეტო ქალაქებში სტუდენტებზე ბინის მიქირავებით ბევრი ირჩენს თავს.

1ბ.

• He swept the board in cards. მან ყველა ფსონი მოიგო ბანკოში.

1გ.

• The board of directors decided to invest a large sum of money in this business. დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა დიდი თანხის ინვესტირება ამ ბიზნესში.

• The examination board gave the student 10 out of ten. საგამოცდო კომისიამ სტუდენტი ათბალიანი სისტემით 10-იანზე შეაფასა.

შენიშვნა: საპასპორტო მაგიდა ინგლისურად passport office-ია.

2ა.

• She has been on the boards since childhood. ის ბავშვობიდან თამაშობს სცენაზე.

2ბ.


• All the passengers are on board the ship (airplane, train). ყველა მგზავრი გემზეა (თვითმფრინავშია, მატარებელშია).

'board' – ფიცრისაგან ნაწარმოებია რთული სახელები: cardboard მუყაო, chessboard ჭადრაკის დაფა, notice board განცხადებების დაფა, signboard აბრა, ფირნიში.


არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში პოლისემია, ე.ი. სიტყვის მრავალმნიშვნელობა, ერთის მხრივ, და სიტყვათა ჰიპერონიმულ-ჰიპონიმური ურთიერთობები, მეორეს მხრივ.

პოლისემიის დროს ყველა მნიშვნელობას ერთი საერთო სახელი აქვს; ისინი ერთი სიტყვით აღინიშნებიან. მაშინ, როდესაც ჰიპერონიმულ-ჰიპონიმურ ურთიერთობებში, როგორც ზოგად მნიშვნელობას, ისე მასში შემავალ სპეციფიკურ მნიშვნელობებს თავ-თავიანთი სახელები აქვთ – ისინი სხვადასხვა სიტყვებით აღინიშნებიან.

პოლისემია



ჰიპერონიმულ-ჰიპონიმური კავშირი



ლექსიკისადმი ასეთი მიდგომის მიზანია ჩაახედოს მოსწავლეს ლექსიკის სამზარეულოში, სახელდების მექანიზმებში, სიტყვის მოტივაცია და მის სხვა სიტყვებთან კავშირ-ურთიერთობებში, და ამით დაეხმაროს მოსწავლეს ლექსიკური სიძნელეების დაძლევაში, და ენის შეგნებულად და შემოქმედებითად ათვისებაში.

გრამატიკული მნიშვნელობისაგან განსხვავებით, რომელიც საერთოა, საზიაროა სიტყვათა მთელი კლასისათვის, და როგორც წესი, სიტყვის გარეგანი ფორმით გადმოიცემა, ლექსიკური მნიშვნელობა ცალკეული სიტყვის კერძო საკუთრებაა და იგი მის ფუძეში დევს.

მაგალითად, გრამატიკულად მრავლობითობა, ერთზემეტობა ყველა თვლად არსებით სახელთან, რამდენიმე გამონა-

კლისის გარდა, აღინიშნება ფლექსიით -(e)s; მაშინ, როდესაც ლექსიკურად მრავლობითობა აღინიშნება 2, 3, 4 და ა.შ. რიცხვითი სახელებით, სადაც ყოველ გარკვეულ რაოდენობას თავისი აღმნიშვნელი სიტყვა ემსახურება.

საინტერესო შემთხვევა გვაქვს გაარსებითებულ რიცხვით სახელში 'fives', სადაც მრავლობითობა ლექსიკურადაცაა გამობატული (five – 5) და გრამატიკულადაც (fives – ხუთიანები).

ლექსიკური მნიშვნელობა ორგვარია – წმინდა, „მშრალი“ საგნობრივ-ლოგიკური ანუ **დენოტაციური (denotational)** და მისი თანმხლები, დამატებითი მნიშვნელობა ანუ **კონოტაციური (connotational)**, რომელიც ამ დენოტაციურ მნიშვნელობას რაიმე საგნობრივ-ლოგიკური ნიუანსით ან მოდალურ-მხატვრული შეფერილობით ამდიდრებს და ამკობს.

მაშასადამე, დენოტაციური მნიშვნელობა ყოველი სრულმნიშვნელოვანი სიტყვის სავალდებულო მნიშვნელობაა, კონოტაციური მნიშვნელობა კი ფაკულტატურია და იგი ბევრ სიტყვას არ გააჩნია.

სინონიმია

როგორც აღინიშნა, ლექსიკური მნიშვნელობა ცალკეული სიტყვის კერძო საკუთრებაა, მაგრამ ენაში გვხვდება ერთი და იგივე ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ორი ან მეტი სიტყვა, რომელთაც სინონიმები (synonyms) ეწოდებათ, ე.ი. სინონიმია (synonymy) ცნების, მნიშვნელობის ორ და მეტსახელიანობაა, მაგრამ სინონიმი არც ყველა სიტყვას გააჩნია და არც სიტყვის ყველა მნიშვნელობას.

ენობრივ სინონიმებში გაარჩევენ **აბსოლუტურ (absolute/complete/perfect)**, **იდეოგრაფიულ (ideographic/cognitive/relative)** და **სტილისტურ (stylistic)** სინონიმებს; და ცალკე გამოყოფენ **სამეტყველო ანუ კონტექსტუალურ (contextual)** სინონიმებს.

აბსოლუტურია სინონიმები, რომელთა საგნობრივ-ლოგიკური ანუ დენოტაციური მნიშვნელობა და ხმარება ერთმანეთს ემთხვევა და მაშასადამე, რომლებიც „უმტკივნეულოდ“, უდანაკარგოდ, სრულფასოვნად ენაცვლებიან ერთმანეთს ნებისმიერ არაფიგურალურ გამონათქვამებში – ნეიტრალური სტილის კონტექსტსა და სიტუაციაში.

აბსოლუტური სინონიმები არც ისე იშვიათია (განსაკუთრებით არსებით სახელებში), როგორც ამას ლინგვისტები აცხადებენ. მით უმეტეს უსაფუძვლოა აზრი მათი სულაც არარსებობის შესახებ.

სინამდვილეში, როცა საგანს აბსოლუტურად ერთნაირი მნიშვნელობისა და ხმარების მქონე სახელები აქვს, ეს აბსოლუტური სინონიმები გარკვეული დროის განმავლობაში თანაარსებობენ, შემდგომში კი ისინი ან მნიშვნელობებს იცვლიან, ანდა ერთის გარდა ყველა წყვეტს არსებობას.

მაშასადამე, დღეისათვის აბსოლუტურ სინონიმებად უნდა მივიჩნიოთ: ადვოკატი და ვექილი, მონაფე და მოსწავლე, კრავი და ბატკანი, ჭინჭრაქა და ლობემძვრალა, თხმელა და მურყანი, გოგრა და კვანი, საზამთრო და ხაბურზაკი, ჩიბუხი და ყალიონი, არჩევანი და ალტერნატივა.

ინგლისურში: alternative and choice, ass and donkey, bucket and pail, desire and wish, dramatist and playwright, footballer and footballplayer, kid and goatling, merchant and trader, plant and mill, pupil and schoolchild, scenario and filmscript; brave and bold, dear and expensive, famous and well-known, infamous and notorious; two and a couple of, twelve and dozen, twenty – a score of; to arrive (at, in) and to come (to), to continue and to go on, to go to and to leave for, to intend and to be going to.

სიტყვები ერთმანეთს მხოლოდ ერთი რომელიმე მნიშვნელობით ესინონიმებიან. მაგალითად, ‘ass’ და ‘donkey’ სინონიმებია, თანაც აბსოლუტური სინონიმები, როცა ისინი ცნობილ დიდყურა ცხოველს აღნიშნავენ, მაგრამ ფიგურალურად, გადატანითი მნიშვნელობით ‘ass’ – სულელი და ბრიყვი კაცია,

‘donkey’ კი პირიქით – შრომისმოყვარე და თავდაუზოგავად მშრომელი ადამიანია. სწორედ ამიტომ წარმოადგენს ეს უკანაქნელი ამერიკის დემოკრატიული პარტიის ემბლემას. იმავე გააზრებით, მეორე დიდი რესპუბლიკური პარტიის ემბლემა სპილო (elephant). თუ აბსოლუტური სინონიმებისადმი წაყენებული მოთხოვნა „უმტკივნეულო“ ურთიერთჩანაცვლებადობაა, მაშინ ასეთი წყვილები შეიძლება იდეოგრაფიულ სინონიმებშიც მოინახოს და სტილისტურშიც.

იდეოგრაფიული სინონიმი სავალდებულო დენოტაციური მნიშვნელობის გარდა ამ მნიშვნელობის რაიმე ელფერს (a shade of the meaning), რაიმე ემოციურ მუხტს (an emotive charge), საალერსო და კნინობით კონოტაციასაც (an endearing and demunitive connotation) გადმოსცემს.

‘სიარულის’ იდეოგრაფიული სინონიმია ‘ლასლასი’, რომელიც ძირითადი, დენოტაციური მნიშვნელობის – ‘ფეხით გადაადგილების’ გარდა, ამ მოქმედების თანმხლებ, კონოტაციურ მნიშვნელობასაც გადმოსცემს – ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოქმედების შესრულების სიძნელესაც აღნიშნავს.

სიტყვის კონოტაციაში აგრეთვე ვლინდება, იკითხება მისი შემრჩევის, ე.ი. მთქმელისა თუ დამწერის დამოკიდებულება სიტყვაში დასახელებული პირის, საგნისა თუ მოვლენისადმი. მაგალითად, სიტყვების ‘მოსვლა’ და ‘წასვლა’ მოდალური სინონიმებია – ‘მობრძანება’ და ‘წაბრძანება’ – ‘მოთრევა’ და ‘წათრევა’ შესაბამისად.

ინგლისურ სინონიმებში გამოხატული კონოტაციის ნიმუშებია: stroll – wander (about/around) – meander – gad (about):

- The man was strolling through the park. კაცი პარკში დასეირნობდა.

- Police found the man wandering about with no money or papers. პოლიციამ ის კაცი იპოვა; ფულისა და საბუთების გარეშე დაეხეტებოდა.

- He would meander in the town for hours. ის საათობით უსაქმოდ/უსაგნოდ/უმიზნოდ დაბოდილობდა ხოლმე ქალაქში.

- He gads about a lot. სად არ დაეთრევა.

მსგავსი ურთიერთდამოკიდებულებების მქონე იდეოგრაფიული სინონიმებია: 'ლაპარაკი' და 'ლულული', 'პოლიტიკოსი' და 'პოლიტიკანი', 'ხარაზი' და 'მეჯღანე', 'მკაცრი' და 'სასტიკი', 'მსუქანი' და 'პუტკუნა', 'ჭამა' და 'თქვლეფა' და ა. შ.

ინგლისურში სიტყვის 'happening' – 'შემთხვევა' იდეოგრაფიული სინონიმებია: 'accident' 'უბედური შემთხვევა', 'incident' 'ინციდენტი', 'უმნიშვნელო შემთხვევა', 'event' მნიშვნელოვანი შემთხვევა, 'მოვლენა';

- help შველა – aid დახმარება: In danger we call for help, but when in economic difficulty – we need humanitarian aid;

- fat მსუქანი – plump პუტკუნა, strict მკაცრი – cruel სასტიკი, plain ულამაზო – ugly მახინჯი, thrifty ხელმოჭერილი, ძუნწი – economical ეკონომიური;

- large დიდი – big (very large), huge ვეებერთელა, უზარმაზარი – great მნიშვნელობით დიდი, დიადი;

- cry ტირილი – weep ცრემლვა – sob ქვითინი;

- grandmother ბებია – granny ბებო, mother დედა – mummy, mumma დედიკო, father მამა – dad(dy) მამიკო, son ვაჟიშვილი – sonny (boy) შვილ(ი)კო, girl გოგო – girlie გოგონი, book წიგნი – booklet წიგნაკი, brace სარტყელი – bracelet სამაჯური, casse ფრ. პოლიგრ. შრიფტის სალარო – cassette [kæ'set] კასეტა, pup(py) ძაღლის ლეკვი – whelp ნებისმიერი გარეული ცხოველის ლეკვი, ნაშიერი, pack ფუთა – packet პაკეტი, rain წვიმა – shower თქეში, stream ნაკადული – streamlet პატარა ნაკადული, რუ, rack ბარგის დასაბინავებელი ბადურა ტრანსპორტში – racket ჩოგანი, sock ღრმული – socket ჩამრთველი, დენცქვიტა.

სინონიმთა ვგუფებს შორის გადაულახავი ზღვარი არ არსებობს. ზოგიერთი სინონიმური წყვილი ხან აბსოლუტურ სინონიმებად გვევლინება, ხან კი იდეოგრაფიულად. მაგალითად:

- He slipped and almost (nearly) fell. მას ფეხი დაუცდა და კი-ნალამ დაეცა.

- It's nearly one o'clock. თითქმის პირველი საათია.

- Dinner is almost ready. სადილი თითქმის მზადაა.

- She has almost forgotten him, but once she nearly made a mistake. მას თითქმის გადაავიწყდა ის, მაგრამ ერთ დროს კინა-ლამ შეცდომა დაუშვა.

- besides გარდა (არსებულზე დამატებით, კიდევ) – except გარდა (არსებულისა): Besides History and Geography he studies a lot of subjects and he goes to school every day except Sunday. ისტორიისა და გეოგრაფიის გარდა, ის სხვა ბევრ საგანსაც სწავლობს და სკოლაში დადის ყოველდღე, კვირის გარდა.

ბუნებრივია, რომ პოლისემანტიური სიტყვის თითოეულ მნიშვნელობას თავისი სინონიმი აქვს: cry – ყვირილის სინონიმიია shout, მაგრამ როცა cry ტირილს აღნიშნავს მისი სინონიმებია weep – ცრემლვა და sob – ქვითინი; ask – კითხვის სინონიმიია inquire გამოკითხვა, მაგრამ როცა იგი ნიშნავს თხოვნას, მისი სინონიმიია beg – ვედრება.

სტილისტური სინონიმები (stylistic synonyms) ერთნაირი დენოტაციური მნიშვნელობის, მაგრამ სხვადასხვა სტილის სიტყვებია.

ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი, სიტყვათა და გამოთქმათა ძირითადი კორპუსი ნეიტრალური სტილის ე.ი. ნებისმიერ სტილში გამოყენებადი და ენის ნებისმიერი მატარებლის სტანდარტული ლექსიკაა. მაგრამ, ამ საყოველთაოდ ხმარებადი, ნეიტრალური სტილის სიტყვებისა და გამოთქმების გარდა, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები აგრეთვე და უპირატესად, ხმარობენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილას ან თავიანთი საქმიანობის სფეროში გაბატონებულ „ამოჩემებულ“ სიტყვებსა და გამოთქმებსაც. და მაშასადამე, ნეიტრალური სტილის, საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვასა თუ გამოთქმას შეიძლება ჰქონდეს იმავე დენოტაციური მნიშვნელობის, მაგრამ რაიმე სპეციფიკური, ე.ი. დიალექტური, ნიგნური, ვულგარული და ა. შ. სტილის სინონიმიც.

ქართული მაგალითებია: მტერი (ნეიტრ.) – დუშმანი (არქ.), კარგი (ნეიტრ.) – კაი (სასაუბრ.), ძალიან (ნეიტრ.) – ძაან (სასა-

უბრ.), კინალამ (ნეიტრ.) – ღარმე (იმერ. დიალ.) და ა.შ.

ინგლისურში: enemy (neutr.) – foe (arch.), head (neutr.) – nut (sl.) გოგრა, woman (neutr.) – lady (book.) ქალბატონი, begin (neutr.) – commence (book.) რაიმეს შედგომა – initiate (formal) ინიცირება, წამოწყება, choose (neutr.) არჩევა – select (book.) შერჩევა, eat (neutr.) – partake (book.) მირთმევა – wolf (sl.) თქვლევა, etc.

სინონიმებიდან მხოლოდ დენოტაციური მნიშვნელობის მქონე, ნეიტრალური სტილის სიტყვას **დომინანტი** ეწოდება, რომელსაც შეიძლება აბსოლუტური სინონიმიც ჰქონდეს, იდეოგრაფიულიც და სტილისტურიც.

უკეთესი თვალსაჩინოებისათვის საჭიროა მოსწავლეს შევუდგინოთ ყველაზე ხშირად ხმარებულ სინონიმთა შემდეგი სახის ცხრილი.

დომინანტი სიტყვები და მათი აბსოლუტური სინონიმები	იდეოგრაფიული სინონიმები	სტილისტური სინონიმები
boy ბიჭი	urchin (troublesome boy) ძნელად აღსაზრდელი ბიჭი	----
face სახე	'countenance (expressive face) მეტყველი სახე	physiognomy (book.) ფიზიონომია visage (liter.), mug (sl.) ugly face სიფათი
father მამა male parent	----	dad(dy) child's word for father მამიკო
'happening, 'occurrence შემთხვევა, ხდომილობა	'accident უბედური შემთხვევა, 'event მნიშვნელოვანი მოვლენა, 'incident უმნიშვნელო ინციდენტი, 'occasion სპეც. ან ბედნ. შემთხვევა	----

empty ცარიელი	vacant (not occupied) თავისუფალი blank (not filled up) შესავსები ბლანკი	----
large	big (very large), great (very large in size or volume) დიდი, დიადი, huge ვეებერთელა, უზარმაზარი	----
outstanding, wellknown გამოჩენილი, ცნობილი	famous, eminent გამოჩენილი კარგით, infamous, notorious გამოჩენილი ცუდით	----
small, little	diminutive (abnormally small), tiny (extremely diminutive) ნამცეცა microscopic მიკროსკოპული miniature მინიატურული	wee(dial.) პანუა, პანანინა, პანანკინტელა
cry ტირილი	weep ცრემლვა sob ქვითინი wail გოდება, მოთქმით ტირილი	----
eat, have ჭამა	devour ხარბად ჭამა	partake (book.) მირთმევა, wolf (vulg.) ხეთქვა, თქვლევა
kill (put to death) (მო)კვლა	murder დაგეგმილი მკვლელობა assasinate პოლიტიკური მკვლელობა execute სიკვდილით დასჯა lynch ჩაქოლება	slay (liter.) განგმირვა, wrap (sl.)
look, watch ყურება	gaze (watch with wide-open eyes) gape (watch with wide-open mouth)	stare (coll.) მიშტერება

რაც შეეხება მეოთხე ჯგუფის სინონიმებს ე.წ. **კონტექსტუ-
ალურ ანუ სამეტყველო სინონიმებს**, ე.ი. ჰიპერონიმებს, ჰი-
პონიმებსა და ნაცვალსახელებს, ისინი მხოლოდ მოცემული
ტექსტის ფარგლებში სინონიმებენ ერთმანეთთან.

მაგალითად, 'შექსპირი' 'Sheakespeare' ერთსა და იმავე
ტექსტში შეიძლება მოხსენიებულ იქნას, როგორც 'the famous
writer', 'the greatest dramatist', 'the author of such masterpieces as
...' და უბრალოდ როგორც 'He'.

სავარჯიშოებიდან და ტექსტებიდან მოსწავლემ უნდა
იგრძნოს და გაითავისოს, რომ სინონიმები აზუსტებენ და „აფე-
რადებენ“ ინფორმაციას და თავიდან გვაცილებენ მოსაბეზრე-
ბელ გამეორებებს, ტავტალოგიას.

ანტონიმია

თუ იდენტიფიცირებისათვის ენა სინონიმებს იყენებს, დი-
ფერენციაცია და კონტრასტები ანტონიმებით გადმოიცემა.
სამყარო ხომ დაპირისპირებულთა დიალექტიკური მთლია-
ნობაა. სწორედ ეს კონტრასტები უქმნიან ერთმანეთს ფონს
და ამით ერთმანეთს წარმოაჩენენ; დღე არ იქნებოდა, რომ არ
იყოს ღამე, და პირიქით; ყველაფერი რომ ერთი ფერისა იყოს,
ფერის ცნება არც კი იარსებებდა. ხოლო, რადგანაც ენა სინა-
მდვილეს ასახავს, ბუნებრივია, იგი ამ დაპირისპირებებსაც, ამ
კონტრასტებსაც გადმოსცემს, აღნიშნავს სიტყვებით.

ანტონიმები (antonyms) ფორმით სხვადასხვა, ზოგადი ანუ გვა-
რობრივი, ანუ ჰიპერონიმული მნიშვნელობით ერთნაირი, ხოლო
კონკრეტული, ანუ სპეციფიკური, ანუ სახეობრივი, ანუ ჰიპონი-
მური მნიშვნელობით განსხვავებული, საპირისპირო სიტყვებია.

ჰიპონიმი-ანტონიმების male და female-ის ზოგადი მნიშვნე-
ლობა და მისი აღმნიშვნელი სიტყვა, ანუ ჰიპერონიმია sex, tree
და bush-ისა plant, water და wine-ისა drink, black და white-ისა
colour, bitter და sweet-ისა taste, cold და warm-ისა temperature.

სემანტიკური გარემო, სემანტიკური ველი, რომელშიც ანტონიმები შედიან და ზოგადი ცნება, რომლის ქვეშაც ანტონიმებია გაერთიანებული, ყველა ანტონიმურ წყვილს აქვს; მაგრამ ამ ზოგადი ცნების ზოგადი აღმნიშვნელი სიტყვა ყველა ენას არ გააჩნია.

ამ შემთხვევაში, ზოგჯერ ჰიპერონიმობას კისრულობს ერთ-ერთი ჰიპონიმი-ანტონიმი. მაგალითად duck და drake-ის ჰიპერონიმია duck, bitch და dog-ისა dog, long და short-ისა length. თუმცა, გვაქვს უჰიპერონიმო ჰიპონიმი-ანტონიმებიც, როგორცაა: love (სიყვარული) – hate (სიძულვილი), good (კარგი) – bad (ცუდი), true (ნამდვილი) – false (ყალბი), alive (ცოცხალი) – dead (მკვდარი), hit (მოხვედრება) – miss (აცილება) და ა.შ.

სემანტიკურად ანტონიმები ორი ტიპისაა: 1. **კონტრადიქტორული (contradictory)**, ანუ ურთიერთსაწინააღმდეგო, ანუ ურთიერთგამომრიცხავი და 2. **კონტრარული (contrary)**, ანუ პრივატული, ანუ ურთიერთსაპირისპირო, ანუ „ურთიერთდამშვები“.

კონტრადიქტორული ანტონიმები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ერთმანეთს გამორიცხავენ, მათ შორის არ არსებობს გარდამავალი, შუალედური გრადაცია; ერთი მათგანის არსებობა მექანიკურად ნიშნავს მეორის არარსებობას. მაგალითად, თუ ადამიანი ან ცხოველი ცოცხალია (alive), იგი არ არის მკვდარი (dead), და პირიქით – თუ იგი მკვდარია, იგი არ არის ცოცხალი.

კონტრადიქტორული ანტონიმური წყვილებია: alive and dead, asleep and awake, absent and present, male and female; woman and man, wife and husband, girl and boy; to go and to come, to open and to close, to buy and to sell; in and out, to and from, up and down და ა.შ.

პრივატული ანტონიმები ერთმანეთს უპირისპირდებიან, მაგრამ ერთმანეთს არ გამორიცხავენ, ერთი მათგანის არსებობა არ ნიშნავს მეორის არარსებობას, რამეთუ აქ არსებობს სხვა საპირისპირო ვარიანტებიც. თუ რაიმე შავი არ არის, ეს არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად თეთრია; იგი თეთრის გარდა შე-

იძლება იყოს წითელი, ლურჯი, მწვანე და ა.შ. და პირიქით, თუ რაიმე თეთრი არაა ეს არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად შავია; იგი შეიძლება ნებისმიერი სხვა ფერისაღ იყოს.

მაგალითად, სტენდალის ერთ-ერთი ნაწარმოების სახელწოდებაა „წითელი და შავი“; რუსეთის 1917-18 წლების სამოქალაქო ომში ერთმანეთს ერბოდნენ „თეთრები“ და წითლები“; და ა.შ.

ასევე, თუ რაიმე ცივი არ არის, ეს არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად ცხელია; იგი შეიძლება იყოს, როგორც ცხელი, ასევე თბილი, ან გრილი და პირიქით – თუ რაიმე ცხელი არ არის, იგი შეიძლება ცივიც იყოს, თბილიც და გრილიც.

პრივატული ანტონიმების მაგალითებია: black and white or red or green ...; beautiful and ugly or handsome or pretty ...; cold and warm or cool or hot; old and young or middle-aged; one and two or three or many; the first and the second or the third ...; always and never or sometimes or seldom.

ამ ენობრივი, ანუ ენასა და ენის მატარებლის ცნობიერებაში დაფიქსირებული ანტონიმების გარდა, სახელდება ხოლმე **კონტექსტუალურ-სიტუაციური ანუ სამეტყველო ანტონიმებიც**, რომლებიც მხოლოდ გარკვეულ კონტექსტსა და სიტუაციაში უპირისპირდებიან ერთმანეთს.

მაგალითად, განვალებულმა მგზავრმა შეიძლება წამოიძახოს – it is not a road but hell! (ეს გზა კი არა ჯოჯოხეთია!), მაგრამ ამ სიტუაციის გარეთ, იზოლირებულად აღებული ‘road’ და ‘hell’ არ წარმოადგენენ ანტონიმებს.


მარტივად რომ ვთქვათ, (სინონიმების დარად) ენობრივი ანტონიმები უკონტექსტოდაც ანტონიმობენ, მაშინ როდესაც სამეტყველო ანტონიმებს მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტი ავლენს.


ყველა კონტრადიქტორული ანტონიმი ენობრივს განეკუთვნება, ხოლო კონტრარული ანტონიმებიდან კი ისეთები, როგორცაა: black and white, cold and warm, East and West, good and bad, South and North, many and few, much and little, water and wine, wise and foolish და ა.შ.





ანტონიმები ხატოვანებასა და ემოციურობას ანიჭებენ გამონათქვამებს:





- He can't tell black from white. ის შავსა და თეთრს ვერ არჩევს.
- They gave him a rather cold (warm) welcome. მათ მას ფრიად ცივი (თბილი) შეხვედრა მოუწყვეს.
- East or West, home is best. სტუმრად კარგია, მაგრამ სახლში უკეთესია.
- He is neither dead nor alive (after the tragedy). ის არც მკვდრებში წერია და არც ცოცხლებში/ცოცხალმკვდარია (ამ ტრაგედიის შემდეგ).






ანტონიმები იმ ჰეპრონიმთა ჰიპონიმებია, რომელთა „ქვეშაც“ ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან სხვადასხვა მახასიათებლებით:















მაშასადამე, ფორმისა (ბგერათკომპლექსისა) და შინაარსის (მნიშვნელობის) ურთიერთმიმართებათა თვალსაზრისით, შემდეგი სურათი იკვეთება:

სხვადასხვა ფორმა – ერთი მნიშვნელობა სინონიმია	სხვადასხვა მონათესავე მნიშვნელობა – ერთი ფორმა პოლისემია	სხვადასხვა არამონათესავე მნიშვნელობა – ერთი ფორმა ომონიმია	სხვადასხვა ფორმა – სხვადასხვა მნიშვნელობა ანტონიმია
mate – friend ამხანაგი	mate 1. ამხანაგი 2. კაპიტნის თანაშემწე (საზღვ.) 3. მეუღლე	mate ამხანაგი – mate შამათი (ჭადრაკში)	mate ამხანაგი – enemy მტერი

შესიტყვება

ჩვენ ვმეტყველებთ წინადადებებით, თვით წინადადება კი სიტყვებისა და შესიტყვებებისაგან შედგება.

სიტყვები ჩვენ უკვე განვიხილეთ. რაც შეეხება შესიტყვებას, ანუ სიტყვათშეხამებას, იგი შეიძლება იყოს **თავისუფალი**, რომელიც თვით მეტყველების პროცესში იქმნება, ენის წესების მიხედვით და იგი შეიძლება იყოს **მყარი, ტრადიციული**, რომელიც ოდესღაც შექმნილა, თაობიდან თაობებს გადმოცემულა და ახლა ასე მზა ფორმით იხმარება (იგულისხმება მთქმელისა და დამწერის საკუთარი მეტყველება, და არა ვინმეს ციტირება და დეკლამირება).

მყარი შესიტყვებაც ორგვარია – არაიდომატური, ანუ მოტივირებული, ანუ გამჭვირვალე და **იდომატური**, ანუ არამოტივირებული.

არაიდომატური მყარი შესიტყვების, ისევე როგორც თავისუფალი შესიტყვების შემადგენელი ყველა სიტყვა თავისი პირდაპირი მნიშვნელობით გამოდის და მთელი შესიტყვების შინაარსი მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობების ჯამია, მათგან გამოიყვანება. მაშინ როდესაც იდომატური შესიტყვების ყველა სიტყვა, ან რომელიმე მათგანი თავისი არაპირდაპირი, ანუ გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და მთელი შესიტყვების შინაარსის გაგება, სპეციალური შესწავლის გარეშე გაძნელებული, ანდა სულაც შეუძლებელია.

წინადადებაში **He went to the bed – went to the bed** თავისუფალი შესიტყვებაა, სადაც როგორც ზმნა, ისე არსებითი სახელი შეიძლება თავისუფლად ჩანაცვლდეს იმავე კატეგორიის სხვა სიტყვებით, და სადაც ყოველი სიტყვა თავისი პირდაპირი მნიშვნელობით გამოდის და შესიტყვების შინაარსს ადგენს. ასე რომ, შეიძლება გვქონდეს: **He went or ran or rushed or moved to the bed or to the table or to the store or to the door.** ის წავიდა, ან გაიქცა, ან გავარდა, ან გადაადგილდა სანოლისაკენ, ან მაგიდისაკენ, ან ლუმელისაკენ, ან კარისაკენ. მაშინ როდესაც წინადა-

დებაში He went to bed – went to bed მყარი იდიომატური შესიტყვებაა, სადაც არაფრის შეცვლა არ შეიძლება, და სადაც არც ‘went’ ნიშნავს ‘წავიდა’, და არც ‘bed’ არის ‘სანოლი’, რის გამოც შეიძლება გვქონდეს: He went to bed on the bed or on the sofa or on the hay or on the grass or on the ground or even in the armchair. მან დაიძინა სანოლზე, ან დივანზე, ან თივაზე, ან ბალახზე, ან მიწაზე, ანდა სავარძელშიც კი.

ასევე წინადადებაში He kicked the bucket and spilt the water – kicked the bucket თავისუფალი შესიტყვებაა, სადაც როგორც ზმნა ისე არსებითი სახელი შეიძლება თავისუფლად ჩანაცვლდეს იმავე კატეგორიის სხვა სიტყვებით, და სადაც ყოველი სიტყვა თავისუფალი პირდაპირი მნიშვნელობით გამოდის და ადგენს შესიტყვების შინაარსს. მაშასადამე, შეიძლება გვქონდეს: He kicked or broke or overturned the bucket or the bottle or the jug. მან ფეხი ჰკრა, ან გატეხა, ან გადააბრუნა ვედრო(ს), ან ბოთლს(-ლი), ან დოქს(-ქი). მაგრამ წინადადებაში He kicked the bucket – kicked the bucket მყარი იდიომატური შესიტყვებაა, სადაც ‘kicked’ ფიგურალურად ნიშნავს ‘ფეხები გაფშკა’, ‘bucket’ – მოიაზრება როგორც ‘კუბო’, და მთელი გამონათქვამი სლენგურად ნიშნავს – He died.

მყარი არაიდიომატური შესიტყვების მაგალითებია: to have or to take breakfast, lunch, dinner, supper, tea, a drink, a rest, a smoke, a walk, a ride, a bus, a swim და ა.შ., სადაც არტიკლი მოქმედების ერთჯერადობაზე მიანიშნებს.

ყველა ამ და ზოგიერთ სხვა შესიტყვებას სიტყვა-სინონიმიცა აქვს: to make a division – to divide დანაწილება, to make up one’s mind გადანყვეტილების გამოტანა – to decide გადანყვეტა, to have breakfast საუზმის ქონა – to breakfast საუზმობა, to have dinner სადილის ქონა – to dine – სადილობა...

აღსანიშნავია, რომ ინგლისურში to have breakfast, lunch, dinner და ა.შ. უფრო სასაუბროა, ვიდრე მათი სიტყვა-სინონიმები; ქართულში კი – პირიქით.

ლექსიკური მინიმუმები

თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკა უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია, ინგლისური ენის ყველაზე დიდ უებსტერისეულ ლექსიკონში 700 000-ზე მეტი სიტყვა და გამოთქმაა დაფიქსირებული; და ლექსიკონში ყოველთვის უფრო ნაკლებია, ვიდრე ფაქტიურად ხმარებაშია. შედარებისათვის უნდა ითქვას, რომ თანამედროვე რუსული ენის 17-ტომიან ლექსიკონში აღრიცხულია 120 480 ლექსიკური ერთეული, ქართულ 8-ტომეულ ლექსიკონში კი – სულ 113 000 სიტყვა და გამოთქმაა.

ცხადია, არც არავინ იცის, და არც არავის სჭირდება ამდენი სიტყვა და გამოთქმა, მით უმეტეს მიუღწევადია დასახელებული ლექსიკის თუნდაც მესამედის ათვისება, და არა მარტო საშუალო, არამედ სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელშიც.

აქედან, ლექსიკური მინიმუმების შერჩევის აუცილებლობა, ერთის მხრივ, დასახელებული მიზნისათვის საჭიროება-საკმარისობისა და მეორეს მხრივ, სკოლის შესაძლებლობებისა და მეცნიერულად დასაბუთებული გარკვეული პრინციპების მიხედვით.

უცხო ენათა ლექსიკური მინიმუმები შედგენილი და წიგნაკებად იყო გამოცემული საბჭოთა კავშირის რუსულენოვანი სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მაგრამ ბუნებრივია, ახლა საჭიროა მათი გაახლება, მათი დღევანდელ რეალებთან მისადაგება და რაც მთავარია, მათში ქართული სინამდვილისა და ქართული ენის თავისებურებათა გათვალისწინება.

სტრუქტურული თვალსაზრისით, უცხო ენის სასკოლო **ლექსიკური მინიმუმი** ორ ურთიერთშედწევად **ჯგუფად** – **აქტიურ** და **პასიურ მინიმუმებად** იყოფა.

აქტიური მინიმუმი ის სიტყვები და გამოთქმებია, რომლებიც სკოლადამთავრებულმა თავის **(რე)პროდუქტულ მეტყველებაში, ე.ი. ლაპარაკსა და წერაში** უნდა გამოიყენოს და მაშასადამე, რომელიც მან უნდა აითვისოს როგორც **(რე)პროდუქტუ-**

ლად, ისე რეცეპტულად. **პასიური მინიმუმი** კი, ის სიტყვები და გამოთქმებია, რომელთაც სკოლადამთავრებული თავის (რე) პროდუქტულ მეტყველებაში ვერ გამოიყენებს, მაგრამ რომლებიც მან უნდა აღიქვას, გამოიცნოს და გაიგოს თავის **რეცეპტულ მეტყველებაში, ე.ი. აუდირებისა და კითხვისას;** და მაშასადამე, რომლებიც მან მხოლოდ რეცეპტულად უნდა აითვისოს.

აქტიურ და პასიურ მინიმუმებს შორის გადაულახავი ზღვარი არ არსებობს, ინტენსიური კითხვისა და ზეპირმეტყველების პრაქტიკის შემთხვევაში პასიური ლექსიკის ნაწილი შემუშნევლად გადადის აქტიურ მარაგში, და პირიქით, არასაკმარისი კითხვისა და ზეპირმეტყველების შემთხვევაში აქტიური ლექსიკის ნაწილი გადადის პასივში, ანდა სრულიად ქრება მესიერებიდან.

მაშასადამე, უცხო ენის შემსწავლელმა, რაც შეიძლება ხშირად უნდა უსმინოს ტელე და რადიოგადაცემებს შესასწავლენაზე, და ყოველდღე უნდა იკითხოს მხატვრული ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები ამ ენაზე. მშობლიურ ენაში პასიური ლექსიკა 4-ჯერ აღემატება აქტიურს, შესაწავლენაში ეს განსხვავება (შეფარდება) უმნიშვნელოა.

საშუალო სკოლის პროგრამით სკოლადამთავრებულის აქტიური მინიმუმი უნდა შეადგენდეს 1000 ლექსიკურ ერთეულს, პასიური კი – დაახლოებით 2-ჯერ უნდა აღემატებოდეს აქტიურს.

უცხო ენების მეთოდის თეორიული საფუძვლების ავტორთა მიხედვით ყველაზე მეტი ლექსიკა სჭირდება კითხვას, რადგანაც ტექსტის ცოტად თუ ბევრად ადეკვატური გაგებისათვის საჭიროა იგი შიცავდეს არანაკლებ 85% ცნობილ ლექსიკას, რაც უდრის 2300-2500 ყველაზე უფრო ხშირად ხმარებულ სიტყვასა და გამოთქმას.

შემდეგ მოდის აუდირება, რომლისთვისაც საჭირო ლექსიკა 200 ერთეულით სჭარბობს ლაპარაკისათვის საჭირო ლექსიკას და 1200-მდე ყველაზე ხშირად ხმარებული ლექსიკური ერთეულით განისაზღვრება.

ყველაზე მცირე ლექსიკა მოდის წერაზე, რამეთუ წერიტი მეტყველება საერთოდ არ შედის უცხო ენის სწავლების მიზნებში; და გარდა ამისა, წერისას მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს ლექსიკონები.

ზემონათქვამში თითქოსდა პარადოქსთანა გვაქვს საქმე, რადგანაც თუ აუდირება მოლაპარაკის გაგებას ნიშნავს და მოლაპარაკე 1000 ერთეულს იყენებს, რატომ არ უნდა იყოს საკმარისი აუდირებისათვის იგივე 1000 ერთეული? საქმე ისაა, რომ სხვადასხვა მოლაპარაკეთა 1000-1000-იანი მინიმუმები ხშირად სხვადასხვა შედგენილობისაა და ამდენად, მათი ლექსიკური არსენალების თანხვედნის პროცენტი ნაკლებია.

ლექსიკური, ისევე როგორც გრამატიკული აქტიური და პასიური მინიმუმების დადგენა და კლასებზე განერა განათლების სამინისტროს პროგრამისტიებისა და სახელმძღვანელოთა ავტორების პრეროგატივაა და იმედია, ისინი ერთხელ და სამუდამოდ, დაარღვევენ მანკიერ ტრადიციას და აქტიურ მინიმუმს შეარჩევენ არა მარტო მხატვრული და კლასიკური ლიტერატურიდან, რომელიც ყოველთვის ჩამორჩება ცოცხალ მეტყველებას, არამედ და უმთავრესად დღევანდელი ოფიციალური და საყოფაცხოვრებო ხასიათის საუბრების აუდიოჩანაწერებიდან, ტელე-რადიოგადაცემებიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან, და თანამედროვე დრამატურგიიდან; პასიურს კი – უმეტესწილად, როგორც თანამედროვე-ტექნიკური, ისე სოციალურ-პოლიტიკური ტექსტებიდან.

უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიაში აგრეთვე ფიგურირებს **ენ. მესამე მინიმუმის ცნებაც**; ეს არის **პოტენციური ლექსიკა**, რომელშიც ინტერნაციონალური ლექსიკის გარდა, ის სიტყვები და გამოთქმებიც მოიაზრება, რომლის არც მოცულობა და არც შედგენილობა მითითებული არ არის და მაშასადამე, რომელზეც მოსწავლეები სპეციალურად არ ვარჯიშობენ; რომელსაც ისინი არ სწავლობენ; მაგრამ რომლის გაგება მათ უნდა შეძლონ აუდირებისა და კითხვისას კონტექსტის, სიტუაციის, სიტყვათმწარმოებელი ელემენტებისა და მოდელების, და წინადადებათა

გრამატიკული და ტექსტის ლოგიკური ანალიზის მეშვეობით. შემდგომ კი, თვითონაც შეეძლება გამოიყენონ ისინი თავიანთ აქტიურ მეტყველებაში, ე.ი. ლაპარაკსა და წერაში.

მაშასადამე, ჩვენ პოტენციურ ლექსიკაზე უშუალოდ არ ვმუშაობთ, მაგრამ ვვარჯიშობთ იმ საშუალებებზე, რომლებიც ამ ლექსიკის გაგებას ემსახურება.

უცხო ენის სწავლების ჩვენებური პრაქტიკის დიდი ნაკლია, რომ ჩვენ ლექსიკას, და მაშასადამე ენას, ვასწავლით მხატვრული კლასიკური ლიტერატურის ტექსტებით; რაც რა თქმა უნდა, დიდად ჩამორჩება ცოცხალ სასაუბრო ენას. ამას ადვილად ამჩნევენ და აღნიშნავენ ინგლისელები, რომლებიც წერენ, რომ იქ ჩასული ინგლისური ენის სპეციალისტები თავისუფლად ლაპარაკობენ შექსპირსა და ჩოსერზე, მაგრამ თავისი სასტუმროსკენ გზის გაკვლევა უჭირთ, ე.ი. ენას ინსტრუმენტალურად ვერ იყენებენ; განსაკუთრებით კი – უჭირთ ნათქვამის გაგება.

მეორე დიდი ნაკლია ის, რომ ჩვენ ვასწავლით უმეტესწილად მონოლოგურ მეტყველებას და რაც ყველაზე უარესია – ვასწავლით ზუთხვას; მაშინ როდესაც ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, დიალოგის სახით მიმდინარეობს.

ლექსიკური მასალის მეთოდური ტიპოლოგია

ლექსიკური მასალის მეთოდური ტიპოლოგიზირება, ე.ი. სიტყვებისა და გამოთქმების დაჯგუფება-დახარისხება მათი ათვისების სიძნელისდა მიხედვით, სახელმძღვანელოს ავტორის ექსკლუზიური პრეროგატივაა, მასწავლებლისათვის აქ მხოლოდ იმისი არჩევანი რჩება – თუ რა მეთოდი და ხერხი გამოიყენოს ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის პრეზენტაციისა და მასზე მუშაობისათვის; ხოლო ადეკვატური არჩევანის გაკეთებისათვის საჭიროა, იგი სათანადოდ ერკვეოდეს ტიპოლოგიაში.

სიძნელის ხარისხი დამოკიდებულია ცნობილსა და უცნობს შორის არსებული მანძილის სიგრძე-სიმოკლეზე, წარმომად-

ვლობით კი, ეს **სიძნელე ორგვარია**: ერთია, ის „**ობიექტური**“, „**თანდაყოლილი**“ **სიძნელე**, რომელიც თვით ენობრივ მოვლენას ახასიათებს, და მაშასადამე, რომელიც სიძნელეს წარმოადგენს ამ ენის მატარებლისათვისაც და მეორეა, **სუბიექტური „შეძენილი“ სიძნელე**, რომელიც შესასწავლ ენობრივ მოვლენასა და მშობლიური ენის შესაბამის მოვლენას შორის არსებული განსხვავებულობიდან, ან ამ ენობრივი მოვლენის ერთ რომელიმე ენაში სულაც არარსებობიდან მომდინარეობს.

ინგლისურ ენაში უნდა დაიძებნოს და სახელმძღვანელოში ჩაიდოს ქართული ენის იმ ცნება-სიტყვათა და გრამატიკულ კატეგორიათა შესატყვისები, როგორცაა: გამეტება, განირვა, მისწრება, შელევა, გასაღება ... , გეზი და ორიენტაცია, სათავისო და სასხვისო ქცევები, მოქმედების შესრულების ნებელობა-უნებლობა, კაუზატიურობა, თურმეობითობა და სხვა.

რადგანაც სიტყვის სიძნელე ყველა მისი პარამეტრის, ე.ი. წარმოქმის, დანერილობის, მნიშვნელობისა და ხმარების სიძნელეთა ჯამია, მაშასადამე, მოსწავლისათვის ყველაზე ადვილი ის უცხო სიტყვებია, რომელთა პარამეტრები გარკვეულნილად ან მაქსიმალურად უახლოვდება მისი დედაენის შესაბამის სიტყვათა პარამეტრებს. ყველაზე ძნელი კი ის სიტყვებია, რომელთა პარამეტრები კარდინალურად განსხვავდება დედაენის შესაბამის სიტყვათა პარამეტრებისაგან, ანდა ამ სიტყვათა ბადალი სიტყვები სულაც არ გააჩნია დედაენას.

ინგლისური და ქართული ლექსიკური სისტემების შეპირისპირებითი ანალიზი არავის ჩაუტარებია და ინგლისური ლექსიკის მეთოდური ტიპოლოგია ქართულენოვანი აუდიტორიისათვის არავის დაუდგენია, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია და ვალდებულიცაა განმარტებითი და თარგმნითი ლექსიკონების გამოყენებით ზემოთ აღწერილი პროცედურების მეშვეობითა და მოცემული კლასის ლინგვისტური მომზადებულობისა და ზოგადი განათლების დონის გათვალისწინებით თვითონ დაადგინოს ყოველი ლექსიკური ერთეულის ტიპი და განსაზღვროს მასზე მუშაობის რაგვარობა.

ლექსიკაზე მუშაობა

ლექსიკურ, ისევე როგორც ფონეტიკურ, ორთოგრაფიულ და გრამატიკულ მასალაზე მუშაობა ოთხ ეტაპად მიმდინარეობს:

1. ლექსიკური მასალის, ე.ი. სიტყვებისა თუ შესიტყვებების პრეზენტაცია, ანუ წარდგენა, ანუ ახსნა, ანუ გაცნობა (vocabulary introduction or presentation or explanation), რომლის მიზანია ამ მასალის ფორმის (წარმოთქმის, დაწერილობის, სტრუქტურის), მნიშვნელობისა და ხმარების თავისებურებათა ხაზგასმული, აქცენტირებული წარმოჩენა;

2. ლექსიკური მასალის პირველადი განმტკიცება (initial consolidation of vocabulary), რომელიც როგორც ახსნის გაგრძელება, ილუსტრაცია და უკუკავშირი ამ მასალის გააზრებას, გაცნობიერებასა და დამახსოვრებას ემსახურება;

3. ლექსიკური ჩვევების ფორმირება (vocabulary habit formation), რომელიც გულისხმობს ახალი მასალის აქტივიზირებას, ჩვევის დონეზე ავტომატიზირებას; და

4. ამ მასალის გამოყენება მოსწავლეთა მიერ როგორც თავიანთ სასწავლო, ისე არასასწავლო, ე.ი. ბუნებრივ მეტყველებაში – როგორც გაკვეთილზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ყველა ეს ეტაპი ურთიერთდაკავშირებულია და ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს.

პირველადი განმტკიცება შეზრდილია ახსნასთან, წარმოადგენს რა მის ილუსტრაციას, განმარტებასა და უკუკავშირს; ამიტომ, ბუნებრივია, როგორც ერთიანი პროცესი, ერთსა და იმავე გაკვეთილზე ტარდება;

მას კი, თავის მხრივ მოსდევს ენობრივი ჩვევების ფორმირება, ანუ ლექსიკის გამოყენებაზე ვარჯიში სამეტყველო მოქმედიანობის ყველა სახეში, უპირატესად კი – აუდირებასა და ლაპარაკში; და ის შემდგომ გაკვეთილებზეც გრძელდება;

ხოლო, შესასწავლი მასალის ბუნებრივ ვერბალურ ურთიერთობებში გამოყენება, როგორც უკვე ითქვა, სწავლების საბო-

ლოო მიზანს წარმოადგენს და იგი იწყება სკოლაში, და გრძელდება ცხოვრებაში.

თავისთავად ცხადია, რომ ლექსიკურ მასალაზე მუშაობა გულისხმობს, ყველა მის პარამეტრებზე მუშაობას, ე.ი. წარმოთქმაზე, სფელინგზე, სტრუქტურაზე, გრამატიკულ ფორმებზე, მნიშვნელობასა და ხმარებაზე.

წარმოთქმაზე მუშაობისას გამოიყენება იმიტაცია და ბგერის არტიკულაციური ანალიზი; სფელინგზე მუშაობა მოითხოვს ბგერა-ასოებრივ და ასო-ბგერობრივ ანალიზს, ანუ მართლწერისა და კითხვის წესების მოშველიებას; სიტყვის სტრუქტურული ანალიზი ხელს უწყობს ენობრივი მიხვედრილობისა და სიტყვათწარმოების ჩვევების ფორმირებას, რაც აუცილებელია პოტენციური ლექსიკის წარმოებისა და გაგებისათვის.

ახალი, ინტერაქტიული სწავლების კონცეფციიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის მთავარი მოქმედი „გმირი“ მოსწავლეა; მასწავლებელს კი, სწავლების უკვე საშუალო საფეხურიდან მხოლოდ ამ პროცესის ორგანიზატორ(-ფასილიტატორის), მაკონტროლებელ-მაკორექტირებლისა და შემფასებლის როლი აკისრია; თუმცა, ამ სამ უკანასკნელ ფუნქციაშიც მას სულ უფრო ხშირად ეხმარება და ეზიარება მთელი კლასი.

სიტყვის სემანტიკაზიის ხერხები

ლექსიკისა და ენის ძირითადი ერთეულის, სიტყვის ორმხრივობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მასზე მუშაობა ამ ორი მიმართულებით წარიმართება.

სიტყვის ფორმაზე, მისი წერა-კითხვის ტექნიკაზე მუშაობის ხერხები და მეთოდები შემოთავაზებულია წინა ორ თავში; ახლა განვიხილოთ სიტყვის მეორე და მთავარ, ე.ი. მის შინაარსობრივ მხარეზე, ანუ მის მნიშვნელობაზე მუშაობისათვის საჭირო რეკომენდაციები.

სიტყვის მნიშვნელობაზე მუშაობა იწყება მისი **სემანტიზაციით, ე.ი. მისი მნიშვნელობის გახსნით.**

სემანტიზაციის დროს ხორციელდება პრინციპი – ცნობილიდან უცნობისაკენ. ცნობილია საგანთა, მათ ნიშან-თვისებათა, მოქმედებათა და ა.შ. ცნებები და მათი სახელწოდებები მშობლიურ ენაზე; უცნობია ამ ცნებათა სახელწოდებები უცხო ენაზე. სწავლების მიზანია ცნობილი ცნებების ასოციაციურად დაკავშირება მათ უცხოენოვან სახელწოდებებთან, რისთვისაც ორი გზა ან ხერხი (ways), თუ მეთოდი (methods) არსებობს. ერთია, **პირდაპირი, ანუ უთარგმნელი, ანუ თვალსაჩინოების მეთოდი (direct or non-translation or visual method)**, მეორე კი – **თარგმნითი მეთოდი (translation method).**

თვით პირდაპირი, ანუ უთარგმნელი, ანუ თვალსაჩინოების მეთოდი ორი სახისაა. ესენია – 1. **ხედვითი თვალსაჩინოების მეთოდი (eye-visual method)** და 2. **ვერბალური თვალსაჩინოების მეთოდი (verbal visual method).**

1. ხედვით-ვიზუალურ თვალსაჩინოებებში შედის რეალურ თუ ბუტაფორულ საგანთა, მათ ნიშან-თვისებათა, მოქმედებათა, სურათების, ნახატების, სქემების, ცხრილების, სასწავლო ფილმების დემონსტრირება, ჟესტები და მიმიკა.

მაშასადამე, ხედვითი თვალსაჩინოების გზით სემანტიზირებას ექვემდებარება მხოლოდ გარეგნულად აღქმად და ამოცნობად საგანთა, მათ ნიშან-თვისებათა, მათი რაოდენობისა და მათ მოქმედებათა აღმნიშვნელი სიტყვები, ე.ი. არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელები და ზმნები.

მაგალითად, სურათზე გამოსახული კატა არავის აერევა სხვა რომელიმე ცხოველში, მაგრამ ზოგადად ცხოველის გამოხატვა შუქლებელია, რადგანაც იგი იქნება ან იგივე კატა, ან ირემი, ან ლომი და ა.შ., ანუ რომელიმე კონკრეტული ცხოველი.

ანალოგიური სურათი გვაქვს ზმნებთანაც; დემონსტრირებას აქაც მხოლოდ კონკრეტული, ერთჯერადი მოქმედებები ექვემდებარება, როს გამოც ეს ზმნები მხოლოდ ანმყო განგრძობით დროშია. ყოველგვარ ორაზროვნებას გამორიცხავს,

მაგალითად, სურათები, სადაც, ვთქვათ, ბიჭი ცურავს, გოგო ციგურებით სრიალებს, და თვითმფრინავი მიფრინავს, რომელთაც მასწავლებელი შესაბამისად ახმოვანებს, ანდა რომელთაც ქვეშ შესაბამისად უწერიათ: The boy is swimming. The girl is skating. The plane is flying.

მაგრამ ამავე წესით ვერ გაშუქდება, მაგალითად, ზმნა 'მეცადინეობა', 'მეცადინეობს' (to study, is studying), რადგანაც სურათზე ამ შემთვევაში მოსწავლე ან უნდა წერდეს, ან კითხულობდეს, ან ხაზავდეს, ანდა მაგალითებსა თუ ამოცანებს იყვანდეს.

შესაძლებელია, ასევე, დასურათდეს რაოდენობითი და როგობითრიცხვითი სახელები. პირველ შემთხვევაში სურათებზე თანამიმდევრობით იქნება წარმოდგენილი ან ციფრები 1, 2, 3 და ა.შ., ან სათანადო რაოდენობის საგნები, ვთქვათ 'თხილი' – nut(s), მეორე შემთხვევაში კი, ერთ სურათზე – ვთქვათ, თეატრის სალაროსთან რიგში მდგარი დანომრილი ხალხი (first, second, third...)

რიცხვითი სახელები შეიძლება მოსწავლეებს კლასის მარშირების ან მერხებზე რიტმული კაკუნის ფონზე შემდეგ დოზებად მივანოდოთ: one, two, ↓three; four, five ↓six; seven, eight, nine ↑ten; eleven, ↓twelve.

რაც შეეხება საგანთა ნიშან-თვისებებს, ანუ მათი აღმნიშვნელი ზედასართავი სახელების სემანტიზაციას, იგი ხორციელდება ან ვერბალური თვალსაჩინოების, ანუ ცნობილი სიტყვების უცნობ ანტონიმებთან შეპირისპირების გზით, ანდა უფრო ეკონომიურად – ხედვითი თვალსაჩინოების გამოყენებით, სადაც დაწყვილებული ანტონიმებიდან ორივე უცნობია და ისინი აქ ერთმანეთის სემანტიზირებას ახდენენ.

ნიშანდობლივია, რომ ვერბალურ თვალსაჩინოებად მხოლოდ კონტრადიქტორული ანტონიმები გამოიყენება და ისიც, როცა ერთი მათგანი ცნობილია:

- absent is not present ან present is not absent
- asleep is not awake ან awake is not asleep

- it is not clean, it's dirty ან it is not dirty, it's clean და ა.შ.

რაც შეეხება პრივატულ ანტონიმებს, ისინი, როგორც აღინიშნა, კარგად და წყვილად სემანტიზირდებიან ხედვითი თვალსაჩინოებით, სადაც სურათებზე გამოსახული კონტრასტები შემდეგნაირად ხმოვანდება:

- This is a big house and that is a small house
- This is a white egg and that is a red egg
- This is a long nose and that is a short nose და ა.შ., რაც არავითარ ადგილს არ ტოვებს მოცემული ზედსართავების მნიშვნელობებში დაეჭვებისათვის.

ფერები დემონსტრირდება მათზე მითითებით:

It is red; It is black; და ა.შ.

ხედვითი თვალსაჩინოების გამოყენების არეალი შეზღუდულია, ერთის მხრივ, დაწყებითი კლასებით, ე.ი. მოსწავლეთა ასაკით, როცა მათში სჭარბობს, ანდა სულაც ერთადერთი ხატოვანი აზროვნება; მეორეს მხრივ კი – სამყაროს ხილვადი საგნებითა და მოვლენებით.

2. ვერბალურ თვალსაჩინოებათა რიგს განეკუთვნება სიტყვის მნიშვნელობის გახსნა იმავე ენაზე: ა) დეფინიციით; ბ) ჩამოთვლით; გ) კონტექსტუალური მიხვედრილობით; დ) ცნობილი ძირისა და სიტყვათწარმოების მოდელის მიხედვით; ე) სინონიმებითა და ანტონიმებით.

ვრცლად განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ა) სიტყვის დეფინიცია (definition), ანუ მისი მნიშვნელობის განმარტება ამავე ენის სხვა სიტყვებით. მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ არა მარტო განმარტებითი ლექსიკონის ხმარება, არამედ და უფრო მეტად, განმარტებათა მოდელები მეტყველების ნაწილებისდა მიხედვით:

A teacher is a man or woman, who teaches.

A cat is an animal that catches mice.

A bank is a building where money is kept.

White is the colour of snow.

Red is the colour of blood.

Sugar is sweet.

Onion is bitter.

რიცხვითი სახელები სემანტიზირდება ხედვითი თვალსაჩინობის თანხლებით (თითების ან დაწერილობის გამოყენებით):

One plus one is two.

Two plus one is three.

Four minus one is three.

Four minus two is two.

Four minus three is one.

Four minus four is zero.

To speak means to pronounce (utter) sentences.

To go means to move from one place to another.

To drink means to swallow some liquid (water, wine . . .)

ახალ სიტყვებზე ვარჯიშისას მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას დეფინიციათა შებრუნებული ვარიანტები: What is the name (what do we call) a man or woman who teaches? What is the name (what do we call) a building where money is kept?

სიტყვის დეფინიციაში, როგორც მისი მნიშვნელობის ნათლად გაცნობიერებაში სასურველია მოსწავლეები დედაენაშიც ვარჯიშობდნენ.

ბ) ჩამოთვლა (enumeration):

Cats, dogs, elephants and lions are animals.

Chestnuts, oaks, pines and walnuts are trees.

Water, milk, lemonade, coca-cola, beer, wine are drinks.

Bread, butter, cheese, meat are food.

Bicycles, cars, buses, trams, trolley-buses, trains, ships and planes are transport.

Black, white, brown, red, blue, green, yellow are colours.

France, Georgia, Germany, Italy and Spain are countries.


ახალ სიტყვებზე მუშაობისას აქაც შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი სახის კითხვა-პასუხები:

What animals do you know? (name some animals) – I know (I can name) such animals as cats, dogs, pigs . . .


სიტყვების ასეთ პირამიდულ, იერარქიულ ჰიპონიმუ-

რ-ჰიპერონიმულ კავშირ-ურთიერთობებზე დაკვირვება და მათში გარკვევა მოსწავლეს ეხმარება არა მარტო ენის შეგნებულად დაუფლებაში, არამედ, აზროვნების განვითარებაშიც.

მასწავლებელმა ხაზგასმით უნდა შენიშნოს, რომ სიტყვათა ასეთი კავშირ-ურთიერთობები ყველა ენისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ბუნებრივია, ყველა კონკრეტული შემთხვევა როდი ემთხვევა ერთმანეთს სხვადასხვა ენებში. მაგალითად, ინგლისელს შეუძლია თქვას – chestnut (წაბლი), hazelnut (თხილი) and walnut (კაკალი) are nuts – მაგრამ ქართულს არ გააჩნია ამ ჩამონათვალის გამაერთიანებელი, 'nut'-ის შესაბამისი „ქოლგა-სიტყვა“ ანუ ჰიპერონიმი:



სამაგიეროდ, სიტყვების – კარაქი (butter), ზეთი (oil), ერბო (ghee), ქონი (fat) მარგარინი (margarine) – გამაერთიანებელი, ზოგადი „ქოლგა-სიტყვა“, ჰიპერონიმი ქართულში 'ცხიმია'; ინგლისურში კი, ამ ფუნქციით, ალბათ ისევე fat (ქონი) თუ გამოიყენება:



გ) კონტექსტი (context) – ლექსიკური ერთეულის (სიტყვის, შესიტყვების თუ წინადადების) ის სიტყვიერი გარემოცვაა, რომელიც ამ ლექსიკური ერთეულის მხოლოდ ერთ მნიშვნელობას წარმოაჩენს, დანარჩენებს კი – გამოორიცხავს, უკუაგდებს.

ფიგურალურად რომ ვთქვათ, კონტექსტი პოლისემიის (მრავალმნიშვნელობის) მტერია; ცხრილია, რომელიც გასაშიფრი ლექსიკური ერთეულის მხოლოდ ერთ, კონტექსტისთვის მისაღებ მნიშვნელობას ტოვებს ზედაპირზე; დანარჩენებს კი – გაცხრილავს.

კონტექსტი, უშუალოდ თუ დისტანცირებულად ან ნინ უძღვის „გასაშიფრ“ ლექსიკურ ერთეულს, ან მოსდევს მას.

ქვემოთ ნინადადებებში ხაზგასმული სიტყვებიდან ან პირველია ცნობილი და მეორეს განსაზღვრავს, ანდა პირიქით, მეორეა ცნობილი და პირველს განსაზღვრავს:

When we are hungry we eat.

When we are thirsty we drink.

When we are tired we rest.

The pen doesn't write, it is empty (of ink).

The river is too cold to bathe.

The pen is empty (of animals), someone has left the gate open.


The sun rises in the East and sets in the West.

Columbus discovered America in 1492.

Georgia restored its independence in 1991.

ენის ძირითადი ერთეულის, სიტყვის მიკროკონტექსტად შეიძლება მივიჩნიოთ რთული სიტყვა, შესიტყვება და წინადადება; მაკროკონტექსტად კი – აბზაცი და მთელი ტექსტი.

რთულ სიტყვებსა და შესიტყვებებში „გასაშიფრი“ სიტყვის მნიშვნელობას გვკარნახობს მისი აქ თანმხლები მეორე კომპონენტი. ეს ის რთული სიტყვებია, რომლებიც ზოგადი ცნება-სიტყვების, ე.ი. ჰიპერონიმების კონკრეტულ ცნება-სიტყვებად, ე.ი. ჰიპონიმებად „დახურდავების“, დიფერენცირების შედეგად არიან წარმოშობილი:



რაც შეეხება შესიტყვებებს, ეს ის კონსტრუქციებია, რომლებიც რთულ სიტყვებად ჯერ არ შეკრულან, თუმცა ზოგ ავტორთან ისინი უკვე ასეთებად ითვლებიან და დეფისით ინერებიან.

ინგლისურ, ისევე როგორც ქართულ რთულ სიტყვებსა და შესიტყვებებში, როგორც წესი, პირველი კომპონენტი მსაზღვრელია, მეორე კი – საზღვრული:

a garden flower – ბაღის ყვავილი

a flower garden – ყვავილების ბაღი

pocket money – ჯიბის ფული

money pocket – ფულის ჩასადები ჯიბე

a cup of coffee – ფინჯანი ყავა

a coffee cup – ყავის ფინჯანი

a bottle of milk – ერთი ბოთლი რძე

a milk bottle – რძის ბოთლი და ა.შ.

აქ მოყვანილი მაგალითები სიტყვათა ურთიერთქმედების, ურთიერთგავლენის ნათელი მაშუქია. და მათზე მუშაობა სწორედ ამ „სტილში“ უნდა წარიმართოს, მაგრამ სიტყვის სემანტიზაციისათვის მხოლოდ აბსოლუტურად გამჭვირვალე კონტექსტი გამოიყენება.

ბუნებრივია, რომ ანტონიმების, ისევე როგორც სინონიმების და ცალკეული სიტყვებისა და შესიტყვებების სემანტიზაციისა და ათვისებისათვის კონტექსტის გამოყენება მოსახერხებელი და ქმედითი, ე.ი. მიზანშეწონილია მხოლოდ კლასგარეშე მუშაობის რეჟიმში.

დ) სიტყვათწარმოების მოდელები (wordbuilding patterns).

როგორც ვიცით, შედგენილობის მიხედვით სიტყვა სამგვარია:

ა) მარტივი ანუ ძირეული, რომელიც მხოლოდ ერთი ძირისაგან შედგება, და რომელსაც არც პრეფიქსი გააჩნია და არც სუფიქსი: book – წიგნი;

ბ) წარმოქმნილი, რომელიც ერთი ძირისა და ერთი ან მეტი პრეფიქსისაან/და სუფიქსისაგან შედგება: bookish – ლიტერატურული; და

გ) რთული ანუ კომპოზიტი, რომელიც ორი ან მეტი ძირისაგან შედგება: bookshelf – წიგნების თარო.

სიტყვათწარმოების ნათელი მაგალითებია:

- speak (ლაპარაკი)→speaker (1. მოლაპარაკე; 2. სპიკერი)→loudspeaker (დინამიკი, ხმის გამაძლიერებელი აპარატი)
- work (მუშაობა)→worker (მუშა)→workshop (საამქრო)
- hand (ხელი)→handle (სახელური; ტარი)→door-handle (კარის სახელური)

ამ ნიმუშებზე დაყრდნობით მოსწავლეს შეუძლია ანალოგიურად აწარმოოს:

window-handle (ფანჯრის სახელური), axe-handle (ნაჯახის ტარი); ოღონდ არა – კალმისტარი, სადაც გვაქვს pen-holder (სიტყვასიტყვით კალმის „დამჭერი“).

აქვე, უპრიანი იქნება ამავე თარგზე აჭრილი pan-handle (ტაფის ტარი) და მისგან განვითარებული pan-handler (მათხოვარი) სიტყვის დაშლა-დახურდავებაც.

შეგნებულობის პრინციპიდან გამომდინარე, მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა მიაჩვიოს გააანალიზონ, ე.ი. კომპონენტებად დაშალონ წარმოქმნილი და რთული სიტყვები და თვალის გადადევნონ იმ სემანტიკურ ცვლილებებს, რომლებიც მათში განვითარებულა „მშობელი“ სიტყვის სემანტიკასთან შედარებით.

ასევე, მოსწავლეს წარმოდგენა უნდა ჰქონდეს საგანთა სახელდების მექანიზმებზე, ე.ი. სიტყვის მოტივაციაზე. როგორც

ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვის მოტივაციის საფუძველია საგნის ის ნიშან-თვისება, რომელსაც სახელმძღვანელო ხალხი ამ საგნის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევს. გააჩნია, ვის რა ხვდება თვალში, საგნის რა ასპექტი იპყრობს მის ყურადღებას. მაგალითად:

- გაღუნულ მონეტას ერთი მხრიდან შეხედავ – ჩაზნექილია, მეორე მხრიდან შეხედავ – ამოზნექილი;

- ნახევარ ბოთლ სასმელზე პესიმისტი ამბობს – ნახევარი უკვე დალეულია, ნახევარილა დარჩაო ან ბოთლი ნახევრად ცარიელიაო; ხოლო ოპტიმისტი იტყვის – კიდევ ნახევარი დარჩა, ბოთლი ნახევრად სავსეაო.

სიტყვათმანარმოების მოდელების (დერივაციისა და თხზვის) და სიტყვათმანარმოებელი ელემენტების (ძირებისა და აფიქსების (=პრეფიქსებისა და სუფიქსების)) ცოდნა მოსწავლეს ეხმარება არა მარტო სიტყვების სემანტიზაციასა და დამახსოვრებაში, არამედ ენის პროდუქტული (ზეპირი და წერიტი მეტყველების) და რეცეპტული (აუდირებისა და კითხვის) უნარ-ჩვევების შემუშავებაში; და ზოგადად, ლინგვისტური აზროვნების განვითარებაში.

ე) ვერბალურ თვალსაჩინოებათა რიგს განეკუთვნება ასევე ზემოთ განხილული სინონიმია, ანტონიმია.

ვინაიდან, სინონიმთა ჯგუფებს შორის გადაულახავი ზღვარი არ არსებობს. ყოველი ადამიანი ხშირად თავისებურად აღიქვამს და ხმარობს ამა თუ იმ სიტყვას. ამიტომ, სემანტიზაციისათვის მხოლოდ ნათლად გამოკვეთილი სინონიმები გამოდგება, რომელთაც, როგორც წესი, ზუსტი შესატყვისები დედაენაშიც მოეპოვებათ. ასეთებია, ფაქტიურად, მხოლოდ აბსოლუტური სინონიმები; იდეოგრაფიული და სტილისტური სინონიმები კი, როგორც სემანტიზაციის, ისე მათზე ვარჯიშის დროს, აუცილებლად საჭიროებენ სათანადო კომენტარებს.

მეოთხე ჯგუფის სინონიმები **ე.წ. კონტექსტუალური ანუ სამეტყველო სინონიმები**, ე.ი. ჰიპერონიმები, ჰიპონიმები და ნაცვალსახელები სიტყვის სემანტიზაციისათვის არ გამოდგე-

ბიან, რადგანაც ისინი მხოლოდ კონკრეტული ტექსტის ფარგლებში სინონიმებენ ერთმანეთთან.

თარგმნითი მეთოდიც ორი სახისაა:

1. **ჩვეულებრივი თარგმანი, საკუთრივ თარგმანი (common translation, translation proper)**, ე.ი. უცხო ენის სიტყვისა თუ შესიტყვების დედაენის ადეკვატური სემანტიკურ-ფუნქციონალური ეკვივალენტით ჩანაცვლება;

2. **თარგმანი-ინტერპრეტაცია, კომენტირება (translation-interpretation)**, როდესაც უცხო ენის სიტყვას, თუ შესიტყვებას არ გააჩნია ადეკვატური ეკვივალენტი მშობლიურ ენაში და საჭირო ხდება უცხო ენის სიტყვასა თუ შესიტყვებასა და დედაენის შესაბამის ლექსიკურ ერთეულს შორის არსებულ სემანტიკურ-ფუნქციონალურ მსგავსება-განსხვავებათა ინტერპრეტაცია, კომენტირება, წარმოჩენა.

პირველის, ე.ი. ჩვეულებრივი თარგმანის მაგალითებია: man – (მამა)კაცი, tiger – ვეფხვი, flower – ყვავილი, freedom – თავისუფლება, easy – ადვილი, ten – ათი, the first – პირველი, to speak – ლაპარაკი, quickly – ჩქარა, and – (კავშირი) და, in – -ში, even – კიდევ; by the way – სხვათა შორის, first – პირველ ყოვლისა, in my eyes – ჩემი აზრით და ა.შ.

თარგმანი-ინტერპრეტაციის დროს – ახსნისას, როგორც წესი, სიტყვის მხოლოდ ის მნიშვნელობა სახელდება, რომელიც მას მოცემულ ტექსტში აქვს; მაგრამ, როცა უცხო ენის ცნება-სიტყვა ქართულში დახურდავებულადაა წარმოდგენილი, ამის მითითება აუცილებელია. მაგალითად, სიტყვა ‘ash’ – უნდა გადაითარგმნოს როგორც ‘ფერფლი’ და როგორც ‘ნაცარი’, ‘box’ – როგორც ‘კოლოფი’ და როგორც ‘ყუთი’, ‘cherry/ies’ – როგორც ‘ბალი’ და როგორც ‘ალუბალი’, ‘education’ – როგორც ‘აღზრდა’ და როგორც ‘განათლება’.

- ინგლისელი იბანს ‘სახეს (face)’, ქართველი კი – მხოლოდ “მის ერთ ნაწილს”, ‘პირს (mouth)’;

- ხელის, როგორც ზედა კიდურის სახელწოდება ინგლი-

სურს არ გააჩნია, ამიტომ იმისდა მიხედვით, თუ ხელის რომელი ნაწილი დებულობს მონაწილეობას მოქმედებაში, ჩვენ მას ვთარგმნით როგორც 'ხელს', მაგრამ შესაბამისი კომენტარის დართვით: hand – ხელი (მტევანი), arm – ხელი (მკლავი).
საილუსტრაციო წინადადებებია: to shake hands with smb – ვინმესთვის ხელის ჩამორთმევა და to take the child in one's arms – ბავშვის ხელში აყვანა;

hand – მტევანი		→ ხელი
arm – მკლავი		

- 'many' – 'ბევრია', მაგრამ მხოლოდ თვლად არსებითთან, უთვლადთან 'ბევრი' იქნება – 'much'; ასევე, 'few' – 'ცოტაა' თვლადთან, უთვლადთან კი – 'little'; თვით 'little' ან – 'ცოტაა', ან 'პატარა' – 'small'.

many – (თვლადი)		→ ბევრი
much – (უთვლადი)		
few – (თვლადი)		→ ცოტა
little – (უთვლადი)		

- 'big' – აღნიშნავს ფიზიკურ სიდიდეს, ზომას, მისი იდეოგრაფიული სინონიმი 'great' კი – გამოჩენილობას, სიდიადეს;
- 'eminent' – ნიშნავს ცნობილს დადებითი კონოტაციით, 'notorious' – ცნობილს ავით, უარყოფითი კონოტაციით;
- 'to go' – ნიშნავს ფეხით, ცხენით, მანქანით, გემით, თვითმფრინავით გადაადგილებას მოლაპარაკისაგან სანინაალმდეგო მიმართულებით, 'to come' კი – ამავე ხერხითა და საშუა-

ლებებით, ე.ი. ფეხით, ცხენით, მანქანით, გემით, თვითმფრინავით მოლაპარაკისაკენ გადაადგილებას;

- 'to drive' – ნიშნავს მანქანის, ტრამვაის, ავტობუსის, მატარებლის 'მართვას', 'ტარებას';

- 'afternoon' – 'ნაშუადღევი' ესაა დრო დილის 12 საათიდან საღამოს 6 საათამდე. 'in the afternoon' – ითარგმნება, როგორც 'ნაშუადღევს' ან 'დღისით';

- 'the first floor' – ქართულად ითარგმნება, როგორც 'მეორე სართული', რადგანაც პირველ სართულს ინგლისელები უწოდებენ 'მიწის სართულს' – 'the ground floor'.

თარგმნითი მეთოდით ხორციელდება ნაცვალსახელებისა და დამხმარე სიტყვების სემანტიზაცია.

თარგმანი ეკონომიურია დროის თვალსაზრისით, უნივერსალური – ხმარების თვალსაზრისით, მაგრამ ზოგჯერ იგი აძლიერებს ენათა შორის ინტერფერენციის საშიშროებას და არ უწყობს ხელს მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას მუშაობაში.

სემანტიზაციაში და საერთოდ, სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების მიზანია მოსწავლის შეგრძნებებისა და შემეცნებითი ძალების მაქსიმალური მობილიზება, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ენობრივი მასალისა და სამეცნიერლო უნარ-ჩვევების ადეკვატურ აღქმა-გაცნობიერებას და მათ მტკიცედ ათვისებას. უთარგმნელი ხერხები ავითარებენ ენობრივ, ფილოლოგიურ აზროვნებას, ქმნიან სინონიმურ-ანტონიმურ საყრდენებს და აძლიერებენ მტკიცე დამახსოვრებისთვის საჭირო ასოციაციურ კავშირებს; მაგრამ ისინი მოითხოვენ გაცილებით მეტ დროს, განსაკუთრებით – პირველ ხანებში.

ზოგიერთი მეთოდისტი თვლის, რომ რაც არ უნდა ქმედითი იყოს თვალსაჩინოების შედეგი, მისი გაკონტროლებისა და დაზუსტებისათვის საჭიროა სიტყვის თარგმანიც. ამ აზრის გაზიარება შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ; მართალია, თარგმანი ხშირად ხსნის კითხვის ნიშანს, წერტილს უსვამს ორჭოფობას უმთავრესად იმის გამო, რომ სწავლების დაწყებით

საფეხურზე მოსწავლე დედაენაზე აზროვნებს; მისი ცნებები ახალ სახელებს, ე.ი. უცხო ენის შესაბამის სიტყვებს მხოლოდ თარგმნით უკავშირდება – გზა ცნებებიდან უცხო ენის შესაბამისი სიტყვებისაკენ და პირუკუ, ამ სიტყვებიდან ცნებებისაკენ, მხოლოდ დედაენაზე გადის.

მაგრამ, რაც უფრო ხშირად და ბევრჯერ გაივლის მოსწავლის ცნობიერება ამ გზას წინ და უკან, მით უფრო ადრე დამყარდება უშუალო კავშირი მის ცნებებსა და უცხო ენის შესაბამის სიტყვებს შორის, ე.ი. მით უფრო ადრე დაიწყებს მოსწავლე შესასწავლ ენაზე აზროვნებას; რა შემთვევაშიც, დედაენა, როგორც ამ „მარშრუტის“ შუალედური პუნქტი, ისევე ზედმეტი გახდება, როგორც ზოგიერთი ასო სიტყვებში და ზოგიერთი სიტყვა წინადადებებში, რომელთაც განაფული მკითხველი „უვნებლად“ გადაახტება ხოლმე.

ეკონომიური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია სიტყვები განიხილებოდეს მათი „ოჯახის წევრებთან“ ერთად, რაც თვალსაჩინოს გახდის ლექსიკის აღწარმოების მექანიზმებს და მათთან დაკავშირებულ სემანტიკურ მოდიფიკაციებს.

‘busy’ – ზედსართავი სახელი (დაკავებული, საქმიანი)

↓

‘business’ – არსებითი სახელი (ბიზნესი, საქმე)

↓

‘businessman’ – არსებითი სახელი (ბიზნესმენი)

ინტერნაციონალური ლექსიკა პოტენციური მინიმუმის კუთვნილებაა და მასზე რაიმე სპეციალური მუშაობა პროგრამაში გათვალისწინებული არ არის; მაგრამ, როცა მოსწავლეები ტექსტში ისეთ სიტყვას ნააწყდებიან, რომელიც მთელი ოჯახითა დამკვიდრებული დედაენაშიც, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება ამ სიტყვების წარმომავლობასა და მათ შორის არსებულ სემანტიკურ კავშირებზე,

რასაც მოსწავლეები თვითონ, ალბათ, ვერც აღიქვამდნენ.

ასეთი ინტერნაციონალური სიტყვაა 'port' – 'პორტი', 'ნავსადგური', რომლის „მონაგარია“:

1) რთული სიტყვა 'airport' – 'აეროპორტი' = 'თვითმფრინავთა სადგური', სადაც 'air' – ნიშნავს 'ჰაერს';

2) ამ სიტყვის გაჩენით გამონვეული ასევე რთული სიტყვა 'seaport' – 'საზღვაო პორტი' = 'საზღვაო ნავსადგური', სადაც 'sea' – ნიშნავს 'ზღვას';

3) 'transport' – 'ტრანსპორტი';

4) 'export' – 'ექსპორტი', საზღვარგარეთ გასატანი ან გატანილი საქონელი;

5) 'import' – 'იმპორტი', საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელი;

6) 'portfolio' [ˌpɑːtˈfəʊliəʊ] – 'პორტფელი';

7) 'porte-monnaie' – 'პორტმანი';

8) 'passport' – 'პასპორტი', სადაც 'pass' ნიშნავს 'გავლას', რაც იმაზე უნდა მიაწინებდეს, რომ პირადობის დამადასტურებელი საბუთი უნდა შექმნილიყო, როგორც ქვეყანაში პორტის გავლით შესასვლელი საშვი;

9) 'porter' – 'ბარგის მზიდავი მუშა' ნავსადგურსა, აეროპორტსა თუ რკინიგზის სადგურზე;

10) 'portative' – 'პორტატული'.

სემანტიზაციის ხერხების შერჩევა დამოკიდებულია:

1. სიტყვის თავისებურებებზე;

2. იმაზე, თუ რომელ მინიმუმს განეკუთვნება იგი – აქტიურს თუ პასიურს;

3. სწავლების ეტაპსა და მოსწავლეთა მომზადებულობაზე;

4. წარდგენის ფორმაზე – თვალსაჩინოებით თუ მის გარეშე;

5. წარდგენის დროზე – ტექსტამდე, თუ ტექსტის კითხვის პროცესში.

მაშასადამე, მასწავლებლის მომზადება ახალი ლექსიკის გაცნობისათვის მოიცავს:

1. მის მიერ სიტყვის (ფორმის, მნიშვნელობის) სიძნელის დადგენას;

2. სემანტიზაციის ხერხების შერჩევას;

3. ახსნის ან კომენტარების შედგენას თვითიული სიტყვისათვის და თვალსაჩინოების შერჩევას;

4. მისი პირველადი განმტკიცებისათვის სავარჯიშოების შერჩევას ან შედგენას.

ლექსიკის, ისევე როგორც ენის ნებისმიერი ასპექტისა და მეტყველების ნებისმიერი სახის სწავლება, ხორციელდება მოსამზადებელი და სამეტყველო სავარჯიშოების საშუალებით.

ლექსიკური სავარჯიშოები

როგორც უკვე აღინიშნა, **ლექსიკაზე მუშაობის ძირითადი ეტაპებია:**

1. ახალი ლექსიკური მასალის, ე.ი. სიტყვებისა და შესიტყვებების **პრეზენტაცია**;

2. ახალი მასალის **პირველადი განმტკიცება**;

3. **ლექსიკური ჩვენების ფორმირება**; და

4. მისი **გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება** აუდირება-ზეპირმეტყველებასა და წერა-კითხვაში.

ლექსიკაზე მუშაობის ზემოთჩამოთვლილი ეტაპები ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენენ, მაგრამ თითოეული მათგანის გამოცალკევება მეთოდოლოგიური მიზანშეწონილობის მოთხოვნილებაა.

პირველადი განმტკიცება უშუალოდ მოსდევს პრეზენტაციას, როგორც მისი ილუსტრაცია, გაცნობიერება და უკუკავშირი, ანუ კონტროლი. ლექსიკური ჩვენების ფორმირება და ლექსიკის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება სხვადასხვა სახის მეტყველებაში კი – შემდგომ გაკვეთილებზეც გრძელდება.

ლექსიკური მასალისა და მისი ხმარების ჩვენებისა და მისი

გამოყენებით ტექსტის შედგენა-გადაცემისა და მისი ალქმა-გაგების უნარ-ჩვევების გრძელვადიან მეხსიერებაში ჩაფიქსირებისათვის საჭიროა ამ მასალასთან მრავალჯერადი, ინტენსიური, არამექანიკური შეხვედრა – რაც უნდა უზრუნველყონ სავარჯიშოებმა.

საერთოდ, **უცხო ენის სწავლებაში ორი ტიპის სავარჯიშოებს გამოყოფენ**, ესენია:

1) **ენობრივი ანუ მოსამზადებელი სავარჯიშოები**, რომელთა მიზანია ენობრივი, ე.ი. ფონეტიკური, ორთოგრაფიული, ლექსიკური და გრამატიკული ჩვევების ფორმირება; და

2) **სამეტყველო სავარჯიშოები**, რომელთა მიზანია სამეტყველო, ე.ი. ლაპარაკის, წერის, აუდირებისა და კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება.

ჩვევა, როგორც ვიცით, ავტომატიზებული ქცევაა, მაშასადამე, ლექსიკური ჩვევა გულისმობს, რომ ადამიანს ავტომატიზირებულად, ცნობიერების დაძაბვის გარეშე ახსენდება რა ცნებას აღნიშნავს ესა თუ ის სიტყვა თუ შსიტყვება; რომელი ცნება რა სიტყვასა თუ შსიტყვებას შეესაბამება; როგორ იწარმოება ამ სიტყვისა თუ შსიტყვების საჭირო გრამატიკული ფორმა; და რა ადგილზე თავსდება იგი წინადადებაში.

ასე რომ, ენობრივმა, ანუ მოსამზადებელმა სავარჯიშოებმა მოსწავლე უნდა მოამზადონ მეტყველებაზე გადასასვლელად, როცა იგი ცნებებისა და ლექსიკური ერთეულების ურთიერთობებსა და ამ ერთეულების ხმარებაზე კი აღარ იფიქრებს (ეს ყველაფერი ავტომატიზებულია, ჩვევაა), არამედ ტექსტის შედგენასა თუ გაგებაზე.

ლინგვისტური თამაშოები

სიტყვების უკეთ დასწავლისა და მეხსიერებაში შენარჩუნებისათვის, ასევე მიხვედრილობის განვითარებისათვის გამოიყენება კროსვორდები და სხვა ლინგვისტური თამაშები, როგორცაა:

1. The Comb – კლასი იყოფა ორ ან სამ ჯგუფად და დაფაზე თითოეული ჯგუფისათვის მიჩენილ ადგილას ინერება ერთი და იგივე სიტყვა. მოსწავლეები სათითაოდ მირბიან დაფასთან და სიტყვის თითოეული ასოს ქვეშ ნერენ სიტყვას, რომელიც ამ ასოთი იწყება. ყოველი სწორად დაწერილი სიტყვა ფასდება ერთი ქულით. ჯგუფი, რომელიც ყველაზე ადრე ამთავრებს თამაშს, დამატებით ღებულობს სამ ქულას. მაგალითად:

I											II												
i	n	d	e	p	e	n	d	e	n	c	e	i	n	d	e	p	e	n	d	e	n	c	e
d	o	v	a	o	a	o	o	v	e	w	o	n	e	v	a	p	e	v	a	e	n	o	n
e	e	e	n	v	u	l	e	t	e			n	r	i	d	e	y	p	r	y	e	m	b
i	n	b	e	n	a	r						a	t										
i	t	e										i											
e												n											

2. The Stairs – დაფაზე დაწერილი ყოველი სიტყვის ბოლო ასოს ქვეშ ან გვერდით ინერება ამ ასოთი დაწყებული ახალი სიტყვა. გრძელი სიტყვების სტიმულირებისათვის ქულები შეიძლება დავარიცხოთ ასოების რაოდენობაზე და არა სიტყვებზე. მაგალითად:

summer
e
p
u
b
l
i
central
e
a
d
e
r....

3. **The Ladder** – მასწავლებელი დაფაზე წერს მოკლე სიტყვას, რომლის ქვეშაც მოსწავლეების მიერ მიწერილი ყოველი სიტყვა უნდა იწყებოდეს იმავე ასოთი, რითაც პირველი და უნდა შეიცავდეს წინა სიტყვაზე ერთით მეტ ასოს.

I	II
I in ice idle issue import iceberg	pen pink prose

4. ხმოვნის მონაცვლეობით სიტყვათა გამრავლება (© ავტორისეული):

I	II
flip flap flop	trick track truck

5. **The Shortcut** – მოცემული სიტყვიდან მოცემულ სიტყვამდე უმოკლესი გზით მისვლა „საგზაო“ სიტყვაში მხოლოდ ერთი ასოს შეცვლით:

I	II
desk ---- back desk – deck – duck – buck – back	sand ---- meat sand – send – sent – seat – meat

6. **The gap** – სიტყვაში დათქმულ ადგილას დათქმული ასოს შემცველი სიტყვების დანერა. მაგალითად, p – 1 ყოველ სიტყვაში პირველი ასოა 'p'; d – 3 ყოველ სიტყვაში მესამე ასოა 'd' და ა. შ.

p – 1	d – 3	k – 4
pen	bed	back
pin	bud	dark
put	did	lock

7. დაფაზე დანერილი სიტყვის თითოეულ ასოზე დათქმული რაოდენობის სიტყვების დანერა:

მაგალითად, სიტყვაში შემავალ ყოველ ასოზე დანყებული სამ-სამი სიტყვა:

camp			
cat	ant	map	pen
club	apple	music	post
cry	appear	mine	people

8. ანაგრამების დანერა წინასწარ შერჩეული ისეთი სიტყვებისაგან, სადაც ასოთა თანმიმდევრობის შეცვლით ახალ სიტყვებს ვღებულობთ:

deal	lead
eat	tea
east	seat
shelf	flesh
name	mane
tale	late
team	meat
ten	net

take	Kate
care	race
saw	was
post	stop
left	felt
but	tub

9. დაფაზე დანერილ ხმოვნებზე სათანადო თანხმოვნების დამატებით ახალი სიტყვების მიღება. იგებს მოსწავლე, რომელიც სვეტის უკანასკნელ სიტყვას დანერს. შემდეგ ის კითხულობს ყველა სიტყვას. ამ სახალისო სავარჯიშოს შესრულებაში მოსწავლეს ეწერება 5 ქულა, ყოველი შეცდომისთვის კი აკლდება თითო ქულა. ასე რომ, თამაშის დასრულებისას შეიძლება ის „ვალშიც დარჩეს“.

i – e
bile
bike
bite
file
fine
kite
mile
mine
Nile
pile
pine
rite
site
tile

10. Last Word Chain – ყოველი ახალი წინადადება იწყება წინა წინადადების ბოლო სიტყვით.

ა:	I like watermelon.
გა:	Watermelon grows in summer.
დათ:	Summer is the best time for swimming.
ლილე:	Swimming is healthy.

11. მოცემულ სიტყვებზე ან თემაზე მოთხრობის შედგენა.

12. გამოძახებული მოსწავლე ასრულებს რაიმე რეალურ ან წარმოსახვით მოძრაობას და ეკითხება კლასს:

What am I doing? ან

What did I do?

მცდარი პასუხების შემთხვევაში, პასუხობს თვითონ.

13. ერთი მოსწავლის მიერ ჩაფიქრებული სიტყვის პირველი დასახელებული ასოს ან ფონემის მიხედვით შემდგომი ასოების თუ ფონემების სათითაოდ დასახელება-გამოცნობა. სწორად დასახელებული თითო ასო ან ფონემა უდრის ერთ ქულას. მცდარი ასოს თუ ფონემის მთქმელი გადის თამაშიდან.

ინგლისური გრამატიკის სწავლება

როგორც უკვე ითქვა, ენა სიტყვები და მყარი შესიტყვებები, ე.ი. ლექსიკაა, გრამატიკა კი მხოლოდ ინსტრუქციაა, როგორ ვანარმოთ ლექსიკა და როგორ ვიხმართ იგი. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ლექსიკა ენის სხეულია, გრამატიკა კი – მისი ჩონჩხია. გრამატიკა სიტყვათა ფორმების, შესიტყვებებისა და წინადადებების ყალიბებია, რომლებიც ლექსიკით უნდა შეივსოს. მაშასადამე, როგორც პროფესორი გვარჯალაძე (1957) აღნიშნავს, გრამატიკა ის ფუნდამენტია, ის ინსტრუმენტია, ურომლისოდაც შეუძლებელია არა მარტო ლაპარაკი და წერა – არამედ მოსმენილისა და წაკითხულის გაგებაც.

მოკლედ, ლექსიკისა და გრამატიკის ტანდემი ქმნის ენას და მათი ერთად ამოქმედება იძლევა მეტყველებას. კერძოდ, **გრამატიკა განაგებს:**

1. **სიტყვათწარმოებას** ენაში არსებული მოდელების მიხედვით;

2. **სიტყვათა ფორმათწარმოებას** ენის გრამატიკული კატეგორიების მიხედვით;

3. **თავისუფალ შესიტყვებათა შედგენას** (შეთანხმების, მართვისა და მირთვის მიხედვით); და

4. **წინადადებათა შედგენას** ენის მოდელების მიხედვით.

ასე რომ, ყველა ამ გრამატიკული მოვლენის ჩვევის დონეზე ათვისების გარეშე შეუძლებელია არა მარტო ლაპარაკი და წერა, არამედ აუდირება და კითხვაც.

თუ სკოლაში მოსული მოსწავლე უკვე ფლობს თავისი დედაენის ლექსიკასა და გრამატიკას პრაქტიკულად, მექანიკურად, ინტუიციურად და სკოლაში ამ ცოდნის მხოლოდ გაცნობიერება-გააზრება და კორექცია-სრულყოფა ხდება; უცხო ენის გრამატიკის სწავლების პროცესი პირუკუ მიმდინარეობს – ე.ი. გრამატიკული მოვლენების გაცნობა-გააზრებიდან მათი პრაქტიკული გამოყენებისაკენ.

უნდა შევნიშნოთ, რომ გრამატიკის თეორიული შესწავლა

არამც და არამც არ გულისხმობს მისი წესების სიტყვიერ დაზე-
პირებას, როგორც ეს ხშირად ჰგონიათ, და რასაც, სამწუხაროდ,
ახლაც ხშირად ვაწყდებით უცხო ენების სწავლების პრაქტიკაში.
ხშირად, მოსწავლე მშვენივრად აყალიბებს წესს, მაგრამ მასში
დასახელებული მოქმედების შესრულება კი, არ ძალუძს. ამას
ხელს უწყობს დედაენის არანაგნიერი ცოდნაც. მაგალითად, მო-
სწავლემ შეიძლება გვითხრას, რომ საზოგადო კითხვა ინგლი-
სურში იწარმოება მთელი შემასმენლის ან მისი პირველი დამხ-
მარე ნაწილის ქვემდებარის წინ მოთავსებით, მაგრამ აქ მისი
კომპეტენცია იწურება, რადგან მან არ იცის რა არის ქვემდე-
ბარე ან შემასმენელი და მით უმეტეს, მისი დამხმარე ნაწილი.

მაშასადამე, გრამატიკის სწავლების მიზანი სკოლაში გრა-
მატიკული წესების ზუთხვას კი არა, ამ წესებში დასახელებ-
ული „ოპერაციების“ შესრულების სწავლებას გულისხმობს,
ე.ი. გრამატიკის სწავლების ამოცანაა იმ გრამატიკული ჩვევე-
ბის (სიტყვათწარმოების, სიტყვათა ფორმათწარმოებისა და
მათი თავისუფალ შესიტყვებებად და წინადადებებად შეკავში-
რების ჩვევების) ფორმირებაა, რომლებიც ზეპირი თუ წერიტი
მეტყველების, აუდირებისა და კითხვისთვისაა საჭირო. ამის
გარეშე შეუძლებელია მოსწავლეს ენა ვასწავლოთ.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ის, ვინც ენას „გრამატიკულად“,
თეორიულად, ე.ი. შეგნებულად, გაცნობიერებულად ეუფლება,
უფრო ადრე იწყებს ამ ენაზე ლაპარაკს და უფრო დიდხანს ინა-
რჩუნებს ამ ენის უნარ-ჩვევებს მეხსიერებაში, როცა მისი ხმა-
რება აღარ უხდება; ვიდრე ის, ვინც ენას მარტო პრაქტიკულად,
„მექანიკურად“, თეორიის გარეშე სწავლობს.

გრამატიკული მინიმუმის შერჩევა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მხოლოდ პროფესიუ-
ლისწინა განათლებას იძლევა, რომლის გავრცობა-გაგრძელება
საშუალო სპეციალურ ან/და უმაღლეს სასწავლებელშია გათ-
ვალისწინებული.

ამიტომაც, ბუნებრივია, რომ საშუალო სკოლის მოკრძალებული მიზანდასახულობისა და მწირი შესაძლებლობების პირობებში შეუძლებელია უცხო ენის მთელი გრამატიკული არსენალის/სისტემის და ისიც ერთნაირად ათვისება; მით უმეტეს, ლექსიკისა და მეტყველების სახეების ლიმიტაციის პირობებში და არც არსებობს ამის აუცილებელი საჭიროება.

ასე რომ, **გრამატიკული მასალის მოცულობა განპირობებულია:**

1) პროგრამული მიზანდასახულობის რეალიზებისათვის **საჭიროება-საკმარისობითა** და 2) **სკოლის შესაძლებლობით**.

გრამატიკული მინიმუმი ორ ნაწილად იყოფა – **აქტიური და პასიური მინიმუმი**.

აქტიური მინიმუმი ეს ის მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თავის მეტყველებაში გამოიყენებს, ე.ი. ლაპარაკისა და წერის დროს; პასიური კი, რომლის გამოცნობა-გაგებასაც მოსწავლე შეძლებს მოსმენისა და კითხვისას.

აქტიური გრამატიკული მინიმუმის შერჩევის პრინციპები

- 1) ზეპირმეტყველებაში გავრცელებულობის პრინციპი;
- 2) სანიმუშობის, ე.ი. ფართო ლექსიკური მასალის მომცველობის პრინციპი და აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ე.წ. არანესიერი ფორმები მეთოდულად სიციცვად ისწავლება; და
- 3) სინონიმების გამორიცხვის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, ვაღიარებულების გამომხატველი მოდალური ზმნებიდან აქტიურ მინიმუმში შედის მხოლოდ 'must', მისი ეკვივალენტები კი – 'should', 'ought to', 'to have to' და 'to be to' პასიურ მინიმუმს განეკუთვნებიან.

პასიური მინიმუმის შერჩევის პრინციპები

- 1) წიგნურ-წერიტ მეტყველებაში გავრცელებულობის პრინციპი;
- 2) მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი;

აქტიური გრამატიკის მინიმუმი

სახელდობრ, აქტიური გრამატიკის მინიმუმში მოიაზრება:

1) არსებითი სახელის ხმარება ორივე ბრუნვასა და რიცხვში;
2) განუსაზღვრელი, განსაზღვრული და ნულოვანი არტიკლების ხმარების ძირითადი შემთხვევები;

3) ზედსართავისა და ზმნიზედის ხმარება შედარების ხარისხებში;

4) რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელების ხმარება;

5) ყველა ნაცვალსახელის ხმარება.

6) (ზმნათა დროებიდან აქტივში შედის მხოლოდ) ანმყო, წარსული და მომავალი განუსაზღვრელი დროების ხმარება ორივე გვარსა და სამივე ფორმაში ჩვეულებრივი, რეგულარული, განმეორებადი და ერთჯერადი მოქმედებებისა და მდგომარეობების გამოსახატავად; ამასთან, ანმყო დროების ხმარება შესაბამისი მომავალი დაგეგმილი მოქმედებების გადმოსაცემად;

7) (განგრძობითი და სრული დროებიდან მხოლოდ) ანმყო განგრძობითი და სრული დროების ხმარება მოქმედებით გვარში;

8) (სინტაქსიდან) მარტივ და შედგენილშემასმენლიანი, მარტივ და რთულდამატებიანი, მარტივი და რთული წინადადებების ხმარება.

ყველაფერი დანარჩენი შედის პასიურ მინიმუმში, ე.ი. იმ მარაგში, რომელსაც მოსწავლე თავის მეტყველებაში ვერ გამოიყენებს, მაგრამ რომელიც მან უნდა გამოიცილოს და გაიგოს აუდირებისა და კითხვისას.

პასიური გრამატიკის მინიმუმი

პასიურ მინიმუმს განეკუთვნება:

1) (აქტიურ მინიმუმში ჩამოთვლილ დროთა გარდა) ყველა დანარჩენი დროების გადმომცემი წინადადებების გამოცნობა-გაგება;

- 2) გერუნდივისა და I მიმღეობის შემცველი წინადადებების გამოცნობა-გაგება და;
- 3) არარეალურ-პირობით წინადადებათა გამოცნობა-გაგება.

გრამატიკული მასალის პრეზენტაცია და მასზე მუშაობა

გრამატიკული მასალის პრეზენტაცია ხორციელდება სა-მეტყველო, სანიმუშო წინადადებების დონეზე **ინდუქციურად**, ე.ი. მაგალითებიდან წესის გამოყვანისაკენ ან **დედუქციურად**, ე.ი. წესიდან მაგალითების შედგენისაკენ.

ინდუქციის დროს რეალიზდება შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი; თანაც, ეს ხერხი ხშირად გულისხმობს მშობლიური ენის შესაბამის მოვლენასთან შესასწავლი უცხო ენის მასალის შეპირისპირება-შედარებასაც, რაც ხელს უწყობს ანალიზისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარებას – მაგრამ იგი მეტ დროს მოითხოვს.

დედუქცია, მასწავლებლის მიერ წესის ფორმულირებას გულისხმობს, რაც გამორიცხავს მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას ახალი მასალის გაცნობაში – მაგრამ დროის ნაკლებობის შემთხვევაში, მასწავლებელი იძულებულია მას მიმართოს.

განვიხილოთ ახსნის ინდუქციური ხერხი მომავალი წარსულში განუსაზღვრელი დროის მაგალითზე. მოსწავლეებს ვამცნობთ, რომ ვინცებთ ზმნის ახალ დროის შესწავლას, რომლის ახსნაში ისინიც მიიღებენ მონაწილეობას. დაფას ვხაზავთ ორ სვეტად – პერპენდიკულარულად ვყოფთ შუაზე. მარცხნივ ვწერთ შემდეგ წინადადებას: *“ვიმედოვნებ, რომ მალე ლონდონში ვიქნები”* და მოსწავლეებს მივმართავთ გადათარგმნონ ეს წინადადება – *“I hope (that) I will be in London soon”* ვწერთ მარჯვნივ. შემდეგ ვეკითხებით – *რა დროა ეს? – ეს არის მომავალი განუსაზღვრელი დრო.* მაშასადამე, მას შემდეგ, რაც მაგალითებს თავად მოსწავლეები მოგვანოდებენ, მივმართავთ, რომ მაგალითებზე დაყრდნობით გამოიყვანონ წესი; ანუ, პრაქტიკული მაგალითების მოშველიებით მივიყვანეთ

ნესის გამოყვანამდე. ინდუქციური ხერხი – ჩააბამს რა მოსწავლეებს ახსნის პროცესში – უფრო ნაყოფიერია, ვიდრე დედუქციური.

ორივე შემთხვევაში გრამატიკული მასალის გაცნობას მოსდევს მისი პირველადი განმტკიცება სათანადო სავარჯიშოების საშუალებით.

გრამატიკულ მასალაზე მუშაობა შემდეგი სამი ტიპის სავარჯიშოებით ხორციელდება:

- 1) ენობრივი;
- 2) პირობით-სამეტყველო; და
- 3) წმინდა სამეტყველო ენობრივი სავარჯიშოები;

ენობრივი სავარჯიშოები ესაა არასაკომუნიკაციო ან ნაკლებად საკომუნიკაციო მიმართულების სავარჯიშოები, როგორცაა:

- 1) წინადადებების გადანერა მათში შემავალი სიტყვების მოცემულ ფორმაში ჩასმით;
- 2) წინადადებების შედგენა მოცემული ნიმუშის მიხედვით;
- 3) წინადადებების გადაყვანა პირდაპირი თქმიდან – ირიბში, მოქმედებითი გვარიდან – ვნებითში, მტკიცებითიდან – კითხვითსა ან უარყოფითში, ან პირიქით.

პირობით-სამეტყველო სავარჯიშოებია:

- 1) სურათის მიხედვით კითხვებზე პასუხის გაცემა;
- 2) კითხვებზე პასუხის გაცემა მოცემული გრამატიკული ფორმის გამოყენებით და ა.შ.;

წმინდა სამეტყველო სავარჯიშოებია ბუნებრივ კომუნიკაციებში მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მეთოდიკურ ლიტერატურაში მასალის პრეზენტაცია-ახსნის, მასზე მუშაობა-ვარჯიშისა და შემდგომ როლურ-სიტუაციურ თამაშებში გამოყენების ეტაპები სახელდება, როგორც The “Three Ps” approach – Presentation, Practice, Production. ეს მეთოდი თანაბრად ეფექტურია როგორც გრამატიკული, ისე ლექსიკური მასალის სწავლებისას.

კითხვის სწავლება

კითხვა რეცეპტული, პასიური სამეცყველო მოქმედებების ერთ-ერთი სახეა და იგი დაწერილისა თუ დაბეჭდილის, ე.ი. გრაფიკული ტექსტის აღქმა-გაგებას გულისხმობს.

კითხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში. იგი წარმოადგენს დისტანციური ურთიერთობის საშუალებას, ინფორმაციის წყაროს, რომლითაც ადამიანი ეცნობა გარემომცველ სამყაროს და ეზიარება წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას.

სასწავლო აუდიტორიაში კითხვა წარმოადგენს როგორც სწავლების ერთ-ერთ მიზანს, ასევე ამ და სხვა სასწავლო მიზნების გახორციელების საშუალებასაც. ის ხელს უწყობს ენობრივი მასალის ათვისება-განმტკიცებას და ზეპირი და წერილი მეცყველების უნარ-ჩვევების ფორმირება-განვითარებას.

დიდა კითხვის როლი სწავლების ზოგადსაგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნების რეალიზებაშიც. კითხვის საშუალებით მოსწავლე ეცნობა შესასწავლი ენის მატარებელი ხალხის ისტორიას, ცხოვრებას, ადათ-წესებს, მის მეცნიერულ, ტექნიკურ და კულტურულ მიღწევებს, რაც აღრმავებს მისი მშობლიური ენის ცოდნასაც, წიგნიერებას, აფართოებს მის ფილოლოგიურ და ზოგადსაგანმანათლებლო თვალსაწიერს, ხვეწს მის ესთეტიკურ გემოვნებას.

პროგრამის მიხედვით, საშუალოსკოლადამთავრებულმა უნდა შეძლოს ნაიკითხოს და ულექსიკონოდ გაიგოს მხატვრული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტები, რომლებიც ცნობილ გრამატიკულ მასალაზეა აგებული და ყოველ 100 სიტყვაზე პოტენციური ლექსიკონის 4-დან 6-მდე უცნობ სიტყვას შეიცავს (ე.ი. ინტერნაციონალურ, ან იმ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა კონტექსტსა და სიტყვათწარმოების მოდელებზე დაყრდნობით გამოიცნობა). ლექსიკონის გამოყენებით კი, სკოლადამთავრებულმა უნდა

ნაიკითხოს და გაიგოს ტექსტი, რომელიც ცნობილ გრამატიკულ მასალაზეა აგებული და ყოველ 100 სიტყვაზე 6-დან 8-მდე უცნობ სიტყვას შეიცავს.

კითხვის სახეები

ექვსი სხვადასხვა თვალსაზრისით ანიჩკოვი და სააკიანცი (1966) კითხვის შემდეგ 12 სახეს გამოყოფენ:

- 1) ხმამალალი და გულში კითხვა;
- 2) ინდივიდუალური და გუნდური ანუ ფრონტალური კითხვა;
- 3) მომზადებული და მოუმზადებელი კითხვა;
- 4) საკლასო და საშინაო კითხვა;
- 5) დამოუკიდებელი და მართული;
- 6) ანალიზური, ანუ ინტენსიური, ანუ დეტალური, ანუ სკრუპულოზური, ანუ ახსნა-განმარტებითი, ანუ სტატარული (stuttery – დაყოვნებით-გადასინჯვითი) კითხვა და სინთეზური, ანუ ექსტენსიური, ანუ ჩქარი, ანუ ბარაქიანი, ანუ კურსორული (cursory – quick and careless) კითხვა.

ბუნებრივია, რომ ხმამალალი და ჩუმი კითხვა შეიძლება ინდივიდუალურიც იყოს და გუნდურიც, მომზადებულიც და მოუმზადებელიც, საკლასოც და საშინაოც, დამოუკიდებელიც და კონტროლირებადიც, ანალიზურიც და სინთეზურიც და ა.შ..

ზოგიერთი ავტორის აზრით, კითხვის 50 სახე და ქვესახე არსებობს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია გადათვალთვალებითი, გაცნობითი და შესწავლითი კითხვა; და სწორედ ისინი ისწავლება სკოლაში.

გადათვალთვალებითი კითხვა ესაა სათაურების, ცალკეული პარაგრაფებისა ან წინადადებების ჩქარი, ულექსიკონო, უთარგმნელი, ერთჯერადი კითხვა სტატიის, წიგნის ხასიათსა და თემატიკაზე ზოგადი წარმოდგენის მისაღებად. ასეთი კითხვის

ტემპია 1-1,5 გვერდი ნუთში. ასე ზოგჯერ კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, ახალ წიგნებს ყიდვის წინ, ასე ეძებენ საჭირო სამეცნიერო მასალას.

გაცნობითი კითხვა ჩქარი, ულექსიკონო, უთარგმნელი, ერთჯერადი კითხვაა – ოღონდ მთელი ტექსტებისა, რომელიც ემყარება ენობრივ და აზრობრივ მიხვედრილობას და მიმართულია, გამიზნულია ტექსტის მთავარი ინფორმაციის სრულ და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის არანაკლებ 70% გაგებისაკენ. კითხვის სიჩქარეა 180-190 სიტყვა ნუთში. ასე იკითხება მხატვრული ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები.

შესწავლითი კითხვა ესაა ნელი კითხვა, შეჩერებებითა და ცალკეული ადგილების გადაკითხვით; ლექსიკონის, სხვა ცნობარების, ენობრივი და აზრობრივი ანალიზის მოშველიებით, რომელიც მიმართულია ტექსტის მთელი – როგორც მთავარი, ისე მეორეხარისხოვანი ინფორმაციის სრული 100%-იანი გაგებისა და მისი კრიტიკული გააზრებისაკენ. კითხვის სიჩქარე აქ არაა ლიმიტირებული, მაგრამ იგი არ უნდა შეადგენდეს 50-60 სიტყვაზე ნაკლებს ნუთში. ასე კითხულობენ სახელმძღვანელოს ტექსტებს, სამეცნიერო ლიტერატურას, საბუთებს, ხელსაწყობთა და წამლების ინსტრუქციებს.

საშუალო სკოლის მიზანია მოსწავლეს ასწავლოს დამოუკიდებელი, უთარგმნელი, ჩუმი, გადათვალიერებითი და გაცნობითი კითხვა, ლექსიკონის დახმარებით კი – შესწავლითი კითხვა.

კითხვის სწავლება იწყება შესავალი ზეპირი კურსის დასრულების შემდეგ, ე.ი. მეორე მეოთხედიდან შემდეგი თანმიმდევრობით:

- 1) ხმამალალი კითხვის ტექნიკა მეორე მეოთხედიდან;
- 2) ჩუმი კითხვის ტექნიკა წლის ბოლოდან;
- 3) გაცნობითი კითხვა VI კლასიდან;
- 4) შესწავლითი კითხვა VIII კლასიდან; და
- 5) გადათვალიერებითი კითხვა IX კლასიდან.

კითხვის ერთი სახიდან მეორეზე გადასვლა მზადდება წინა

ეტაპზე და ხორციელდება მხოლოდ ამ ეტაპისათვის დასმული ამოცანების განხორციელების კვალდაკვალ. ასე რომ, გადასვლის რეალური ვადები შეიძლება გადაინ-გადმოინეს. კითხვის ტექნიკაზე გადასვლა შესავალი ზეპირი კურსის ნიაღში მზადდება. აქ ხორციელდება:

1) ყველა ბგერის ათვისება საყრდენი სიტყვების ბაზაზე, ტრანსკრიპციის გარეშე;

2) მთელი ანბანის გავლა დოზებით 3-4 ასო ყოველ გაკვეთილზე;

3) 'to be' და 'to have' ზმნებიანი სტრუქტურებისა; და

4) ამ სტრუქტურების შესავსები ლექსიკის ათვისება.

კითხვის ტექნიკის ფორმირება ხდება შესავალ კურსში განვლილ მასალაზე; ჯერ ვკითხულობთ ცალკეულ სიტყვებს, მერე წინადადებებს, შემდეგ კი 3-4 წინადადებიან პატარა ტექსტებს.

ხმამალალიდან ჩუმ კითხვაზე გადასვლა ხორციელდება საფეხურებრივად; მოსწავლეები ჯერ ხმამალლა, გუნდურად კითხულობენ ტექსტებს, შემდეგ თითოეული მათგანი ჩურჩულით, და მხოლოდ ამის შემდეგ გადადიან ჩუმ კითხვაზე; შემდეგში, გუნდური წინასწარი წაკითხვა, უფრო გვიან კი – ჩურჩულით კითხვაც იხსნება და მოსწავლეები ახალ ტექსტს უკვე დამოუკიდებლად და ჩუმად კითხულობენ.

კითხვის ტექნიკის ათვისების შემდეგ იწყება ნამდვილი, ბუნებრივი კითხვის უნარ-ჩვევების ფორმირება, სადაც კითხვის მიზანი ინფორმაციის მოპოვებაა. პირველი ასეთი კითხვა, როგორც უკვე ითქვა, გაცნობითი კითხვაა და იგი XI კლასიდან ტარდება; მაგრამ მისი ელემენტები უკვე V კლასში გვაქვს.

კითხვის ეს და სხვა ორი დანარჩენი სახეც პირველად კლასში ტარდება – მასწავლებლის ხელმძღვანელობით; შემდეგ კი, ეს გაცნობითი კითხვა, როგორც ბარაქიანი კითხვა მოსწავლეებს საშინაო დავალებად ეძლევათ; კლასში კი, ხდება მისი მიმდინარეობის შემოწმება და შეფასება.

თუმცა, თვეში ერთხელ, გაცნობითი კითხვა კლასშიც ტარდება – სათანადო დროის მონიშვნით.

საკლასო კითხვის ძირითად სახეს დიდხანს წარმოადგენს შესწავლითი კითხვა, გადათვალთვლებითი კითხვა კი – თითქმის ყოველთვის საკლასო კითხვაა.

მაშასადამე, IV-V კლასების ამოცანაა კითხვის ტექნიკის დაუფლება; VI-VII კლასების მოსწავლეები ეუფლებიან გაცნობით კითხვას ჯერ ცნობილი, შემდეგ კი – უცნობი ლექსიკის შემცველ ტექსტებზე; VIII-X კლასებში კი, ჯერ შესწავლით, და შემდეგ გადათვალთვლებით კითხვას.

რა თქმა უნდა, კითხვის ახალი სახის დანყება არ გულისხმობს წინა ეტაპების კითხვის სახეების შეწყვეტას, მაგრამ თითოეული კითხვის სიმძიმის ცენტრი ზემოთ აღნიშნულ ვადებზე მოდის.

კითხვის ფსიქო-ფიზიოლოგიური მახასიათებლები

კითხვა, გრაფიკული ტექსტის აღქმა და გაგებაა. რეალური კითხვის დროს აღქმა და გაგება ერთდროულად მიმდინარეობს. ამ ერთიანი პროცესის კომპონენტებად დანაწევრება სასწავლო მიზნით ხდება. განაფული მკითხველის კითხვის ტექნიკა ავტომატიზებულია – თვალი ელვის სისწრაფით მიჰყვება სტრიქონს ნახტომებითა და შეჩერებებით. სტრიქონზე 4-6 ასეთი შეჩერებაა – 0,2 წამის ხანგრძლივობით თითოეული. ნახტომები კი, შეადგენს მთელი დროის 50%-ს. კითხვა ხორციელდება შეჩერებების დროს; მაშასადამე, ამ შეჩერებათა დროები იწამი შეადგენს კითხვის სუფთა დროს.

აღქმის პირობით ერთეულად მიღებულია **სიტყვა**, მინიმალურ აზრობრივ ერთეულად კი – **სინტაგმა**. აღქმული სიტყვის გრაფიკული ხატი უკავშირდება ხანგრძლივ მეხსიერებაში არსებულ მის აკუსტიკურ-მოტორულ ხატს, რის საფუძველზეც ხდება ამ სიტყვის შეცნობა და მისი მნიშვნელობის მეხსიერებაში ამოტივტივება. აღქმული სიტყვების მნიშვნელობებიდან გამოიყვანება შესიტყვებების მნიშვნელობა; შესიტყვებები-

დან წინადადებების; წინადადებებიდან კი – მთელი ტექსტის შინაარსი. აზრობრივი დამუშავება ემყარება არა მარტო უკვე აღქმულ, ნაკითხულ მასალას; მკითხველი ყოველთვის წინ უსწრებს ვითარებას, აკეთებს მოსალოდნელის პროგნოზს. პროგნოზირებას ადგილი აქვს როგორც ფორმალურ, ისე აზრობრივ დონეებზე; რამდენიმე ასოს – როგორც წესი, 3-4 ასოსა და სიტყვის ზოგადი კონფიგურაციის საფუძველზე პროგნოზირდება სიტყვა; აზრობრივი პროგნოზი ეფუძნება არა მარტო აღქმულ ფაქტებს, არამედ ასევე, მკითხველის ლინგვისტურ, ცხოვრებისეულ და პროფესიულ გამოცდილებასაც. კითხვისას მკითხველი მარტო ტექსტში მოცემულ ფაქტებს კი არ ადგენს, იგი მათგან გამოყოფს ძირითადს, აზოგადებს, ახარისხებს, აფასებს ისეთი აზრობრივი ოპერაციებით, როგორიცაა: შედარება და შეპირისპირება, ანალიზი და სინთეზი, აბსტრაგირება და კონკრეტიზება და ამგვარად მიდის გარკვეულ დასკვნებამდე.

ჩვეულებრივ, გაარჩევენ გაგების ორ დონეს, ესენია: შინაარსის დონე და მასში ჩამალული დედააზრის დონე.

წერის სწავლება

მეთოდულში „წერა“ ორი მნიშვნელობით გაიგება: პირველია – საკუთრივ წერა, წერის ტექნიკა, ე.ი. სიტყვების შედგენა ასოებისა და ასოთშეხამებებისაგან; მეორე კი – წერითი მეტყველება, ე.ი. წერილობითი ინფორმაციის შედგენა სიტყვებისა და შესიტყვებებისაგან.

პირველი გულისხმობს გრაფიკის, კალიგრაფიისა და ორთოგრაფიის ცოდნა-ჩვევებს; მეორე კი, ამ ცოდნა-ჩვევების ბაზაზე აზრის, ინფორმაციის წერილობითი გამოსატყვის უნარ-ჩვევებს.

ცხადია, წერის ორივე ასპექტი ერთმანეთს გულისხმობს; შეუძლებელია, კაცმა წერა იცოდეს – წერა, ე.ი. ასოების გამოყვანა შეეძლოს და რალაცა დონის წერითი მეტყველება კი არა; და პირიქით. წერითი მეტყველების უნარმქონე, ბუნებრივია, წერის ტექნიკასაც ფლობს; თუმცა, ერთი რომელიმეს სწავლება არ იძლევა მეორის ცოდნის გარანტიას და მაშასადამე, ისინი ერთმანეთთან კავშირში, მაგრამ ცალ-ცალკე, სპეციალურად უნდა ისწავლებოდნენ.

წერილობითი გამონათქვამის ფორმირების გზა იგივეა, რაც ზეპირისა; იმ განსხვავებით, რომ ზეპირი გამონათქვამი ბგერითი გაფორმებით მთავრდება, წერილობითი კი – გრაფიკულით.

წერა მჭიდრო კავშირშია კითხვასთანაც. თუ წერა ინფორმაციის გრაფიკული კოდირება, დაშიფვრაა; კითხვა – ამ ინფორმაციის დეკოდირება, ანუ გრაფიკული კოდის გაშიფვრაა.

მაშასადამე, წერაში ყველა ანალიზატორი მონაწილეობს – აკუსტიკურიც, არტიკულაციურიც, ვიზუალური ანუ მხედველობითიც და ხელ-მოტორულიც. ამიტომ, წერა ხელს უწყობს არა მხოლოდ ენობრივი მასალის ათვისება-განმტკიცებას, არამედ ზეპირმეტყველებისა და კითხვის უნარ-ჩვევების ფორმირება-განვითარებასაც.

წერა, როგორც სამეტყველო ქმედება, პროფესიონალი

ავტორის პრეროგატივაა, სხვა ადამიანების ცხოვრებაში კი მას შედარებით მოკრძალებული ადგილი უკავია და შემოფარგლულია წერილების, განცხადებებისა თუ მოკლე ტექსტების შედგენით. შესაბამისად, სკოლაში წერას მეტწილად სწავლებისა და კოლექტიური კონტროლის საშუალების მისია აკისრია, რაც ასევე ნაკარნახევია სკოლის შესაძლებლობათა შეზღუდულობით – განსაკუთრებით დროის ბიუჯეტის თვალსაზრისით.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უცხო ენების პროგრამაში წერიტი მეტყველება მიზნად ისახავს წერისა და მართლწერის საბაზისო ნორმების ცოდნას; სკოლადამთავრებულს ან მაღალი კლასის მოსწავლეს უნდა შეეძლოს აზრი, შეხედულება, პირადი დამოკიდებულება გამოხატოს ამა თუ იმ თემასა თუ საკითხზე.

გრაფიკის, კალიგრაფიის ათვისება ხდება შესავალი ზეპირი კურსის გავლისას შემდეგი სავარჯიშოების საშუალებით:

1) ხელის მტევნის სწორხაზობრივ და წრიულ მოძრაობაში ვარჯიში და ნიმუშის მიხედვით ასოთა ცალკეული ელემენტების წერა;

2) ნიმუშის მიხედვით ასოებისა და ციფრების წერა; და

3) ხელნაწერი და დაბეჭდილი ტექსტის გადანერა.

ასოები მოსწავლეებს ეძლევათ შემადგენელ ელემენტთა ერთნაირობის მიხედვით. მაგალითად, პატარა ასოები a, d, g – ერთ ჯგუფად, რადგან ისინი შეიცავენ ორ საერთო ელემენტს – c და l; ერთ ჯგუფში არიან ასომთავრული I, F, E, L, T. სულ, პატარა ასოები n ჯგუფს შეადგენენ, დიდები კი – 5-ს. მთელი ანბანის გავლის შემდეგ ხდება მათი თანმიმდევრობის დამახსოვრება.

ინგლისური ენის გრაფიკა რამდენიმე, ზოგჯერ ძლიერ განსხვავებული ხელნაწერი და ბეჭდური ვარიანტითაა წარმოდგენილი; ამიტომ, ინგლისის ბევრ და ყველა ჩვენს სკოლაში ისწავლება ისეთი შრიფტი, რომელიც მაქსიმალურად უახლოვდება მის ბეჭდურ ვარიანტს. განსხვავება ორ პატარა და ერთ დიდ

ასოშია. ესენია, ბეჭდური 'ა' და ხელნაწერი 'ა', ბეჭდური 'q' და ხელნაწერი 'q' და ბეჭდური 'j' და ხელნაწერი 'j'.

ზეპირმეტყველების კანონებს განსაზღვრავს **ორთოგვია**, ხოლო წერითი მეტყველებისას – **ორთოგრაფია**. ამდენად, მათ შორის, როგორც შესაბამის სფეროებს შორის, განუყოფელი ერთობაა. (www.ice.ge)

მაშასადამე, ორთოგრაფია წერის წესები, **სფელინგია** – ასო-ბგერათა შესაბამისობას გულისხმობს, რაც ინგლისურში სერიოზულ სიძნელეს წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ თავისი განვითარების ხანგრძლივ გზაზე ინგლისურმა გამოთქმამ დიდი ცვლილებები განიცადა; მისი ორთოგრაფია კი, XV საუკუნეში ჩამოყალიბდა და დღემდე არ შეცვლილა.

საერთოდ, ნებისმიერი **ენის ორთოგრაფია 3 პრინციპს ემყარება**, ესენია:

1) **ფონეტიკური**, სადაც სიტყვის დაწერილობა და გამოთქმა ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად: pen, pin, ten, tin . . .

2) **მორფოლოგიური**, სადაც დაწერილობის საფუძველი მორფემული შედგენილობა გამოთქმაში იგნორირებულია. მაგალითად, წარსული განუსაზღვრელი დროის ფორმა ფონეტიკურად სამი ვარიანტითაა წარმოდგენილი [d], [t], [ɪd]-ით, დაწერილობაში კი, მხოლოდ ერთი ვარიანტი გვაქვს 'ed';

3) **ტრადიციული, ანუ ისტორიული**, სადაც დაწერილობაში შენარჩუნებულია მისი ადრინდელი ვარიანტი, რომელიც მაშინდელ გამოთქმას თუ მორფოლოგიურ შემადგენლობას ასახავდა; დღეს კი – შეუსაბამობაშია გამოთქმასთან. ასეთია, მაგალითად ქართული 'თხუთმეტი'; ინგლისური კი, ძირითადად ამ პრინციპს ეყრდნობა.

ბუნებრივია, რომ ორთოგრაფიულ სავარჯიშოებში პირველ რიგში ფიგურირებენ კითხვის წესების მიხედვით წაკითხვადი ერთი ტიპის სიტყვები; გამონაკლისები კი, თანდათანობით და ცალკე მიეცემათ.

ორთოგრაფიის სწავლება იწყება შესავალი ზეპირი კურსის დამთავრების შემდეგ კითხვის ტექნიკის სწავლებასთან

ერთად და გრძელდება სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში. ორთოგრაფიული სავარჯიშოებია:

1) ტექსტში იმ ასოებისა და ასოთშეხამებების პოვნა, რომლებიც ერთ ბგერას გადმოსცემენ;

2) მოცემული ბგერის აღმნიშვნელი ასოებისა და ასოთშეხამებების ტექსტიდან ამოწერა;

3) გარკვეული ასო-ბგერობრივი შესაბამისობის შემცველი სიტყვების ამოწერა;

4) გადანერილ ტექსტში იმ სიტყვათა ხაზგასმა, სადაც ბგერათა რაოდენობა არ ემთხვევა ასოთა რაოდენობას;

5) მოძრავი ანბანიდან იმ სიტყვების შედგენა, რომლებიც სინონიმური ასოებითა და ასოთშეხამებებით გადმოცემულ ბგერებს შეიცავენ;

6) ტექსტის გადანერა და ერთნაირმორფემიანი სიტყვების გახაზვა;

7) ტექსტის გადანერა და გამოტოვებული ასოებისა და ასოთშეხამებების ჩასმა;

8) ტექსტიდან ძნელსფელინგიანი სიტყვების ამოწერა და მათი ორთოგრაფიული ან თემატური პრინციპით დალაგება;

9) ტექსტის გადანერა და გრამატიკული ელემენტების გახაზვა;

10) ტექსტის გრამატიკული ცვლილებით გადანერა;

11) კარნახი, რომლის სახეებია: ა) ვიზუალური – რომლის დროსაც მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებას, მოსწავლეებს სთხოვს კარგად დააკვირდნენ მას, შემდეგ კი წინადადება იშლება და მოსწავლეები მეხსიერებით წერენ მას თავიანთ რვეულებში; ბ) სმენითი კარნახი – რომლის დროსაც მასწავლებელი კარნახობს ტექსტს და მოსწავლეები იწერენ; გ) სმენით-ვიზუალური – რომლის დროსაც წინადადებები ერთდროულად იწერება დაფაზე და რვეულებში, შემდეგ კი – ხდება გადანერილის განხილვა კლასში; დ) თვითკარნახი, ანუ ამ მიზნით წინადადების, ზეპირად დასწავლილი ლექსის ან პროზის ვადა-უდგენელი მოულოდნელი კარნახი; ე) თავისუფალი კარ-

ნახი, რომლის დროსაც მასწავლებელი კითხულობს ცნობილ-
ლექსიკიან პატარა მოთხრობას, შემდეგ კითხვით ამოწმებს და
ამტკიცებს მის შინაარსს, შემდეგ ერთხელ კიდევ კითხულობს
და მოსწავლეები წერენ მას, რაც შეიძლება ორიგინალთან მია-
ხლოებით; ვ) ზეპირი სფელინგი, რომლის დროსაც მასწავლე-
ბელი ან რომელიმე მოსწავლე წარმოთქვამს სიტყვას, მოსწა-
ვლეები კი - ასო-ასოდ ასახელებენ მას.

წერითი მეტყველების სავარჯიშოები

- 1) სურათის აღწერა;
- 2) მოსმენილის ან წაკითხულის შინაარსის დაწერა;
- 3) პერიფრაზი;
- 4) წინადადებათა შემოკლება;
- 5) ტექსტიდან ძირითადი აზრის შემცველი წინადადებების
ამოწერა;
- 6) ტექსტის შემოკლება;
- 7) ტექსტის გადაკეთება;
- 8) თხზულება განვლილ თემატურ მასალაზე;
- 9) წერილის დაწერა.

ინგლისური წერა-კითხვის ტექნიკის ანუ მართლწერისა და მართლგებულების სწავლება

პირველი სიტყვები ხმაბაძვითი (onomatopoeic [ˌɒnəˌmætəˈpiːɪk]) უნდა ყოფილიყო. ადამიანს ესმოდა თავისი გარემოს ხმები, რომლებსაც თვით ადამიანები, ცხოველები და ბუნების მოვლენები გამოსცემდნენ, და რომლებიც ძირითადად ერთნაირი იყო მთელი დედამიწის ზურგზე. ასევე ერთნაირი იყო და არის ყველა ადამიანის ყური, ტვინი და სამეტყველო აპარატი, ამიტომ ადამიანი ძირითადად ყველგან ერთნაირად აღიქვამდა და ბაძავდა ამ ხმებს.

შემდეგ ეს ხმები თანდათან დანაწევრდა სამეტყველო ბგერებად, რომლებიც ხმაბაძვითი სიტყვების (buzz [bʌz] – ბზუილი – жужжание, cuckoo [ˈkukuː] – გუგუ(ლი) – кукушка, mew [mjʊː] – კნავილი – мяуканье, moo [muː] – ბლავილი – мычание ...) გარდა სხვა სიტყვებსაც დაედო საშენ მასალად.

ასე აღმოჩნდა ყველა ენაში უმეტესწილად ერთნაირი ბგერათემადგენლობა.

ბგერითი ენა, ზეპირმეტყველება დიდხანს რჩებოდა ურთიერთობის ერთადერთ საშუალებად, სანამ დროსა და სივრცეში შეუზღუდავი ურთიერთობის საჭიროებამ დამწერლობა არ წარმოშვა.

დამწერლობის „პირველ მერცხლად“ გვევლინება პიქტოგრაფია (pictography), „სურათებით წერა“, სადაც საგანი მისი გამოსახულებით აღინიშნება, რაც ყველასთვის გასაგებია და სპეციალურ შესწავლას არ საჭიროებს. პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიმუშებია გასაყიდი საქონლისა და შესაკეთებელი ნივთების ნახატები, მალაზიებისა და საამქროების ფირნიშებზე.

მეორე წინგადადგმული ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო იეროგლიფი (hieroglyph [ˈhaɪəɹəʊglɪf]), რომელიც საგნის სურათს კი არა – საგანთა კლასის, ე.ი. ცნების პირობით ნიშანს, სიმბო-

ლოს წარმოადგენს და მაშასადამე, სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. იეროგლიფურია იაპონური და ჩინური დამწერლობა. იეროგლიფებია ციფრები 1, 2, 3, ... და ა.შ.

დამწერლობის გვირგვინად იქცა ასობგერობრივ შესაბამისობათა სისტემა, ანბანი (alphabet), რომლის შექმნა შეიძლება ბორბლის გამოგონებას შევადაროთ. პიქტოგრაფებისა და იეროგლიფებისაგან განსხვავებით ბგერათა თანამიმდევრობის ვარირება უამრავი სიტყვის წარმოქმნის შესაძლებლობას იძლევა, ქალაქებზე კი ეს სიტყვები ასოებით გამოისახება.

დღეს მსოფლიოში 7000-მდე ენაა; საკუთარი, ორიგინალური ანბანი ყველას როდი აქვს. რჩეულთა შორის ერთ-ერთი უძველესი და საუკეთესო ქართული ანბანია, რომელსაც არ სჭირდება მუნჯი ასოები, დიგრაფები და ტრიგრაფები, ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლით დაპირისპირება, და რაც მთავარია, რომელშიც თითოეულ ასოს მხოლოდ თითო ბგერა შეესაბამება და პირიქით.

სულ სხვა სურათი გვაქვს ინგლისურში, სადაც ამ ენის განვითარების ხანგრძლივ გზაზე სიტყვის ნაკითხვა-წარმოთქმამ კარდინალური ცვლილებები განიცადა; მისი დაწერილობა, ორთოგრაფია კი XV საუკუნეში ჩამოყალიბდა და მას შემდეგ არ რეფორმირებულა. შედეგად, სიტყვის დაწერილობასა და მის ნაკითხვა-წარმოთქმას შორის ისეთი დაშორიშორებულობა წარმოიშვა, რომ როგორც ერთხელ აღშფოთებულმა ფრანგმა მწერალმა, ვოლტერმა მწარედ იხუმრა, ინგლისურში იწერება ლონდონი (London) და იკითხება კონსტანტინოპოლი (Constantinople). (The Horrors of English Orthography. www.the-American-Interest.com 2012)

ამის მიზეზი არა მარტო ასო-ბგერათა რიცხობრივი ასიმეტრიაა; კერძოდ ის, რომ 44 ბგერის გადმოსაცემად ინგლისურს მხოლოდ 26 ასო აქვს, რის გამოც ზოგიერთ ასოს აქ უხდება ერთზე მეტი ბგერა გადმოსცეს; მეტადრე კი ის, რომ ზოგიერთი ბგერის გადმოსაცემად რამდენიმე ასო და ასოთშეხამება გამოიყენება; სამ ბგერას კი – სულაც არ გააჩნია შესაბამისი

ასოები: 1. [ჰ-ჟ] decision – გადაწყვეტილება, usual – ჩვეულებრივი, pleasure – სიამოვნება და regime – რეჟიმი; 2. [შ-შ] she – ის (მდედრ.), machine – მანქანა, social – საზოგადოებრივი, sure – დარწმუნებული, dictation – კარნახი; 3. [ჩ-ჩ] child – ბავშვი, match – ასანთი, picture – სურათი.

საუკუნეების მანძილზე დღის წესრიგში არაერთხელ დამდგარა ინგლისური ენის ორთოგრაფიის რეფორმირების საკითხი. თავის დროზე (მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე) ცნობილმა ირლანდიელმა დრამატურგმა, ჯორჯ ბერნარდ შოუმაც გაილაშქრა ინგლისური ორთოგრაფიისა და გამოთქმის შეუსაბამობის წინააღმდეგ. მის სიტყვებს თუ დავესესხებით, “. . . *the orthography and the pronunciation have nothing in common*”. მისივე თქმით, არაფერია გასაკვირი ენაში, სადაც ადვილად შესაძლებელია ასოთმეხამება ‘ghoti’ წარმოითქვას როგორც ‘fish’: (‘gh’ as in ‘tough’, ‘o’ as in ‘women’, ‘ti’ as in ‘nation’.) (Friedman, www.sun-sentinel.com 2019)

ენის მატარებელთა ინგლისურენოვან აუდიტორიაში ეს საკითხი დღესაც კამათის საგანია. აზრთა სხვადასხვაობას ინვესს ის მიდგომებიც, რომლებიც თანამედროვე ინგლისური ენის სწავლების მეთოდის არსენალში მოიაზრება და ინგლისურენოვანი მოსწავლეებისათვის ამ სიძნელის შესამსუბუქებლად მშობლიურ ენაზე კითხვის ტექნიკის სწავლებისას გამოიყენება. კერძოდ, *phonic-based reading instruction versus whole-word approach*. (Reyhner, *The Reading Wars. Phonics versus Whole Language*, www.jan.ucc.nau.edu 2020)

პირველი გულისხმობს კითხვის სწავლებას ასოთა კომბინაციების (ბგერა-სიმბოლოს შესატყვისობა) გამოთქმის სისტემატიზებულ კანონზომიერებათა მითითებით და სტრუქტურირებულად. ბუნებრივია, ეს უნივერსალურ „აბი გლუკოზად“ ვერ გამოდგება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ინგლისურში სიტყვათა არცთუ მცირე რიგი საერთოდ არ „ემორჩილება“ ანალოგიური შესატყვისობის პრინციპს; მეორე მეთოდი კი – უპირატესობას ანიჭებს მთლიანი, დაუნაწევრებელი სიტყვის

გამოთქმის დასწავლას უსისტემოდ, სიტყვასთან ე.წ. რენდომული შეხების/კონტაქტის კვალდაკვალ.

ჩვენში, სადაც ინგლისური მეტნილად პირველ ან მეორე უცხო ენას წარმოადგენს, ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკაში წლების მანძილზე დამკვიდრდა და ფესვგადგმულ ტრადიციად იქცა კითხვის სწავლება მარცვალთა ტიპებისდა მიხედვით. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მიდგომას აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს.

ინგლისურში განსაკუთრებით ძნელია ხმოვნების კითხვა, რომელთაგან თითოეული მინიმუმ – 6 და მაქსიმუმ 13 სხვადასხვა ბგერას გადმოსცემს.

ამ სიძნელის შესამსუბუქებლად შემოთავაზებულია **მახვილიან ხმოვანთა კითხვის ცხრილი** მარცვალთა ტიპებისდა მიხედვით.

ტიპი ოთხია – ორი (I და IV) ღია, ე.ი. რომელიც ხმოვნით ბოლოვდება, და ორიც (II – III) დახურული, ე.ი. რომელიც თანხმოვნით ბოლოვდება. სახელდობრ:

I ტიპის მარცვალი ესაა ღია მარცვალი, სადაც ხმოვანს არ მოსდევს ასო 'r';

II ტიპის მარცვალი ესაა დახურული მარცვალი, სადაც ხმოვანს არ მოსდევს ასო 'r';

III ტიპის მარცვალი ესაა დახურული მარცვალი, სადაც ხმოვანს მოსდევს ასო 'r'; და

IV ტიპის მარცვალი ესაა ღია მარცვალი, სადაც ხმოვანს მოსდევს ასო 'r'.

I ტიპის მარცვალი	II ტიპის მარცვალი	III ტიპის მარცვალი	IV ტიპის მარცვალი
'ca-ne ['keɪn] ლერნამი	'can ['kæɪn] შეძლება	'car ['ka:] მანქანა	'ca-re ['keə] ზრუნვა

მაშასადამე, როგორც ღია, ისე დახურულ მარცვლებს შორის განსხვავებას ქმნის ასო 'r', რომელიც ცვლის წინამდებარე ხმოვნის კითხვას, თვითონ კი არ იკითხება, თუ მას არ მოსდევს ხმოვანი ბგერა, როგორც, მაგალითად, სიტყვებში: boring [ˈbɔːrɪŋ], Far East [ˌfɑː(r)ˈiːst], parallel [ˈpærəleɪ] ...

მახვილიან ხმოვანთა კითხვის ცხრილი Table of Reading Stressed Vowels				
ხმოვანი ასოები	I ტიპის მარცვალი ანზანური კითხვა	II ტიპის მარცვალი მოკლე კითხვა	III ტიპის მარცვალი გაგრძელებული კითხვა	IV ტიპის მარცვალი კომბინირებული კითხვა ე.ი. ანზანური კითხვა + [ə]
Aa	[eɪ – ეი] 'ba-ke' ცხობა	[æ –] 'back უკან	[ɑː – ა:] 'bark ყეფა	[eɪə →
Oo	[əʊ – ოუ] 'bo-ne ძვალი	[ɔ – ო] 'bond კავშირი	[ɔː – ო:] 'born დაბადებული	[ɔː – ო:] 'bo-re აბეზარი
Uu	[juː – იუ] 'cu-be კუბი	[ʌ – ა] 'cub ბოკვერი		[juə – იუə] 'cu-re განკურნება
Ee	[iː – ი] 'be ყოფნა	[e – ე] 'bed საწოლი	[əː –] 'curb აღვირი 'berth საწოლი კაიუტაში	[ɪə – იə] 'he-re აქ
Ii, Yy	[aɪ – აი] 'bi-te კბრენა 'bye ნახვამდის	[ɪ – ი] 'bit ნაჭერი 'myth მითი	'birth დაბადება 'myrtle მირტი	[aɪə – აიə] 'mi-re ზანზარა, საფლობი 'by-re ბოსელი

შენიშვნა¹ – 'e' სიტყვის ბოლოში მუწჯია, არ იკითხება (თუ იგი ერთადერთი ხმოვანი არაა სიტყვაში); აქ მისი ერთადერთი დანიშნულებაა შექმნას ცრუ მარცვალი და ამით გახსნას წინამდებარე მარცვალი.

მახვილიან ხმოვანთა კითხვის ცხრილი, ისევე როგორც სხვა ორთოგრაფიულ-ორთოეპიული და გრამატიკული ცხრილები უნდა ეკიდოს ენის კაბინეტში; კითხვის წესებზე მუშაობა კი უნდა წარმართოს ეტაპობრივად, სახელმძღვანელოში მოცემული ან მასწავლებლის მიერ შედგენილი შემდეგი სავარჯიშოების მოსწავლეთა მიერ გუნდურად, ჯერ დიქტორის კვალდაკვალ, შემდეგ კი – დამოუკიდებლად წარმოთქმის რეჟიმში:

↑bake ცხობა	rake ფორცი	ale ლუდი	came მო(ვ)ედი(თ)	hate ძულეზა
↑cake წამცხვარი	sake გულისთვის	male მამალი	name სახელი	late გვიან
↑lake ტბა	take ადება	tale იგავი	same იგივე	mate ამხანაგი
↓make გაკეთება	wake ღვიძილი	whale ვეშაპი	tame მოთვინიერება	state სახელმწიფო
do მუსიკ. “დო“	doe ფურირემი	dole შემწეობა	cue რეპლიკა	cube კუბი
go წასვლა	foe დუშმანი	hole ხვრელი	due წყალობით	tube ლონდონ. მეტრო
no არა	hoe თოხი	mole თხუნელა	hue ელფერი	cute საზრიანი
so ასე	toe ფეხის თითი	pole ზომი	sue სარჩელის შეტანა	suit კოსტუმი
scene სცენა	bike ველოსიპედი	dine სადილობა	buy ყიდვა	fly ფრენა
scheme სქემა	hike ლაშქრობა	nine ცხრა	cry ყვირილი	fry შეწვა
gene გენი	like მოწონ., ყვარება	vine ვაზი	dry მშრალი	sky ცა
theme თემა	strike გაფიცვა	wine ღვინო	try ცდა	spy ჯაშუში
	ace კიკო – act აქტი	bake ცხობა – back უკან		
	face სახე – fact ფაქტი	lake ტბა – lack ნაკლებობა		
	pact ნაბიჯი – pact პაქტი	rake ფორცი – rack თაროედი		
	trace კვალი – tact ტაქტი	sack გულისთვის – sack სამუშაოდან გაგდება		
	cane ლერწამი – can შეძლება	fate ბედისწერა – fat ქონი		
	mane ფაფარი – man კაცი	hate ძულეზა – hat შლაპა		
	pane ფანჯრის მინა – pan ტაფა	mate ამხანაგი – mat ფეხსაწმენდი კართან		
	vane ფლუგერი – van ფურგონი	rate სიჩქარე – rat ვირთხა		
	code კოდექსი – cod ვირთაგვა	cube კუბი – cub ბოკვერი		
	go წასვლა – God ღმერთი	tube ლონდონის მეტრო – tub გეჯა		
	no არა – nod თავის დაკვრა	due წყალობით – dub დუბლირება		
	rode წარს. არაქვეითად სიარული – rod წკეპლა	duke ჰერცოგი – duck იხვი		
	be ყოფნა – Ben ბენი	fine მშვენიერი – fin ფარფლი		
	he ის – hen ქათამი	pine ფიჭვი – pin ქინძისთავი		

me მე – men კაცები	shine ნათება – shin წვივი
we ჩვენ – when როდის	wine ღვინო – win გამარჯვება
bar ბარი – bare შიშველი	bard ბარდი – blare ღრიალი
car მანქანა – care ზრუნვა	card კარტი, ბანქო – care ზრუნვა
far შორს – fare მგზავრობის საფასური	hard მგარი – hare კურდღელი
star ვარსკვლავი – stare მიშტერება	part ნაწილი – pare ფრცქვნა
bark ყევა – bare შიშველი	born დაბადებული – bore ბურღვა
dark ბნელი – dare გაბედვა	corn მარცვალი – core რადაცის შუაგული
mark ნიშანი – mare ჭაკი	ford ფონი – fore წინა
shark ზვიგენი – share გაზიარება	pork ღორის ხორცი – pore ფორი
port პორტი – pore ფორი	burn წვა – bureau [ou] ბიურო
short მოკლე – shore სანაპირო	curd ხაჭო – cure განკურნება
sort ხარისხი – sore იარა	fur ბეწვიანი პალტო – furious შმაგი
sport სპორტი – spore სპორი	purse ქისა – pure სუფთა
herd ჯოგი – here აქ	bird ფრინველი – byre ბოსელი
merge შერწყმა – mere უბრალო	fir ნაძვი – fire ცეცხლი
sperm სპერმა – sphere სფერო	mirk წყვდიადი – mire ზანზარა, საფლობი
stern მკაცრი – steer მოზვერი	shirt პერანგი – shire საგრაფო

ზოგიერთი თანხმოვანი თვითონ ქმნის მარცვალს, რის გამოც წინა მარცვალი ღიაა: a-ble შემძლე, უნარიანი, ca-ble კაბელი, fa-ble იგავი, sa-ble სიასამური, sta-ble 1. ღერო, 2. სტაბილური, 3. თავლა, ta-ble მაგიდა, no-ble კეთილშობილი, bu-gle საყვირი, Bi-ble ბიბლია, chi-ld ბავშვი, mi-ld რბილი, wi-ld ველური, i-dle უქნარა, ალოღლეტია, bri-dle აღვირი, o-ld 1. ძველი, 2. მოხუცი, bo-ld მედგარი, co-ld ცივი, ho-ld ხელში ჭერა, so-ld გა(ვ)ყიდე(თ), to-ld (ვ)უთხარი(თ), ... 2. ნათქვამი, don't (do not), won't (will not) ...

ხმოვნის ნაკითხვას I ტიპის მარცვალში ცვლის ზოგიერთი წინამდებარე თანხმოვანი, II ტიპის მარცვალში კი – მომდევნო თანხმოვნები.

კერძოდ, I ტიპის მარცვალში 'l'-სა და 'r'-ის შემდეგ 'u' იკითხება როგორც [u:]: blu-e ლურჯი, ცისფერი, lu-na მთვარე, ru-le წესი, tru-e მართალი, ru-de უხეში, nu-de შიშველი ...

მეორე ტიპის მარცვალში ft, lf, lm, nt, sk, ss და st-ის წინ ასო 'a' იკითხება როგორც [a:], lk, ll და lt-ის წინ კი როგორც [ɑ:]: after შემდეგ, craft ხომალდი, draft ჩანახატი, balm ბალზამი, calm მშვიდი, palm პალმა, can't cannot, plant 1. მცენარე, 2. რგვა, 3. ქარხანა, shan't shall not; მაგრამ, ant [ænt] ჭიანჭველა, ask 1. შეკითხვა, 2. თხოვნა, bask მზეზე თბობა, mask ნილაბი, task დავალება, class კლასი, grass ბალახი, pass გავლა, მაგრამ ass [æs] ვირი, lass ქალიშვილი, mass მასა, cast ტყორცნა, fast 1. სწრაფი, 2. მაგარი, last უკანასკნელი, mast ანძა, past წარსული, vast ფართო, talk საუბარი, walk 1. სიარული, 2. სეირნობა, all ყველა (ფერი), ball ბურთი, call დაძახება, fall დაცემა, gall ნალველი, hall დარბაზი, stall სადგომი, tall მაღალი, wall კედელი, მაგრამ shall [ʃæl, ʃəl], Baltic ბალტიის, halt შეჩერება, salt მარილი.

თახმოვანთაგან ასო-ბგერობრივი ასიმეტრია ახასიათებთ ფუძისეულ c, g, n, s, და t-ს, ფლექსიებში კი s და d-ს, c – თავის თავს ჰგავს, ე.ი. იკითხება, როგორც [s] მხოლოდ სამ შემთხვევაში – e, i, y-ის წინ, ყველა დანარჩენ ხუთ შემთხვევაში ე.ი. a, o, u და თანხმოვნის წინ და სიტყვის ბოლოს, იგი იკითხება როგორც [k]:

	[s]	celebrate ზეიმობა, cellar სარდაფი, cent ცენტი, place ადგილი, race რბოლა, space სივრცე; cinema კინო, city დიდი ქალაქი, civil სამოქალაქო; cycle ციკლი, icy ყინულიანი, policy პოლიტიკა.
c	[k]	cake ნამცხვარი, came მო(ვ)ედი(თ), cat კატა, coffee ყავა, cold ცივი, cotton ბამბა, cucumber კიტრი, cult კულტი, cut ჭრა; club კლუბი, crane წერო, აძწე, picture სურათი; basic ძირითადი, classic კლასიკოსი, comic კომიკოსი.

ანალოგიურად იკითხება ასო 'g'-ც. კერძოდ, e, i და y-ს წინ. ის იკითხება რბილად, ე. ი. როგორც [dʒ], a, o, u და თანხმოვნის წინ და სიტყვის ბოლოს კი – როგორც 'g':

g	[dʒ]	gem ძვირფასი ქვა, general გენერალი, gesture ჟესტი, cage გალია, page გვერდი, stage სცენა; giant გოლიათი, gain ჯიანი, ginger ჯანჯაფილი; gymnasium გიმნაზია, სპორტდარბაზი, gypsum გიფსი, თაბაშირი, Gypsy ბოშა; მაგრამ: get მიღება, give მიცემა.
	[g]	game თამაში, gate ჭიშკარი, gas აირი, God ღმერთი, golf გოლფი, got მი(ვ)იღე(თ); gull თოლია, gum წებო, ნუნა, gun თოფი; glad კმაყოფილი, pigment პიგმენტი, grass ბალახი; big დიდი, bog ჭაობი, bug ბალღინჯო.

n [k] და [g]-ს წინ იკითხება როგორც ცხვირისმიერი [ŋ], ამასთან ბოლოკიდური 'g' თვითონ აღარ იკითხება:

n	[n]	name სახელი, not არ, never არასოდეს, nun მონაზონი, snow თოვლი, thunder ჭექა-ქუხილი, sun მზე, sin ცოდვა.
	[nk]	ankle მუხლი, ink მელანი, thank მადლობა, think ფიქრი, bank ბანკი, ნაპირი, drink დალევა, tank ტანკი, pink ვარდისფერი.
	[g]	angle კუთხე, ring ბეჭედი, რინგი, jungle ჯუნგლი, bring მოტანა, long გრძელი, song სიმღერა, thing ნივთი, tongue ენა, strong ძლიერი.

s ძირითადად იკითხება როგორც [s], მაგრამ ხმოვნებს შორის იგი იკითხება როგორც [z], ხოლო 'u'-ს წინ როგორც [ʒ] ან [ʃ]:

s	[s]	same იგივე, some რამდენიმე, sum თანხა, speak ლაპარაკი, strong ძლიერი, ask შეკითხვა, თხოვნა, task დავალება, coast სანაპირო, post ბოძი, ფოსტა.
	[z]	nose ცხვირი, rose ვარდი, close დახურვა, easy ადვილი, use ხმარება, please გეთაყვა, these ესენი, those ისინი.
	[ʒ]	casual შემთხვევითი, usual ჩვეულებრივი, leisure მოცალეობა, measure ზომა, pleasure სიამოვნება, treasure განძი, decision გადაწყვეტილება, division დაყოფა.
	[ʃ]	sugar შაქარი, sure დარწმუნებული, pension პენსია, tension დაძაბულობა.

t-ს ძირითადი მნიშვნელობაა [t], მაგრამ იგი -u(re) წინ იკითხება როგორც [tʃ] და ion-ის წინ – როგორც [ʃ]:

t	[t]	table მაგიდა, teacher მასწავლებელი, time დრო, task დავალება, street ქუჩა, pot ქოთანნი, put დადება, cut ჭრა, foot ფეხი.
	[tʃ]	actual აქტუალური, factual ფაქტიური, culture კულტურა, lecture ლექცია, picture სურათი, sculpture ქანდაკება, structure სტრუქტურა, fortune ბედნიერება.
	[ʃ]	dictation კარნახი, position პოზიცია, translation თარგმანი, collection კოლექცია, correction გასწორება, composition თხზულება, direction მიმართულება, attraction მიზიდულობა, ატრაქციონი.

ფლექსია s არსებით სახელთა მრავლობით რიცხვში, კუთვნილებით ბრუნვაში და აწმყო განუსაზღვრელი დროის მესამე პირის მხოლოდით რიცხვში იკითხება: 1. მჟღერი ბგერების შემდეგ როგორც [z], 2. ყრუ ბგერების შემდეგ როგორც [s], და 3. სისინა და შიშინა, როგორც მჟღერი, ისე ყრუ ბგერების შემდეგ, როგორც [ɪz]:

s	[z]	cabs ტაქსები, dogs ძაღლები, cods ვირთევზები; dad's მამიკოს, dog's ძაღლის, Bob's ბობის, brings მოაქვს, robs ძარცვავს, breeds აშენებს (ცხოველებს).
	[s]	caps კეპები, cocks მამლები, cots ბავშვის საწოლები; cat's კატის, cock's მამლის, cop's პოლიციელის; drinks სვამს, drops აგდებს, beats ცემს.
	[ɪz]	cages გალიები, pages ფურცლები, dresses კაბები; George's გიორგის, Marx'(s) მარქსის, Boris'(s) ბორისის; buzzes ბზუის, rises დგება, pages ფურცლავს, dresses იცვამს.

ფლექსია 'd', როგორც წარსული განუსაზღვრელი დროის და წარსული დროის მიმდევრობის მარკერი იკითხება: 1. მჟღერი ბგერების შემდეგ როგორც [d], 2. ყრუ ბგერების შემდეგ როგორც [t], და 3. 'd'-სა და 't'-ს შემდეგ როგორც [ɪd]:

d	[d]	begged შე(ვ)ევედრე(თ), შეევედრა, შეევედრენ, cried (ვ)იტირე(თ), ... ნამტირალევი, dried გა(ვ)აშრე(თ), ... გაშრობილი, copied გადა(ვ)წერე(თ), ... გადაწერილი, lied (ვ)იცრუე(თ), ..., lived (ვ)იცხოვრე(თ), ... ნაცხოვრები, loved გ(ვ)იყვარდა, ... უყვარდა(თ).
	[t]	locked 1. და(ვ)კეტე(თ), ... 2. დაკეტილი, picked 1. მო(ვ)კრიფე(თ), ... 2. მოკრეფილი, dropped 1. და(ვ)აგდე(თ), ... 2. დაგდებული, stopped შე(ვ)აჩერე(თ), ... dressed 1. ჩა(ვ)იცვი(თ), ... 2. ჩაცმული, passed 1. გა(ვ)იარე(თ), ... გავლილი.
	[ɪd]	added 1. და(ვ)ამატე(თ), ... 2.. დამატებული, decided 1. გადა(ვ)წყვიტე(თ), ... 2. გადაწყვეტილი, divided 1. და(ვ)ყავი(თ), ... 2. დაყოფილი, nodded ტავი და(ვ)აქნე(თ), ... counted 1. და(ვ)თვალე(თ), ... 2. დათვლილი, hesitated შე(ვ)ყოყმანდი(თ), ... painted 1. და(ვ)ხატე(თ), ... wanted მინდოდა, ...

ხმოვანთა, ხმოვან-თანხმოვანთა და თანხმოვანთა დიგრაფების (digraphs) კითხვა

დიგრაფი არის ორი ასოს კომბინაცია, რომელიც ერთ ბგერას გადმოსცემს:

[ა:]	au	cause მიზეზი, clause წინადადება წინადადებაში, pause პაუზა, sauce საწებელი, caught და(ვ)იჭირე(თ), daughter ქალიშვილი.
	aw	caw ჩხავილი, daw ბრჭყალი, dawn განთიადი, draw ხაზვა, fawn ნუკრი, jaw ყბა, lawn გაზონი, paw თათი, saw ხერხი, shawl შალი.

[au, ou]	ou	bound ზღვარი, found ვიპო(ვ)ე(თ), hound მეძებარი ძაღლი, loud ხმამაღლა, mound ყორღანი, noun არსებითი სახელი, pound გირვანქა, round მრგვალი, sound ხმა, count დათვლა, mount მალღობი, out გარეთ, shout ყვირილი, house სახლი, mouse თაგვი.
	ow	bow თავის, brown ყავისფერი, cow ძროხა, crown გვირგვინი, crowd ზრბო, down ძირს, gown მანტია, now ახლა, row სკანდალი, town ქალაქი, bow მშვილდი, bowl თასი, low დაბალი, show ჩვენება, sow თესვა, sow ნეზვი, snow თოვლი, owl ბუ, own საკუთარი, soul სული, crow ყვავი.

[ა:]	ou+gh	ought უნდა, bought (ვ)იყიდე(თ), fought (ვ)იბრძოლე(თ), brought მო(ვ)იტანე(თ), nought ნული, sought (ვ)ეძებდი(თ), thought (ვ)იფიქრე(თ).
------	-------	--

[ju:]	eu	feudal ფეოდალური, neutral ნეიტრალური.
	ew	dew ცვარი, few ცოტა, mew კნავილი, new ახალი, news ახალი ამბები.

როგორც პირველ ტიპში, ისე აქაც [ju:]-ს [u:]-დ აქცევს წინა-
მდებარე 'l' და 'r': drew და(ვ)ხაზე(თ), flew გა(ვ)ფრინდი(თ), grew
გა(ვ)იზარდე(თ), threw გადა(ვ)აგდე(თ).

ch	[tʃ]	chain ბეწვევი, chair სკამი, chalk ცარცი, chance შანსი, challenge გამოწვევა, champion ჩემპიონი, change ცვლილება, chapter თავი წიგნში, channel არხი, check კონტროლი, chick წიწილა, cheek ლოყა, charm ხიბლი, charity ქველმოქმედი, cherry ბალი, ალუბალი, cheese ყველი, chess ჭადრაკი, chest მკერდი, chestnut წაბლი, choice არჩევანი, choose არჩევა, each თითოეული, beach ნაპირი, lunch მეორე საუზმე, much ბევრი, reach მიღწევა, rich მდიდარი, peach ატამი, speech მეტყველება, teach სწავლება.
	[k]	chameleon ქამელეონი, chaos ქიშია, character ხასიათი, chasm უფსკრული, chemistry ქიმიკა, chorus გუნდი, Christ ქრისტე, Christmas შობა, mechanic მექანიკური, technique ტექნიკა, scholar სწავლული ჰუმანიტარი, school სკოლა.
	[ʃ]	champagne შამპანური, charade შარადა, charlatan შარლატანი, chevron შევრონი, chivalry რაინდობა, chic პეწიანი, chauffeur შოფერი, machine მანქანა.

‘tch’ ტრიგრაფსა ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში იგი იგივე დიგრაფი ‘ch’-ია, რომელიც იკითხება როგორც [tʃ], ‘t’ კი აქ მუნჯიცაა და უფუნქციოც, ე.ი. არც იკითხება და არც მარცვლის ტიპს ცვლის.

tch	[tʃ]	catch დაჭერა, hatch გამოჩეკვა, latch ურდული, match ასანთი, patch საკერველი, thatch ჩალა, watch 1. საათი, 2. ყურება, fetch წასვლა და მოტანა, bitch ბუკნა ძაღლი, stitch გვირისტულა.
-----	------	---

gh	[f]	cough ხველება, enough საკმაო, laugh სიცილი, rough უსწორ-მასწორო, tough მოქნილი, დრეკადი.
	[-]	bought (ვ)იყიდე(თ), ნაყიდი, brought მო(ვ)იტანე(თ), მოტანილი, neighbour მეზობელი, cought და(ვ)იჭირე(ტ), დაჭერილი, fought (ვ)იბრძოლე(თ), ნაბრძოლი, bright ბრწყინვალე, night ღამე, right სწორი, sight ხედი, მხედველობა.

ასოთმეხამება 'gh' ხშირად მუნჯია, არ იკითხება.

ph	[f]	'phantom მოჩვენება, 'phase ფაზა, phrase ფრაზა, pheasant ხოხობი, 'phenomenon ფენომენი, მოვლენა, philately ფილატელია, philosophy ფილოსოფია, 'phone ტელეფონი, 'phoneme ფონემა, 'phonetics ფონეტიკა, 'photo ფოტო, photography ფოტოგრაფია, physics ფიზიკა, physicist ფიზიკოსი, physician მკურნალი, physiology ფიზიოლოგია, biography ბიოგრაფია, demography დემოგრაფია, geography გეოგრაფია, orthography ორთოგრაფია.
----	-----	---

sh	[ʃ]	'shade ჩრდილი, 'shadow აჩრდილი, 'shake ნჯღრევა, 'shall დამხმარე ზმნა, 'shame სირცხვილი, 'shampoo შამპუნი, she ის – მდედრობითი სქესი, sheep ცხვარი, shelf თარო, shell 1. ნაჭუჭი, 2. ჭურვი, shelter თავშესაფარი, shine ნათება, ship გემი, shoe ფეხსაცმელი, shop მაღაზია, shoot სროლა, show ჩვენება, shut დახურვა, dish ჭურჭელი, კერძი, fish თევზი, brush ჯაგრისი, hush ჩუ, wash ბანვა, რეცხვა.
----	-----	--

th	[ð]	than ვიდრე, then მაშინ, the განსაზღვრული არტიკლი, this ეს, these ესენი, that ის, those ისინი, they ისინი, them ისინი, მათ, their მათი, there იქ, thou შენ, thee შენ, thy შენი, thine შენი, though თუმცა, thus ამგვარად, with თან, within ფარგლებში.
	[θ]	thank მადლობა, think ფიქრი, thick სქელი, thin თხელი, theatre თეატრი, three სამი, thrice სამჯერ, third მესამე, thirteen ცამეტი, thirty ოცდაათი, through გავლით, გამჭოლი, thrush შაშვი, thumb ცერი, thunder ჭექა-ქუხილი, depth სიღრმე, length სიძლიერე, strength სიძლიერე, width სიფართო.

ინგლისურში უამრავი ცრუ დიგრაფიცაა, სადაც დიგრაფის მეორე ასო „მუნჯია“, არ იკითხება, და მისი ერთადერთი დანიშნულება, ერთადერთი ფუნქცია წინა ხმოვნის სათანადოდ წაკითხვის უზრუნველყოფაა.

სახელდობრ, თუ დიგრაფის მეორე ასო ხმოვანია, იგი ქმნის ცრუ მარცვალს, რითაც უზრუნველყოფს წინა მარცვლის ღიაობას, და პირიქით, თუ ეს მეორე ასო თანხმოვანია, იგი უზრუნველყოფს წინა მარცვლის დახურულობას. მაგალითად, სიტყვებში be-at [bi:t] ცემა და be-et [bi:t] ჭარხალი, ხმოვნები -a და -e ქმნიან ცრუ მარცვლებს (-at და -et), რითაც უზრუნველყოფენ წინა მარცვლების ღიაობას. გარდა ამისა, ეს ხმოვანი ასოები აქ სიტყვით განმასხვავებლებადაც გვევლინებიან.

სიტყვების – red წითელი და beg ვედრება – ფორმებში red-der, red-dest და beg-ging, beg-ged ‘d’ და ‘g’ ასოების გაორმაგება რომ არა, ეს ფუძისეული თანხმოვნები დამარცვლისას მომდევნო ხმოვნებს განეკუთვნებოდნენ (re-der, re-dest და be-ging, be-ged), რაც გახსნიდა წინა მარცვლებს და შეცვლიდა ამ სიტყვებს.

ერთმარცვლიან სიტყვათა ბოლოში თანხმოვანთა ცრუ დიგრაფების მეორე ასო მუნჯიცაა და უფუნქციოც, რადგანაც

წინამდებარე მარცვალ უმისოდაც დახურულია: ad-d, stic-k, eg-g, al-l, dres-s, ...

თუმცა თანხმობანთა ასეთი გაორმაგება ზოგიერთ ერთმარცვლიან სიტყვაში სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციით გამოდის: as რადგანაც – ass ვირი, but მაგრამ – butt 1. კონდახი, 2. თავური დარტყმა. in წინდებული 'ში' – inn სამიკიტნო, of -ის – off (away) ცრუ დიგრაფიანი სიტყვებია;

[ei]	
ai	ay
claim მოთხოვნა dais ფიცარნაგი gain მოპოვება grain მარცვალ hail სეტყვა laid გაშლილი სუფრა mail ფოსტა main მთავარი pain ტკივილი plain სადა rain წვიმა sail აფრა stain ლაქა train წვრთნა	clay თიხა day დღე gay მხიარული gray რუხი hay თივა lay სუფრის გაშლა May მაისი may შესაძლოა pay გადახდა play თამაში ray სხივი say თქმა stay დარჩენა tray ლანგარი

[ou]	oa	coal ქვანახშირი, foal კვიცი, foe დუშმანი, goal კარი სპორტში, hoe თოხი, თოხნა, boat ნავი, coat პიჯაკი, goat თხა, foam ქაფი, load ტვირთი, road გზა, loan სესხი, moan კვნესა, oak მუხა.
	oe	roe შველი, doe ფურირემი, sloe კვინჩხი, toe ფეხის თითი.

[i:]			
ea	ee	ei	ie
flea რწყილი	flee გაქცევა		
sea ზღვა	see ხედვა		
leak ჟონვა	leek პრასი		
read კითხვა	reed ლელქაში		
speak ლაპარაკი	speech მეტყველება		
heal მკურნალობა	heel ქუსლი		
steal პარვა	steel ფოლადი		
seam ნაკერი	seem ჩვენება		
bean პარკი ლობიო	been ნამყოფი		
beat ცემა	beet ჭარხალი		
meat ხორცი	meet შეხვედრა		
seat დასაჯდომი	sheet ფურცელი		
peace მშვიდობა			piece ნაჭერი
leaf ფოთოლი tea ჩაი reach მიღწევა teach სწავლება deal რაოდენობა meal საჭმელი seal სელაპი, ბეჭედი saucer საკანცელარიო veal ხბოს ხორცი cream ნაღები dream ოცნება steam ორთქლი stream ნაკადული team გუნდი dean დეკანი ease სიადვილე cease შეწყვეტა please გეთაყვა eat ჭამა feast ქეიფი heat სითბო leave დატოვება lean გამხდარი mean სულმდაბალი			

	fee გასამრჯელო seed თესლი weed სარეველა beef საქონლის ხორცი reef რიფი, ბრაგა (წყალქვეშა კლდე) breed ჯიში deed გმირობა need საჭიროება feel გრძნობა wheel ბორბალი green მწვანე seen ნანახი deep ღრმა sleep ძილი steep ციცაბო feet ფეხები sleeve სახელო		
		seize დაპყრობა	
			brief მოკლე chief ბელადი grief მწუხარება sieve საცერი

[aɪ]		
ie	ye	uy
	bye ნახვამდის	buy ყიდვა
die კვდომა	dye ღებვა	
		guy 1. ბიჭი, ყმაწვილი, ჯეელი 2. საფრთხობელა
lie 1. წოლა, დება, 2. ტყუილი pie ღვეზელი tie ჰალსტუხი		
	rye ჭვავი wye (ტექნ.) სამზუდიანი მამტოებელი ჩანგალი pye-dog ეზოს ძაღლი, ქოფაკი	

b	[-]	ab-bot აბატი, cab-bage კომბოსტო, lob-by 1. ვესტიბული, 2. ლობი, rob-bing დაყაჩაღება, comb სავარცხელი, dumb მუნჯი, lamb ბატკანი, limb კიდური, debt ვალი, doubt ეჭვი.
c	[-]	ac-count ანგარიში, ac-custom მიჩვევა, oc-cur მოხდენა, oc-cupy დაკავება, back უკან, brick აგური, buck ხარირემი, lick ლოკვა, luck ბედი, neck კისერი, sick ავადმყოფი, stick ჯოხი.
d	[-]	add დამატება, ad-der ანკარა, lad-der მისადგმელი კიბე, mud-dy ტალახიანი, nod-ding თავის დაქნევა, nod-ded თავი და(ვ)უქნიე(თ), ... odd უცნაური, red-der უფრო წითელი, red-dest უწითლესი, sad-der უფრო ნაღვლიანი, sad-dest ყველაზე უფრო ნაღვლიანი.
f	[-]	af-fect გავლენა, af-firm მტკიცება, ef-fect ეფექტი, dif- fer განსხვავება, dif-ficult ძნელი, of-fer შეთანხმება, of-fice ოფისი, suf-fer ტანჯვა.
g	[-]	bag-gage ბარგი, lug-gage ბარგი, beg-gar მათხოვარი, beg-ging მათხოვრობა, dig-ger მთხრელი, dig-ging თხრა, big-ger უფრო დიდი, big-gest უდიდესი.
h	[-]	honest პატიოსანი, honour ღირსება, hour საათი, what რა, when როდის, where სად, why რატომ.
l	[-]	all ყველა(ფერი), ball ბურთი, kill კვლა, ill ავადმყოფი, doll თოჯინა, bull ხარი, pull წევა, mill ქარხანა, still ჯერ კიდევ, till -მდე.
m	[-]	com-ma მძიმე, com-mon საერთო, com-munication კომუნიკაცია, ham-mer ჩაქუჩი, sum-mer ზაფხული, swim-mer მოცურავე, swim-ming ცურაობა.

n	[-]	ban-ner ალამი, fun-ny სასაცილო, inn სამიკიტნო, in-ner შინაგანი, in-novation სიახლე, skin-ny გაჩხინკული, sun-ny მზიანი, win-ner გამარჯვებული, win-ning გამარჯვება.
p	[-]	ap-pear გამოჩენა, cop-per სპილენძი, dip-per ციცხვი, ჩამჩა, sup-per ვახშამი, sup-pose დაშვება, ვარაუდი, stop-ping შეჩერება, wip-ping გამათრახება.
r	[-]	ar-row ისარი, ber-ry კენკრა, car-ry ტარება, hur-ry ჩქარობა, lor-ry სატვირთო მანქანა, mer-ry მხიარული, sor-ry დანანება, სინანული, wor-ry წუხილი.
s	[-]	ass ვირი, lass ქალიშვილი, mass მასა, loss დანაკლისი, moss ხავსი, dress კაბა, pass გავლა, pas-ser გამვლელი, pas-sing გავლა.
t	[-]	at-tract მიზიდვა, bit-ter მწარე, but-ter კარაქი, butt კონდახი, თავური დარტყმა, cot-ton ბამბა, mat-ter საქმე, but-ton ღილი, cot-tage ქობი, cut-ter 1. კატერი, 2. გამომჭრელი, cut-ting ჭრა, put-ty საგოზავი.
w	[-]	who ვინ, whom ვინ, ვის, whose ვისი, whole მთელი, wren ჭინჭრაქა, write წერა, wrote და(ვ)წერე(თ), ... written დაწერილი, wrong მცდარი.
z	[-]	buzz ბზუილი, griz-zly გრიზლი, puz-zle თავსატეხი.

უმახვილო ხმოვანთა კითხვა

უმახვილო მარცვალში ინგლისური ხმოვნები რედუცირდებიან, სუსტდებიან, ანდა სულაც „მუნჯდებიან“, სახელობრ:

a	[ə]	a(n) განუსაზღვრელი არტიკლი 'about შესახებ, 'aflame აღმოდებული, 'again კვლავ, 'ago(-ს წინ), 'ahead წინ, 'aloud ხმამაღლა, 'around ირვლივ, 'asleep მძინარე, 'awake მღვიძარი, 'adequate ადეკვატი, 'chocolate შოკოლადი, 'fortunate ბედნიერი, 'character ხასიათი, 'palate სასა.
	[ɪ]	'palace სასახლე, 'comrade ამხანაგი, 'baggage ბარგი, 'bandage ბინტი, 'cabbage კომბოსტო, 'cottage ქობი, 'damage ზიანი, ზარალი, 'heritage მემკვიდრეობა, 'image იმიჯი, 'language ენა, 'luggage ბარგი, 'sausage სოსისი, ძეხვი, 'village სოფელი, 'graduate კურსდამთავრებული ¹ .
	[-]	beak ნისკარტი, speak ლაპარაკი, lead გაძღოლა, read კითხვა, eat ჭამა, beat ცემა.

შენიშვნა¹ - უმახვილო დაბოლოებებში -a + თანხმოვანი + e, იკითხება როგორც [ɪ ან ə], ასეთსავე ზმნურ დაბოლოებებში მათგან ნაწარმოებ არსებითებში კი, იგი მახვილიანია და იკითხება როგორც [eɪ]: dictate კარნახი → dictation კარნახი, graduate უმაღლესის დამთავრება → graduation უმაღლესის დამთავრება.

უმახვილო დაბოლოებებში -a + თანხმოვანი + e	მახვილიან ნაწარმოებ არსებითებში
[ɪ, ə]	[eɪ]
hesitate ყოყმანი imitate მიბაძვა migrate მიგრირება rotate ბრუნვა translate თარგმნა	→ hesitation ყოყმანი → imitation მიბაძვა → migration მიგრაცია → rotation ბრუნვა → translation თარგმანი

o	[ə]	co'llapse კოლაპსი, co'lect შეგროვება, co'mmand კომანდა, co'mmence დაწყება, com'puter კომპიუტერი, co'nnect დაკავშირება, co'rrect სწორი, co'rruption კორუფცია, 'bottom ფსკერი, 'common ჩვეულებრივი, 'fathom სიღრმის ზომა, 'freedom თავისუფლება, 'kingdom სამეფო, 'seldom იშვიათად, 'carrot სტაფილო, 'parrot თითიყუში, 'pilot პილოტი;
	[(ə)]	'cotton ბამბა, 'lesson გაკვეთილი, reason მიზეზი, season სეზონი.
	[-]	people ხალხი.

o სიტყვის ბოლოს იკითხება როგორც [ou/əu]:

o	[ou/ əu]	also აგრეთვე, cargo ტვირთი, hero გმირი, potato კარტოფილი, radio რადიო, zero ნული.
---	----------	---

u	[ə]	autumn შემოდგომა, column სვეტი, rostrum კათედრა, minus მინუსი, difficult მძელი, locust კალია.
---	-----	---

e	[ɪ]	de'cide გადაწყვეტა, de'fine განსაზღვრა, des'cribe აღწერა, e'ffect შედეგი, e'lect არჩევა, e'lectric ელექტრული, e'leven თერთმეტი, e'nable შესაძლებლობის მიცემა, e'rect აღმართვა, es'tate მამული, e'voke გამოწვევა, 'enemy მტერი.
	[(ə)]	'funeral გასვენება, 'general გენერალი, 'numeral რიცხვითი სახელი, 'numerous ურიცხვი.

e სიტყვის ბოლოს და ბოლოკიდური -l და -n-ის წინ არ იკითხება:

e	[-]	male მამრობითი, mole თხუნელა, mule ჯორი, pole ბოძი, sole ლანჩა. level დონე, travel მოგზაურობა, even კიდევ, happen შემთხვევა, listen მოსმენა, widen გაფართოება; been ნამყოფი, beet ჭარხალი, feet ფეხები, reed ლერწამი, see ხედვა.
---	-----	--

i/y	[1]	'basic ძირითადი, 'city დიდი ქალაქი, 'civil სამოქალაქო, 'evil ბოროტება, 'family ოჯახი, 'limit ლიმიტი, 'lorry სატვირთო მანქანა, 'many ბევრი, 'navy საზღვაო ფლოტი, 'origin წარმოშობა, 'positive დადებითი, 'possible შესაძლო, 'sensible გონიერული, 'sensitive მგრძობიარე, 'terrible საშინელი, 'visit ვიზიტი.
	[ə]	'evil [i:v(ə)] ბოროტება, 'daily ყოველდღიური, 'day დღე, 'fail მარცხის წვნევა, 'hail სეტყვა, 'hay თივა, 'lay დადება, 'mail ფოსტა, 'may შესაძლოა.
	[-]	'brief მოკლე, 'chief ბელადი, 'believe დაჯერება, 'receive მიღება.

ნებისმიერი უმახვილო ხმოვანი + r იკითხება როგორც [ə]:

უმახვილო ხმოვანი + r	[ə]	cellar სარდაფი, grammar გრამატიკა, scholar სწავლული ჰუმანიტარი; doctor ექიმი, rector რექტორი, vector ვექტორი; Saturday შაბათი, Saturn სატურნი, dancer მოცეკვავე, singer მომღერალი, speaker სპიკერი.
----------------------	-----	---

აქ მოყვანილია ინგლისური წერა-კითხვის მხოლოდ ყველაზე უფრო ქმედითი წესები, რამეთუ მუშნი ზარანდიასი არ იყოს, არც ერთი წესი არასოდეს არ „ყოფნის“ ყველა შემთხვევას. მთავარია, თვითონ შემთხვევები ყოფნიდეს წესს; რადგანაც აზრი არა აქვს ისეთი წესის დასწავლას, რომელსაც ორად ორი მაგალითი აქვს.

ერთოვარაფიული ანუ მართლწერის სავარჯიშოები

1. ასოების დანერა კარნახით და პირიქით, ასოებისათვის სახელწოდებების მინერა: [ei] → A, a, [si:] → C, c, ...; B, b → [bi:], O, o → [əu], ...

2. სიტყვების ასო-ასოდ დასახელება, და პირიქით, ასო-ასოდ კარნახით სიტყვების დანერა: station → [es, ti:, ei, ti:, ai, əu, en], ...; [es, ti:, ei, ti:, ai, əu, en] → station.

3. დიგრაფებისა და ტრიგრაფების ამონერა ტექსტიდან და მათი ტრანსკრიბირება და ნაკითხვა:

She teaches chemistry: 1. sh - იკითხება როგორც [ʃ], 2. ea [i:], 3. ch [tʃ], 4. ch [k].

4. მოცემული ბგერის აღმნიშვნელი ასოებისა და ასოთშეხამებების (დიგრაფების, ტრიგრაფების) შემცველი სიტყვების ამონერა ტექსტიდან: [k]: camel ['kæm(ə)] აქლემი, kerosene ['kerəsi:n] ნავთი, stick [stɪk] ჯოხი, school [sku:l] სკოლა, question ['kwɛstʃ(ə)n] კითხვა, ...

5. მოცემული (მაგალითად a, o, n და t) ასოებისაგან სიტყვების შედგენა: a [ei, ə] (განუსაზღვრელი არტიკლი, რომელიც თანხმონით დაწყებული სიტყვების წინ იხმარება), an [æn, ən] (განუსაზღვრელი არტიკლი რომელიც ხმონით დაწყებული სიტყვების წინ იხმარება):

Ann [æn] ანა, at [æt, ət] წინდებული -ზე, ან -ში, ant [ænt] ჭიანჭველა, on [ɔn] წინდებული -ზე, no [nəu] უარყოფითი ნაწილაკი არა, not [nɒt] უარყოფითი ნაწილაკი არ, to [tu, tə] წინდებული -კენ, ან ინფინიტივის მიმნიშნებელი ნაწილაკი, oat [əʊt] შვრია, NATO ['neɪtəu] ნატო, Ton [tʌn] ტონა და ა.შ.

6. სიტყვების დამარცვლა, მარცვალთა ტიპების განსაზღვრა და მახვილების დასმა:

III I IV I II

‘star-ve, ‘spa-re, ‘stab, ...

7. წესების მიხედვით წაკითხვადი სიტყვების კარნახით წერა ან მათი ტრანსკრიბირება: [kəutʃ]→coach, ...; coach [kəutʃ], ...;

8. „არანესიერად“ წაკითხვადი სიტყვების კარნახით წერა ან ტრანსკრიბირება: [breɪk] →break, ... break [breɪk], ...;

9. მახვილდასასმელი სიტყვების დადგენა წინადადებაში (ფრაზული მახვილი და ამ სიტყვების „დამახვილიანება“ (სიტყვის მახვილი):

I have ‘never ‘been to ‘London.

We ‘have a ‘lot of ‘inter‘national ‘words in ‘Georgian.

10. მიკროტექსტების კარნახით წერა ან ტრანსკრიბირება:

[aɪ hæv ‘nevə ‘bi:n tə ‘lʌnd(ə)n] →I have never been to London.

[wi: ‘hæv ə lɒt əv ɪntə’næʃ(ə)n| ‘wə:dz in ‘dʒɑ:dʒ(ə)n] →We have a lot of international words in Georgian.

სწავლა, გონებრივი შრომა ფიზიკურზე არანაკლებ მძიმეა; ამიტომ სანამ შრომა მოთხოვნილებად ქცეულა, საჭიროა მასში გართობის ელემენტების შეტანა. ჩვენ შემთხვევაში, ამისათვის გამოიყენება ლინგვისტური თამაშები (იხ. ლინგვისტური თამაშობები).

ყველა ეს სავარჯიშო ჯერ კლასში უნდა შესრულდეს, შემდეგ კი – კარნახის გარდა, შეიძლება ინდივიდუალურ საშინაო დავალებადაც მიეცეთ მოსწავლეებს.

მეტყველების სწავლება

მეტყველება ენობრივი, ვერბალური, ე.ი. სიტყვიერი კომუნიკაციის პროცესია, რომელიც **ბგერითი ან გრაფიკული არხით** და **მონოლოგის ან დიალოგის ფორმით** ხორციელდება. მაშასადამე, არსებობს როგორც **ზეპირი**, ისე **წერიტი**; როგორც **მონოლოგური**, ისე **დიალოგური** **მეტყველება**. მონოლოგურია ერთი პირის სხვისადმი ან სხვებისადმი მიმართული მეტყველება; დიალოგური კი – ორი პირის ურთიერთისადმი მიმართული მეტყველება.

მეტყველება რთული ფსიქო-ფიზიოლოგიური პროცესია, რომელსაც საფუძვლად უდევს პირველი და მეორე სასიგნალო სისტემების ურთიერთმოქმედება და რომელიც შემდეგი სცენარით მიმდინარეობს: ჯერ გარკვეული მოტივის, მოთხოვნილების საფუძველზე ჩნდება აზრი, შემდეგ მისი გამოთქმის სურვილი, განზრახვა, გადაწყვეტილება; ამას მოსდევს სათქმელის გეგმის შედგენა; მერე იძებნება, ირჩევა გრამატიკული ყალიბები და ბოლოს მათი შესავსები ლექსიკა. ყველაფერ ამას ადგილი აქვს შინაგან მეტყველებაში, საიდანაც ხდება მისი გახმოვანება-გასხეულება გარეგან, ე.ი. ზეპირ ან წერიტ მეტყველებაში.

აქედან გამომდინარე, მეტყველების წარმატებით სწავლებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ მისი წარმოქმნის ეს საფეხურეობრიობა და მისი შემდეგი ფსიქო-ლინგვისტური თავისებურებანი:

1. მეტყველება ყოველთვის მიზანმიმართული და მოტივირებულია. არავინ ლაპარაკობს ლაპარაკის გულისათვის; მთქმელს ან თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად რაიმეს თქმა სურს, ანდა რაიმეს გაგებას ესწრაფვის. ესაა მისი შინაგანი მოტივაცია. გარეგანი მოტივაციით ხასიათდება, მაგალითად, მოსწავლის პასუხი გამოცდაზე. მას – მოსწავლეს კი, უნდა ჰქონდეს ლაპარაკის საჭიროება, ე.ი. შინაგანი მოტივაცია და არა მხოლოდ ნიშნის მიღების სურვილი. აქედან გა-

მომდინარე, მასწავლებლის ამოცანაა მოსწავლეებს შეუქმნას შინაგანი მოტივაცია;

2. მეტყველება მსმენელს ან მკითხველს გულისხმობს – უმისამართო მეტყველება შეუძლებელია; ხოლო მოსწავლეს რომ თავისი ამხანაგები უსმენდნენ, საჭიროა ის მათთვის ახალს და საინტერესოს ამბობდეს;

3. მეტყველება, როგორც წესი, ემოციურ-მოდალურია. მოსაუბრე მარტო ინფორმაციას კი არ გვანვდის, არამედ თავის შეხედულებებს, გრძნობებსა და ინფორმაციისადმი დამოკიდებულებასაც გვატყობინებს. მაშასადამე, საჭიროა მოსწავლეებს ვასწავლოთ ინფორმაციის ემოციურად, მოდალურად გაფორმების საშუალებები და ვავარჯიშოთ მათ ავტომატურ ხმარებაში;

4. მეტყველება ყოველთვის სიტუაციურია – ყოველთვის გარკვეულ სიტუაციაში მიმდინარეობს და მიმართულია სუბიექტის რაიმე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ამ მოცემული სიტუაციის პირობებში. მაშასადამე, სწავლების პროცესში აუცილებელია ბუნებრივი ან მასთან მიახლოებული წარმოდგენითი სიტუაციების შექმნა მოსწავლეთა მეტყველების სტიმულირებისათვის.

მაშასადამე, ზეპირი მეტყველებისათვის აუცილებელი ფაქტორებია: სამეტყველო სტიმულისა და მიზნის ქონა, თემის ცოდნა, შესაბამისი ენობრივი მასალის ავტომატიზებული ფლობა და სიტუაციის შეგრძნება, რომლის ფარგლებშიაც ხდება მოლაპარაკის რაიმე მოთხოვნილების რეალიზება.

მონოლოგური მეტყველების სწავლება

მონოლოგური მეტყველების, ისევე როგორც ლაპარაკის სწავლება საერთოდ, ხორციელდება **ენობრივი ანუ მოსამზადებელი და წმინდა სამეტყველო** სავარჯიშოების საშუალებით – ამ უკანასკნელის ხვედრითი წონის გადამეტებით.

მოსამზადებელი ანუ ენობრივი სავარჯიშოები ორეტაპიანია – წინადადების დონე და გამონათქვამის დონე.

I ეტაპი – წინადადების დონე გულისხმობს მოსწავლეთა მიერ, წინადადებათა სხვადასხვა საჭირო მოდელების შეთვი-სებას შემდეგი სავარჯიშოების დახმარებით:

1. წინადადებაში გარკვეული **სიტყვების შეცვლა, სუბსტიტუცია**:

I can see a tree. He can see a tree. I can see a picture. . .

2. **წინადადების გავრცობა**:

I have a book → I have an interesting book → I have an interesting English book → I have an interesting English book of short stories. . .

3. **ტრანსფორმაცია, გარდაქმნა**:

He has a book. Has he a book? He has no book.

4. **დასრულება**:

When I read the book I'll . . .

თითოეული მოდელი მეორდება სხვადასხვა ვარიანტებში, სანამ ის არ გადაიქცევა მოსწავლეთა ავტომატიზირებულ ჩვევად; ხოლო ამის შემდეგ, მოსწავლეებს ევალუბათ გამოიყენონ ისინი მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ თემაზე ან სიტუაციაში, ან მოცემული სურათის აღსაწერად. მაგალითად:

1) Teacher: Give it a name. We write with it.

Pupil: It is a pen.

2) Make statements on the picture.

3) Say the opposite.

მოსამზადებელი სავარჯიშოების **II ეტაპი – გამონათქვამის დონე** გულისხმობს წინადადებათა ცალკეულ მოდელთა ლოგი-

კური თანმიმდევრობით გაერთიანებას ერთ გამონათქვამად; ჯერ ნიმუშის მიხედვით, შემდეგ კი – მის გარეშე.

Teacher: Say a few words about this object.

Pupil: It's a pencil. It's green. It's on the desk. I like the pencil.

მოსამზადებელი სავარჯიშოების წარმატებით ჩატარების შემდეგ მოსწავლეები გადაგვყავს სამეტყველო სავარჯიშოებზე, რომლებიც აგრეთვე ორ ეტაპად ხორციელდება, ესენია:

1. მომზადებული მეტყველების სავარჯიშოები; და
2. სპონტანური მეტყველების სავარჯიშოები.

მომზადებული მონოლოგური მეტყველების სავარჯიშოები

- 1) აზრობრივად დაკავშირებულ გამონათქვამთა გამეორება გარკვეული მოდიფიკაციით (დასაწყისის, დასასრულის, კომპოზიციის შეცვლით ან ახალი მოქმედი პირის ჩამატებით);
- 2) მოცემულ თემაზე, ან მოცემული გეგმით, ან მოცემულ სიტყვა-გასაღებებზე სიტუაციის ან ტექსტის შედგენა;
- 3) აღქმული ინფორმაციის მოკლედ გადმოცემა მშობლიურ ან შესასწავლ ენაზე;
- 4) სურათის, სურათების სერიის, კარიკატურების, მუნჯი (დია)ფილმების აღწერა;
- 5) სათაურებისა თუ რეალიების ახსნა-განმარტება უცხო ენაზე;
- 6) გაგებული ამბის, რადიოგადაცემის, მოხსენების, გამოსვლის თემის განსაზღვრა და მოკლე დასაბუთება;
- 7) ინფორმაციის აზრობრივ ნაწილებად დაყოფა და მათი დასათაურება;
- 8) ტექსტთან მიახლოებული თხრობა, თხრობა-რეფერატი, თხრობა-რეზიუმე;
- 9) მოსმენილი თუ წაკითხული ინფორმაციის რამდენიმე ფრაზით გადმოცემა;

- 10) მოსმენილის ან წაკითხულის მოკლე გეგმის შედგენა;
- 11) დიალოგის მონოლოგური ფორმით გადმოცემა.

სპონტანური მონოლოგური მეტყველების სავარჯიშოები

- 1) სათაურის შერქმევა და მისი დასაბუთება;
- 2) ახალი სურათის, კარიკატურის აღწერა, რომელიც არაა დაკავშირებული განვლილ თემასთან;
- 3) მოსმენილზე თუ წაკითხულზე დაყრდნობით ანალოგური სიტუაციის შედგენა;
- 4) საკუთარი მსჯელობისა ან ფაქტებისადმი საკუთარი და-მოკიდებულების დასაბუთება;
- 5) გამონათქვამის ძირითადი აზრის განსაზღვრა-დასაბუთება;
- 6) მოქმედი პირების, მოქმედების ადგილისა და ეპოქის/დროის დახასიათება;
- 7) მოსმენილისა თუ წაკითხულის შეფასება;
- 8) მოკლე განცხადებებისა და ღია ბარათების ტექსტების შედგენა.

სურათის აღწერა

სურათის აღწერისას საჭიროა დაცულ იქნას შემდეგი თანმიმდევრობა:

- ა) სურათის აღწერა მასწავლებლის მიერ განსაზღვრული თანმიმდევრობითა და ფრაზებით;
- ბ) ამავე თანმიმდევრობით სპეციალური და თუბითი კითხვების დასმა და მოსწავლეთა პასუხები;
- გ) მოსწავლეთა მონოლოგები, რომლებიც გაცემული პასუხების ჯამს წარმოადგენენ;
- დ) მსგავსი სურათების აღწერა უსაყრდენოდ; დინამიკური სურათების, მოვლენების აღწერისათვის გამოიყენება პლანოგრაფი, მაგნიტური დაფა, პროექტორი, დიაფილმები, (კინო) ფილმები და ა.შ.

პირველ ხანებში საყრდენად ვიყენებთ გეგმებს, კითხვებს.
მონოლოგური მეტყველების განვითარების კარგი წყაროა აგრეთვე, საშინაო კითხვა.

აზრის ლოგიკური, თანმიმდევრული გადმოცემის სასწავლებლად მივმართავთ ზოგად და თუობით კითხვებს.

What's this? – This is a pencil.

What colour is the pencil? – It's red.

Is the pencil in the bag or in the box? – It's in the box.

Whose pencil is it? – It's your pencil.

შემდეგ მოსწავლეებს ვაჩვენებთ ამავე კომპოზიციის გამონათქვამების გადმოცემას კითხვების გარეშე. უფრო ძნელია სიტუაციური სურათების აღწერა, ამიტომ აქაც გასათვალისწინებელია შემდეგი თანმიმდევრობა:

ა) ჯერ მასწავლებელი აღწერს სურათს გარკვეული თანმიმდევრობითა და ფრაზებით;

ბ) შემდეგ სვამს ამავე თანმიმდევრობის სპეციალურ და თუობით კითხვებს;

გ) შემდეგ მოდის მოსწავლეთა მონოლოგები, რომლებიც გაცემული პასუხების ჯამს წარმოადგენენ;

დ) შემდგომში, სხვა სურათებზე მუშაობისას მასწავლებელი თანდათან ხსნის საყრდენებს და ამცირებს მონოლოგამდე მისაყვან ნაბიჯებს, რათა მოსწავლეები მიაჩვიოს ახალი სურათების სპონტანურ აღწერას.

დიალოგური მეტყველების სწავლება

როგორც უკვე აღინიშნა, ვერბალური ურთიერთობის აქტიურ მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით **მეტყველება იყოფა მონოლოგად და დიალოგად**. დიალოგიური მეტყველება ორი პირის ურთიერთისადმი მიმართული მეტყველებაა.

მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში **დიალოგი სამი მნიშვნელობით გვხვდება:**

1. როგორც **ენობრივი მასალის ათვისების საშუალება;**
2. როგორც **სასწავლო პროცესის ორგანიზაციული ფორმა;** და
3. როგორც **მოსწავლეთათვის სასწავლო სამეტყველო მოქმედებების სახე,** (მიროლიუბოვი და სხვ., 1981) წარმოადგენს

რა ვერბალური ურთიერთობის ძირითად ფორმას, დიალოგი სწავლების მთავარი მიზანიცაა და ამ და სხვა მიზნების რეალიზაციის საშუალებაც.

მონოლოგისაგან **დიალოგის** განმასხვავებელი **თავისებურებებია:**

1. **მისი ორმხრივი ხასიათი** – მასში მონაწილე პირები ხან მოლაპარაკის როლში გვევლინებიან, ხან კი – მსმენელის; აქ ადგილი აქვს პროდუქციისა და რეცეფციის შეხამებას ერთი აქტის ფარგლებში (პასოვი, 1989; გეზი და სხვ., 1982);

2. **ელიფსურობა, შეკვეცილობა** – რის საშუალებასაც იძლევა სამეტყველო სიტუაცია და ლოგიკურ-ენობრივი მიხვედრილობა და პროგნოზირება; შეკვეცა-შემოკლებას ენის ყველა დონეზე აქვს ადგილი და იგი ხორციელდება ქარბი ინფორმაციის ხარჯზე (პასოვი, 1989);

3. **სპონტანურობა** – სათქმელის როგორც ფორმის, ისე შინაარსის წინასწარ დაუგეგმაობა; რაც განაპირობებს მასში შტამპების, მზა ფრაზების სიუხვეს და გამონათქვამთა გარკვეულწილად თავისუფალ, არანორმირებულ გაფორმებულობას – რაც ვლინდება შეყოყმანება-პაუზირებაში, სიტყვის შეწყვეტა-შენწყვეტინებაში, ფრაზების გადაკეთება-ცვალებადობაში.

დიალოგის შემადგენელი ნაწილებია რეპლიკები, რომელთა

მოცულობა მერყეობს ერთი ფრაზიიდან, ვიდრე მონოლოგამდე დიალოგში.

ფუნქციონალურად რეპლიკა ორგვარია:

1) **რეპლიკა-გამონწვევა (initiatory remark, реплика-побуждение)**, რომელსაც საინიციატივო ან მასტიმულირებელ რეპლიკასაც უწოდებენ; და

2) **რეპლიკა-რეაქცია.**

ორი ან მეტი რეპლიკის სტრუქტურულ-ინტონაციურ და აზრობრივ ერთიანობას დიალოგური მთელი ეწოდება. მეტყველებებაში ყველაზე გავრცელებული ორწევრიანი მთლიანობაა, ამიტომ სწორედ ის უნდა დაედოს საფუძვლად დიალოგის სწავლებას.

დიალოგი არ წარმოადგენს მხოლოდ:

1) **კითხვა-პასუხთა სისტემას**; ამის გარდა მასში შეიძლება გვექონდეს

2) **კითხვა და კონტრკითხვა:**

- Will you help me, sonny?

- What shall I do, mother?

3) **განცხადება და კითხვა:**

- We are going to Kakheti tomorrow.

- Can I join you?

4) **განცხადება და განცხადება:**

- I'd like to know when our government is going to pay us adequate salaries and wages.

- That's difficult to say; they keep promising, but all in vain.

5) **განცხადება და შევსება-გაგრძელება:**

ა) მიპატიჟება და მადლიერებით მისი მიღება ან უარყოფა:

- Why don't you come over to our place one evening?

- Thank you. I will definately pop in these days.

ბ) თხოვნა თუ ბრძანება და მასზე პასუხი:

- Stop teasing the dog!

- I'm just playing with it.

მაშასადამე, დიალოგის სწავლება გულისხმობს სხვადასხვა

რეპლიკათა კომბინირებისა და მათი გაცვლა-გამოცვლის სწავლებას უნარ-ჩვევების დონეზე.

დიალოგის სწავლების სავარჯიშოები

დიალოგის სწავლების სავარჯიშოები ორ ჯგუფად იყოფა, ესენია:

- 1. მოსამზადებელი ანუ ენობრივი სავარჯიშოები; და**
- 2. სამეტყველო სავარჯიშოები.**

მოსამზადებელი სავარჯიშოების მიზანია სამეტყველო მოდელებისა, ე.ი. ფრაზებისა და წინადადებების ყალიბების, და მზა რეპლიკების ავტომატიზირება; სამეტყველო სავარჯიშოებისა კი – თვით დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევების ფორმირება პროგრამით გათვალისწინებული თემა-სიტუაციებისა და ენობრივი მასალის ფარგლებში.

დიალოგური მეტყველების მოსამზადებელი სავარჯიშოები ბევრად არ განსხვავდება მონოლოგური მეტყველებისა და აუდირების მოსამზადებელი სავარჯიშოებისაგან; აქ ემატება აუდიოჩანაწერთან ინდივიდუალური მუშაობა და პატარა დიალოგების დაზეპირება-დრამატიზაცია.

სამეტყველო სავარჯიშოები ორსაფეხურიანია:

1) მომზადებელი დიალოგური მეტყველების სავარჯიშოები, სადაც წინასწარაა მოცემული სტრუქტურული მოდელები და ლექსიკა; და

2) სპონტანური დიალოგური მეტყველების სავარჯიშოები, სადაც წინასწარ არაფერი არაა ცნობილი.

მომზადებული სამეტყველო სავარჯიშოების ძირითად პრობლემას სამეტყველო სიტუაციის ორგანიზება წარმოადგენს, რისთვისაც შემდეგ ხერხებს მიმართავენ:

- ა) სიტუაციის სიტყვიერი აღწერა-წარმოდგენა;**
- ბ) ვიზუალური თვალსაჩინოება;**
- გ) ტექსტების ინსცენირება; და**
- დ) ბუნებრივი, ცხოვრებისეული სიტუაცია.**

მომზადებული დიალოგის სავარჯიშოები

- ა) კითხვებზე მოკლე ან სრული ფრაზული პასუხების გაცემა;
- ბ) სიტუაციური და საკვანძო კითხვების დასმა;
- გ) მოსმენილი მონოლოგის დიალოგიზირება-დრამატიზაცია;
- დ) მოსმენილის, წაკითხულისა თუ ნანახის მიხედვით დიალოგის შედგენა და ჩატარება;
- ე) მოცემულ თემაზე დიალოგის შედგენა.

სპონტანური დიალოგის სავარჯიშოები

- ა) კითხვებზე არგუმენტირებული პასუხების გაცემა;
 - ბ) კომბინირებული დიალოგების ჩატარება სხვა მოსწავლეთა რეპლიკებისა და კომენტარების თანხლებით;
 - გ) მართული მოუმზადებელი დიალოგის ჩატარება საყრდენებითა და მათ გარეშე;
 - დ) კამათებისა და დისპუტების ჩატარება.
- დიალოგური მეტყველების რაოდენობრივი მაჩვენებლებია: 4 რეპლიკა VI კლასში, 5 – V-ში და 6-10-მდე – უფროს კლასებში.
- ხარისხობრივი მაჩვენებელი კი გულისხმობს დიალოგის თოთეულ მონაწილეზე:
- 1) თემისა და სიტუაციისადმი გამონათქვამის სრულ შესაბამისობას;
 - 2) შემოქმედებითობის დონეს; და
 - 3) ენობრივი მასალის (ფონეტიკური, ლექსიკური და გრამატიკული) გამოყენებისა და ავტომატიზირებულობის ადეკვატურობას.

ზეპირმეტყველებისათვის დამახასიათებელი შტამპები

ენის სხვადასხვა მიზნისთვის, განსხვავებულ სოციალურ კონტექსტში გამოყენებისათვის (პრაგმატული განვითარება) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზეპირმეტყველებისათვის დამახასიათებელი შტამპების (conventional expressions) ათვისება.

“Pragmatic routines are the recurrent words or phrases employed for particular social purposes, including thanking, apologizing, requesting, greeting, insulting, complimenting, and offering”. (Davis, 2007)

“Pragmatic routines are those conventionalized pre-patterned expressions whose occurrence is highly context-dependent. Pragmatic routines are realized in specific social contexts which are shared by members of a particular speech community”. (Coulmas, 1981)

ასეთი შტამპებია:

Hello! Good morning! All right; Nice to meet you; Come here; Good bye! Thank you; Let’s go; I’m sorry; I’m late; I’m glad; How nice; What about; . . .

დიალოგურ შტამპებს მოსწავლეები ითვისებენ მოკლე დიალოგების ზეპირად დასწავლით. ამ მიზნით სავარჯიშოს შემდეგ სახეს წარმოადგენს მითითებულ თემაზე მოცემული საკვანძო სიტყვებითა და სქემით დიალოგების შედგენა. მაგალითად:

– Good morning, Lika!

– . . . , Ket!

– Is Lela . . . ?

–Yes, . . . Come in, I’ll . . .

– . . . I want to speak to her about . . .

– . . . go into the dining-room.

დიალოგური მეტყველების ჩვევის გამოსამუშავებლად მოსწავლეებს გამოუწვევებთ სწრაფად გააზრებულ რეაქციას თანამოსაუბრის რეპლიკაზე. ამისათვის, მასწავლებლის მიერ

გარკვეულ თემასთან დაკავშირებით თქმულ წინადადებაზე, მოსწავლეები პასუხობენ თავიათი მსგავსი, მაგრამ არა იგივე წინადადებით. მაგალითად:

Teacher: I have one brother.

Pupil: I have one brother too.

T: I have no brothers.

P: I have three brothers.

P: I have a sister.

ანდა

Teacher: My brother works at a factory.

Pupil: My brother is a doctor; he works at a hospital.

P: My brother does not work; he is a student.

აუცილებელია მოსწავლეთა ნათქვამი შეესაბამებოდეს რეალურ სინამდვილეს. კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე, ისეთი სავარჯიშოების მიცემა, რომლებიც მოსწავლეებს აჩვენებს პასუხის გაცემისთანავე, თვითონ დასვან კითხვა მოცემული თემის ფარგლებში. მაგალითად:

- Do you like to play volleyball?

- Yes, I do. But I don't play very often.

- How often do you play, every other day?

- Yes, I do. But I don't play very well.

- Where do you go to play volley-ball on Sunday? Maybe I'll join you as well.

მსგავსი სავარჯიშოები სისტემატურად უნდა ტადებოდეს 7-10 წუთის ხანგრძლივობით. საჭიროა დიალოგური სიტუაციები იყოს კონკრეტული, განსაზღვრული, რათა საშუალებას იძლეოდეს შედგეს ერთი ან ორი დიალოგი, რის შემდეგაც სიტუაცია იცვლება ახალი სიტუაციით. ამ გზით მოსწავლეები შეძლებენ გამოიყენონ მაქსიმუმი მოცემულ თემაზე განვლილი ლექსიკიდან. ზეპირმეტყველების განვითარებისათვის სწავლების მეორე საფეხურზე ჩვენი ამოცანაა მოსწავლეებს შევასწავლოთ ახალი ენობრივი მასალის გამოყენება მეტყველებაში; ამასთან, გავზარდოთ შეგნებულობა სწავლების

პროცესში. ამ ეტაპზე პირველთან შედარებით საგრძნობლად მცირდება წმინდა მექანიკურ სავარჯიშოთა რაოდენობა, და სამეტყველო მოდელების ავტომატიზაციისათვის მუშაობა უმეტესად შემოქმედებით ხასიათს ღებულობს.

ზეპირმეტყველების სავარჯიშოები ინგლისურ ენაში

ზეპირმეტყველება არა მარტო უცხო ენის სწავლების მიზანია საშუალო სკოლაში, არამედ ამ უცხო ენის ათვისების საშუალებაც.

საერთოდ, **სავარჯიშოთა ორ სახეს განასხვავებენ – სამეტყველოსა და ენობრივს.** სამეტყველო სავარჯიშოების მიზანია უცხო ენაზე დამოუკიდებლად აზრის გამოთქმის უნარ-ჩვევების გამომუშავება. ენობრივი სავარჯიშოები კი, მოწოდებულია შეასწავლოს მოსწავლეებს ენის ესა თუ ის ასპექტი (გამოთქმა, ლექსიკა, გრამატიკა).

ენობრივი სავარჯიშოებია: თარგმანი, ცალკეული სიტყვებიდან ან მოდელების მეშვეობით წინადადებების შედგენა, დიალოგების ზეპირად დასწავლა – ერთი სიტყვით, ენობრივი მასალის ასათვისებელი ყოველდღიური ვარჯიში.

სამეტყველო სავარჯიშოების შესრულებისას მოსწავლეები უნდა ფიქრობდნენ არა იმდენად წინადადების ენობრივ ფორმაზე, რამდენადაც მის შინაარსობრივ მხარეზე. ენობრივი ფორმა ამ დროისათვის იმდენად უნდა იყოს შეთვისებული, რომ მან ხელი არ უნდა შეუშალოს მოსწავლეს იფიქროს ნათქვამის შინაარსზე.

ენობრივი სავარჯიშოების შესრულებისას (თარგმანი, წინადადების შედგენა, მოყოლა) მოსწავლეები არ ურთავენ მეტყველებაში თავიანთ აზრებს; მათ მზამზარეულად მიწოდებული სხვისი აზრები გადააქვთ უცხო ენაზე. ამიტომაც, ასეთი სავარჯიშოები, თუნდაც ისინი კითხვებს შეიცავდნენ, ვერ ჩათვლებიან სამეტყველო სავარჯიშოებად.

What was his name? How old was he? – ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლე იგონებს ტექსტში მოცემულ მასალას და არჩევს პასუხს. სხვა საქმეა, მოსწავლისათვის ისეთი კითხვის დასმა, სადაც პირადად მისი აზრია გამოსატქმელი. მაგალითად: Was he a brave soldier? Why do you think he was? What would you do in his place? – სამეტყველო სავარჯიშოები ხელს უწყობს მოსწავლეს კავშირი დაამყაროს თავის ნააზრევსა და უცხოურ ენაზე მისი გამოხატვის საშუალებებს შორის.

ზეპირად დასწავლილი მასალა მხოლოდ მაშინ იძლევა ლაპარაკის საშუალებას, თუ მასში – ამ დასწავლილ წინადადებებში – მათი ცალკეული ნაწილების შეცვლას ვაწარმოებთ.

ზეპირი მეტყველება, როგორც ჩვევა, მოსწავლის მიერ შესწავლილი ენობრივი მასალის უცხო ენაზე მეტყველებაში გამოიყენება და ამ მასალის სხვის მეტყველებაში გაგებას გულისხმობს.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ენაში ჩვევა-უნარის განვითარების გზა აღქმიდან წარმოქმნისაკენ მიდის; მეთოდური თვალსაზრისით კი – გაგონება-გაგებიდან მეტყველებისაკენ.

ამასთან დაკავშირებით **სავარჯიშოთა ორ ძირითად სახეს გაარჩევენ:**

1. სავარჯიშოები, რომელთა მიზანია მოსწავლეებს **განუვითაროს სხვისი ნათქვამის გაგების ჩვევა;** და

2. **საკუთარი მეტყველების ჩვევა.**

სწავლების პირველ საფეხურზე ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებისათვის უცხოურ მეტყველებაზე სწრაფად რეაგირების უნარი და აქედან გამომდინარე, პირველ – დაწყებით საფეხურზე სავარჯიშოები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) სავარჯიშოები თემატურად უნდა უკავშირდებოდეს მოსწავლეთა გამოცდილებას, მათ გარემოცვას.

ბ) სამეტყველო სავარჯიშოები არა მარტო ენობრივად უნდა იყოს სწორი, არამედ ლოგიკურადაც.

აუდირების სწავლება

რეალურ ურთიერთობებში აუდირება, სმენა-გაგება სამ სხვადასხვა ამბლუაში გვევლინება:

1. როგორც სამეტყველო მოქმედიანობის დამოუკიდებელი სახე. მაგალითად, ფილმის, ტელეგადაცემის ყურებისას, რადიოგადაცემის, გრამჩანანერის, აუდიოჩანანერის, მოხსენების, ლექციის, აუდიონიგნის და ა.შ. მოსმენისას;

2. როგორც დიალოგური მეტყველების განუყოფელი კომპონენტი, სადაც კომუნიკაციის თითოეული მონაწილე ხან მთქმელია და ხან მსმენელი; და

3. როგორც უკუკავშირი, თვითკონტროლი, რომელის მეშვეობითაც მოლაპარაკე ამონმებს რამდენად სწორად რეალიზდება მისი სამეტყველო განზრახულობა ბგერით მეტყველებაში.

გარდა ამისა, სწავლების პრაქტიკაში აუდირება ასრულებს კიდევ ერთ ფრიად მნიშვნელოვან ფუნქციას – ახალი მასალის პრეზენტაცია და პირველადი განმტკიცება მისი მეშვეობით ხორციელდება (სტარკოვი, 1978). აუდირება ერთგვარად ლაპარაკის შებრუნებული პროცესია. თუ ლაპარაკი სამეტყველო სიგნალების დაშიფვრა-გადაცემაა, აუდირება ამ სიგნალების მიღება-გაშიფვრაა. თუმცა, ეს არასგზით არ ნიშნავს, რომ ლაპარაკის უნარ-ჩვევები თავისთავად გადადის აუდირების უნარ-ჩვევებზეც. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ უცხო ენაზე თავისუფლად მოლაპარაკეთა 90% საგრძნობ სიძნელეებს აწყდება აუდირებისას (ბენედიქტოვი, 1974).

საქმე ისაა, რომ მსმენელი გაცილებით არასახარბიელო მდგომარეობაშია, ვიდრე მოლაპარაკე ან დამწერი; მოლაპარაკე ან დამწერი თვითონაა თავის თავის ბატონ-პატრონი; იგი თავის მეტყველებაში იმ ენობრივ მასალასა და მეტყველების ტემპს იყენებს, რომელიც მის არსენალშია. მკითხველსაც შეუძლია შეჩერდეს ძნელ ადგილებზე, გადაიკითხოს ისინი, მიმართოს ცნობარებს ან სხვა ვინმეს; მაშინ როდესაც მსმენელი

მთლიანად ინფორმაციის წყაროზეა დამოკიდებული. მას არც ცნობარებისა და არც ვინმე დამხმარის მიმართვის არავითარი საშუალება არ გააჩნია. ასე რომ, აუდირება მეტყველების ყველაზე რთული და ამასთან, მნიშვნელოვანი სახეა; რადგან ენის ათვისება, ძირითადად, მისი შუალობით ხორციელდება. აქედან, მისი, როგორც სამეტყველო მოქმედიანობის სპეციალურად, გამოცალკევებულად სწავლების აუცილებლობა და არა გზადაგზა, მხოლოდ ლაპარაკის სწავლებასთან ერთად – რასაც, არაიშვიათად ახლაცა აქვს ადგილი.

აუდირების წარმატებით სწავლებისათვის ნათელი წარმოდგენა უნდა გვექონდეს ამ პროცესის მექანიზმებზე, სადაც **ფსიქო-ლინგვისტიკა** შემდეგ ოთხ ფაზას გამოყოფენ: 1. **მეტყველების ნაკადის აღქმა, ე.ი. მისი სეგმენტირება** – მისი აზრობრივ ნაწილებად, ხატებად დანაწევრება, განმასხვავებელი ნიშან-თვისებების, ძირითადად კი – პაუზირებისა და ინტონაციის მიხედვით;

2. **ამ ნაწილების ცნობა** გრძელვადიან მეხსიერებაში არსებულ ეტალონებთან შეტოლების საფუძველზე;

3. **გაგონილის შინაარსის გაგება**; და

4. **დედააზრის გაგება**, მისი ლოგიკური დამუშავების, მიხვედრილობისა და პროგნოზირების საფუძველზე.

აღქმა და ცნობა ერთდროულად მიმდინარეობს, თუმცა არც თანმიმდევრობითი ელემენტებია გამორიცხული (გეზი და სხვ., 1982).

აი, რას წერს ამის შესახებ ა. ს. ლიტვინენკო: „ჩვენი ცნობიერების ორგანოებზე გაგონილის ზეგავლენით, ჩვენს ცნობიერებაში აღმოცენდება სამეტყველო ხატები, რომელთა ცნობისა და გააზრების შედეგად ხდება გაგონილის გაგება“ (1950).

ცხადია, რომ ცნობა მხოლოდ ცნობილის შეიძლება; ცნობილი ბგერის, ცნობილი სიტყვის, შესიტყვების, წინადადების მოდელის, ე.ი. ცნობილი ფორმისა და ცნობილი შინაარსის – ერთი სიტყვით, ყველაფერ იმის, რაც მეხსიერებაშია წინანდელი გამოცდილების წყალობით.

რაც შეეხება იმას, რაც მეხსიერებაში არაა, რაც არასდროს ყოფილა, ანდა არ შეცნობილა მცდარი აღქმის გამო – მათ შესახებ მხოლოდ ვარაუდი, პროგნოზირება შეიძლება.

სავარაუდო პროგნოზირებას ენის ყველა დონეზე აქვს ადგილი, ფონემებიდან დაწყებული და ტექსტით დამთავრებული (გეზი და სხვ., 1982). ადვილი მისახვედრია, რომ პროგნოზირება თავიდან ბოლომდე სუბიექტურ ხასიათს ატარებს და მიხვედრის სისწორე დამოკიდებულია აუდიტორიის ენობრივ მომზადებასა, ზოგად განვითარებასა და ნიჭიერებაზე (© ავტორისეული).

როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, მეტყველების ყველა სახე მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან, და როგორც ლაპარაკი და წერა, ისე აუდირება და კითხვა – შინაგანი მეტყველების ფუნქციონირების ფონზე მიმდინარეობს. ნათქვამის აღქმისას მსმენელი მოტორული ანალიზატორის საშუალებით აკუსტიკურ ხატებს გარდაქმნის არტიკულაციურ ხატებად, ე.ი. მიმდინარეობს გაგონილის შინაგან მეტყველებაში უხმო ჩალაპარაკება. ბუნებრივია, რომ მსმენელის საარტიკულაციო ჩვევების არასათანადო განვითარებულობის შემთხვევაში, იგი ვერ ასწრებს გაგონილის შინაგან მეტყველებაში გატარებას – ჩამორჩება მოლაპარაკის ტემპს და მოსმენილის გაგებას ვერ ასწრებს. ამიტომ, წარმატებით აუდირებისათვის საჭიროა როგორც ლექსიკური და გრამატიკული, ისე ფონეტიკური ავტომატიზმების განვითარებულობის მაღალი დონე.

რაც შეეხება ვიზუალურ ანალიზატორებს, როგორცაა სამეტყველო ორგანოთა მოძრაობა, მიმიკა, ჟესტი, კინემები და სხვა, ისინი ამაგრებენ სმენით შეგრძნებებს და მნიშვნელოვანწილად აადვილებენ ნათქვამის სმენით აღქმასა და გაგებას (გეზი და სხვ., 1982).

აუდირება დაკავშირებულია მოკლევადიანი, გრძელვადიანი და ოპერატიული მეხსიერების მოქმედებასთან. მოკლევადიანი მეხსიერება უზრუნველყოფს შემოსული ინფორმაციის

შენარჩუნებას, მის დამუშავებასა და გაშიფვრას ინფორმაციის ნაწილის გრძელვადიან მესხიერებაში გადაგზავნამდე. მთელი ინფორმაციის კომპონენტთა დაკავშირება ხორციელდება ოპერატიული მესხიერების მეშვეობით. ასე რომ, იგი ასრულებს დამხმარე როლს.

აუდირებისადმი წაყენებული მოთხოვნებია:

საშუალო სკოლის მოსწავლემ უნდა შეძლოს გაიგოს ცოცხალი და ჩანერილი დიალოგური და მონოლოგური მეტყველება, აუდიოტექსტი, რომელიც შედგენილია ცნობილ ენობრივ მასალაზე, მაგრამ შეიცავს 1-2%-მდე უცნობ ლექსიკას V-VI კლასებში და 3%-მდე უცნობ ლექსიკას VII-X კლასებში, რომელთა მნიშვნელობა გასაგებია კონტექსტის ან ცნობილი სიტყვათმწარმოებლური მოდელებისა და ელემენტების მიხედვით, ან წარმოადგენენ ინტერნაციონალურ ლექსიკას, ანდა ხელს არ უშლიან გაგონილის გაგებას.

გაბმული ტექსტის ჟღერადობის ხანგრძლივობა 9-12 სიტყვიანი ფრაზების შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 1-2 წუთს V-VIII კლასებში და 2-4 წუთს 10-13 სიტყვიანი ფრაზების შემთხვევაში IX-V კლასებში. ტემპი უნდა მერყეობდეს ბუნებრივის ფარგლებში სწავლების დაწყებითი ეტაპიდანვე, რაც უდრის 200-250 მარცვალს, ანუ 140-150 სიტყვას წუთში. პრეზენტაციის სიჩქარე შეიძლება შენელდეს სეგმენტებს შორის პაუზების გაზრდის ხარჯზე, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში; თუმცა, ზედმეტი პაუზირება, ისევე როგორც ტემპის მომატება აუარესებს აზრობრივ გამჭვირვალობას და აძნელებს აუდიო ტექსტის აღქმა-გაგებას.

გაარჩევნ გაგების შემდეგ ხარისხებს: 1) ზოგადი წარმოდგენა; 2) სრული გაგება; და 3) ზუსტი გაგება (გეზი და სხვ., 1982).

წარმატებული აუდიტების განმსაზღვრელი ფაქტორები

აუდიტების წარმატება დამოკიდებულია, ერთის მხრივ, თვით მსმენელზე, ე.ი. მისი სმენის, მეხსიერების განვითარებასა, მის ყურადღებასა და ინტერესზე და მეორეს მხრივ, აღქმის პირობებზე, ე.ი. აუდიტების ტემპზე, წარდგენის ფორმებასა და ჯერადობაზე, ჟღერადობის ხანგრძლივობასა და ბოლოს, ინფორმაციის ლინგვისტურ თავისებურებებზე.

სამეტყველო სმენა შედგება ფონემატური სმენისა, რომელსაც საქმე აქვს ბგერათა გარჩევასა და მათ შესაბამის ფონემებთან იდენტიფიცირებასთან და **ინტონაციური სმენისაგან, რომელსაც** საქმე აქვს გაგონილის ინტონაციური სტრუქტურის ინტონაციურ ეტალონებთან შეტოლებასთან. ყველაზე ინტენსიურად სამეტყველო, ისევე როგორც მუსიკალური სმენა ვითარდება რვა-ცხრა წლის ასაკამდე; თანაც, აქ ბიჭები ერთი წლით ან წელიწად-ნახევრით ჩამორჩებიან გოგონებს. თუმცა, შემდგომში – 11-12 წლის ასაკში ეს განსხვავება თანდათან ნიველირდება.

წარდგენის ოპტიმალურ ჯერადობად მიჩნეულია სამჯერადი მოსმენა. განმეორებითი მოსმენა გაგებას აუმჯობესებს 16,5%-ით, მესამე – 12,7%-ით. შემდგომი მოსმენები კი, საგრძნობ გაუმჯობესებას აღარ იძლევა. თანაც, მეორე და მესამე მოსმენის აუდიოტექსტები მსმენელებს გარკვეული ცვლილებით უნდა მიეცეთ – როგორც ეს რეალური ურთიერთობისას ხდება ხოლმე.

აუდიოტექსტებისადმი წაყენებული მოთხოვნებია:

1) აუდიოტექსტი უნდა წარმოადგენდეს იდეურ-აღმზრდელობით ღირებულებებს;

2) უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მათ სამეტყველო გამოცდილებას – როგორც მშობლიურ, ისე შესასწავლ ენაზე;

3) უნდა შეიცავდეს მსმენელთათვის საინტერესო/აქტუალურ პრობლემებს/საკითხებს;

4) უნდა ხასიათდებოდეს ნათელი თხრობით, მკაცრი ლოგიკურობითა და მიზეზობრიობით;

5) უნდა წარმოადგენდეს მეტყველების სხვადასხვა ფორმას – თხრობით დიალოგს, მონოლოგს;

6) თხრობა უნდა მოდიოდეს არა მარტო პირველი პირისაგან;

7) უნდა შეიცავდეს ინფორმაციის ჭარბ ელემენტებს, როგორცაა ჩართული სიტყვები, განმეორებები, სინონიმური პერეფრაზები და სხვა, რომლებიც არ არიან რა უშუალოდ დაკავშირებული შინაარსთან, მსმენელს ცოტაოდენი შესვენების საშუალებას აძლევენ ჰიპოთეზებისა და თვითშესწორებისათვის და ამგვარად, აადვილებენ გაგებას.

აუდირების, ისევე როგორც მეტყველების სხვა სახეების სწავლება ხორციელდება მოსამზადებელი და სამეტყველო სავარჯიშოების საშუალებით.

მოსამზადებელი, ანუ ენობრივი სავარჯიშოების მიზანია წინასწარ, ნამდვილი ტექსტების მოსმენამდე, მსმენელები მოამზადოს მათ მოსასმენად – ენობრივად და ფსიქოლოგიურად.

აუდირების მოსამზადებელი სავარჯიშოები

ისინი სამ ჯგუფად იყოფა:

I ჯგუფის სავარჯიშოები ემსახურება სამეტყველო სმენის განვითარებას:

1) მოისმინეთ და გაიმეორეთ შერევად სიტყვათა წყვილები: law – low, saw – so, quiet – quite . . .

2) მოისმინეთ სიტყვები (მაგალითად: beg, sat, pen, head) და მონახეთ თითოეული მათგანი სამსიტყვიან გრაფიკულ გასაღებში: bag – beg – berg, sit – set – sat, pin – pen – pan, hid – head – had . . .

3) განსაზღვრეთ ზეპირად რითმვადი სიტყვები; აღნიშნეთ ისინი ციფრებით:

sort – part – past – port = 1 – 4, 2 – 3

4) მოისმინეთ სამი წინადადება; დასვით ბარათზე + თუ წი-

ნადადეგები ერთნაირია და – თუ ისინი სხვადასხვაა.

II ჯგუფის სავარჯიშოების მიზანია პროგნოზირების სწავლება:

1) მოისმინეთ ზედსართავთა რიგი და დაასახელეთ მათთან ყველაზე ხშირად ხმარებადი არსებობები;

2) გადათარგმნეთ ზეპირად ცნობილშემადგენლიანი უცნობი სიტყვები: thankful, thankless, mindful, careless . . .

3) მოისმინეთ სამეტყველო შტამპები და დაასახელეთ სიტუაციები, რომლებშიც ისინი იხმარება;

4) დაიმახსოვრეთ აუდიოჩანაწერზე მოსმენილი ტექსტი, შემდეგ კი შეავსეთ გამოტოვებული ადგილები ამ ტექსტის გრაფიკულ ვარიანტში.

III ჯგუფის სავარჯიშოების მიზანია მოკლევადიანი მეხსიერების განვითარება:

1) მოისმინეთ იზოლირებულ სიტყვათა რიგი, დაიმახსოვრეთ და წარმოთქვით მხოლოდ ისინი, რომლებიც მოცემულ თემას განეკუთვნება.

2) მოისმინეთ ორი-სამი მოკლე ფრაზა და შეაერთეთ ისინი ერთ წინადადებად;

3) მოისმინეთ და დიქტორისა თუ მასწავლებლის კვალდაკვალ გაიმეორეთ ფრაზები, რომლებიც ათი და მეტი სიტყვისაგან შედგება (რაც აჭარბებს მოკლევადიანი მეხსიერების მოცულობას 7 ± 2);

4) მოისმინეთ და დაუმატეთ მას აზრობრივად მასთან დაკავშირებული მეორე ფრაზა.

აუდიტების სამეტყველო სავარჯიშოები

ისინი სამ ჯგუფად იყოფა:

I ჯგუფის სავარჯიშოები ემსახურება სხვისი დიალოგის აღქმის სწავლებას:

1) მოისმინეთ დიალოგი, შეადგინეთ მსგავსი დიალოგი იმავე თემაზე;

2) მოისმინეთ დიალოგის დასაწყისი; განავრცეთ და დაასრულეთ ერთ-ერთი მონაწილის უკანასკნელი რეპლიკა;

3) მოისმინეთ აუდიოჩანაწერი (კინოფრაგმენტი) და გადმოეცით მოქმედ პირთა საუბრის შინაარსი;

4) მოისმინეთ დიალოგის აუდიოჩანაწერი და გადმოეცით იგი მონოლოგის ფორმით; დაახასიათეთ ერთ-ერთი მოქმედი პირი; მოუწახეთ სათაური აღნიშნულ ნაწყვეტს.

II ჯგუფი – იმ დიალოგის აღქმის სწავლება, რომელშიაც მსმენელიც მონაწილეობს:

1) მოისმინეთ ფირზე ჩანერილი კითხვები და გაეცით მათზე ვრცელი/გავრცობილი პასუხები, ამისათვის დატოვებულ პაუზებში;

2) მოისმინეთ დიალოგის (მონოლოგის) დასაწყისი და გააგრძელეთ იგი ნყვილურ რეჟიმში.

III ჯგუფი – მონოლოგის აღქმის სავარჯიშოები:

1) მოისმინეთ აუდიოტექსტი და ვრცლად უპასუხეთ მისადმი დასმულ კითხვებს;

2) მოყევით მოსმენილი მონოლოგი გარკვეული ცვლილებებით (შეცვალეთ დასაწყისი, მსვლელობა, დასასრული);

3) ნახეთ (დია)ფილმი და განსაზღვრეთ მისი ძირითადი იდეა;

4) მოსმენილიდან გამოყავით აზრობრივი ნაწყვეტები და დაასათაურეთ ისინი;

5) მოისმინეთ ტექსტი და შეადგინეთ მასზე რეცენზია შემდეგი გეგმის მიხედვით: ა) თემა; ბ) მოქმედი პირები; გ) მოკლე შინაარსის გადმოცემა; დ) ძირითადი იდეა; ე) მოსმენილის შეფასება.

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა უცხო ენის სწავლებაში

პირველყოფილი ადამიანის მთავარი საზრუნავი ფიზიკური გადარჩენისთვის ბრძოლა, ანუ თავდაცვა და ოჯახის გამოკვება იყო; ამიტომაც მისი საქმიანობა ერთობ მრავალფეროვანი გახლდათ. ამ საქმიანობებში კი, ისინი პატარაობიდანვე ებმებოდნენ.

შემდგომში, შრომის დანაწილებასთან ერთად ჩნდება ე.წ. შეგირდის ინსტიტუტი, ე.ი. ბავშვებს ხელობის სასწავლებლად და აღსაზრდელად ამა თუ იმ საქმიანობაში დახელოვნებულ ოსტატს აბარებდნენ. სხვათა შორის, ეს ინსტიტუტი, გარკვეული მოდიფიკაციებით, დღესაც ცოცხალია და ფუნქციონირებს.

მოგვიანებით, მოზარდი თაობის სწავლებასა და აღზრდას კისრულობს ეკლესია, რომელიც შეგირდობის ინსტიტუტის ერთგვარ გაუმჯობესებულ გაგრძელებას წარმოადგენს – სადაც აქცენტი წიგნებზე კეთდება.

თუმცა, ის საზოგადოების მხოლოდ ზედა ფენას სწვდებოდა, რაც არ იყო საკმარისი მთელი საზოგადოების ცხოვრებისთვის სათანადოდ მოსამზადებლად. ამან განაპირობა ახალგაზრდობის მასიურად სწავლებისა და აღზრდის ახალი ფორმის – გაკვეთილის წარმოშობა.

და აი, XIV საუკუნიდან სწავლების ძირითად ორგანიზაციულ ფორმას სკოლაში გაკვეთილი წარმოადგენს. გაკვეთილი, რა თქმა უნდა, დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო – მისი მასიური ხასიათისა და ერთგვარი დემოკრატიულობის თვალსაზრისით. მაგრამ სწორედ ეს „მასობრიობა“ მის დიდ ნაკლადაც იქცა. „მასობრიობის“ პირობებში ვერ ხერხდებოდა მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებებისა და მიდრეკილებების გათვალისწინება, რაც ხანდახან საბედისწერო ანაბეჭდს ტოვებდა ბევრი მოსწავლის პიროვნებასა და სულზე.

საზოგადოების სოციალური დაკვეთის მიხედვით თანამე-

დროვე განათლების სისტემა მონოდებულისა აღუზარდოს მას არა მარტო აუცილებელი, სპეციალური ცოდნით აღჭურვილი, არამედ ფართო მსოფლმხედველობის, შემოქმედებითად მოაზროვნე, მაღალი ზნეობისა და კულტურის ფიზიკურად ჯანსაღი, შრომისა და კაცთმოყვარე ადამიანი – სპეციალისტი.

ყველაფერ ამას საფუძველი სკოლაში ეყრება, სადაც სასწავლო აღმზრდელობითი ორგანიზაციის ძირითადი ფორმა გაკვეთილია. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ზემოთ ნახსენებ „მასობრიობას“ დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და 21-ე საუკუნის სკოლაშიც მრავლადა გვაქვს კლასები, სადაც 30 და მეტი მოსწავლეა. რა გასაკვირია, რომ მასწავლებელს უჭირს სრულად გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მონაცემები და მიდრეკილებები; კიდევ ერთი „ნაკლი“ ისაა, რომ კლასში ვერ ხერხდება იმ ბუნებრივი ატმოსფეროს გათამაშება, რომლებშიც მოსწავლეებს მომავალში მოუწევთ ცხოვრება და მოღვაწეობა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ „ნაკლის“ ნაწილობრივ საკომპენსაციოდ მონოდებულისა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, რომლის მიზანია გაკვეთილებზე შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცება, გაღრმავება და გამოყენება ცხოვრებასთან მიახლოებულ უფრო ბუნებრივ გარემოში.

ამგვარად, სასწავლო აღმზრდელობითი ორგანიზაციის ძირითადი ფორმა გაკვეთილია, ხოლო მისი თანმდევი ხელშემწყობი ფორმებია – ლაბორატორული მუშაობა, საშინაო მუშაობა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, და ფაკულტატივი.

მხოლოდ საკლასო-საგაკვეთილო და კლასგარეშე მუშაობის სწორ შეხამებას შეუძლია მიგვიყვანოს დასახული სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნების სასურველ რეალიზაციამდე.

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა ესაა მოსწავლეთა სხვადასხვა სახის სასწავლო-აღმზრდელობითი მეცადინეობა, რომელიც არასაგაკვეთილო დროს ტარდება და რომელსაც გაკვეთილისაგან შემდეგი თავისებურებები განასხვავებს, ესენია:

1) მასში მონაწილეობის ნებაყოფლობითობა – მასწავლებელი მოსწავლეს მხოლოდ მისი მონაცემებისა და მისწრაფებების გარკვევაში ეხმარება და სათანადო სახის კლასგარეშე მუშაობაში ჩაბმას ურჩევს;

2) მეცადინეობის ადგილის, შინაარსისა და ფორმის შერჩევის თავისუფალი არჩევანი, რაც გამორიცხავს შედეგების შემოწმებისა და ნიშანზე შეფასების „არასასიამოვნო“ პროცედურას და ფრთებს ასხამს მოსწავლეთა აქტივობასა და ინიციატივას; ამასთან, უფითარებს დამოუკიდებლობას.

სავალდებულო აქ მხოლოდ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის შეხამება და ნებაყოფლობით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების აუცილებლობაა.

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ამოცანებია:

1) გაუღვივოს მოსწავლეს საგნისადმი ინტერესი, გაულრმაოს ცოდნა და სრულყოს მისი უნარ-ჩვევები;

2) ორგანიზება უყოს მოსწავლის თავისუფალ დროს, მისი გონებრივი, ესთეტიკური, ფიზიკური და შრომითი აღზრდის მიზნით.

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ფორმებია:

1) ინდივიდუალური;

2) ჯგუფური;

3) მასიური.

ამასთან, ხშირად პირველი ამზადებს მეორეს და ორივე ერთად კი – მესამეს.

ინდივიდუალური კლასგარეშე მუშაობის სახეებია:

ლექსებისა თუ პროზაული ნაწარმოების (ნაწყვეტების) შესწავლა და დეკლამირება, სიმღერების შესწავლა, რომელზე მუშაობა, მოხსენების მომზადება, ალბომებისა და ვიზუალური თვალსაჩინოების დამზადება, გაზეთის გაფორმება და ა.შ..

ჯგუფურ კლასგარეშე მუშაობას განეკუთვნება:

საწრეო და საკლუბო მუშაობა.

წრეების სახეებია:

ზეპირმეტყველების, დრამატული, თოჯინების თეატრი, მხა-

რეთმცოდნეობის, ლიტერატურულ-მთარგმნელობითი, კლასგარეშე კითხვის, ფილატელისტა და ა.შ. წრეები.

საწრეო მუშაობა ხასიათდება მოსწავლეთა შემადგენლობის სტაბილურობით, მეცადინეობათა რეგულარობით და ემსახურება აუდიტორიაში შექმნილი უნარ-ჩვევების განმტკიცებას, სრულყოფას უფრო ბუნებრივ ატმოსფეროში, რეალურ ურთიერთობებში.

წრეები მიზანშეწონილია დაკომპლექტდეს ენის დაახლოებით თანაბარი ფლობის პრინციპით. საწრეო მუშაობის განსაკუთრებული სახეა მეზობელ უმაღლეს სასწავლებელთან არსებული მოსწავლეთა სამეცნიერო წრე, სადაც აკადემიურად წარმატებული უფროსკლასელები ერთიანდებიან, ისმენენ ლექციებს, წერენ რეფერატებს სამხარეთმცოდნეო და ლინგვისტურ თემებზე.

საკლუბო მუშაობა ბევრად ჰგავს საწრეოს; იგი ფაქტიურად წრეთა ერთობლიობაა, რომელთაც აქ სექციები ეწოდება. კლუბი ამ სექციების მათორგანიზებელი, საკოორდინაციო ცენტრია.

მასიური კლასგარეშე მუშაობის სახეებია: საღამოები, ოლიმპიადები, კონცერტები, კონკურსები, ვიქტორინები, გამოჩენილ პიროვნებებთან შეხვედრები, სასკოლო სპექტაკლები და სხვა – რომელთა დიდი ნაწილი შესასწავლ ენაზე მიმდინარეობს.

დაგეგმვა უცხო ენის სწავლებაში

როგორც ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა, დაგეგმვას ექვემდებარება სასწავლო პროცესიც. იგეგმება როგორც მასწავლებლის სასწავლებო, ისე მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობა, ე.ი. გაკვეთილი, ფაკულტატივი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე, ლაბორატორული და საშინაო მუშაობა.

1. დაგეგმვა იწყება **სკოლის სასწავლო გეგმით** რომელიც სასწავლო წლებისა და კვირების, სასწავლო დისციპლინებისა და მათზე გამოყოფილი საათების (საათობროვი ბადე), აგრეთვე გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების მითითებით – შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული **ეროვნული სასწავლო გეგმის** საფუძველზე და სავალდებულო დოკუმენტია სკოლისათვის;

2. მეორე სავალდებულო, ფუძემდებლური დოკუმენტი სკოლისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით, განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული, **თითოეული საგნის პროგრამა**; ჩვენ შემთხვევაში – ინგლისური ენის სწავლების პროგრამა;

გარდა ზემოხსენებულისა, **სკოლის გეგმათა სახეებია:**

3. **წლიური გეგმა (სკოლის სასწავლო გეგმა)**, რომელიც როგორც წესი, პროგრამული მოთხოვნების, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და გაკვეთილის თანამედროვე თეორიის გათვალისწინებით – განერილია რეკომენდებულ/გრიფირებულ სასკოლო სახელმძღვანელოებში; თავის მხრივ, სასკოლო სახელმძღვანელოების ეროვნულ სასწავლო გეგმებთან შესაბამისობას ადგენს და რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფს ანიჭებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

4. **სემესტრული თუ ტრიმესტრული გეგმები**, რომელთაც წლიურ გეგმაზე დაყრდნობით განსაზღვრავენ საგნის ექსპერტთა ჯგუფები.

5. **თემატური გეგმა**, რომელსაც სემესტრული თუ ტრიმესტრული გეგმიდან გამომდინარე ადგენენ სკოლის საგნობრივი

კათედრები; პარალელური კლასების არარსებობის შემთხვევაში კი – თვით მასწავლებლები.

თემატური გეგმის ნიმუშები მოცემულია მეთოდის სახელმძღვანელოებში. გეგმები, როგორც წესი, იწერება (წარმატებულ) კლასებსა და საათების სრულ რაოდენობაზე სწორებით; მაგრამ, ცალკეულ შემთხვევებში, მასწავლებელს უხდება მათი გარკვეულწილად შეცვლა – ფაკულტატური მეცადინეობის გაზრდით ან შემცირებით, ენობრივ და სამეცნიერო სავარჯიშოთა თანაფარდობის ვარიანტებით.

6. გაკვეთილის გეგმა, რომელსაც თემატური გეგმის მიხედვით საგნის მასწავლებელი ადგენს. თემატური გეგმა ემსახურება სახელმძღვანელოს განსაზღვრულ თემას ან პარაგრაფს და მასში, სპეციალურ დანაყოფებში/გრაფებში მოცემულია:

- ა) თემის ან ქვეთემის დასახელება;
- ბ) ენობრივი მასალა, ტექსტი, სავარჯიშოები;
- გ) მოცემული თემის ფარგლებში გადასაჭრელი მიზნები და ამოცანები;
- დ) საჭირო საშუალებები;
- ე) სამუშაოთა სახეები;
- ვ) თემაზე გამოყოფილი საათების რაოდენობა.

7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელსაც განსაზღვრავს და შეიმუშავებს მასწავლებელი (შესაძლოა სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობით) განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კონკრეტული მოსწავლისათვის.

საერთოდაც, სწავლება შემოქმედებითი პროცესია და მასში საჭირო კორექტივების შეტანა სავსებით ბუნებრივი და დასაშვებია.

უცხო ენის გაკვეთილის თავისებურებანი

საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, **უცხო ენის გაკვეთილი შემდეგი სამი თავისებურებით ხასიათდება:**

1. **უცხო ენის გაკვეთილი ამავე ენაზე ტარდება** – დედაენა აქ მხოლოდ მასალის ახსნისა და ზოგჯერ მისი გაგების შემონმების საშუალებაა და ისიც მეტწილად სწავლების დაბალ საფეხურებზე. მრავალენოვნება ანუ სხვა უცხო ენის/ენების მოხმობა დასაშვებია მხოლოდ შესასწავლ ენასთან ანალოგიის მოსახმობად ან/და პარალელების გასავლებად;

2. **უცხო ენის გაკვეთილის მიზანსა და შინაარსს სამეტყველო ქმედებაში**, ე.ი. ლაპარაკსა, აუდირებასა და კითხვაში ვარჯიში წარმოადგენს;

3. **უცხო ენის გაკვეთილი კომპლექსურ ხასიათს ატარებს**. ზეპირმეტყველებისა და კითხვის უნარ-ჩვევების ათვისებასთან ერთად, მოსწავლეები აქ გარკვეულ ენობრივ მასალასაც ეუფლებიან; თუმცა, ეს უკანასკნელი მიზნის მიღწევის საფუძველია და არა თვით მიზანი.

უცხო ენის გაკვეთილთა სისტემა და ტიპები

გაკვეთილთა სისტემა ეს არის იმ გაკვეთილთა ერთობლიობა, რომელიც ერთ გარკვეულ თემას თუ პარაგრაფს ემსახურება, მისი ენობრივი მასალის ათვისებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ფორმირებისკენაა მიმართული.

თანამედროვე მეთოდოლოგიაში **უცხო ენის გაკვეთილის ორ ტიპს გაარჩევენ**, ესენია:

1. **წმინდა სამეტყველო**; და

2. **სამეტყველო-კომბინირებული გაკვეთილი**.

სამეტყველო გაკვეთილი სამეტყველო სავარჯიშოების გაკვეთილია, რომლის შემდეგი ქვეტიპები გამოიყოფა:

ა) კითხვისა და ტექსტის გაგების სწავლების გაკვეთილი;

- ბ) დიალოგური მეტყველების სწავლების გაკვეთილი;
- გ) მონოლოგური მეტყველების სწავლების გაკვეთილი;
- დ) კითხვისა და ზეპირმეტყველების სწავლების გაკვეთილი.

ამ გაკვეთილების მიზანია როგორც ახალი უნარ-ჩვევების ფორმირება, ასევე ადრე შეძენილი უნარ-ჩვევების განმტკიცება და შემდგომი განვითარება.

სამეტყველო-კომბინირებული გაკვეთილი, როგორც ზეპირმეტყველებისა და კითხვის უნარ-ჩვევების, ასევე ენობრივი მასალის ათვისების გაკვეთილია და იგი შემდეგ ქვეტიპებად იყოფა: ა) ახალი ლექსიკის სწავლებისა და ზეპირმეტყველების; ბ) ახალი გრამატიკული მასალის სწავლებისა და ზეპირმეტყველების; გ) ახალი ლექსიკის სწავლებისა და ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების ფორმირების; და დ) ახალი გრამატიკული მასალის სწავლების და კითხვის უნარ-ჩვევების ფორმირების გაკვეთილი.

მაშასადამე, ენობრივი მასალა, რომელიც ზეპირმეტყველებისა და კითხვის აუცილებელ ბაზასა და საფუძველს წარმოადგენს, კომბინირებულ გაკვეთილებზე ისწავლება და ავტომატიზირდება გაკვეთილთა სისტემაში, ე.ი. თემატურ გეგმაში გაკვეთილის ტიპების რაოდენობა და თანმიმდევრობა დამოკიდებულია მასალის მოცულობა-სიძნელესა, თემის რაობასა და სწავლების საფეხურზე.

ერთი კია, რომ კომბინირებული გაკვეთილი შეიძლება სულაც არ იყოს სისტემაში; სამეტყველო გაკვეთილი კი – ნებისმიერი სისტემის აუცილებელი კომპონენტია.

საერთოდ, დაწყებით საფეხურზე კომბინირებული გაკვეთილები ჭარბობს წმინდა სამეტყველო გაკვეთილებს. შემდგომში, ისინი თანაბრად მონაცვლეობენ; ხოლო უფროს კლასებში სამეტყველო გაკვეთილებს კვლავ წინ უსწრებს და ჭარბობს კომბინირებული გაკვეთილები, სადაც მთავარი ადგილი ენობრივი ცოდნის გაღრმავებას ეთმობა, რაც ძნელი ტექსტების გაგებას ემსახურება.

უცხო ენის გაკვეთილის სტრუქტურა და შინაარსი

უცხო ენის გაკვეთილი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება:

I. გაკვეთილის შესავალი – ორგანიზაციული მომენტი და ენობრივი ატმოსფეროს შექმნა, კლასის შემზადება ინგლისურ ენაზე მუშაობისათვის: (3-10 წთ.);

II. ახალი მასალის გაცნობა და პირველადი განმტკიცება (3-10 წთ.);

III. ძველი მასალის დამუშავება და სამეტყველო ქმედებაში ვარჯიში (15-30 წთ.);

IV. ფაკულტატიური – მეორე ეტაპის შემოკლებითი გამეორება საჭიროებისდა მიხედვით (5 წთ.-მდე);

V. დასკვნითი ეტაპი – ძველ და ახალ მასალაზე სამეტყველო ქმედებაში ვარჯიში, საშინაო დავალების ფორმულირება-განმარტება და ნიმუშის დაფაზე ჩვენება; კლასისა და ცალკეული მოსწავლეების მუშაობის შეფასება, საგაკვეთილო ქულების დასმა (დარჩენილი დრო).

ასეთია სამეტყველო კომბინირებული გაკვეთილის სტრუქტურა; **წმინდა სამეტყველო გაკვეთილში არ იქნება II და მასა-სადამე, არც IV ეტაპი.**

როგორც აღინიშნა, I ეტაპში შედის ორგანიზაციული მომენტი და დაჭურვა, ე.ი. თარიღისა და დამსწრე მოსწავლეების აღრიცხვა; გაკვეთილისთვის კლასის მზადყოფნის დადგენა; გაკვეთილის მიზნისა და ამოცანების გამოცხადება და მათ გადასაწყვეტად მოსწავლეთა მობილიზება; მოსწავლეთა მშობლიური ენის ბაზიდან შესასწავლი ენის ბაზაზე გადართვა, ანუ ენობრივი ატმოსფეროს შექმნა სხვადასხვა სავარჯიშოების საშუალებით.

სწავლების პირველ ნელს ეს სავარჯიშოებია არტიკულაციური, ფონეტიკური ან სტრუქტურული, ანდა განკარგულებების შესრულების სავარჯიშოები. ხოლო ენობრივი მასალის დაგროვებისა და გამოთქმის ათვისებისთანავე, მასწავლებელი

ატარებს ე.წ. სამეცყველო „მოთელვას“ ათვისებულ მასალაზე მასწავლებლის კლასთან ან ცალკეულ მოსწავლეებთან დიალოგის სახით.

მორიგის მოხსენება ან მისი მასწავლებელთან საუბარი თარიღის, დღის, ამინდისა თუ კლასის მზადყოფნის შესახებ – არ არის გაკვეთილის აუცილებელი კომპონენტი, რადგანაც ხშირი გამეორების შემთხვევაში ის ღებულობს ფორმალურ ხასიათს, რომელსაც მოსწავლეები აღარ უსმენენ და მაშასადამე, ის კარგავს სასწავლო ეფექტურობას.

შემდგომ საფეხურზე უფრო ქმედითია განვლილ ენობრივ მასალაზე აგებული კითხვა-პასუხების სავარჯიშოები; აქვე ხდება იმ ლექსიკურ-გრამატიკული მასალის მეხსიერებაში აღდგენა-განმტკიცება, რომელზეც ახალი ენობრივი მასალა ბაზირდება, ე.წ. „ხარაჩოს პრინციპის მსგავსად“.

უფროს კლასებში გამოიყენება აგრეთვე პატარა მოთხრობების აუდირება და გაგების შემოწმება – შესასწავლ ენაზე მასწავლებლის კლასთან საუბრის სახით; ხმოვანი კინოფილმებისა და შემეცნებითი ხასიათის სიუჟეტური ფილმების ჩვენება, რომლებიც არაა დაკავშირებული გაკვეთილზე დასამუშავებელ თემასთან; გაკვეთილი შეიძლება დაიწყოს საუბრით სკოლის ცხოვრების, ქალაქის, ქვეყნისა თუ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენის შესახებ, ან საინტერესო წიგნისა თუ სტატიის ირგვლივ. ზოგჯერ, ასეთი საუბრის მომზადება-ჩატარება (წინასწარი გაფრთხილებით) თავად მოსწავლეებს ევალებათ.

გაკვეთილის II ეტაპზე ახალი მასალის გაცნობა იმით აიხსნება, რომ ამ დროს ბავშვები ჯერ არ არიან დაღლილები და ყურადღებამოდუნებული. აქ ხდება ახალი მასალის მხოლოდ გაცნობა და გააზრება; მისი თანდათანობითი ათვისება კი გრძელდება ამ და შემდეგ გაკვეთილებზე.

ახალი მასალის გაგების შემოწმება ხდება სუსტ მოსწავლეებზე და უარყოფითი შედეგების შემთხვევაში მასალის დამატებითი ახსნა-განმარტება; გაკვეთილის IV ეტაპზე კი – მისი შემდგომი დამუშავება საჭიროებისდა მიხედვით.

ბუნებრივია, რომ ახალი მასალის არარსებობის შემთხვევაში, ე.ი. წმინდა სამეტყველო გაკვეთილზე II და მითუმეტეს, IV ეტაპები არ არსებობს.

გაკვეთილის **ძირითადი ეტაპი – III ეტაპია**. აქ ხდება სხვადასხვა სავარჯიშოებით წინა გაკვეთილებზე მიღებული მასალის სხვადასხვა დონეზე ათვისება და სამეტყველო ქმედების სხვადასხვა სახეების, ე.ი. აუდირების, ზეპირმეტყველებისა და კითხვის დაუფლება.

სავარჯიშოთა რაოდენობა და ხასიათი განსხვავებულია კლასიდან კლასამდე. მე-V–VI კლასებში, სადაც მთავარი ყურადღება გრამატიკული სისტემის ათვისებას ეთმობა სტრუქტურული სავარჯიშოები პრევალირებს. მაღალ კლასებში კი, სადაც აქცენტი სამეტყველო ქმედებაზეა გადატანილი – კომუნიკაციური სავარჯიშოები დომინირებს, რომლებიც მიმართულია ზეპირმეტყველებისა და კითხვის უნარ-ჩვევების ფორმირებისაკენ.

IV ეტაპი ფაკულტატურია, ე.ი. განპირობებულია II ეტაპის შედეგით და მის შეკვეცილ ასლსა და ვარიანტს წარმოადგენს.

დასკვნითი V ეტაპი ყველაზე უფრო მრავალფეროვანია. ის მოიცავს მოცემულ და წინა გაკვეთილებზე ათვისებული მასალის გამოყენებას ზეპირ და წერით სავარჯიშოებში. სავარჯიშოების რაოდენობა შეიძლება მერყეობდეს 1–3-მდე.

ამავე ეტაპზე ხდება მთელი გაკვეთილის მუშაობის შეჯამება-შეფასება და საგაკვეთილო ქულების გამოყვანა; აგრეთვე, საშინაო დავალების ფორმულირება და საჭირო ახსნა-განმარტება.

წინა გაკვეთილზე მიცემული წერითი საშინაო დავალების შემოწმება – თუ ეს გაკვეთილზეა განზრახული – იმ სავარჯიშოებთან ერთად ხორციელდება, რომელთა მომზადებასაც იგი წარმოადგენს, ე.ი. III ან V ეტაპის ფარგლებში.

რაც შეეხება მოსწავლის სამეტყველო ქმედების შეფასებას – მისთვის ნიშნის დაწერას, ეს ხდება მის მიერ შესრულებული სამეტყველო ქმედების დასრულებისთანავე.

გაკვეთილის წინამდებარე მონახაზი ტიპიურია; რეალურ სასწავლო პროცესში კი, იგი შეიძლება შეიცვალოს ამა თუ იმ ეტაპის ხანგრძლივობის, ხვედრითი წონისა და საერთოდ, არსებობა-არარსებობის თვალსაზრისით; გაკვეთილის ამოცანების, კლასში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, მასწავლებლის მიერ არჩეული პრაქტიკის, ასევე მასალის მოცულობისა და ხასიათის, და მოსწავლეთა მომზადების დონის მიხედვით.

გაკვეთილის გეგმა

მ. კრავეიშვილის (1979) სიტყვებით რომ ვთქვათ, გაკვეთილის გეგმა ყველაზე უშუალო ოპერატიული დოკუმენტია, რომელშიც შემდეგი აღნიშვნები კეთდება:

- 1) მოსწავლის გვარი, კლასი და თარიღი;
- 2) გაკვეთილის თემა ან პარაგრაფი;
- 3) ენობრივი მასალა ტექსტებითა და სავარჯიშოებით – ძველი და ახალი;
- 4) მუშაობის სახეები – საკლასო და საშინაო;
- 5) გაკვეთილის მიზანი თუ ამოცანები – მთავარი და თანამდევნი (1-3-მდე) და
- 6) გაკვეთილის აღჭურვილობა.

გეგმის/მოკლე კონსპექტის (brief outline/notes) გარდა, დამწყები მასწავლებელი თითოეული ეტაპის გაშლილ/ვრცელ კონსპექტსაც (detailed notes) წერს. ინგლისურის გაკვეთილის გეგმა-კონსპექტის ნიმუში (Sample Lesson Plan Format) მოტანილია ქვემოთ:

ნასატარებელი გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი (ნიმუში 1)

Sample EFL (English as a Foreign Language) Lesson Plan Format 1

to be given to fifth-year pupils of English on day/month/year

Topic: Summer Holidays	
Material	new: healthy; bathe; sunburnt; return; classmate; at class: №5-7; homework: №10-11 old: reading rules; Q & A; Past Indefinite; homework: № 1; 8
Aims and Objectives	forming orthographic and grammatical habits; forming monologic and dialogic speech skills
Kinds of Activities	reading in chorus; describing pictures; filling in the gaps; forming the Past Indefinite Tense; asking and answering questions
Equipment	pictures of school and classroom; table - types of syllables; table - types of questions; textbooks; blackboard; note-books; exercise-books
Structure and Dosage	
1. Opening	organizational moment and warm-up – discussing weather
2. Presenting and Essential Consolidation	new words
3. Basic Part of the Lesson	practicing reading; asking and answering questions; describing pictures; formation of the Past Indefinite Tense
4. Facultative	–
5. Closure	summing up lesson activities and giving marks; giving homework
Procedure	
Teacher: Pupils: Teacher: Eka:	entering the class, I stand in the centre facing the class and wait till everybody's quiet and pays attention to me. only then I greet. Good morning, pupils/students/friends! Good morning, Miss Giuli! Who is on duty today? I am on duty today.

Teacher:	Is anybody absent today?
Eka:	Everybody's here; nobody's absent.
Teacher:	I don't think so. Well, how many pupils are there in this group?
Eka:	There are 18 pupils altogether.
Teacher:	OK. and there are only 17 today.
Eka:	Oh, I'm sorry. I forgot that Natia is at the dean's office.
Teacher:	What date is it today?
Dato:	Today is 25 th of November, Thursday.
Teacher:	Have you listened to the weather forecast for today?
Mikha:	I have.
Teacher:	What weather are we likely to have today?
Mikha:	According to the forecast the day will be sunny and rather warm, the temperature will reach 15 ° C; no wind.
Teacher:	Pupils, now let's revise some reading rules. Who remembers, how do we read the stressed vowels?
Tika:	Depends on the types of syllables.
Teacher:	How many types are there?
Nika:	There are four. In the first type we have alphabetical reading; in the second – short reading; in the third – long reading; while in the fourth – combined reading (alphabetical reading plus neutral sound).
Teacher:	Now let's read exercise № 1 (in chorus).
Pupils:	Reading exercise (in chorus).
Teacher:	Let's revise the words in exercise № 8. 'Holiday' is a compound consisting of 'Holly' that means 'წმინდა' and 'day'. The word originally meant a religious festival, then it became any festival and later any day off. Now let's read and translate the following words: What's the Georgian word for 'summer'? What is the English word for 'საგებულო'? . . . Now let's name all types of questions based on the following sentence: His 'brother 'plays 'football in Italy. 'Does his 'brother 'play 'football in Italy? – Yes, he does. 'Who 'plays 'football in Italy? – 'His 'brother does. 'Whose 'brother 'plays 'football in Italy? – 'His 'brother does. 'What does his 'brother 'do in Italy? – His 'brother 'plays '(football) in Italy. 'What does his 'brother 'play in Italy? – His 'brother 'plays 'football in Italy. 'Where does his 'brother 'play football? – His 'brother 'plays 'football in Italy.

<p>Pupils:</p> <p>Teacher:</p>	<p>'Does ↑his †or ‡her brother play football in Italy? – 'His 'brother does. 'His 'brother 'plays 'football in Italy.</p> <p>'Does his †brother ‡or †sister play football in Italy? – His 'brother does.</p> <p>'Does his 'brother †play ‡or †film football in Italy? – His ' brother plays 'football in Italy.</p> <p>'Does his 'brother 'play †football ‡or †tennis in Italy? – His ' brother 'plays football in Italy.</p> <p>'Does his brother 'play 'football in †Italy ‡or in †Spain? – His 'brother 'plays 'football in Italy.</p> <p>His 'brother plays 'football in Italy, does he not? ('doesn't he?) – does he not? (doesn't he)</p> <p>Now do it yourself based on the following sentence: My grandmother often tells us interesting fairy-tales in the evening. Practice. . .</p> <p>We'll start with a new text and there are a few new words in it: healthy – ჯანმრთელი bathe – ბანაობა sunburnt=sunburned – მზედაკრული return – დაბრუნება classmate – a member of the same class</p>
--	--

ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი (ნიმუში 2)

Sample EFL (English as a Foreign Language) Lesson Plan Format 2

to be given to seventh-year pupils of English on day/month/year

Topic: Summer Holidays	
Material	<p>new: –</p> <p>old: homework: text; ex. № 10, 14;</p>
Aims and Objectives	<p>forming lexical skills; reading technique; developing monologic and dialogic speech</p>
Kinds of Activities	<p>compiling sentences; reading the text; Q & A; retelling 'Nick's Holidays'; talking about 'one's holidays'; speaking about the summer camp; compiling a dialogue about 'one's summer holidays'</p>
Equipment	<p>note-books; text-books</p>

Structure and Dosage	
1. Opening	organizational moment and warm-up – discussing weather
Presenting and Essential Consolidation	–
2. Basic Part of the Lesson	compiling sentences; make up a dialogue describing a summer camp; Q & A; reading; retelling ‘Nick’s summer holidays’; talking about ‘one’s summer holidays’
Facultative	–
3. Closure	formulating and explaining hometask; summing up the lesson and giving marks
Procedure	
<p>Teacher: Good morning, pupils/students/friends!</p> <p>Pupils: Good morning, teacher!</p> <p>Teacher: Who is on duty today?</p> <p>Eka: I am on duty today.</p> <p>Teacher: Is anybody absent today?</p> <p>Eka: Everybody’s here except Aleko and Tatia.</p> <p>Teacher: What is the matter with them?</p> <p>Eka: Aleko is ill. He has caught cold. As to Tatia, I have no information about her.</p> <p>Teacher: Thank you. Sit down/take your seat, please. What date is it today?</p> <p>Dato: It’s 25th (day) of November, Thursday.</p> <p>Teacher: All right. What’s the weather like?</p> <p>Mikha: The weather is fine.</p> <p>Teacher: Great. So, we are having fine weather and I guess we must be in good mood, right? What was your hometask for today?</p> <p>Tika: We had to read and understand text at page 5; write exercise №10.</p> <p>Teacher: Has everybody done their homework?</p> <p>Lika: I haven’t. I had a bad headache, so I’ll do it for the next time.</p> <p>Teacher: Open your exercise-books. Here I make my round between the rows to check whether everybody has done their homework and how. Meanwhile, I fill in the gap by asking the class different questions like – was the task difficult or has anybody helped you? Finishing the round I comment the best and the worst works. Then every pupil called out reads an abstract of the text from the book while other pupils correct</p>	<p>Entering the class, I stand in the centre facing the class and wait till everybody’s quiet and pays attention to me. only then I greet.</p>

	<p>their mistakes in their exercise-books. After that I ask two pupils to read the same text without translation, thus practicing the reading technique. Afterwards, I ask questions based on exercise №10: Who was on the farm?</p>
Kakha:	It was Kate and her father who were . . .
Teacher:	Now who would like to speak about 'Nick's holidays'?
Tamar:	retelling.
Teacher:	I mark the pupil and continue with exercise №14. Let's talk about your summer holidays.
Sandro:	retelling.
Teacher:	I mark the pupil. Who spent his or her summer holidays at a camp? Who can describe the camp?
Simon:	Describes and is given a mark.
Teacher:	Now, pupils, we have spoken about summer holidays in a monologue. Let's make up a short dialogue on the same topic in a written form. So, today we have done a great deal of work on summer holidays. Before the lesson is over, I would like to give you homework; please, write a composition about your summer holidays. Let's sum up today's lesson – we managed to realize the aims and objectives set for today; everybody was actively involved in the lesson. the most active pupil gets the ten. . .The lesson is over. Good Bye, pupils!
Pupils:	Good Bye!

ჩატარებული გაკვეთილის გარჩევის ოქმი (ნიმუში)

პირველ რიგში, გაკვეთილის შესახებ საუბრობს თვით ჩამტარებელი, შემდეგ კი – დამსწრე სტუდენტები, რომელთაგან ერთ-ერთი იქნება ოპონენტი და ძირფესვიანად აკრიტიკებს გაკვეთილს. ამის შემდგომ საუბრობს მასწავლებელი, ბოლოს კი – მეთოდისტი.

თითოეული გამომსვლელი გამოყოფს ხელშემწყობ თუ ხელისშემშლელ ფაქტორებს, ე.ი. მასალის რაგვარობას; ძნელი თუ ადვილი; საინტერესო თუ უინტერესო; მისი მოცულობა;

რამდენად მომზადებული იყო პრაქტიკანტი გაკვეთილის ჩასატარებლად, და თუ არა, რამ განაპირობა მისი სათანადოდ მომზადებლობა?

რაც შეეხება გაკვეთილის გეგმას; გეგმა-კონსპექტი ხელმწიერილი უნდა იქნეს საგნის მასწავლებლისა და მეთოდისტი მიერ ჩატარებამდე ორი დღით ადრე შემდეგნაირად: დაშვებულია ჩასატარებლად.

რამდენად სწორად იქნა დადგეგმილი გაკვეთილი. მოხერხდა თუ არა გაკვეთილზე დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულება; მოხმობილ უნდა იქნეს დამადასტურებელი ფაქტები.

სწორად გადანაწილდა თუ არა გაკვეთილისთვის განკუთვნილი დრო; მოიცვა თუ არა მასწავლებელმა მთელი კლასი; გამოიყენა თუ არა თვალსაჩინოება; მიჰყავდა თუ არა გაკვეთილი შესასწავლ ენაზე – რაც სავალდებულოა პირველივე კლასიდან მე-12 ჩათვლით.

კლასთან კონტაქტი უნდა იყოს მეგობრული, მაგრამ მომთხოვნი; სწორად შეაფასა თუ არა გამოძახებული მოსწავლეები; იმუშავა თუ არა აზროვნების განვითარებაზე და სააღმზრდელო მომენტებზე, თუ არ იყო ამისი დრო და საშუალება; საინტერესოდ წარმართა თუ არა პრაქტიკანტმა გაკვეთილი.

ყველა ამ ზემოთქმული ფაქტორების გათვალისწინებით, ოპონენტები და დამსწრეები აფასებენ გაკვეთილს; თანაც ეს შეფასება თვითონ გამომსვლელის მომზადებაზეც მიუთითებს. ჩატარებულ გაკვეთილს ნიშნით აფასებს საგნის მასწავლებელი ან მეთოდისტი. თუ პრაქტიკანტს პრეტენზია აქვს და არ აკმაყოფილებს მიღებული შეფასება, შეიძლება გაკვეთილი გაირჩეს კათედრის სხდომაზე.

როგორც ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმა-კონსპექტის, ასევე გარჩევის ოქმის სქემა (დეტალურად) მოცემულია (ჩემს მიერ შემუშავებულ) პრაქტიკანტის დღიურში (იხ. ნიმუში).

სტუდენტ-პრაქტიკანტის დღიურის ნიმუში

საქართველოს განათლების სამინისტრო

სოხუმის უნივერსიტეტი

ფილოლოგიის ფაკულტეტის
ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის

V კურსის სტუდენტ-პრაქტიკანტი

ჯილდა მამულიას დღიური

2020 წლის 25.09-13.11

სტუდენტ-პრაქტიკანტის უფლება-ვალდებულებანი

სტუდენტ-პრაქტიკანტი მოწოდებულია:

- პედაგოგიური პრაქტიკა გაიაროს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ვადებსა და პედპრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ დადგენილ სკოლასა და კლასებში.

- თავიდანვე შეადგინოს თავისი მუშაობის ინდივიდუალური გეგმა, რომელსაც ჯგუფის ხელმძღვანელი ამტკიცებს და რომლის მიხედვითაც, იგი სკოლაში მუშაობს არანაკლებ 5 საათისა დღეში.

- შეისწავლოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია სკოლაში და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მასში.

- ჩაატაროს 5-დან 10-მდე საცდელი გაკვეთილი ნიშანზე და ამდენივე კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიება; მათ შორის ერთი საკონსპექტო – ნიშანზე; ხოლო დამამთავრებელ კურსზე – ერთკვირიანი დამოუკიდებელი, სტაჟიორული პრაქტიკაც.

- დაესწროს მასწავლებლისა და სხვა პრაქტიკანტების გაკვეთილებსა და კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებებს; მონაწილეობა მიიღოს მათ (პედაგოგიურ, მეთოდურ და ფსიქოლოგიურ) გარჩევაში.

- პრაქტიკის დაწყებისთანავე აწარმოოს ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დაკვირვება მიმდგრებულ მონაფესა თუ კლასზე და პრაქტიკის ბოლოსათვის ფსიქოლოგს წარუდგინოს ამ მონაფისა თუ კლასის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დახასიათება ნიშანზე შესაფასებლად.

- აწარმოოს დღიური და პრაქტიკის დამთავრებისთანავე შევსებული სახით ჩააბაროს იგი ჯგუფის ხელმძღვანელს.

- პედპრაქტიკის საპატიო მიზეზით გაცდენის ან მისი არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს შეიძლება ნება დაერთოს ახალ ვადებში გაიაროს იგი.

სტუდენტ-პრაქტიკანტი გაკვეთილებსა და კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებებს გეგმავს და ამზადებს მასწავ-

ვლებლების, კლასის ხელმძღვანელისა და მეთოდისტის რჩევა-დახმარებით; მაგრამ, მას უფლება აქვს არ გაიზიაროს მათი რეკომენდაციები – ოღონდ, დასაშვებობის ფარგლებში და საკუთარი რისკის ხარჯზე. მას აგრეთვე შეუძლია გაასაჩივროს მის მიერ ჩატარებული გაკვეთილის ან კლასგარეშე ღონისძიების შეფასება და მოითხოვოს მისი ხელახალი გარჩევა შესაბამისი კათედრის სხდომაზე.

სასწავლო-აღზრდობითი დაწესებულება	მისამართი	ტელეფონი
გალის რ-ნის სოფ. ჭუბურხინჯის მე-2 საშუალო სკოლა		
დირექტორი (გამგე):		
დირექტორის მოადგილე სასწავლო აღზრდობით დარგში:		
დირექტორის მოადგილე კლასგარეშე მუშაობის დარგში:		
დირექტორის მოადგილე ენების სწავლების დარგში:		
საგნის მასწავლებელი:		
გაპროფენებული კლასის (ჯგუფის) ხელმძღვანელი:		
ჯგუფის პედაგოგოსი:		
ჯგუფის ფსიქოლოგი:		
ჯგუფის ხელმძღვანელი მეთოდისტი:		

საპრაქტიკო საგნის გაკვეთილების ცხრილი საპრაქტიკო კლასებსა თუ ჯგუფებში							
ჩატარების დრო	09:00 - 09:45						
ორშაბათი	VI, VIII						
სამშაბათი							
ოთხშაბათი							
ხუთშაბათი							
პარასკევი							

გაპროფენებული კლასის (ჯგუფის) გაკვეთილების ცხრილი							
ჩატარების დრო	09:00 - 09:45						
ორშაბათი	ქართული						
სამშაბათი	ისტორია						
ოთხშაბათი	მათემატიკა						
ხუთშაბათი	ინგლისური						
პარასკევი	ასტრონომია						

საიდელი გაკვეთილებისა და საკონსპექტო ღონისძიებების ცხრილი						
ჩატარების თარიღი	ჩატარების დრო	კლასი (ჯგუფი)	მასწავლებელი/ კლასის ხელმძღვანელი	თემა, სათაური, პარაგრაფი	ოპონენტი	შეფასება
11/09/2020	10:00 - 10:45	Iბ		Colours		
11/10/2020	10:50 - 11:35	XIა		Romanticism in English Literature "The Lake Poets"		

	პრაქტიკანტის ინდივიდუალური სამუშაო გეგმა	
	შესრულების დაწყება	ვადა დამთავრება
პედრაქტიკის მოსამზადებელი (დადგენით) საფაკულტეტო კონფერენციაში მონაწილეობა		
დირექტორის (გამგის) საუბრის მოსმენა დაწესებულების სტრუქტურის, ფუნქციონირების, სასწავლო-აღმზრდელობითი ბაზისა და დაწესებულების მუშაკთა უფლებ-მოვალეობების შესახებ		
კლასებზე (ჯგუფებზე) მიმავრება და გაპროექტებული კლასის (ჯგუფის) ხელმძღვანელის სამუშაო გეგმის გაცნობა		
ინდივიდუალური სამუშაო გეგმისა და საცდელი გაკვეთილების ცხრილის შედგენა და დამტკიცება		
სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი ბაზის, საპრაქტიკო კლასებისა და მასწავლებლების გაცნობა; მათ გაკვეთილებსა და კლასგარეშე ღონისძიებებზე დასწრება და მათ გარჩევაში მონაწილეობა		
საცდელი გაკვეთილებისა და კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებების მომზადება-ჩატარება		
სხვა პრაქტიკანტების გაკვეთილებსა თუ ღონისძიებებზე დასწრება და მათ გარჩევაში მონაწილეობა		
გაპროექტებულ მოსწავლეზე, კლასზე ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დაკვირვების წარმოება		
სტაჟირული პრაქტიკის ჩატარება გაპროექტებულ კლასში (ჯგუფში)		
პედრაქტიკის შემაჯამებელი კონფერენციაში მონაწილეობა		
	სახელი, გვარი	ხელმოწერა
ჯგუფის პედაგოგიკოსი:		
ჯგუფის ფსიქოლოგი:		
ჯგუფის ხელმძღვანელი-მეთოდისტი:		

**დამოუკიდებლად მოსმენილი გაკვეთილებისა და ღონისძიებების
კონსპექტები და ანალოზი**

10/10/2020 I კლასში თ. ქვაჩახიას მიერ ჩატარებული ინგლისური ენის გაკვეთილის ანალიზი	
გაკვეთილის თემა:	<i>In the Classroom</i>
გაკვეთილის მიზანი:	ფონეტიკური, დიალოგური და მონოლოგური ზეპირმეტყველების ჩვევების ფორმირება მოცემული თემის ფარგლებში.
<p>გაკვეთილზე ფონეტიკური დაჭურვისათვის განკუთვნილი დრო [მ] ბგერის წარმოთქმაში ვარჯიშს დაეთმო. მასწავლებელმა ძველი მასალა ფრონტალური კითხვებით გამოიკითხა. ბავშვები გაეცნენ <i>this</i> და <i>that</i> ჩვენებითი ნაცვალსახელების შემცველ წინადადებებს; ამ ნაცვალსახელების მნიშვნელობებსა და მათ გამოყენებას. მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვების დახმარებით მოსწავლეებმა აღწერეს სურათი "In the Classroom". გაკვეთილზე გაიხსენეს ინგლისური ანბანი. მასწავლებელმა შეამოწმა რვეულები, თუ როგორ ეწერათ ბავშვებს ასო Aa, რის შემდეგაც გააცნო მათ ახალი ასო Bb; ავარჯიშა მის წერაში. მოსწავლეებმა გაიხსენეს წინა გაკვეთილზე შესწავლილი ლექსი "Rain, rain, go away". გაკვეთილი ხალისიან ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ზეპირი სავარჯიშოების მეშვეობით მასწავლებელმა მოახერხა ახალი ლექსიკური ერთეულების გამოყენების პირველადი ავტომატიზაცია. მოსწავლეებს ახალი მასალის ათვისება არ გასჭირვებიათ.</p>	

საცდელი გაკვეთილების გეგმა-კონსპექტები

11/10/2020 18 კლასში ჩასატარებელი ინგლისური ენის №1 საცდელი გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი	
გაკვეთილის თემა:	Colours
მასალა:	ძველი: garden, bench, tree. Who is this/that? What is this/that? Where is it?
	ახალი: [i:], Ee, the ABC; red, black, blue, yellow, green, brown, white, What colour is it?
გაკვეთილის მიზანი:	ფონეტიკური ჩვევებისა და დიალოგური ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების ფორმირება მოცემული თემის ფარგლებში.
სამუშაოთა სახეები:	ცალკეული ზეგერბისა და სიტყვების წარმოთქმა; საგანთა და მათი შეფერილობის დასახელება კითხვებზე პასუხის ფორმატში.
აღჭურვილობა:	სახელმძღვანელო, რეგული, დაფა, სურათი, ვაშლი, ბურთი, ჩანთა, კოლოფი, ფერადი ფანქერები.
გაკვეთილის სტრუქტურა და დოზირება	
1. გაკვეთილის შესავალი	3 წთ.
2. ახალი მასალის პრეზენტაცია და პირველადი განმტკიცება	10 წთ.
3. გაკვეთილის ძირითადი ნაწილი	20 წთ.
4. გაკვეთილის ფაკულტატიური ნაწილი	0 წთ.
5. გაკვეთილის დასკვნითი ნაწილი	2 წთ.
გაკვეთილის მსვლელობა	
<p>Teacher: Good morning, children! Pupils: Good morning, teacher! T: Sit down, please! Who is on duty today? P: I'm on duty, today. T: Who's absent? P: Nobody's absent. T: Good, thank you. Take your seat, please. Now, children, let's begin our lesson. Let's repeat the ABC, together. P: A, B, C, D, E, F, G. . . T: Thank you. Now, children, tell me, the first member of the ABC (მიიხარით, რომელია ანბანის პირველი წევრი?)</p>	

P: A.

T: And the second member, please?

P: B.

T: Good. And the third one?

P: It's C.

T: Great. What about the fourth member of the ABC?

P: D.

T: That's right. And the fifth is E [i:], [i:]. Repeat after me [i:].

Ps: [i:]. . .

T: Children, do you remember, the words with the sound [i:]? – me. Let's pronounce the word – me.

Ps: me.

T: see.

Ps: see.

T: key.

P: key.

T: tree.

P: tree.

T: Tell me, what's the Georgian for 'tree'?

P: ხე.

T: Now look at the picture and tell me, where is the tree?

P: The tree is in the garden.

T: What's the Georgian for 'garden'?

P: ბაღი.

T: Very good. Now, tell me, what is this?

P: This is a bench.

T: What's the Georgian for 'bench'?

P: ვარდელი სკამი.

T: Where is the bench?

P: The bench is in the garden.

T: OK. Now, children, who is this?

P: This is a boy.

T: And who is that?

P: That is a girl.

T: What is this?

P: This is a ball.

T: What is that?

P: That is an apple.

T: Look at the apple. What colour is the apple? (ვუჩვენებ წითელ ვაშლს). It is red, red. 'Red' is a new word, repeat it, please.

Ps: Red, red (იმეორებენ გუნდურად)
 T: Pupils, tell me what's the Georgian for 'red'?
 P: წითელი.
 T: That's right. Repeat the word 'red', please.
 P¹: Red.
 P²: Red.
 T: What colour is this ball?
 P: მწვანე.
 T: Correct. And what's the English for 'მწვანე'? – green, green. Let's repeat.
 Ps: green, green (იმეორებენ გუნდურად)
 ამგვარად ვავარჯიშებ ფერების დასასწავლად.
 T: Children look at the blackboard. This is a letter 'Ee'. (დაფაზე დაწერილია ასლად
 ახსნილი ასო Ee. ბავშვებს ვაცნობ მის გრაფიკულ მოხაზულობას). Let's revise
 – [i:].
 Ps: [i:] (იმეორებენ გუნდურად)
 T: Now, let's study a little rhyme:
 A, E, I, O, U,
 I love you.
 Ps: (იმეორებენ გუნდურად)
 T: A, U, O, I, E,
 You love me.
 Ps: (იმეორებენ)
 T: Very good. Repeat it at home too. Our lesson is over. Good bye!
 P: Good bye!

დაშვებულია ჩასატარებლად

საგნის მასწავლებელი:

მეთოდისტი:

11/10/2020 IB კლასში ჩატარებული ინგლისური ენის საცდელი გაკვეთილის გარჩევის ოქმი №1	
გარჩევა შედგა:	11/10/2020
გაკვეთილის გარჩევას ესწრებოდნენ საგნის მასწავლებელი:	თ. ქვაჩახია
სტუდენტ-პრაქტიკანტები:	ა. ხატიაშვილი; მ. ნიკოლაძე
<p>გაკვეთილის შესახებ აზრი გამოთქვას:</p> <p>თვით პრაქტიკანტმა ჯ. მამულიამ: გაკვეთილი საინტერესოდ წარიმართა და კლასი აქტიურად ჩაერთო გაკვეთილის მსვლელობაში. თუმცა გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა ის, რომ ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია; კლასში 28 მოსწავლეა, რაც ართულებდა ყველა მოსწავლის სათანადოდ მოცვას; თუმცა მგონი ყურადღების მიღმა არავინ დამრჩენია. ამაში ისიც დამეხმარა, რომ თავად კლასი საკმაოდ მომზადებულია და ძლიერი ბირთვი ჰყავს. საერთო ჯამში მოსწავლეები საკმაოდ დაინტერესებულნი არიან ინგლისური ენის შესწავლით. ჩემი დღვანდელი გაკვეთილის თემა იყო Colours. გაკვეთილის მიზნად დასახული მქონდა ფონეტიკური ჩვევებისა და დიალოგური ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების ფორმირება მოცემული თემის ფარგლებში. ფონეტიკური მასალა ითვალისწინებდა [i:] ბგერის გაცნობას. შესაბამისად, მოსწავლეებს ვავაგანი ამ ბგერის შემცველი სამეტყველო ნიმუშები; ვავარჯიშე როგორც ცალკე აღებული [i:] ბგერის, ასევე ამ ბგერის შემცველი მათთვის ნაცნობი სიტყვების me, see, key, tree და ა.შ. წარმოთქმაში. ძველი/განვლილი მასალა ფრონტალური კითხვებით გამოვიკითხე. ახალი მასალის ახსნისას გამოვიყენე მრავალფეროვანი თვალსაჩინოება (სურათი, ვაშლი, ბურთი, ჩანთა, კოლოფი, ფერადი ფანქრები). მოსწავლეებს მათთვის უცნობი მასალის ათვისებაში დაეხმარა დიალოგური ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების ფორმირებისთვის წინასწარ შერჩეული სავარჯიშოები. . . . გაკვეთილის ბოლოს შევაფასე მოსწავლეები.</p>	
<p>სტუდენტ-პრაქტიკანტმა ა. ხატიაშვილმა: გაკვეთილმა ცხადყო, რომ პრაქტიკანტი სათანადოდ მოემზადა გაკვეთილისათვის. მას კარგად ჰქონდა დამუშავებული საგაკვეთილო მასალა და მისი მიწოდების ფორმებიც. შესაბამისად, გაკვეთილი საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის და სრულად იქნა მიღწეული დასახული მიზანი. რაც შეეხება შეფასებას, ვფიქრობ ის ცოტა შერბილებული იყო.</p>	
<p>სტუდენტ-პრაქტიკანტმა მ. ნიკოლაძემ: პრაქტიკანტი ხმაძალა და გარკვევით საუბრობდა. კლასთან კონტაქტი იყო მეგობრულ-თანამშრომლოური და მთლიანობაში ჯგუფი აქტიურობდა. თუმცა, პრაქტიკანტის დიდი მცდელობის მიუხედავად, კლასის მრავალრიცხოვანებისდა გამო მაინც ვერ მოხერხდა ყველა</p>	

<p>მოსწავლის სრულად ჩართვა გაკვეთილის ყველა ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ ზოგადი დინამიკა იყო საკმაოდ კარგი – პაუზებისა და ჩავარდნების გარეშე. . . .</p>
<p>საგნის მასწავლებელმა თ. ქვაჩახიამ: პრაქტიკანტმა კარგად მოამზადა და დაგეგმა გაკვეთილი. მეცადინეობა ხალისიან და საქმიან ატმოსფეროში წარიმართა, და ყველა ეტაპზე შესასწავლ ენაზე მიმდინარეობდა. მუშაობა მირითადად გუნდური ხასიათისა იყო, რაც მეტწილად კლასის მრავალრიცხოვნებით იყო ნაკარნახევი. ამიტომაც, ინდივიდუალურ გამოკითხვას ნაკლები დრო დაეთმო. მისასალმებელია, რომ პრაქტიკანტმა დასახული მიზანი სრულად განახორციელა და გეგმა-კონსპექტით გათვალისწინებული ყველა აქტივობის ჩართვა მოხერხდა საგაკვეთილო დროში; დაიწერა ნიშნები. ბუნებრივია, შეფასებისას მოსწავლეთა წახალისება გარკვეულ პედაგოგიურ დატვირთვას ატარებს, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზედმეტად ლიბერალური შეფასებაც არ არის მიზანშეწონილი. . . .</p>
<p>მეთოდისტმა მ. კაკაჩიამ: მცირე ნიუანსების გამოკლებით, მლიანობაში გაკვეთილი დადებითად შეიძლება შეფასდეს. . . .</p>
<p style="text-align: center;">გაკვეთილი შეფასდა 8(რვა) ქულით</p>
<p>საგნის მასწავლებელი: თ. ქვაჩახია</p>
<p>მეთოდისტი: მ. კაკაჩია</p>
<p>მდივანი: ა. ხატიაშვილი</p>

<i>— კლასში ჩასატარებელი საცდელი კლასგარეშე ღონისძიების გეგმა-სცენარი</i>	
<i>ღონისძიების თემა:</i>	
<i>ღონისძიების მიზანი:</i>	
<i>სამუშაოთა სახეები:</i>	
<i>აღჭურვილობა:</i>	
<i>ღონისძიების მსვლელობა</i>	
<i>დაშვებულია ჩასატარებლად</i>	
<i>კლასის ხელმძღვანელი:</i>	
<i>პედაგოგიკოსი:</i>	
<i>მეთოდისტი:</i>	

<i>— კლასში ჩატარებული საცდელი კლასგარეშე ღონისძიების გარჩევის ოქმი</i>	
<i>გარჩევა შედგა:</i>	
<i>ღონისძიების გარჩევას ესწრებოდნენ კლასის ხელმძღვანელი: პედაგოგიკოსი: მეთოდისტი: სტუდენტ-პრაქტიკანტები:</i>	
<i>ღონისძიების შესახებ აზრი გამოთქვას: თვით პრაქტიკანტმა</i>	
<i>სტუდენტ-პრაქტიკანტმა</i>	
<i>სტუდენტ-პრაქტიკანტმა</i>	
<i>კლასის ხელმძღვანელმა</i>	
<i>პედაგოგიკოსმა</i>	
<i>მეთოდისტმა</i>	
<i>ღონისძიება შეფასდა <input type="checkbox"/> კულოით</i>	
<i>კლასის ხელმძღვანელი:</i>	
<i>პედაგოგიკოსი:</i>	
<i>მეთოდისტი:</i>	

<p>_____ — საშუალო სკოლის — კლასის მოსწავლის პიროვნების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დახასიათება</p>
<p>ზოგადი მონაცემები: სახელი, გვარი, ასაკი, ფიზიკური მონაცემები. . . .</p> <p>ოჯახის მდგომარეობა, ოჯახის წევრები და მათი საქმიანობა, მერამდენე შვილია ოჯახში. . . .</p>
<p>აკადემიური მოსწრება: რომელი საგნები უყვარს და/ან ეადვილებს. . . .</p> <p>ქვევა, დისციპლინა. . . .</p> <p>კლასგარეშე საქმიანობა, გატაცებები. . . .</p> <p>განწყობა, ხასიათი, ათვისების უნარი და შესაძლებლობები. . . .</p>
<p>დასკვნა: რეკომენდებული პედაგოგიური ღონისძიებები მოსწავლის პიროვნული ზრდისა და აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად. . . .</p>
<p>დახასიათება შეფასდა () ქულით</p>
<p>ფსიქოლოგი:</p>
<p>კლასის ხელმძღვანელი:</p>

	უნივერსიტეტის
ფაკულტეტის	სპეციალობის
კურსის სტუდენტ-პრაქტიკანტი	ს
დაბასიათემა	
<p>ამა წლის _____-დან _____-მდე სტუდენტ-პრაქტიკანტი პედაგოგიურ პრაქტიკას გადიოდა _____ სკოლის _____ კლას/გზ/ში. ამ ხნის განმავლობაში სტუდენტ-პრაქტიკანტი დაესწრო _____ გაკვეთილსა და _____ კლასგარეშე ღონისძიებას;</p> <p>სტუდენტ-პრაქტიკანტმა ჩაატარა _____ საცდელი გაკვეთილი და _____ საცდელი კლასგარეშე ღონისძიება.</p> <p>სტუდენტ-პრაქტიკანტი. . . .</p>	
კლასის ხელმძღვანელი:	
სკოლის დირექტორი:	

_____ უნივერსიტეტის _____ ფაკულტეტის _____ სპეციალობის — კურსის სტუდენტ-პრაქტიკანტ _____ ს ანგარიში
<p> ამა წლის _____-დან _____-მდე პედაგოგიურ პრაქტიკას გავდიოდი _____ სკოლის _____ კლას/ებ/ში. სტაჟიორული პრაქტიკის რეჟიმში დავესწარი _____ გაკვეთილსა და _____ კლასგარეშე ღონისძიებას; დამოუკიდებელი პრაქტიკის დროს ჩავატარე _____ საცდელი გაკვეთილი და საცდელი კლასგარეშე ღონისძიება. პრაქტიკამ წარმოაჩინა, რომ. . . . </p>
სტუდენტ-პრაქტიკანტი:

მოსწავლეთა ცოდნა-უნარიის შემოწმება ანუ კონტროლი და აღრიცხვა ანუ შეფასება უცხო ენაში

ბუნებრივია, რომ ენობრივი მასალის ათვისება და მასზე დაფუძნებული (სამეტყველო) უნარ-ჩვევების ფორმირება არ შეიძლება ერთნაირი ტემპითა და რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლებით მიმდინარეობდეს სხვადასხვა კლასებსა და მოსწავლეებში. მაშასადამე, საჭიროა მთელი სასწავლო პროცესისა და თითოეული მოსწავლის საქმიანობის სისტემატური შემოწმება.

სასწავლო პროცესში მიღწეულ წარმატებათა თუ ჩავარდნების დროული გამოვლენა საშუალებას აძლევს მასწავლებელს დროზე შეიტანოს სათანადო შესწორებები (კორექტივები) თავის სასწავლებო საქმიანობაში და ეფექტურად წარმართოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. შემოწმებას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მოსწავლეთათვისაც. იგი ეხმარება მათ ნათლად წარმოიდგინონ და იგრძნონ თუ რას მიაღწიეს და რა ნაკლოვანებები გააჩნიათ მუშაობაში. ასე რომ, შემოწმება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის განუყოფელი კომპონენტია.

შეფასების პრინციპები და მიდგომები

აკადემიური მოსწრების შეფასება გულისხმობს როგორც **შეფასების სიხშირეს**, ასევე **მრავალმხრივობას**; რაც, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, ერთის მხრივ და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარების თანაბარ პირობებს უქმნის განსხვავებული პოტენციალის მქონე ყველა მოსწავლეს, მეორეს მხრივ. („ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024“. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი www.ncp.ge)

შეფასების ტიპები

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ორი ტიპის შეფასება გამოიყენება: **განმსაზღვრელი** და **განმავითარებელი**.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საერთო ნორმასთან მიმართებით და იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რამდენად დაეუფლა იგი საგნობრივი პროგრამით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს – რამდენად მიუახლოვდა ან დაშორდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს და განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის ცოდნის დონეს.

განმავითარებელი შეფასება მონოდებულია უზრუნველყოს სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, თითოეული მოსწავლის განვითარების მაქსიმალურად ხელშეწყობა სწავლების პროცესში. ეს კი, ზოგადი განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა.

(„ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024“. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი www.ncp.ge)

შემოწმება-შეფასების ობიექტი

შემოწმების, კონტროლის ობიექტია მოსწავლეთა მთელი სასწავლო საქმიანობა, მაგრამ შეფასებას ექვემდებარება მხოლოდ მოსწავლეთა სამეცხველო, ე.ი. ზეპირმეტყველების, აუდირებისა და კითხვის უნარ-ჩვევები. რაც შეეხება ენობრივი მასალის ცოდნას და ამ მასალის გამოყენების ავტომატიზირებულობას, ე.ი. ამ მასალის გამოყენების ჩვევების დონეს – იგი ცალკე არ ფასდება; მასზე ცალკე ნიშანი არ იწერება. მაგრამ ის, ე.ი. ენობრივი მასალის ცოდნისა და მისი გამოყენების ავტომატიზირებულობის დონე გარკვეულ

გავლენას ახდენს სამეტყველო უნარ-ჩვევების ნიშნით შეფასებაზე.

შემონმების, კონტროლის სახეებია:

1. მიმდინარე ანუ ყოველგაკვეთილური;
2. თემატური;
3. პერიოდული ანუ ტრიმესტრული;
4. შემაჯამებელი ანუ საგნის წლიური; და
5. გამოსაშვები.

შემონმების ფორმებია:

1. ინდივიდუალური და ფრონტალური;
2. ზეპირი და წერიტი;
3. ერთენოვანი და ორენოვანი;

ამა თუ იმ ფორმის არჩევანი დამოკიდებულია სამეტყველო მოქმედიანობის სახესა და გაკვეთილის კონკრეტულ სიტუაციაზე.

ბუნებრივია, რომ ზეპირმეტყველების შემონმება უპირატესად ზეპირად უნდა ხდებოდეს და აუცილებლად უნდა იყოს ერთენოვანი; თუმცა, არ არის გამორიცხული, იგი ტექსტის დონეზე წერილობითაც შემონმდეს.

ზეპირმეტყველების შემონმება გულისხმობს თვით ტექსტის მოცულობა-შედგენილობის შესაბამისობას მოცემული კლასისათვის პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და მის სათანადო ფონეტიკურ გაფორმებულობას; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დიალოგისა თუ მონოლოგის შეფასებისას, მთავარი ყურადღება ექცევა ტექსტის შინაარსს, მის ლოგიკურ განვითარებას, მის შემოქმედებითობას და არა იმდენად ლექსიკურ-გრამატიკულ შეცდომებს;

რაც შეეხება წარმოთქმას – აქ მთავარია, მისი გასაგებისობა ე.ი. ფონემატურობა.

აუღირობის შემონმება ხდება კითხვა-პასუხით, შესასწავლ ან მშობლიურ ენაზე შინაარსის გადმოცემით.

ზეპირად ან წერილობით ასევე მონმდება წაკითხული ტექსტის გაგების ხარისხიც.

მოსწავლის სამეტყველო უნარ-ჩვევების შეფასების კრიტერიუმები აუდირებაში

მაღალი შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

- 1) გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და
- 2) მთლიანად გაიგო მოცემული კლასისათვის შესაბამისი აუდიოტექსტის შინაარსი და დედააზრი.

საშუალოზე მაღალი შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

- 1) გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და
- 2) გაიგო მოცემული კლასისათვის შესაბამისი აუდიოტექსტის ძირითადი შინაარსი, მეორეხარისხოვანი ინფორმაციის დეტალების გამოკლებით.

საშუალო შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

- 1) გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და
- 2) გაიგო მოცემული კლასისათვის შესაბამისი აუდიოტექსტის მხოლოდ ძირითადი აზრი.

საშუალოზე დაბალი შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

- 1) ვერ გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და
- 2) ვერ გაიგო მოცემული კლასისათვის შესაბამისი აუდიოტექსტის ძირითადი აზრი.

დაბალი შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

- 1) ვერ გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და
- 2) სრულებით ვერ გაიგო მოცემული კლასისათვის შესაბამისი აუდიოტექსტი.

მოსწავლის სამეტყველო უნარ-ჩვევების შეფასების კრიტერიუმები ზეპირმეტყველებაში

მაღალი შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

- 1) გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და
- 2) მისი ტექსტი ლექსიკურ-გრამატიკული შედგენილობით, ლოგიკური თანმიმდევრობითა და ფონეტიკური გაფორმებუ-

ლობით მაქსიმალურად შეესაბამება მოცემული კლასისადმი პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საშუალოზე მაღალი შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

1) გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და

2) მისი ტექსტი ლექსიკურ-გრამატიკული შედგენილობით, ლოგიკური თანმიმდევრობითა და ფონეტიკური გაფორმებულობით ძირითადად შეესაბამება მოცემული კლასისადმი პროგრამით წაყენებულ მოთხოვნებს, მცირე ლექსიკურ-გრამატიკული, ლოგიკური და ფონეტიკური შეცდომების გამოკლებით, რომლებიც ხელს არ უშლის ტექსტის გაგებას.

საშუალო შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

1) გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და

2) მისი ტექსტი ლექსიკურ-გრამატიკული შედგენილობით, ლოგიკური თანმიმდევრობითა და ფონეტიკური გაფორმებულობით შეესაბამება მოცემული კლასისადმი პროგრამით წაყენებულ მოთხოვნებს იმ ლექსიკურ-გრამატიკული, ლოგიკური და ფონეტიკური შეცდომების გამოკლებით, რომლებიც აძნელებს ტექსტის გაგებას.

საშუალოზე დაბალი შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

1) ვერ გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და

2) მისი ტექსტი ლექსიკურ-გრამატიკული შედგენილობით, ლოგიკური თანმიმდევრობითა და ფონეტიკური გაფორმებულობით არ შეესაბამება მოცემული კლასისადმი პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დაბალი შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

1) ვერ გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და

2) მისი ტექსტი სრულიად გაუგებარია ან იგი სრულიად დუმს.

მოსწავლის სამეტყველო უნარ-ჩვევების შეფასების კრიტერიუმები კითხვაში

მაღალი შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

- 1) გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და
- 2) მთლიანად გაიგო-გააცნობიერა მოცემული კლასისათვის შესაბამისი გრაფიკული ტექსტის შინაარსი და დედააზრი.

საშუალოზე მაღალი შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

- 1) გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და
- 2) გაიგო მოცემული კლასისათვის შესაბამისი გრაფიკული ტექსტის ძირითადი შინაარსი, მეორეხარისხოვანი ინფორმაციის წვრილმანების გამოკლებით.

საშუალო შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

- 1) გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და
- 2) გაიგო მოცემული კლასისათვის შესაბამისი გრაფიკული ტექსტის მხოლოდ ძირითადი აზრი.

საშუალოზე დაბალი შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

- 1) ვერ გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და
- 2) ვერ გაიგო მოცემული კლასისათვის შესაბამისი გრაფიკული ტექსტის ძირითადი აზრი.

დაბალი შეფასება იწერება, თუ მოსწავლემ:

- 1) ვერ გადაჭრა საკომუნიკაციო ამოცანა; და
- 2) სრულებით ვერ გაიგო მოცემული კლასისათვის შესაბამისი გრაფიკული ტექსტი.

მოსწავლეთა ნიშნები შეიტანება საკლასო ჟურნალსა და მოსწავლეთა დღიურებში, მაგრამ დღეს მოქმედი ეს დოკუმენტები ვერ პასუხობენ უცხო ენის უნარ-ჩვევების აღრიცხვა-შეფასებების სპეციფიკას. ამისათვის, საჭიროა მასწავლებელს ჰქონდეს თავისი შეფასება-აღრიცხვის ჟურნალი (იხ. ნიმუში):

№	სახელი, გვარი	აუდირება	დიალოგური ზეპირმეტყველება	მონოლოგური ზეპირმეტყველება	კითხვა	საგაკვეთილო ქულები ¹	წერითი საკონტროლო აუდირებაში ²	წერითი საკონტროლო მეტყველებაში ³	წერითი საკონტროლო კითხვაში ⁴	ტრიმესტრული შემაჯავებელი ნიშანი ⁵
1										
2										
3										
4										

შენიშვნები:

¹ – საგაკვეთილო ქულები, ე.ი. მთელი გაკვეთილის მუშაობაში მონაწილეობის ნიშნები;

^{2 3 4} – წერითი საკონტროლო ნამუშევრების ნიშნები ცალ-ცალკე აუდირებაში, მეტყველებასა და კითხვაში;

⁵ – ტრიმესტრის განმავლობაში მოსწავლემ უნდა მიიღოს არანაკლებ ორი ნიშნისა/შეფასებისა სამეტყველო ქმედების თითოეულ სახეობაში, ე.ი. აუდირებასა, დიალოგურ მეტყველებასა, მონოლოგური მეტყველებასა და კითხვაში – სულ 8 ნიშანი/შეფასება მაინც; რასაც ემატება საგაკვეთილო ქულები, რომელთა რიცხვი ლიმიტირებული არაა; და საკონტროლო ნამუშევრებისა და თემატური და პერიოდული გამოკითხვის ნიშნები, რომელთა შეჯამების საფუძველზეც გამოიყვანება მეოთხედური ნიშანი.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილთა უბრალო არითმეტიკულ ჯამს. ტრიმესტრული ნიშანი იწერება ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ტენდენციის გათვალისწინებით. მასწავლებელს შეუძლია ნამატებული ნიშნით ნააქეზოს მოსწავლე, რომლის პასუხი ჯერ კიდევ არ შეესაბამება დასმულ ნიშანს, მაგრამ – ის პასუხი მოსწავლის დიდი შრომის შედეგია და, რაც მთავარია, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ამ მოსწავლისათვის.

ბრიტანული შეფასების სისტემები

British Marking

There are various systems of marking in Britain. Here are some of them:

1. a ten-point marking, i.e. marking out of ten (sometimes a twenty-point marking);
2. marking in percentages, i.e. out of hundred; and
3. grading (© ავტორისეული), i.e. marking in grades.

The choice of the system depends:

- 1) on the work to be marked;
- 2) on the type of the educational institution; and
- 3) on the preference of the teaching staff.

A ten-point or twenty-point, or percentage system is used for marking a calculable (© ავტორისეული), numerically assessable work and it is widely practiced in schools, particularly in junior forms. The teacher sets, for example, ten sums, ten questions to answer, or ten sentences to translate, and each right answer is given a whole mark, each half-right answer – half a mark and each wrong answer – no mark. The marks are often written as $\frac{10}{10}$, $9\frac{1}{2}$, $\frac{9}{10}$... and read as: ten out of ten, nine and a half out of ten, etc.

The top mark is ten and the bottom one (© ავტორისეული) is nought.

Marking out of a hundred is used at school examinations. It is very rare for anyone to get either the maximum, i.e. 100%, or the minimum, i.e. 0% of these marks. Marks generally range from about 85% to about 20%. The pass mark is usually 50% in the lower/junior forms and 40-45% in the higher/senior forms.

Grades are closer to our system than marking out of ten or hundred. It is assessment of the work as a whole rather than a statement of how much of it is right or wrong. They are preferred for more complex work such as passages of translation or essays.

Marking in grades is the usual system in the senior forms of schools and in universities and colleges.

Grades can be expressed in either letters or figures.

A or 1 is the highest grade, and D/E or 4/5 – the lowest (sometimes the letters are Greek: A, B, etc.) Plus or minus can be added to the letters for further differentiation, as follows: A,A-, B,B+, etc.

Comments written on works: a good effort, (much) better, careless (work), untidy (work), neat (work), etc.

Expressions: to give/put smb (a) five, two . . . , to get/have a five, four . . . , to assess a pupil/ his work . . . (J. Povey, I. Walshe, 1982. pp. 172-178)

ქართული და ბრიტანული შეფასების სისტემების
შეპირისპირება კომენტარებით

**Georgian versus British Marking Systems with
Comments**

Georgian marks and comments	English marks and comments			
10-9 მაღალი	%	out of ten	grades	
	100	10	A	Excellent
	95	9(1/2)		
	90	9	A-	Very good
	85	8(1/2)	B+	Good
	80	8		
8-7 საშუალოზე მაღალი	75	7(1/2)	B	Quite good
	70	7		
	65	6(1/2)	B-	Fair
	60	6		
	55	5(1/2)	C+	Satisfactory
6-5 საშუალო	50	5	C	Rather poor
	45	4(1/2)		
	40	4		
4-3 საშუალოზე დაბალი	35	3(1/2)	C-	Poor
	30	3		
	25	2(1/2)		
2-1 დაბალი	20	2	D	Very poor
	15	1(1/2)		
	10	1		
	5	1/2		
	0	-		

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დროდადრო შეფასების სისტემები იცვლება და სავარაუდოდ, კიდევ არაერთხელ დაექვემდებარება კორექტირებას; ასე განსაჯეთ, უმაღლესი შეფასება 5 ქულა იქნება თუ 10 - ეს ხომ პირობითობაა.

მთავარი კი, სულ სხვა რამაა.

ნებისმიერი შეფასების სისტემა კვალიფიციური პედაგოგის ხელში იქცევა იმ „ჯადოსნურ“ ინსტრუმენტად, იმ „უებარ ნამლად“ და საშუალებად, რომელიც მთავარი და ამოსავალი მიზნის – სწავლების ნაყოფიერებისა და ეფექტიანობის გაზრდისკენაა მიმართული.

ბუნებრივია, შეცდომები უნდა გასწორდეს. თუმცა, სასურველია ერთხელ და სამუდამოდ მოიშალოს შეფასებისა და ნიშნის დანერის არსებული მანკიერი ტრადიცია; ნიშანი უნდა იწერებოდეს არა გამოვლენილი შეცდომების გადათვლითა თუ „მითვლა-მითვლით“, არამედ ნარმატებებისა და გამარჯვებების შეწონვითა და ხაზგასმით.

უპრიანია, მოსწავლის გულისყური მივმართოთ და მთელი მისი ყურადღების გადატანა-ფოკუსირება მოვახდინოთ მის შესაძლებლობებსა და ძლიერ მხარეებზე. ეს გაცილებით სწორი და მართებულია ფსიქოლოგიური და პედაგოგიური თვალსაზრისითაც; თანაც, გადალახული, დაძლეული სიძნელის „ფასად“ მოპოვებული მიღწევების დაფიქსირება-გამყარებასაც ემსახურება.

სწორედ ამ „გამარჯვებულის“ პოზიციიდან გაცილებით მარტივდება მოსწავლეთა შთაგონება-ნახალისება და მათი ნებელობა-ძალისხმევის მობილიზება, რაც აკადემიურ მოსწრებაზეც აისახება.

სხვათა შორის, ამ მიდგომას „გვერდითი მოვლენაც“ ახლავს – დღის წესრიგიდან თავისთავად იხსნება და საკლასო ოთახიდან (ნებისმიერი სასწავლო სივრციდან) სამუდამოდ იდევნება მოსწავლეთა ყურადღების მოხმობა-მონადირებისა და დისციპლინის საკითხიც.

ნარმატებას გისურვებთ, ამ შემოქმედებითი ძიების პროცესში!

გამოყენებული ლიტერატურა

1. აღხაზიშვილი, ა. უცხოური ენების სწავლება ფსიქოლოგიის მონაცემთა საფუძველზე. თბილისი: ენა და კულტურა. 2002.
2. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი www.ncp.ge.
3. ახვლედიანი, გ. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1949.
4. გვარჯალაძე, ი.ს. ინგლისური ენის სწავლების მეთოდის საფუძვლები. თბილისი: ინსტიტუტის გამომცემლობა. 1957.
5. ვასაძე, ნ. პედაგოგიკა. საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი: ცის ნამი. 2000.
6. თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი (www.ice.ge)
7. კრავეიშვილი, მ. ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა. თბილისი: განათლება. 1979.
8. კრავეიშვილი, მ. უცხოური ენების სწავლების მეთოდიკა. თბილისი: ენა და კულტურა. 2002.
9. კრავეიშვილი, ნ. ლექსიკის შერჩევის ფორმები და მეთოდები: სპეციალური უმაღლესი სასწავლებლის ინგლისური ენის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებისათვის. საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები. ტომი 1. თბილისი. 1975.
10. მაცხოვნაშვილი, გ. ქვლივიძე, რ. ინგლისური ენის გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების მეთოდიკა. თბილისი: თსუ. 1983.
11. პეტროვა, ი. ვ., აღხაზიშვილი, ა. ა. ინგლისური ენის ფონეტიკის შესავალი კურსი: სახელმძღვ. უმაღლ. სასწ. უცხო ენათა ფაკ-ტებისათვის. თბილისი: ცოდნა. 1961.
12. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 2, 5, 10, 11. თბილისი: მთავარი სამეცნიერო რედაქცია. 1975-87.
13. Бенедиктов, Б. А. Психология овладения иностранным языком. Минск: Вышэйшая школа. 1974.
14. Бим. И. Л. Методика обучения иностранным языкам как наука и проблемы школьного учебника: опыт системно-струк-

турного описания. Москва: Русский язык. 1977.

15. Гез, Н. И. и др. Методика обучения иностранным языкам в средней школе. Москва: Высш. школа, 1982.

16. Литвиненко А.С. Понимание при переводе. Теория и методика учебного перевода. Москва. 1950.

17. Миролубов, А. А., Краевский В. В., Цетлин В. С. и др. Теоретические основы методики обучения иностранным языкам в средней школе. Москва: Педагогика. 1981.

18. Пассов, Е. И. Основы коммуникативной методики обучения иноязычному общению. Москва: Русский язык. 1989.

19. Старков, А. П. Обучение английскому языку в средней школе. Москва: Просвещение. 1978.

20. Щерба, Л. В. Преподавание иностранных языков в средней школе. Общие вопросы методики. 2-е изд. Москва: Высшая школа. 1974.

21. Anitchkov, I. Saakyants, S. Methods of Teaching English in Secondary Schools. Moscow: Prosveshcheniye Publishers. 1966.

22. Celce-Murcia, M. Teaching English as a Second or Foreign Language. Boston: Heinle & Heinle. 2001.

23. Coulmas, F. Conversational routine: Explorations in standardized communication situations and pre-patterned speech. The Hague: Mouton de Gruyter. 1981.

24. Davis, J. Resistance to L2 pragmatics in the Australian ESL context. Language Learning, 57(4), 611-649. 2007.

25. Friedman, G. Harold Bloom dreamed in Yiddish until his death. www.sun-sentinel.com October 17, 2019.

26. Harmer, J. Essential Teacher Knowledge: Core Concepts in English Language Teaching. London: Pearson/Longman. 2012.

27. Harmer, J. How to Teach English. London: Pearson/Longman. 2007.

28. Harmer, J. How to Teach Writing. London: Pearson Education. 2006.

29. Harmer, J. The Practice of English Language Teaching: with DVD. London: Pearson/Longman. 2010.

30. Harmer, J. Thornbury, S. *How to Teach Vocabulary*. London: Pearson Longman. 2009.

31. Kral, Th. (ed.). *Teacher Development. Making the Right Moves. Selected Articles from the English Teaching Forum. 1989-1993*. English Language Programs Division. Washington, D.C.: United States Information Agency. 1994.

32. Larsen-Freeman, D. *Techniques and Principles in Language Teaching*. Oxford: OUP. 2000.

33. Lennon, P. *The Foundations of Teaching English as a Foreign Language*. Oxfordshire: Routledge. 2020.

34. Nunan, D. *Practical English Language Teaching*. New York: McGraw-Hill Education. 2003.

35. Nunan, D. *Second Language Teaching & Learning*. Boston: Heinle & Heinle Publishers. 1999.

36. Povey, J. Walshe, I. *An English Teachers Handbook of Educational Terms*. Moscow: Visshaya Shkola. 1982.

37. Reyhner, J. *The Reading Wars. Phonics versus Whole Language*. www.jan.ucc.nau.edu Northern Arizona University. Revised January 3, 2020.

38. Richards, J. C., Richards, J. C., Renandya, W. A. (eds.). *Methodology in Language Teaching: An Anthology of Current Practice*. Cambridge: CUP. 2002.

39. Rogova, G. V. *Methods of Teaching English*. Leningrad: Prosveshchenie. 1975.

40. Rogova, G. V. *Methods of Teaching English*. Moscow: Ministry of Education of the USSR. 1983.

41. Scrivener, J. *Learning Teaching: The Essential Guide to English Language Teaching*. London: Macmillan Education. 2011.

42. *The Horrors of English Orthography*. www.the-American-Interest.com January 22, 2012.

43. Tushmalishvili, T. *A Concise Course of Lectures on Teaching English as a Foreign Language*. Tbilisi: Tbilisi University Press. 1975.

სარჩევი

რეცენზია -----	4
ავტორისაგან -----	6
შესავალი -----	7
სწავლების ობიექტი – ენა და მეტყველება -----	10
უცხო ენის სწავლა-სწავლების დამაბრკოლებელი ფაქტორები -----	18
უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგია როგორც მეცნიერება -----	23
უცხო ენის სწავლების გოგადი და კერძო მეთოდოლოგია -----	29
უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგია როგორც სასწავლო დისციპლინა -----	31
მეთოდოლოგიის კავშირი სხვა მეცნიერებებთან -----	33
უცხო ენის სწავლების მიზნები -----	37
უცხო ენის სწავლების შინაარსი -----	46
მოგარდი თარგმანის სწავლების, განათლების, გონებრივი და ფიზიკური განვითარებისა და ალგრდის გოგადი პრინციპები -----	49
უცხო ენის სწავლების პრინციპები -----	61
უცხო ენის სწავლების ზოგადი პრინციპები -----	61
უცხო ენის სწავლების კერძო პრინციპები -----	63
უცხო ენის სწავლების სპეციალური პრინციპები -----	67
უცხო ენის სწავლების მეთოდები -----	68
ინტერაქტიული სწავლება -----	72
ელექტრონული სწავლება -----	72
უცხო ენის სწავლების საშუალებები -----	73
სახელმძღვანელოს პრობლემა -----	77
ენობრივი მასალა – ენის ინვენტარი -----	80
ინგლისური ფონეტიკის სწავლება -----	84

ფონეტიკური მინიმუმის შერჩევა -----	88
ფონეტიკური მასალის მეთოდური ტიპოლოგია -----	89
ფონეტიკური მასალის პრეგნენტაცია და მასზე მუშაობა-განმტკიცება -----	91
დიფერენციაციაში ვარჯიში -----	96
მჟღერი და ყრუ ბგერები -----	96
ინტონემები -----	103
მახვილი -----	103
ტონი -----	106
რიტმი -----	107
პაუზირება -----	108
ინგლისური ლექსიკის სწავლება -----	116
სიტყვა -----	118
პოლისემია -----	134
მეტაფორა -----	135
მეტონიმია -----	137
ომონიმია -----	139
სიტყვის მნიშვნელობა:	
პოლისემია vs ჰიპერონიმულ-ჰიპონიმური კავშირები -----	141
სინონიმია -----	145
ანტონიმია -----	152
შესიტყვება -----	161
ლექსიკური მინიმუმები -----	163
ლექსიკური მასალის მეთოდური ტიპოლოგია -----	166
ლექსიკაზე მუშაობა -----	168
სიტყვის სემანტიკაზიის ხერხები -----	169
ლექსიკური სავარჯიშოები -----	184
ლინგვისტური თამაშოები -----	185
ინგლისური გრამატიკის სწავლება -----	191
გრამატიკული მინიმუმის შერჩევა -----	192
აქტიური გრამატიკული მინიმუმის შერჩევის პრინციპები -----	193

პასიური მინიმუმის შერჩევის პრინციპები-----	193
აქტიური გრამატიკის მინიმუმი -----	194
პასიური გრამატიკის მინიმუმი-----	194
გრამატიკული მასალის პრეგნენტაცია და მასზე მუშაობა -----	195
კითხვის სწავლება-----	197
კითხვის სახეები -----	198
კითხვის ფსიქო-ფიზიოლოგიური მახასიათებლები -----	201
წერის სწავლება -----	203
წერთი მეტყველების სავარჯიშოები-----	207
ინგლისური წერა-კითხვის ტექნიკის ანუ	
მართლწერისა და მართლმეტყველების სწავლება---	208
ხმოვანთა, ხმოვან-თანხმოვანთა და თანხმოვანთა	
დიგრაფების (digraphs) კითხვა-----	218
უმახვილო ხმოვანთა კითხვა -----	228
ორთოგრაფიული ანუ მართლწერის სავარჯიშოები -----	231
მეტყველების სწავლება -----	233
მონოლოგური მეთყველების სწავლება -----	235
მომზადებული მონოლოგური -----	236
მეტყველების სავარჯიშოები-----	236
სპონტანური მონოლოგური მეტყველების სავარჯიშოები-----	237
სურათის აღწერა-----	237
დიალოგური მეთყველების სწავლება-----	239
დიალოგის სწავლების სავარჯიშოები -----	241
მომზადებული დიალოგის სავარჯიშოები-----	242
სპონტანური დიალოგის სავარჯიშოები -----	242
გეპირმეთყველებისათვის	
დამახასიათებელი შტამპები -----	243
გეპირმეთყველების სავარჯიშოები ინგლისურ ენაში-----	245
აუდირების სწავლება-----	247
წარმატებული აუდირების განმსაზღვრელი ფაქტორები -----	251
აუდირების მოსამზადებელი სავარჯიშოები -----	252

აუდიტების სამეტყველო სავარჯიშოები -----	253
კლასგარეშე და სკოლისგარეშე	
მუშაობა უცხო ენის სწავლებაში -----	255
დაგეგმვა უცხო ენის სწავლებაში-----	259
უცხო ენის გაკვეთილის თავისებურებანი -----	261
უცხო ენის გაკვეთილთა სისტემა და ტიპები -----	261
უცხო ენის გაკვეთილის სტრუქტურა და შინაარსი --	263
გაკვეთილის გეგმა -----	266
ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი (ნიმუში 1) -----	267
ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი (ნიმუში 2) -----	269
ჩატარებული გაკვეთილის გარჩევის ოქმი (ნიმუში)-----	271
სტუდენტ-პრაქტიკანტის დღიურის ნიმუში-----	273
მოსწავლეთა ცოდნა-უნარის შემოწმება	
ანუ კონტროლი და აღრიცხვა	
ანუ შეფასება უცხო ენაში -----	289
შეფასების პრინციპები და მიდგომები -----	289
შეფასების ტიპები-----	290
შემოწმება-შეფასების ობიექტი-----	290
მოსწავლის სამეტყველო უნარ-ჩვევების შეფასების	
კრიტერიუმები აუდიტებაში -----	292
მოსწავლის სამეტყველო უნარ-ჩვევების შეფასების	
კრიტერიუმები ზეპირმეტყველებაში-----	292
მოსწავლის სამეტყველო უნარ-ჩვევების შეფასების	
კრიტერიუმები კითხვაში -----	294
ბრიტანული შეფასების სისტემები -----	296
ქართული და ბრიტანული შეფასების სისტემების	
შეპირისპირება კომენტარებით-----	298
დასკვნა -----	299
გამოყენებული ლიტერატურა -----	300

For a Foreign Language not to Remain Foreign

English Language Teaching Methods at Georgian Secondary School

A Handbook for
English Language Teaching Methods at Georgian Secondary School

Brief Summary

Written to support the excellence in teaching English as a foreign language at a secondary school level, the book represents essential reading for Teacher Training Faculty students in Higher Education Institutions, as well as for various English Teacher Training Courses and Programs. Experienced teachers who wish to improve their teaching practice will also find it a particularly useful resource.

LIST OF TOPICS COVERED:

- **Introduction to Teaching Methods**
- **Object of Teaching – Language and Speech**
- **Stumbling Blocks in Foreign Language Teaching and Learning**
- **Methods of Foreign Language Teaching as a Science**
- **General and Private Methods in Foreign Language Teaching**
- **Foreign Language Teaching Methods as an Academic Discipline**
- **Relation of Foreign Language Teaching Methods to Other Sciences**
- **Aims of Foreign Language Teaching**
- **Content of Foreign Language Teaching**
- **Principles of Teaching and Educating, Mental and Physical Training, and Upbringing of Young Generation**
- **Principles in Foreign Language Teaching**
- **General Principles in Foreign Language Teaching**

- **Specific Principles in Foreign Language Teaching**
- **Special Principles in Foreign Language Teaching**
- **Foreign Language Teaching Methods**
- **Interactive Teaching Strategies**
- **E-Learning**
- **Means of Foreign Language Teaching**
- **Textbook-Related Issues**
- **Linguistic Material – Language Inventory**
- **Teaching English Phonetics**
- **Teaching English Vocabulary**
- **Linguistic Games**
- **Teaching English Grammar**
- **Teaching Reading**
- **Teaching Writing**
- **Teaching Writing and Reading Techniques – Orthography and Orthoepy**
- **Teaching Spoken Language**
- **Teaching Monologue Speech**
- **Teaching Dialogue**
- **Conventional Expressions in Spoken Language**
- **Teaching Listening**
- **Extracurricular Activities in Foreign Language Teaching**
- **Planning in Foreign Language Teaching**
- **Lesson Planning in Foreign Language Teaching**
- **Sample EFL (English as a Foreign Language) Lesson Plan Format**
- **Foreign Language Proficiency Assessment**
- **Marking in School**
- **British Marking**
- **Georgian vs. British Marking Systems with Comments**
- **Conclusion**